ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ ითონიშვილი

ისტორიულ - ეთნოგრაფიული ნაშრომები

ისტორიის, ეთნოლოგიის, ჰელიგიის შესწავლისა და
ჰოროპაგანდის სამეცნიერო ცენტრი

ვახტანგ ითონიშვილი

ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნაჩუქარები

თბილისი – 2008

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საისტორიო წყაროების, ეთნოგრაფიული, ტოპონიმიკური და ონომასტიკური მონაცემების ანალიზის საფუძველზე ნარკვევებში განხილულია ქართველ მთიელთა ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხები. ნარკვევებში ნაჩვენებია აგრეთვე ეთნოგრაფიული ექსპედიციის მუშაობის შედეგები. წიგნი განკუთვნილია როგორც სპეციალისტების, ისე განხილული საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

რედაქტორი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **ვალერიან ითონიშვილი**

რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **დავით პავლიაშვილი**

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი
მარიამ ილურიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა: **მარიამ ბუტიკაშვილი**
ანა რუაძე

© ვახტანგ ითონიშვილი

ISBN 978-9941-0-0893-1

K 264,388

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორისაგან

ნარკვევებში განთავსებული შრომების დიდი ნაწილი თვით ავტორმა გამოაქვეყნა ჟურნალ „მაცნეში“ და სამეცნიერო კრებულებში. ყველა ეს ნაშრომი დაწერილია საისტორიო წყაროების, სპეციალური ლიტერატურის მონაცემებისა და ავტორის მიერ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალების ანალიზის საფუძველზე. ყოველ მათგანში შუქი ეფინება მანამდე შეუსწავლელ საკითხებს. ამის საფუძველს ქმნის როგორც მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალის სიახლე, ისე წერილობითი წყაროებისა და სპეციალური ლიტერატურის მაღალკვალიფიციური ინტერპრეტაცია. იგივე შეიძლება ითქვას ნარკვევების პირველ და მეორე ნაწილზე, რომლებიც ავტორის გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა კრებულში – „ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი“, ტ. IV, 2002 წ. ავტორს ასევე გამოუქვეყნებელი დარჩა წერილი „ახალციხური დღიურიდან“, რაც პირველად ამ ნარკვევებში შევიტანეთ. ვახტანგ ითონიშვილის ეს ნარკვევები მნიშვნელოვანწილად ავსებენ მრავალ წიგნად გამოქვეყნებული შრომების სიას, რითაც მან დამსახურებული ავტორიტეტი მოიპოვა ქართულ საისტორიო მეცნიერებაში.

I. ლეონტი მროველის ცნობები საქართველოს მთიანეთისა და მისი გადასასვლელების შესახებ*

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყოველთაოდ ცნობილია, რომ კავკასიონის მთავარი ქედი საქართველოს დამცავ ბუნებრივ ზღუდეს წარმოადგენდა და მნიშვნელოვანწილად მის უსაფრთხოებას განაპირობებდა, მაგრამ მრავალ შემთხვევაში ქედის სახით არსებული სიმაგრე გადაულახავი ბარიერის როლს ვერ ასრულებდა. ამის საფუძველს ქმნიდა კავკასიონის ქედის მთელ სიგრძეზე არსებული და ჩრდილო კავკასიის ქვეყნებთან დამაკავშირებელი „კარნი კავკასიანთანი" – ზეკარები (ჯვართა ყელის, თაკვერის, ჟბის, ყადორის თუ ბელაქანის გადასასვლელები) და კლდეკარები (დარიალი ანუ არაგვის კარი, კასრის კარი, ფარჩუანის კარი), რომელთა საშუალებითაც ხორციელდებოდა როგორც მშვიდობიანი სამეზობლო ურთიერთობა, ისე საომარი მოქმედებანი. ბუნებრივია, რომ აღნიშნული ორმხრივი ფუნქციის გამო ამ გადასასვლელებს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რომლის დამადასტურებელია სხვადასხვა ეპოქის წერილობითი მონაცემები, მათ შორის, XI საუკუნის ისტორიკოსის ლეონტი მროველის ცნობები.

ლეონტი მროველი თავის საისტორიო თხზულებებში („ცხოვრება ქართველთა მეფეთა", „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა", „არჩილის წამება") გვაცნობს საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს უძველესი დროიდან ვიდრე მეხუთე საუკუნემდე. რამდენადაც ლეონტი მროველი XI საუკუნის ისტორიკოსია, ბუნებრივია, რომ საქართველოს უძველესი ისტორიის თხრობისას მას უსათუოდ უნდა ესარგებლა უფრო ადრინდელი წყაროებით, რომელთა უდიდესი ნაწილი დღემდე არ შემოგვრჩა. ივ. ჯავახიშვილის შეხედულებით,

---

* პირველად დაიბეჭდა კრებულში – „ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი", IV, თბ., 2002.

ლეონტი მროველის უმთავრესი წყარო იყო ძველი ქართული საისტორიო ქრონიკა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ (34, გვ. 187). მეცნიერს პირველ ყოვლისა მხედველობაში ჰქონდა მისი გამოყენების შესაძლებლობა ნაშრომში – „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“, რასთან დაკავშირებითაც იგი განმარტავდა: „საქართველოს გაქრისტიანების ისტორია ლეონტი მროველს ამოღებული აქვს თითქმის სიტყვა-სიტყვით „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-თგან და შატბერდისეული წმინდა ნინოს ცხოვრებითგან“ (34, გვ. 187). თ. ჟორდანიას შეხედულებითაც, ლეონტი მროველი შეიძლება მივიჩნიოთ არა ავტორად, არამედ გადამწერად, ანდა რედაქტორ-გადამწერად (5, გვ. XXIX, XXXVI).

ლეონტი მროველის ავტორობის საკითხის ასეთნაირი შეფასება ზედმეტად კატეგორიულადაც შეიძლება მოგვეჩვენოს. როგორც გ. მელიქიშვილი აკონკრეტებს, ყოველ შემთხვევაში, ლეონტი რომ არ არის ზოგიერთი ამ თხზულების ავტორი, რომელსაც მას მინაწერი აკუთვნებს (მაგალითად „ნინოს მიერ ქართლის მოქცევის“ „მოქცევაჲ ქართლისაჲდან“ გადმოღებულ-გადმოწერილი ტექსტისა) ისედაც ცხადია“ (26, გვ. 52). მაგრამ, ასეა თუ ისე, გასათვალისწინებელია ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი – იმ წყაროთა უმეტესი ნაწილი, რომლებითაც უნდა ესარგებლა XI საუკუნის ამ ისტორიკოსს, დღეისათვის არ შემოგვრჩენია და, ამიტომ, ლეონტი მროველის თხზულებებს პირველწყაროს მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს ძველი ისტორიის შესწავლისათვის.

ლეონტი მროველის თხზულებები საინტერესო და საგულისხმო ცნობებს შეიცავს კავკასიაში მცხოვრებ ერთა საზოგადოდ და განსაკუთრებით კი ქართველების წარმოშობის, მათი ურთიერთობის, ქართლის სამეფოს ჩამოყალიბების, მისი გაქრისტიანების და სხვა მოვლენების შესახებ (34, გვ. 178). „დიდი მნიშვნელობა აქვს ლეონტი მროველის თხზულებებს საქართველოს საისტორიო გეოგრაფიის შესწავლისათვის. იქ ამისათვის ძვირფასი ცნობები მოიპოვება. საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვადასხვა თემისა და სამთავროს საზღვრებისათვის ლეონტი მროველს უეჭველია რაღაც ძველი ქართული წყაროები ჰქონია“ (34, გვ. 187), რომელთა უდიდესი ნაწილი, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, დღეისათვის არ შემონახულა.

საქართველოსა და კავკასიის შესახებ არსებული მონაცემებიდან შეიძლება გამოვყოთ ცნობები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის შესახებ. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს „მეფეთა ცხოვრება“ ისეთი საკითხების შესწავლისათვის, როგორიცაა ქართველ მთიელთა განსახლების სტრუქტურა, კავკასიონის გასასვლელ-გადასასვლელები და ჩრდილო კავკასიის ქვეყნებთან ქართლის სამეფოს ურთიერთობის ხასიათი. მეორე თხზულებაში – „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“ აღწერილია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ქრისტიანობის გავრცელების პროცესი, ხოლო „არჩილის წამება“ პირველ ყოვლისა ყურადღებას იქცევს ცნობებით წანართა ლოკალიზაციის შესახებ.

„მეფეთა ცხოვრებაში“ ასახული ცნობების საფუძველზე საისტორიო მეცნიერებაში მკაფიოდ გამოიკვეთა შეხედულება, რომ კავკასიონის ზეკარ-კლდეკარები უდიდეს როლს ასრულებდნენ საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის ქვეყნების ურთიერთობაში, განსაკუთრებით კი საომარ სიტუაციაში. ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით, უაღრესად დიდი იყო მათი სტრატეგიული მნიშვნელობა და მდგომარეობის გართულებით გამოწვეული შედეგები, რამდენადაც გზა-გადასასვლელების ხელში ჩაგდებით საქართველოსთან მეომარ მხარეს ზოგიერთი რეგიონის ან მთელი ქვეყნის დაპყრობის შესაძლებლობაც კი ეძლეოდა (33, გვ. 11). აღნიშნულის დამადასტურებელია ლეონტი მროველის შემდეგი ცნობა: „და ისწავეს ხაზართა ორნივე ესე გზანი, რომელ არს ზღვჯს-კარი, რომელ არს დარიალა და განამრავლეს ხაზართა გამოსლვა და ტყუენვა მათი და ვერღარა წინააღუდგეს. და მიერითგან იქმნეს ესე ყოველნი თარგამოსიანნი მოხარკე ხაზართა“ (1, გვ. 12).

როგორც დამოწმებული ცნობიდან ჩანს, სწორედ კავკასიონის გადასასვლელების საშუალებით ხდებოდა ჩრდილოელი ტომების, კონკრეტულ შემთხვევაში კი ხაზარების (ქართულ წყაროებში ხაზარებად სახელდებულ ხალხში, ანაქრონიზმის შედეგად, ერთ შემთხვევაში იგულისხმებიან სკვითები, ხოლო მეორე შემთხვევაში ჰუნები) შემოჭრა ამიერკავკასიის ფარგლებში. მაგალითად, როგორც კი ხაზართა ლაშქარმა შესძლო დარიალისა და დარუბანდის გამოვლა, თარგამოსიანები (ამიერკავკასიის ხალხები) „ვერღარა წინააღუდგეს" მათ, რის შემდეგაც ხაზარებს აღარ გასჭირვებიათ ამიერკავკასიის დამორჩილება. ამ ლაშქრობის შემდეგ ხაზარებმა უკან დასაბრუნებლად კვლავ კავკასიონის გადასასვლელების გამოყენება არჩიეს. ამას გვაფიქრებინებს ლეონტი მროველის ცნობა იმის შესახებ, რომ უკან გაბრუნებულმა ხაზარებმა „გარდავლეს მთა კავკასია" (1, გვ. 12). კავკასიონზე მათი „გარდავლა" კი უსათუოდ რომელიმე გადასასვლელის გამოყენებით უნდა მომხდარიყო. როგორც ჩანს, ხაზარები იმავე მარშრუტით უნდა დაბრუნებულიყვნენ, როგორითაც ამიერკავკასიაში შემოვიდნენ, ე. ი. დარიალისა და დარუბანდის გასასვლელების მეშვეობით, თუმცა არაა გამორიცხული, რომ ხაზარებს სამშობლოში დასაბრუნებლად კავკასიონის სხვა რომელიმე გადასასვლელიც გამოეყენებინათ.

ამრიგად, ჩრდილოელი ტომების შემოჭრა ამიერკავკასიაში კავკასიონის გასასვლელ-გადასასვლელების გამოყენებით ხდებოდა, მაგრამ ლეონტი მროველი იმასაც გვარწმუნებს, რომ ამიერკავკასიის ხალხებიც აწყობდნენ ლაშქრობებს ხაზარების წინააღმდეგ, რისთვისაც იმავე კავკასიონის კორიდორებს იყენებდნენ. ნათქვამის დამადასტურებელია ლეონტი მროველის შემდეგი ცნობა: „ხოლო შეკრბეს ყოველნი ნათესავნი თარგამოსიანნი და გარდავლეს მთა კავკასია და მოტყუენნეს ყოველნი საზღვარნი ხაზარეთისანი" (1, გვ. 11).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეონტი მროველის თხზულებაში ფიქსირებული ცნობები „კარნი კავკასიანნი“-ს ორმხრივ მნიშვნელობას წარმოაჩენენ. საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლება მათი გამაგრებით სახავდა ჩრდილოეთიდან მოწოლილი ტომების შესაჩერებელ ღონისძიებებს, მაგრამ ეს ყოველთვის ვერ ხორციელდებოდა. მეორე შემთხვევაში ეს „კარნი“ გამოიყენებოდა ჩრდილო კავკასიაზე შეტევისა და იქ თავისი პოლიტიკური და კულტურული გავლენის მოპოვებისათვის.

კავკასიონის გასასვლელ-გადასასვლელებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობით გამოირჩეოდნენ არაგვის კარი ანუ დარიალა და ზღვის კარი ანუ დარუბანდი, რისი დამადასტურებელია „მეფეთა ცხოვრებაში“ მათი ხშირად ხსენება. აღნიშნული ორი უმთავრესი კორიდორიდან ქართლის სამეფოსათვის უპირატესობა ენიჭებოდა დარიალის ხეობას, როგორც ქართლის ტერიტორიიდან ჩრდილო კავკასიაში პირდაპირ გასასვლელ უმოკლეს ჭიშკარს. ლეონტი მროველის თხზულებაში მისი მრავალჯერ დასახელებაც ამგვარი ვითარებით იყო განპირობებული.

„მეფეთა ცხოვრების“ ავტორი ზოგჯერ პირდაპირ არ ასახელებს დარიალის კარს, მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც პირველ რიგში მისი გამოყენება იგულისხმება. ამ მხრივ დამაფიქრებელია ცნობა იმის შესახებ, რომ სპარსელთა წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში, საკუთარ ძალთა უკმარისობის მიზეზით, ქართლის ხელისუფალნი „ეზრახნეს ოვსთა, გარდამოიყვანნეს ოვსნი“ (1, გვ. 13-14) და მათი მოშველიებით შეძლეს სპარსელთა უკუგდება. ეს ცნობაც დარიალის გამოყენების შესაძლებლობის მანიშნებელია, რამდენადაც ოსთა მაშველი ძალების ოპერატიული გადმოყვანისათვის უპირატესობა ენიჭებოდა დარიალის უმოკლეს გზას. ამ კონტექსტში გასათვალისწინებელია ლეონტი მროველის მეორე ცნობაც: სომხებთან ბრძოლაში გამარჯვების საგარანტიოდ, „ამათ მეფეთა ქართლისათა აზოკ და არმაზელ მოუწოდეს ოვსთა და ლეკთა

და გარდამოიყვანნეს ოვსთა მეფენი, ძმანი ორნი გოლიათნი: სახელით ბაზუკ და აბაზუკ, სპითა ოვსეთისათა და მათ გარდამოიტანნეს თანა პაჭანიკნი და ჯიქნი და გარდამოვიდა მეფე ლეკთა და გარდამოიტანნა დურძუკნი და დიდონი და ამათ მეფეთა ქართლისათა შემოკრიბნეს სპანი თჳსნი და შეკრბა ესე ყოველი სიმრავლე ურიცხჳ" (1, გვ. 45).

როგორც ამ ცნობიდან ჩანს, ეს დიდი სამხედრო ღონისძიება განხორციელდა კავკასიონის გადასასვლელების მეშვეობით, რაშიაც პირველხარისხოვანი როლი უნდა შეესრულებინა დარიალის კარს. ყოველ შემთხვევაში, ოსთა ჯარის და მათთან ერთად პაჭანიკების და ჯიქების შემოსვლა ქართლში უპირატესად დარიალის გზით უნდა მომხდარიყო. ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ლეონტი მროველი თავის თხზულებაში მოიხსენიებს დვალეთის გზასაც, როდესაც წერს, რომ მეფე ამაზასპის დროს ქართლში „გარდამოვიდეს ოვსნი, სპანი დიდნი, გზასა დვალეთისასა" (1, გვ. 55). ამრიგად, ოსები ქართლში შემოდიოდნენ დვალეთის გზით, რომლის ქვეშ საგულისხმებელია მამისონის უღელტეხილი. იმავე დვალეთის გზის შესახებ ლეონტი მროველის თხზულებაში გვხვდება მეორე ცნობაც: ქართლში მირიან მეფის არყოფნით ისარგებლეს ოსებმა და „გარდამოვლეს ოვსთა ფეროშ და კავტია და განრყუნეს ქართლი. ხოლო მირიან გარეს-გარ გარდავიდა ოვსეთს, მოტყუევნა ოვსეთი და მიუწია ხაზარეთამდი და გარდამოვლო გზა დვალეთისა და მოვიდა შინა" (1, გვ. 67-68). ამრიგად, მირიანი ოსეთის დალაშქვრის შემდეგ ქართლში დაბრუნდა დვალეთის გზით, რაც იმას გვაფიქრებინებს, რომ მირიანს იმავე დვალეთის გზა უნდა გამოეყენებინა ოსეთში გადასასვლელად. ისიც შესაძლებელია, რომ მირიანი ოსეთში შეჭრილიყო დარიალის გზით, ხოლო ოსეთის მოოხრების შემდეგ უკან დაბრუნებულიყო დვალეთის გზით. ასეა თუ ისე, ერთი რამ კი ცხადია, რომ ქართლის სამეფოსათვის დვალეთის გზაც გარკვეულ როლს ასრულებდა, თუმცა იგი თავისი მნიშვნელობით

ვერ გაუტოლდებოდა დარიალს, რომელიც ამიერ და იმიერ-კავკასიის ურთიერთდამაკავშირებელ გზებსა და გადასასვლელებს შორის უმნიშვნელოვანეს მაგისტრალს წარმოადგენდა (17, 18).

დარიალს, დარუბანდს და კავკასიონის სხვა გასასვლელ-გადასასვლელებს პირველ რიგში მაინც დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებოდათ, რაც განსაკუთრებით ნათლად მჟღავნდებოდა სამხედრო ოპერაციების მსვლელობაში. ეს გარემოება კარგად ესმოდათ ქართლის სამეფოს, ამიერკავკასიის თუ სხვა ქვეყნების მმართველებს. ამიტომ გასაგებია, რომ როდესაც ვარაზ ბაქარის მეფობის ჟამს ქართლს სპარსეთმა შემოუტია, მაშინ სომეხთა მოგზავნეს ბაქარისსა მოციქული და რქუეს (ურჩიეს – ვ. ი.), რათა შეკრბენ... და განუხუნენ კარნი კავკასიანთანი, და გამოიყვანნენ ოვსნი და ლეკნი, და წინააღუდგენ სპარსთა" (1, გვ. 136). ამ ცნობიდან კარგად ჩანს, რომ ქართლის მეფისათვის მიცემულ რჩევაში გადამწყვეტი მნიშვნელობის ფაქტორად დასახელებული იყო „კარნი კავკასინთანი", რომელთა მეშვეობითაც მაშველი ძალები უნდა გადმოეყვანათ ქართლში. ასეთ კარებად იგულისხმებოდა დარიალი, დარუბანდი, შესაძლოა დვალეთის გზა და კიდევ სხვა რომელიმე გადასასვლელი, მაგრამ მათ შორის დარიალი აშკარა უპირატესობით გამოირჩეოდა.

საინტერესოა ლეონტი მროველის კიდევ ერთი ცნობა დარიალის შესახებ. ავტორი აღწერს რა ბრძოლას ქართველებსა და სომხებს შორის, გვაუწყებს, რომ ქართველებმა ოსების დახმარებით დაამარცხეს სომეხთა მეფე ზარენი და შეიპყრეს იგი, რის შემდეგაც „დასუეს პყრობილად ციხესა დარიალანისსა" (1, გვ. 49). ამ ცნობიდან ვგებულობთ, რომ დარიალის კარი ციხითაც ყოფილა გამაგრებული. როგორც ვხედავთ, ლეონტი მროველისათვის ცნობილი იყო დარიალის ციხის არსებობის ფაქტი. ეს გასაგებია, ვინაიდან ჯერ კიდევ სტრაბონი და პლინიუს სეკუნდი (ახ. წ. I ს-ის ბერძენი და რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაელი ისტორიკოსები) გვაწვდიან ცნობებს დარიალის ციხის შესახებ (35, გვ. 251). ამდენად, საფორტიფიკაციო ნაგებობის არსებობის ფაქტი დარიალის კარში კიდევ ერთხელ ადასტურებს მის დიდ სამხედრო დანიშნულებას. მაგრამ დარიალს მარტოოდენ სტრატეგიული მნიშვნელობა არ ჰქონია ქართლის სამეფოსათვის. უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ არსებული პოლიტიკური სიტუაციისა და სოციალურ-ეკონომიკური ვითარების შესაბამისად დარიალის კარი ხან საქართველოს ჩრდილოეთი საზღვრის ჩამკეტი სიმაგრე იყო და ხანაც „გზა მშვიდობისა", რომლის საშუალებითაც საქართველო თავის პოლიტიკურ და კულტურულ გავლენას ავრცელებდა იმიერკავკასიაზე და ამიტომ ეს „გზა მშვიდობისა" „საჭირო და აუცილებელი იყო იმ მნიშვნელოვანი კულტურული ურთიერთობისათვის, როგორც საქართველოსა და ამიერკავკასიისა თუ „ჩრდილოის" ქვეყნებს შორის არსებობდა" (9, გვ. 56). სახელმწიფოებრივ ღონისძიებათა განხორციელებაში ორმხრივი გამოყენების შესაძლებლობა დარიალის ხეობის როლს განსაკუთრებით ზრდიდა კავკასიონის ქედის სხვა გადასასვლელებთან ერთად და მათზე კონტროლსაც ქვეყნისათვის უძველესი დროიდანვე სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭებოდა (26, გვ. 292-293).

„მეფეთა ცხოვრებიდან" კარგად ჩანს, რომ „კარნი კავკასიანთანის" დიდი ნაწილი ქართლის მეფეთა ხელში იყო, რომელთა გახსნა თუ ჩაკეტვა საჭიროების მიხედვით შეეძლოთ. მაგალითად „მეფეთა ცხოვრებიდან" ვგებულობთ, რომ ქართლის ერთ-ერთ მეფეს – ასფაგურს სპარსელებთან ომის დროს როგორც კი დასჭირდა მაშველი ძალები, მან მაშინვე „განახუნის (ე. ი. გახსნა – ვ. ი.) კარნი კავკასიანთანი და გამოიყვანნის ოვსნი, ლეკნი და ხაზარნი" (1, გვ. 59). ასფაგურის ანალოგიურად ხშირად ასევე მოქმედებდნენ სხვა ქართველი მეფეებიც, რაც იმის ნიშანია, რომ კარნი კავკასიანთანი", ეს უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პუნქტი კავკასიონზე, ძი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რითადად ქართლის სამეფოს ხელისუფალთ ეპყრათ. გამომ-
დინარე აქედან, მათი დაცვა-გამაგრება, გახსნა თუ ჩაკეტვა
მხოლოდ ქართლის მეფეებს ხელეწიფებოდათ, თუმცაღა ლე-
ონტი მროველის ერთი ცნობიდან ისიც ნათლად ჩანს, რომ სა-
მეფო ხელისუფლების პრეროგატივა საქართველოს ფარგ-
ლებს გარეთაც, მისი გავლენის ზონაშიც ვრცელდებოდა, რო-
დესაც მეზობელი ქვეყნის ტერიტორიაზე მდებარე გადასასვ-
ლელებს იცავდნენ და ამით საკუთარი სამეფოს თავდაცვისუ-
ნარიანობას ზრდიდნენ. ასეთ გასასვლელს წარმოადგენდა
პირველ რიგში ზღვის კარი ანუ დარუბანდი, რაზედაც მეტ-
ყველებს ლეონტი მროველის კიდევ ერთი ცნობა: ოდეს მოვი-
დიან ხაზარნი დარუბანდს, მაშინ წარვიდის მირიან შუელად
დარუბანდისა" (1, გვ. 66).

ამრიგად, ქართლის სამეფო ხელისუფლება არა მარტო სა-
კუთარი ქვეყნის გზა-გადასასვლელებს ფლობდა, არამედ მეზო-
ბელი ქვეყნის ტერიტორიაზე მდებარე გასასვლელ-გადასასვ-
ლელებსაც აკონტროლებდა. ასეთი პოლიტიკური სტრატეგიის
საფუძველი იყო საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის ქვეყ-
ნების დამაკავშირებელი მაგისტრალების მნიშვნელობა, რო-
მელთა გამოყენების გარეშე შეუძლებელი იყო როგორც სამ-
ხედრო ოპერაციების წარმოება, ისე და კიდევ უფრო მეტად
სასიცოცხლო პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული
ურთიერთობა. სამხედრო-სტრატეგიული თუ მშვიდობიანი
ურთიერთობანი კი ქართველ ხალხს აკავშირებდა იმიერკავ-
კასიის მეზობლებთან – ალან-ოსებთან, დურძუკებთან თუ
ლეკებთან (დაღესტნელებთან), რომლებიც თავიანთი სოცია-
ლურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების დონით
ქართველებზე და ამიერკავკასიის სხვა ხალხებზე (სომხებზე,
ალბანელებზე) ბევრად დაბლა იდგნენ. იმ პერიოდში, რომელ-
საც ლეონტი მროველი გვაცნობს, ეს სხვაობა აშკარა იყო.
მეცნიერებაში უკვე გამოთქმული შეხედულების თანახმად,
ზემოხსენებული ჩრდილოელი ხალხები „ანტიკური პერიოდის

მთელ მანძილზე არ გამოსულან ე. წ. სამხედრო დემოკრატი-ის, ე. ი. პირველყოფილ-თემური წყობილების უკანასკნელი საფეხურის ჩარჩოებიდან" (9, გვ. 26).

ეს ფაქტორი მნიშვნელოვანწილად განაპირობებდა მეზობელი ქვეყნებისადმი მათ დამოკიდებულებას, კონკრეტულად კი ქართლის სამეფოებთან ურთიერთობის ხასიათს. განვითარების დაბალ საფეხურზე ყოფნის გამო ამ ხალხების შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს შეადგენდა მარბეველი ლაშქრობანი მეზობელ ხალხებზე და სამხედრო სამსახური რომელიმე ქვეყნისადმი. ჩრდილოკავკასიელი ხალხებისათვის პრინციპში სულ ერთი იყო, თუ რომელი ქვეყნის სამსახურში ჩადგებოდნენ. მათთვის მთავარი იყო ის, თუ რომელი დამქირავებელი მხარე რა გასამრჯელოს გასცემდა სამხედრო სამსახურის გაწევისათვის. უმთავრეს შემთხვევაში მათთვის ასევე სულ ერთი იყო, ვის წინააღმდეგ მოაწყობდნენ ლაშქრობას. სამიზნეს კი უმთავრეს შემთხვევაში საქართველო წარმოადგენდა. ვალში არც ქართლის სამეფო რჩებოდა, მაგრამ სამეფო ხელისუფლება მათთან ომით კი არ იყო დაინტერესებული, არამედ სამშვიდობო ურთიერთობის სტაბილიზაციით, რათა ჩრდილო კავკასიის ძალები თავის სამსახურში ჩაეყენებინა და სამხრეთი ზონის დაცვაზე ეზრუნა. მშვიდობიანი ცხოვრების პირობებში კი ჩრდილოკავკასიელები „ქირის გულისათვის ხალისით მიდიოდნენ ომში ყველა მხარეს" (11, გვ. 78). უფრო ხშირად კი ჩრდილოკავკასიელი მეომრები ქართლის სამეფოს სამსახურში დგებოდნენ აქტიური სამხედრო რეზერვის სახით. „მეფეთა ცხოვრებიდან" ნათლად ჩანს, რომ ამ ძალების მოხმობა თითქმის დაუბრკოლებლად ხორციელდებოდა სპარსელთა წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში, რაზედაც მიგვანიშნებს თუნდაც ცნობა იმის შესახებ, რომ ქართლის მეფე ასფაგურმა „განუხუნის კარნი კავკასიანთანი და გამოიყვანის ოვსნი, ლეკნი და ხაზარნი" (1, გვ. 59). ცხადია, რომ ესოდენ დიდ სტრატეგიულ ჩანაფიქრს წინ უძღოდა დაქირავების პირობებზე წინას-

წარი შეთანხმება, ხოლო გარიგების შემდეგ კი გასასვლელი გადასასვლელების გახსნა და ქართლში სამხედრო კონტიგენტის შემოყვანა. ამგვარი ვითარება დამახასიათებელი იყო როგორც ლეონტი მროველის თხრობის, ისე მერმინდელი წყაროების მიხედვითაც. ამიტომ არაფერია უჩვეულო იმაში, თუ სპარსელთა ერთ-ერთი ექსპანსიის დროს რატომ ურჩია სომეხთა მეფემ ვარაზ ბაქარს, რომ მას „განახუნენ (გაეხსნა – ვ. ი.) კარნი კავკასიანნი და გამოიყვანნენ (გამოეყვანა – ვ. ი.) ოვსნი და ლეკნი და წინა აღუდგენ სპარსთა" (1, გვ. 236). ამრიგად, მაშველ ძალებს მოელოდნენ ოსეთიდან და ლეკეთიდან (დაღესტნიდან), ხოლო მათი შემოყვანა ხდებოდა დარიალის, დვალეთის და სხვა გზების მეშვეობით.

შემთხვევითი არ არის, რომ ლეონტი მროველის თხზულებაში ყველაზე აქტიურ მაშველ ძალად ფიგურირებდნენ ოსები და ლეკები. ამიტომაა, რომ ერთ-ერთი დიდი სამხედრო ოპერაციის დროსაც ქართველთა მეფეებმა აზორკმა და არმაზელმა პირველ ყოვლისა „მოუწოდეს ოვსთა და ლეკთა... და გარდამოიყვანნეს ოვსთა მეფენი ძმანი ორნი გოლიათნი ბაზუკ და ამბაზუკ სპითა ოვსეთისათა და მათ გარდამოიტანნეს თანა პაჭანიკნი და ჯიქნი და გარდამოვიდა მეფე ლეკთა და გარდამოიტანნა დარძუკნი და დიდონი" (1, გვ. 45).

ამრიგად, საომარ მდგომარეობაში მყოფი ქართლის ძირითად დამხმარე ძალას წარმოადგენდნენ ოსები და ლეკები, მაგრამ დამოწმებული ცნობებიდან ისიც კარგად ჩანს, რომ ქართლის მმართველი წრეები მათთან ერთად იშველიებდნენ პაჭანიკებს, ჯიქებს და დურძუკებსაც. ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ სამხედრო ოპერაციებში მათი მონაწილეობა ხორციელდებოდა გასამრჯელოს ანაზღაურების პირობით. გარიგების ფაქტორი კი ზოგჯერ საპირისპირო ქმედებას იწვევდა. საკმარისი იყო ქართველების წინააღმდეგ მებრძოლ ძალას მეტი ქირა გადაეხადა, რომ ამგვარი გარიგება საქართველოს მტრებთან გაფორმებულიყო. ამა-

ზე მეტყველებს ლეონტი მროველის ცნობა, რომ ქართველთა მეფის ყოფილი მოკავშირეები – ლეკები, დურძუკები თუ ოსები საქართველოს წინააღმდეგ მებრძოლი ხაზარების მხარეზე აღმოჩნდნენ. უფრო მეტიც, თავისთვის ხელსაყრელი სიტუაციის შესაბამისად ჩრდილოკავკასიელები საქართველოსაც ესხმოდნენ თავს, რაც ჩანს ლეონტი მროველის თხზულებაში ფიქსირებული იმ ფაქტის მეოხებით, რომ მირიან მეფის ქართლში არყოფნის მომენტში "გარდამოვლეს ოვსთა და განრყვნეს ქართლი" (1, გვ. 67-68).

აღსანიშნავია, რომ ჩრდილოკავკასიელთა თავდასხმები საქართველოზე უპირატესად მეკობრული ხასიათისა იყო და არსებითად განსხვავდებოდა თუნდაც ხაზართა ორგანიზებული და მასშტაბური ლაშქრობისაგან, მაგრამ ეს ხშირი მეკობრული თავდასხმებიც საქართველოს დიდ ზიანს აყენებდა. ამიტომ, სამეფო ხელისუფლების ერთ-ერ უმთავრეს ამოცანას შეადგენდა ჩრდილოელთა თარეშის აღკვეთა, რაც ორგანიზებული კონტრდარტყმით ხორციელდებოდა. მაგალითად, ასეთი სამხედრო ოპერაცია დაკავშირებულია მირიან მეფის სახელთან, რომელმაც ოსთა ერთ-ერთ მეკობრულ თავდასხმას იმით უპასუხა, რომ „გარეს-გარ გარდავიდა ოვსეთს, მოტყუევნა ოვსეთი" (1, გვ. 68). ასეთივე კონტრლაშქრობა მოაწყო ქართლის მეფე მირვანმა, მაგრამ ახლა უკვე არა ოსების, არამედ დურძუკების წინააღმდეგ: შევიდა მირვან დურძუკეთს და მოაოჭრა დურძუკეთი" (1, გვ. 28). ამის შემდეგ ქართლის სამეფომ ჩრდილოეთი საზღვრები განამტკიცა, იარაღის ძალაზე დაყრდნობით მიაღწია მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარებას დურძუკებთან და შესაძლოა მათი ერთგულების გარანტიაც მიიღო, რამეთუ დურძუკებს მირვანამდე უკვე ჰქონიათ „სიყუარული (ერთგულება – ვ. ი.) ფარნავაზისა და საურმაგისი" (1, გვ. 27). ეს ცნობა იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ პერიოდიდან ქართლის სამეფო ჩრდილო კავკასიასთან პოლიტიკურ და კულტურულ ურთიერთობას ავითარებდა. არაა

შემთხვევითი ის გარემოება, რომ დურძუკეთისა და ოსეთის „მეფეები“ ქართლის მეფეებთან სამოყვრო კავშირში იმყოფებოდნენ (მაგალითად, საურმაგს დურძუკეთში დედისძმები ჰყავდა, ხოლო მისი მამიდა ოსთა მეფეზე იყო გათხოვილი). ეს კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ქართლის სამეფო კარი ნიადაგს ამზადებდა ჩრდილო კავკასიაზე, კერძოდ კი ოსეთზე და დურძუკეთზე თავისი პოლიტიკური გავლენის მოპოვებისათვის. ეს შედარებით მოგვიანებით ხდება, მაშინ როცა კავკასიონის გასასვლელ-გადასასვლელები, რომელთა შესახებაც ზემოთ გვქონდა ნათქვამი და რომელნიც ლეონტი მროველის მიერ აღწერილ ეპოქაში ძირითადად სტრატეგიული მნიშვნელობისანი არიან, იქცევიან „მშვიდობის გზად“. ლეონტი მროველის ცნობების მიხედვით, სამხედრო დემოკრატიის საფეხურზე მდგომ ჩრდილოკავკასიელ ხალხებთან საქართველოს სამეფოს არ ჰქონია არც სტაბილური მშვიდობიანობა და არც სისტემატური ომიანობა. მათი ურთიერთობა მაინცდამაინც არ იყო მყარი, მაგრამ ჩრდილოკავკასიელი ხალხები მაინც ყველაზე ინტენსიურად საქართველოსთან იყვნენ დაკავშირებულნი, რაც ძირითადად სამხედრო თანამშრომლობაში სახიერდებოდა. ლეონტი მროველის მიერ აღწერილ ეპოქაში ქართლის სამეფოს ჯერ კიდევ არ ჰქონდა იმის შესაძლებლობა, რომ ჩრდილო კავკასიაზე გაევრცელებინა თავისი პოლიტიკური და კულტურული გავლენა. ლეონტი მროველის ცნობები მხოლოდ იმას გვაფიქრებინებს, რომ აღწერილ ეპოქაში მზადდებოდა ნიადაგი ასეთი გავლენის გავრცელებისათვის.

* * *

საქართველოს მთიანეთის შესახებ არანაკლებ საინტერესო ცნობები გვხვდება ლეონტი მროველის მეორე ნაშრომში – „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლეონტი მროველი თავის თხზულებაში ქართლის

გაქრისტიანების შესახებ ემყარება ისეთ მნიშვნელოვან მატიანეს, როგორიცაა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“.

ლეონტი მროველის ამ ნაშრომს და მის პირველწყაროს მრავალი მკვლევარი შეეხო. მათი ანალიზის საფუძველზე გამოითქვა არაერთი მოსაზრება, რომელთა შორის განსაკუთრებით ნათლად გამოიკვეთა ივ. ჯავახიშვილისა და კ. კეკელიძის ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებები (არსებულ შეხედულებათა შესახებ იხ.: 15, 24, გვ. 45-83). საბოლოოდ აღიარება ჰპოვა ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისმა და მასზე დაყრდნობით დადგენილ იქნა, რომ ქართლში ქრისტიანობა გავრცელდა და ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა IV საუკუნის 30-იან წლებში, მირიანის მეფობის ხანაში (31, გვ. 57-76; 29, გვ. 83).

К 264,388

როგორც „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, ისე ლეონტი მროველის „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“ გვაუწყებენ მძაფრი ბრძოლის სურათს ძველსა და ახალ სარწმუნოებას შორის. ხალხის სულიერ ცხოვრებაში განმტკიცებულ წარმართულ სარწმუნოებას დაუპირისპირდა მანამდე უცნობი რელიგიური მოძღვრება, რაც ქართლში თანდათანობით ვრცელდება დიდ წინააღმდეგობათა დაძლევის გზით. სრულიად აშკარად ჩანს ის გარემოებაც, რომ ქრისტიანულ რელიგიას მცხეთაში პირველ რიგში ეზიარნენ ნანა დედოფალი და მირიან მეფე, მათთან ერთად ქრისტიანობას ღებულობენ პრივილეგიური წრის წარმომადგენლები, ხოლო შემდეგ სამეფო ხელისუფლების აქტიური ჩარევით ამ სარწმუნოების გავრცელება ხდება ქართლ-კახეთში და მის მთიანეთში.

სამეფო ხელისუფლების ჩარევა მისი წარმომადგენლების აქტიური მონაწილეობით ცხადად გამოჩნდა მთიელთა გაქრისტიანების გეგმის დასაწყისშივე, რაზედაც მეტყველებენ ორივე ზემოხსენებული წყაროს სათანადო მონაცემები. ორივე წყაროს დედააზრი ისაა, რომ სამეფო ხელისუფლება მთიელთა მხრიდან დიდ წინააღმდეგობას მოელის, რომლის

საქართველოს
პარლამენტის

გადალახვა ახალი მოძღვრების ქადაგებასთან ერთად შესაძ-ლებელია კარგად ორგანიზებული ძალებისა და იარაღის გამოყენებით. წყაროებს შორის განსხვავება შეიძლება დავინახოთ მხოლოდ ამ იდეის ინტერპრეტაციაში. თუ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ პირველ რიგში აღნიშნავს წმინდა ნინოს შთამაგონებელი ქადაგების როლს, ხოლო შემდეგ წარმოაჩენს იძულებითი მეთოდების მნიშვნელობას, ლეონტი მროველის ცნობით მეფემ თავიდანვე მახვილის გამოყენების გეგმა შეიმუშავა.

მთიელთა გაქრისტიანების შესახებ ლეონტი მროველის ცნობების შეფასებისათვის საჭიროდ მიგვაჩნია გავეცნოთ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს, როგორც პირველწყაროს, სათანადო მონაცემებსაც. დავიწყოთ იქიდან, თუ როგორ ემზადება ახალი იდეოლოგიის მქადაგებელთა მისია წარმართ მთიელებთან შეხვედრისათვის. „მოქცევაჲს“ შატბერდული ნუსხის მიხედვით, სამეფო კარზე, პრივილეგიურ ზედაფენაში და მცხეთის მოსახლეობაში ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ჯერი მიდგა მთელი სამეფოს გაქრისტიანებაზე. როგორც მატიანეშია აღნიშნული, ნინო მცხეთიდან მთიანეთისაკენ წარემართა. მან თან „წარიყვანა იაკობ მღვდელი, საბერძნეთით მოსრული, და ერისთავი ერთი, წარვიდა და დადგა წობენს“ (6, გვ. 88).

დაახლოებით ასეთივე სურათს გვიხატავს „მოქცევაჲს“ ჭელიშური ტექსტი, ოღონდ იმ სხვაობით, ხომ ამ ტექსტის მიხედვით მისიის შემადგენლობა უფრო გაძლიერებულია: „წარიყვანეს მათ თანა მთავარ ეპისკოპოსი და მღდელნი და ერისთავი, და წარვიდეს და დადგეს წობენს“ (6, გვ. 88).

შატბერდული და ჭელიშური ტექსტების ურთიერშედარება სხვაობას იძლევა იმ მხრივ, რომ შატბერდულ ვარიანტში ნინოს თანმხლებ მოხელეთაგან მხოლოდ ერთი მღვდელი და ერთი ერისთავი იხსენიება, მაშინ, როდესაც ჭელიშური ტექსტის თანახმად მისიის შემადგენლობაში იმყოფებიან მთავარეპისკოპოსი, ერთი მღვდელის ნაცვლად რამდენიმე მღვდელი („მღდელნი“) და ერისთავი. ეს რაც შეეხება მისიის შემად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენლობას, მაგრამ როდესაც საქმე ეხება მთიელთა გაქრისტიანების მიზნით წინასწარ დასახულ ღონისძიებას, ამ მხრივ ტექსტები არსებითი ხასიათის სხვაობაზე არ მიგვანიშნებენ. ორივე ტექსტის თანახმად გამაქრისტიანებელ მისიაში მონაწილეობდნენ ახალი რელიგიის მქადაგებელნი და სამეფო ხელისუფლების წარმომადგენლები (მოხელეები). ეს იმას ნიშნავს, რომ „მოქცევაჲს" ავტორის თვალსაზრისით უმთავრესსა და პირველადს ღონისძიებას წარმოადგენდა მიზნის განხორციელების ცდა ქადაგების გზით, ე. ი. ნინოს და სასულიერო პირთა შთამაგონებელი მოქმედება, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში ხელისუფლების წარმომადგენელთა (დედოფალი, ერისთავი) ჩარევა და მათ მიერ სათანადო ზომების მიღება.

„მოქცევაჲს" ამ მონაცემების საფუძველზე აღნიშნული ვითარება კარგად ცნობილი იყო ლეონტი მროველისთვისაც, მაგრამ მთიელთა გაქრისტიანების ღონისძიებათა ინტერპრეტაციაში მას კორექტივი შეაქვს მისივე ეპოქისათვის დამახასიათებელი პოლიტიკური მსოფლმხედველობის შესაბამისად. ლეონტი მროველი ავითარებს იმ აზრს, რომ მეფე არის ყოვლისშემძლე პიროვნება და ნებისმიერი საკითხი მისი ინიციატივითა და ნება-სურვილით უნდა გადაწყდეს. XI საუკუნის ისტორიკოსი ამ თვალსაზრისით აფასებს მეფის როლს IV საუკუნეში განხორციელებულ ისეთ დიდ მოვლენათა სფეროშიც, როგორც იყო წარმართული რელიგიის ქრისტიანულით შეცვლა. ლეონტი მროველის ნაშრომის მიხედვით ქრისტიანული რელიგიის გავრცელების ინიციატორია თვით მირიან მეფე, ხოლო წმინდა ნინო და სასულიერო პირები მეფის ნება-სურვილის აღმსრულებელნი არიან. ასეთნაირად შეიძლება გავიგოთ ლეონტი მროველის თხზულების ის ადგილი, სადაც ნაჩვენებია ნინოსთან და ეპისკოპოსთან მირიან მეფის შეხვედრის ეპიზოდი. მეფემ მათ ასეთნაირად მიმართა: „მნებავს ესრეთ, რათა იძულებით მახჯლითა მოვაქცივნეთ მთეულნი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიძე ჩემი ფეროზ, და დავამონნეთ ძესა ღმრთისასა და ვათაყუანნეთ პატიოსანსა ჯუარსა“ (2, გვ. 125).

ისტორიკოსი ამასთან ერთად აცხადებს, რომ ნინომ და ეპისკოპოსმა მეფის კატეგორიული მოთხოვნა არ შეიწყნარეს. თავის მხრივ მათ მეფეს შესთავაზეს აზრი, რომ უპირატესი მნიშვნელობა მინიჭებოდა არა სამხედრო ძალას, არამედ ჯვრისა და სახარების შთამაგონებელ ზემოქმედებას. მათი პოზიცია შემდეგნაირადაა ფორმულირებული: „არა ბრძანებულ არს უფლისაგან მახჯლისა აღება, არამედ სახარებითა და ჯუარითა პატიოსნითა უჩუენოთ გზა ჭეშმარიტი, მიმყვანებელი ცხოვრებად საუკუნოდ, და მადლმან ღმრთისამან განანათლოს ბნელი იგი გულთა მათთა“ (2, გვ. 125).

როგორც ვხედავთ, ლეონტი მროველის ინტერპრეტაციით, მთაში ქრისტიანობის გავრცელების გეგმის შედგენისას გამოიკვეთა ორი თვალსაზრისი. მეფე კატეგორიულად მოითხოვს ძალის გამოყენებას, სასულიერო პირნი კი იდეოლოგიურ ზემოქმედებას. პირველ რიგში მეფის დასახელება და მისი როლის წარმოჩენა ლეონტი მროველის ეპოქის სულისკვეთებას გამოხატავს. როგორც ჩანს, ამაზე უფრო ნაკლებად უფიქრია „მოქცევაჲს“ ავტორს, ვინაიდან ამ თხზულებაში ასეთი ურთიერთსაპირისპირო დიალოგები არ გვხვდება. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ მდგომარეობას ისე გვიხატავს, რომ ეს ღონისძიება ითვალისწინებდა პირველ რიგში მთის მოსახლეობის შთაგონებას ახალი იდეოლოგიის ქადაგების გზით, ხოლო უშედეგო ცდის შემდეგ ძალის გამოყენებას.

აღნიშნული მონაცემების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ლეონტი მროველმა უფრო რეალურად შეაფასა არსებული ვითარება. მისი შეხედულებით, ახალი რელიგიის გავრცელება წარმოადგენდა დიდმნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ ღონისძიებას, ვინაიდან ის თავისი მოძღვრებითა და დოგმებით გამოხატავდა კლასობრივი (ფეოდალური) საზოგადოებისა და მის სათავეში მდგომი სამეფო ხელისუფლების ინტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესებს. ამიტომ, ლეონტი მროველი მთაში ქრისტიანული რელიგიის გავრცელების საქმეში გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს მეფის აზრს. მეფესა და სასულიერო პირებს შორის დიალოგის შინაარსსაც ისტორიკოსი იმიტომ გადმოგვცემს, რომ ქრისტიანული რელიგიის გავრცელება სახელმწიფოებრივ ღონისძიებად წარმოგვიდგინოს და ამ ღონისძიების ინიციატორის როლში მეფე დაგვანახოს. ამის გამომხატველია ის გარემოება, რომ მეფემ უარყო ნინოს და ეპისკოპოსის აზრი და მთიელთა მოქცევის საშუალებად ცნო არა იმდენად ქადაგებით მათი დარწმუნება, არამედ უპირატესად ხელისუფლების წარმომადგენელთა ჩარევა და სამხედრო ძალის გამოყენება.

მთიელთა გაქრისტიანების პროცესის აღწერაში ლეონტი მროველი ხაზგასმით აღნიშნავს მეფის როლს. მისი ცნობის თანახმად, მეფესთან თათბირის შემდეგ „წარვიდა წმინდა ნინო და ეპისკოპოსი იოვანე, და მათ თანა წარატანა მეფემან ერისთავი ერთი“ (2, გვ. 125).

ისტორიკოსი ამ შემთხვევაში არსებითად „მოქცევაჲს“ ზემოთ დამოწმებულ ცნობებს იმეორებს, მაგრამ ერთი განსხვავებით. ლეონტი მროველი ერისთავის წარგზავნის ინიციატორად მეფეს ასახელებს, მაშინ, როდესაც „მოქცევაჲს“ არც ერთ ტექსტში ამ მომენტში მეფე არ იხსენიება. განსხვავებულად გამოიყურება თვით მისიის შემადგენლობაც. თუ შატბერდულ ტექსტში ნინოსთან ერთად დასახელებული არიან იაკობ მღვდელი და ერთი ერისთავი, ლეონტი გამაქრისტიანებელ მისიონერთა შორის ასახელებს ნინოს, იოვანე ეპისკოპოსს და მეფისაგან წარგზავნილ ერისთავს.

ლეონტი მროველი „მოქცევაჲს“ ტექსტებზე დაყრდნობით ჩამოთვლის მთის იმ კუთხეებსა და მცხოვრებთაც (ეთნიკურ ერთეულებს) სადაც ახალი მოძღვრების გავრცელება ხდებოდა. როგორც ის მოგვითხრობს, ნინო, ეპისკოპოსი და ერისთავი „მოვიდეს და დადგეს წობენს, და მოუწოდეს მთე-

ულთა, პირუტყუთა სახეთა მათ კაცთა, ჭართალელთა, ფხოელთა, წილკანელთა და გუდამაყრელთა“ (2, გვ. 125).

ეს ცნობა რამდენადმე განსხვავდება „მოქცევაჲს“ ცნობისაგან. შატბერდული ტექსტის მიხედვით, წობენს მისულმა ნინომ „მოუწოდა მთეულთა, ჭართალელთა და ფხოელთა და წილკანელთა“ (6, გვ. 88). ჭელიშური ტექსტიც გვამცნობს, რომ ჯერ „დადგეს წობენს“, ხოლო შემდეგ მოუწოდეს მთეულთა ყოველთა, ჭართალელ-ფხოელთა, წალკასნელთა“ (6, გვ. 88).

წყაროებიდან დამოწმებული ამ მონაცემების ურთიერშედარების საფუძველზე გამოჩნდა, რომ ლეონტი მროველი ზუსტად არ იმეორებს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობებს. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის იმ თემებსა და ეთნიკურ ერთეულებთან ერთად, რომლებიც „მოქცევაჲს“ ტექსტებში გვხვდება, ლეონტი მროველი ასახელებს გუდამაყრელთაც.

„მოქცევაზე“ დაყრდნობით ლეონტი გვაუწყებს, რომ ზემოხსენებულ თემებში ქრისტიანული რჯულის ნებაყოფლობით მიღება მთიელებმა არ ინებეს. „მაშინ ერისთავმან მეფისამან მცირედ წარჰმართა მახჯლი მათ ზედა და ძლევით შემუსრნა კერპნი მათნი“ (2, გვ. 125).

ამ შემთხვევაშიც ლეონტი მროველმა კვლავ მეფის სახელი წარმოაჩინა. შატბერდულ ტექსტში მეფის უხსენებლადაა აღნიშნული, რომ „ერისთავმან მცირედ წარჰმართა მახჯლი, და შიშით მოსცნეს კერპნი მათნი დალეწად“ (6, გვ. 89). ჭელიშური ტექსტის მიხედვით კი მთიელთა წინააღმდეგობის დაძლევის მიზნით ერისთავმა ნინოს ბრძანებით იარაღი გამოიყენა (6, გვ. 89).

აღნიშნული დეტალის გაუთვალისწინებლადაც ნათლად ჩანს, რომ მთიელთა ზემოხსენებულ თემებში ქრისტიანობა ვრცელდებოდა სამეფო ხელისუფლების აქტიური ჩარევითა და იარაღის გამოყენებით. ამ მხრივ ანალოგიური ვითარება შეინიშნება აღმოსავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებშიც – ერწო-თიანეთსა და ფხოვში. აქ მიმდინარე პროცესები ლეონ-

ტი მროველის მიერ აღწერილი და კვალიფიცირებულია შემდეგ-ნაირად: „გარდამოვიდეს მუნით (ჭართალეთ-გუდამაყრიდან – ვ. ი.) და დადგეს ჟალეთს, და უქადაგეს ერწო-თიანელთა. ხოლო მათ შეიწყნარეს და ნათელ-იღეს. ხოლო ფხოელთა დაუტევეს ქუეყანა მათი და გარდავიდეს თუშეთს. და სხუანიცა მთეულნი უმრავლესნი არა მოიქცეს, არამედ დაუმძიმა მათ მეფემან ხარკი, ოდეს არა ინებეს ნათლის ღება. ამისთჳს წარკრბეს იგინი და შესცთეს, და რომელნიმე უკანასკნელ მოაქცივნა აბიბოს ნეკრესელ ეპისკოპოსმან და რომელნიმე მათგანი დარჩეს წარმართობასავე შინა დღეს-აქამომდე“ (2, გვ. 126).

ლეონტი მროველი ამ შემთხვევაშიც „მოქცევაჲს“ მონაცემებს ეყრდნობა. ამ წყაროების ურთიერთშედარება არავითარ სხვაობას არ გვიჩვენებს იმ ფაქტის აღნიშვნასთან დაკავშირებით, რომ გამაქრისტიანებელი მისია დგება ჟალეთს, საიდანაც იწყება ერწოელ-თიანელთა მონათვლა. სხვაობა არც იმ მხრივ შეინიშნება, რომ მთიელები ახალ რელიგიას ეწინააღმდეგებოდნენ და გაურბოდნენ. სამაგიეროდ, ქრისტიანობისადმი დაპირისპირებული მოსახლეობის ჩვენება განსხვავებულ სურათს იძლევა. ლეონტი მროველის ცნობით, ქრისტიანობას განერიდნენ და თუშეთს შეეხიზნენ ფხოელნი, ხოლო „მოქცევაჲს“ ორივე ტექსტის მიხედვით ასეთ როლში ჩანან ყუარელნი (სოფელ ყვარას მკვიდრნი). „მოქცევაჲს“ მიხედვით, წმინდა ნინო „წარვიდა და დადგა წობენს და მოუწოდა მთეულთა: ჭართალელთა და ფხოელთა და წილკანელთა და უქადაგა სარწმუნოება... გარდავიდა ერწუდ და დადგა ჟალეთს, დაბასა ედემს და ნათელსცა ერწუთიანელთა და ყუარელთა ესმა ესე და გარდაკრბეს თოშეთა“ (6, გვ. 88).

„მოქცევაჲს“ ამ ცნობის მიხედვით ნათლად ჩანს, რომ ქრისტიანობას ეზიარნენ ერწოელნი და თიანელნი, მაგრამ მას განერიდნენ „ყუარელნი“, ე. ი. ივრის ხეობის სათავეში მდებარე ერთი სოფლის – ყვარას მკვიდრნი. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს არა მარტო დამოწმებული წყაროს ჩვე-

ნება ქრისტიანობისაგან „ყუარელთა“ განდგომის შესახებ, არამედ მეცნიერებაში არსებული ინტერპრეტაცია „ყუარელთა“ ვინაობისა და ცალკე ეთნიკურ ერთეულად მათი მიჩნევის თაობაზე. პირველ რიგში მხედველობაში მაქვს ივ. ჯავახიშვილის მიერ მოცემული ნომინაცია, რომლის თანახმად, ქართველი „მთეულნი“ იყვნენ: „ფხოველნი“, ანუ „ფხოვნი“, „გუდამაყარნი“, „მოჯევენი“, „ჯადელნი“, „ცხავატნი“ ანუ „ცხავატელნი“, „ცხრაზმელნი“, „ჭართალელნი“, ანუ „ჭართალნი“, „წილკანელნი“, „ერწუთიანელნი“, ყუარელნი“, „თოშნი“, „ნოჰპატელნი“,... „წანარნი“ (33, გვ. 39).

ამ ჩამონათვალში „ყუარელნი“ სხვა ეთნონიმების იდენტური მნიშვნელობითაა შეტანილი, რაც მიუღებელია. „ყუარელნი“ ასეთივე შინაარსობრივი დატვირთვით გვხვდება სხვა მკვლევართა ნაშრომებში. ნ. ბერძენიშვილმა „ყუარელნი“ ფშაველთა და ფხოველთა გვერდით მოიხსენია (10, გვ. 429), რაც მათი გათანაბრების მანიშნებელია. ამ შემთხვევაში არც ის არის გათვალისწინებული, რომ ფშაველნი და ფხოველნი ერთმანეთის თანადროული ეთნონიმები არ არიან. ფხოვი და ფხოველი ადრინდელი ეთნიკურ-ტერიტორიული ერთეული იყო, რომლის გაყოფის შემდეგ წარმოიქმნა ორი ეთნიკურ-ტერიტორიული ერთეული – ხევსურებით დასახლებული ხევსურეთი და ფშავლებით დასახლებული ფშავი. ამდენად, გაუმართლებელია როგორც ფშავისა და ფხოვის სინქრონიზაცია, ისე, მითუმეტეს, იგივეობის ნიშნის დასმა „ყუარელთა“ და საუკუნეების განმავლობაში ფორმირებულ ეთნიკურ-ტერიტორიულ ერთეულებს შორის. იგივე შეიძლება ითქვას დ. მუსხელიშვილის ნაშრომის მიმართ, რომელშიც შეინიშნება ყვარას გათანაბრების ტენდენცია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის თემებთან (28, გვ. 193, 199). იმავე ნაშრომში ითქვა, რომ ყვარელნი „დღევანდელი ივრის ფშავის ძველი მოსახლეობა უნდა ყოფილიყო“. ამის დამადასტურებელ საბუთად მიჩნეულია ივრის ხეობის ზემო წელზე ნასოფლარ ყვარას არსე-

ბობა (28, გვ. 183). მკვლევარს უნდა დავეთანხმოთ, რომ ყვარელნი თიანეთის ძველი მოსახლეობის შემადგენელი ნაწილი იყო, მაგრამ გაუმართლებელია თიანეთს „ივრის ფშავი“ ვუწოდოთ. სულ სხვაა, რომ თიანეთში ჩასახლებულთა აღსანიშნავად ვიხმაროთ „ივრის ფშავლები“, როგორც ეს დაკანონებულია ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში (მაგალითად, ვ. ბარდაველიძის ერთ-ერთ ნაშრომს ეწოდება „ივრის ფშავლებში“ (ენიმკის მოამბე, XI, თბ., 1941 წ., გვ. 67-182).

ტერიტორიულ თემთან ერთი სოფლის – ყვარას იდენტიფიკაცია შეინიშნება რ. თოფჩიშვილის კითხვა-პასუხში: „მაშ რაღას წარმოადგენდნენ ძველ ქართულ ისტორიულ წყაროებში დასახელებული „ერწოელნი“, „თიანელნი“ და „ყუარელნი“? ვფიქრობთ, რომ თავდაპირველად ისინი ივრის ხეობის თემები ყოფილიყვნენ“ (16, გვ. 55). მისივე შეხედულებით, „ამასთან დაკავშირებით საინტერესოა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში მოხსენიებული „ყვარელთა“ თემის ლოკალიზაციის საკითხი“ (16, გვ. 82). სინამდვილეში „მოქცევაჲ“-ში ხსენებულია „ყუარელნი“ და არა ყვარელთა თემი, მაგრამ ამის მიუხედავად განაგრძო: „გ. ჩიტაიას მიერ „ყუარელთა“ თემი და „ქვეყანა“ სრულიად სამართლიანად ლოკალიზებულია ივრის ხეობის ზემო წელში“ (მითითებულია: **გ. ჩიტაია,** თიანეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მოკლე ანგარიში, „ენიმკის მოამბე“, XI, 1941; მისივე, Грузинская советская этнография, ж. «Советская этнография», 1952 г., №3). გ. ჩიტაიას სოფელ ყვარასთვის არ უწოდებია არც ყვარას თემი და არც ყვარას ქვეყანა, მაგრამ რ. თოფჩიშვილმა მაინც საჭიროდ მიიჩნია ეთქვა, რომ თიანეთის ტერიტორიაზე „ლოკალიზდება ძველი ქართული თემი „ყვარელნი“ (16, გვ. 124), ხოლო „ყვარა ... აღნიშნული „ყუარელთა“ „ქვეყნის“ ცენტრი უნდა ყოფილიყო“ (16, გვ. 83).

გარდა იმისა, რომ არაფრით არ მტკიცდება ყვარას თემის თუ ქვეყნის არსებობა და აშკარაა, რომ ყვარა მხოლოდ ერთი სოფელი იყო, შეცდომაა დაშვებული ტერიტორიულ-

ეთნიკური ერთეულების ნომინაციაში. რ. თოფჩიშვილის მიერ თემებადაა სახელდებული არა ტერიტორიული ერთეულები (ერწო, თიანეთი), არამედ მათი მოსახლეობა (ერწოელნი, თიანელნი). რაც შეეხება ყუარელთ", ისინი იყვნენ ერთი სოფლის – ყვარას მკვიდრნი და არა არარსებული ყვარას თემის თუ ქვეყნის მოსახლენი. ბოლოს და ბოლოს ხომ ცნობილია და ეს არამც თუ მკვლევარმა, არამედ სტუდენტმაც კი უნდა იცოდეს, რომ ტერიტორიული თემი იყო რამდენიმე სოფლის მომცველი გაერთიანება და არა ერთი სოფელი.

„მოქცევაჲ"-ს ცნობისა და სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ შეხედულებათა კრიტიკული შეფასების საფუძველზე თავის დროზე აღვნიშნე, რომ „ერთგვარ გაუგებრობას იწვევს ლეონტი მროველის მიერ წილკნელების სახელდება მთიელებად, ვინაიდან ცნობილია, რომ წილკანი აღმოსავლეთ საქართველოს მთის რეგიონებიდან გვარიანად დაცილებული, ბარის ზოლში ლოკალიზებული ტერიტორიული ერთეულია... მიუღებელია აგრეთვე ქართველ „მთიულებად" (//მთიელებად) ერწოელთა სახელდების ისტორიული ტრადიცია. ამასთან ერთად, ჩვენ ხელთ არსებული ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით სრული უფლება გვაქვს სერიოზულად შევიტანოთ ეჭვი ქართველ მთიელთა ეთნოგრაფიული ჯგუფების გვერდით ყვარელთა დასახელების მიზანშეწონილობაშიც, ვინაიდან ისტორიული თიანეთის ტერიტორიაზე (მდ. ივრის სათავეებში) მცხოვრები ყვარელნი ქართველ მთიელთა დამოუკიდებლად არსებულ ტომს არ წარმოადგენდნენ და ეთნოგრაფიული ნიშნის მიხედვით არსებითად არ განსხვავდებოდნენ თიანელთაგან. ამიტომ, ჯეროვანი თვალსაჩინოებისათვის ყოველივე ამის შემდეგ საგანგებოდ უნდა ყოფილიყო მოცემული სათანადო განმარტება ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ქართული საისტორიო წყაროების ანალიზის საფუძველზე თანმიმდევრულად იქნენ ჩამოთვლილნი ქართვე-

ლი მთიელები და მათ შორის მოხსენიებულნი იყვნენ წილკანელი და ყვარელნი“ (19, გვ. 11).

ზემოხსენებულ მკვლევრებთან ერთად ყვარას და ყვარელთა შესახებ თავისი მოსაზრება შემოგვთავაზა თ. პაპუაშვილმა, რომელმაც „მოქცევაჲ“-ს ცნობის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით დაასკვნა: „როგორც ვხედავთ, მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ლეონტისაგან განსხვავებით „ფხოველთა“ ნაცვლად ხმარობს „ყუარელთა“. ყუარელნი დღევანდელი ფშავლების წინაპრები იყვნენ და ფხოელთა განაყოფს წარმოადგენდნენ. ყუარელთ თავიანთი ადგილმდებარეობით ივრის სათავეებში ჰქონდათ სამოსახლო“ (30, გვ. 71).

ციტირებული განმარტების საპირისპიროდ საკმარისად მიგვაჩნია აღინიშნოს, რომ ფხოელთა (ფშაველთა და ხევსურთა) დასახლება ერწო-თიანეთში მოგვიანო პერიოდში ხდება. თიანეთში უპირატესად ფშავლები დამკვიდრდნენ, და ცხადია, მათ ყვარაშიც მოიკიდეს ფეხი, მაგრამ ყოვლად დაუშვებელია თიანეთში ფხოველთა მიგრაცია დავუკავშიროთ წმინდა ნინოს მოღვაწეობის ხანას. ამიტომ, მტკიცება იმისა, რომ ყუარელნი დღევანდელი ფშავლების წინაპრები იყვნენ და, ამდენად, ისინი ფხოველთა განაყოფს წარმოადგენდნენ, შეუსაბამობაშია რეალურ ქრონოლოგიასთან. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ უძველესი ყუარელნი არ ყოფილან ფხოველთა განაყოფები და, მით უმეტეს, დღევანდელ ფშაველთა წინაპრები. ისტორიული თიანეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ფშაველთა წინაპრები არიან თვით ფშავიდან თიანეთში მოგვიანებით გადასული ფშავლები და არა აქ მათ გადმოსახლებამდე ადგილზე მყოფი მკვიდრი მოსახლეები – სოფელ ყვარაში მცხოვრები თიანელები. ამდენად, თქმა იმისა, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ლეონტისაგან განსხვავებით „ფხოველთა“ ნაცვლად ხმარობს „ყუარელთა“, გაუმართლებელია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნინოს მოღვაწეობის პერიოდისათვის ერთი სოფლის – ყვარას მკვიდრნიც თიანელებად

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელდებული ეთნიკური ერთეულის შემადგენლობაში შედიოდნენ. ამასთან მიმართებაში სრულიად მოულოდნელად გაიჟღერა გ. ჩიტაიას შემდეგმა ფრაზამ: მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში, უფრო ზუსტად პირველ მეოთხედში, ყვარლელები ცალკე ეთნიკურ ერთეულს შეადგენდნენ, რასაც საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში დაცული იმ ხანის სურათები ამტკიცებს. ამ მონაცემების მიხედვით მატიანის „მოქცევაჲ ქართლისაჲს" და ყვარლელების ადგილსამყოფელის ივრის ხეობაში ლოკალიზაცია იქნებ დასაშვები იყოს" (32, გვ. 61).

ლოგიკის ნორმებს არ ექვემდებარება XIX ს. პირველ მეოთხედში ყვარლელთა გამოყოფა ცალკე ეთნიკურ ერთეულად და თანაც მუზეუმში დაცული იმ ხანის სურათების მიხედვით. კიდევ უფრო გაუგებარია ამ მონაცემების საფუძველზე ვარაუდის სახით იმის თქმა, რომ „მოქცევაჲს" ყვარლელების ადგილსამყოფელის ივრის ხეობაში ლოკალიზაცია „იქნებ დასაშვები იყოს". „იქნებ დასაშვები" კი არა, სარწმუნოა „მოქცევაჲს" ცნობა, რისი მტკიცებისათვის გაუმართლებელია წარმოდგენილი არგუმენტები.

ლეონტი მროველისა და „მოქცევაჲს" ჩვენებანი რამდენადმე განსხვავებულია, ვინაიდან ყვარა თიანეთის ერთ-ერთი სოფელია, ხოლო ფხოვი მთელ თანამედროვე ფშავ-ხევსურეთს მოიცავდა. გამოდის, რომ „მოქცევაჲს" თანახმად ქრისტიანობას განუდგა თიანეთის ერთი სოფლის მოსახლეობა, ხოლო ლეონტი მროველის ცნობის მიხედვით კი ფხოველნი (ფშავლები და ხევსურები) მთლიანად.

აღნიშნულ ცნობებს შორის განსხვავების მიუხედავად, ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს ქრისტიანობისადმი მთიელთა დაპირისპირებასთან. ამ დაპირისპირებაში „მოქცევაჲ" გამოყოფს ყუარელთ, ლეონტი მროველი – ფხოელთ, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, თუ ვინ ილტვოდა თუშეთისაკენ. ორივე ცნობის მნიშვნელობა მდგომარეობს იმის ჩვენებაში, რომ

განდგომილი მთიელები თავშესაფარს ეძებდნენ იმ კუთხეში, სადაც, როგორც ჩანს, იმხანად შეღწეული არ იყო ახალი რელიგია და ლტოლვილნი იმედოვნებდნენ პირვანდელი სარწმუნოების შენარჩუნებას.

ლეონტი მროველის ცნობით, ქრისტიანულ მოძღვრებას მწყრალად შეხვდნენ არა მარტო ფხოველნი (ფშავლები და ხევსურები), არამედ „სხუანიცა მთეულნი უმრავლესნი არა მოიქცეს". ეს იმას ნიშნავს, რომ მთიელებმა საერთოდ დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს ახალი რელიგიის მქადაგებელთ. ამის გამო, თუ სამეფო ხელისუფლების წარმომადგენლებმა წარმართი მთიელების მიმართ თავდაპირველად სამხედრო ძალა გამოიყენეს და კერპების მსხვრევის შემდეგ მთიელები იძულებით მონათლეს, შემდგომ პერიოდში მეფემ ურჩ მთიელებს ხარკი დაუმძიმა. ლეონტი მროველი ყურადღებას ამახვილებს იმის შესახებაც, რომ მირიანის მეფობის შემდგომ პერიოდშიც ქრისტიანობის გავრცელების პროცესი მძიმედ მიმდინარეობდა. მირიანის შემდეგ მეფედ დაჯდა მისი ძე ბაქარ „და ამან მოაქცივნა უმრავლესნი კავკასიანნი, რომელნი ვერ მოექცივნეს მამასა მისსა" (2, გვ. 130). ლეონტი მროველის დაკვირვებით, მთიელთა ნაწილი მის ეპოქაშიც ჯერ კიდევ არ იყო გაქრისტიანებული. ამის მანიშნებელია ცნობა იმის შესახებ, რომ „რომელნიმე უკანასკნელ მოაქცივნა აბიბოს ნეკრესელ ეპისკოპოსმა და რომელნიმე მათგანნი დარჩეს წარმართობასვე შინა დღეს – აქამომდე".

ლეონტი მროველი რეალურად წარმოგვისახავს საქმის ვითარებას. მას შესაძლებლობა ჰქონდა „მოქცევაჲ ქართლისაჲს" მონაცემებზე დაყრდნობით ეჩვენებინა გაქრისტიანების ადრინდელი ეტაპი, ხოლო ამასთან ერთად თავისი ეპოქის (XI ს.) სურათიც. ისტორიკოსი როდესაც აღნიშნავს, რომ მთიელთა ერთი ნაწილი აბობოს ნეკრესელ ეპისკოპოსმა მოაქცია, ხოლო ნაწილი კვლავ წარმართობას ინარჩუნებდა, ეს მისთვის ცნობილი იყო როგორც მოვლენათა თვითმხილველისათვის. ამი-

ტომ, ლეონტი მროველის ცნობებს ორმხრივი მნიშვნელობა ნიჭება: ერთი მხრივ იმიტომ, რომ იგი იმეორებს და ადასტურებს „მოქცევაჲს“ მონაცემებს, ხოლო მეორე მხრივ იმიტომ, რომ უშუალო დაკვირვების საფუძველზე გვაცნობს ქრისტიანობის გავრცელების შემდგომ პროცესს.

ლეონტი მროველის ამ ცნობასთან ერთად, რაც საქართველოს მთიანეთში ქრისტიანობის გავრცელების პროცესს შეეხება, უაღრესად დიდი მნიშვნელობა უნდა მივაკუთვნოთ ცნობებს მთიანეთის ცალკეული კუთხეების, სამოსახლო პუნქტებისა და თვით მოსახლეობის შესახებ. ამ შემთხვევაშიც ლეონტი მროველი ძირითადად იმეორებს „მოქცევაჲს“ მონაცემებს, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში მას გარკვეული სიახლეც შემოაქვს. როგორც „მოქცევაჲს“ ტექსტებში, ისე მათზე დაყრდნობით ლეონტი მროველის მიერ პირველ პუნქტად დასახელებულია **წობენი**, საიდანაც იწყეს ქრისტიანობის გავრცელება. აღნიშნული წყაროების მიხედვით აშკარად ჩანს, რომ ეს პუნქტი მდებარეობდა ქართლის მთიანეთის მისადგომებთან, სახელდობრ, არაგვის ხეობის ქვედა ნაწილში, საიდანაც შეიძლებოდა აჰყოლოდნენ ამ ხეობას თანამედროვე მთიულეთის მიმართულებით. სპეციალური კვლევა-ძიების შედეგად გაირკვა, რომ წობენი მდებარეობდა არაგვის ხეობის ქვედა ზონაში, ჭართალის თემის ქვემოთ (სამხრეთისაკენ) და ის წარმოადგენდა ჭართალეთ-მთიულეთის კარებში მდებარე პუნქტს (14).

დამოწმებული წყაროების თანახმად, წობენიდან იწყებდნენ ქადაგებას მთიელთა შორის. მთის მცხოვრებთაგან პირველ რიგში იხსენიებიან **ჭართალელნი, ჭართალის თემის** მკვიდრნი. ამ ცნობას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ტერიტორიულ თემთა ლოკალიზაციისათვის ისტორიული განვითარების სხვადასხვა საფეხურზე. მთიულეთის არაგვის ხეობაში დაბა ფასანაურის ქვემოთ (სამხრეთით) მდებარე ჭართალი ისტორიულად ცალკე ტერიტორიული თემი იყო. ასეთი ვი-

თარება ჩანს ვახუშტი ბაგრატიონის დაკვირვებით. როდესაც ისტორიკოსი არაგვის ხეობას აღწერს, პირველ რიგში გვაცნობს **არაგვისპირსა** და **ბაზალეთს,** ე. ი. არაგვის დინების ქვედა ნაწილს მუხრანის მიდამოებიდან ანანურამდე. მისივე აღწერილობის თანახმად, „ანანურს ზეით ერთვის არაგუს დასავლეთიდამ **ჭართალის-ჴევი**" (8, გვ. 354). ვახუშტი არაგვის ხეობის აყოლებით ჭართალის ზემოთ (ჩრდილოეთის მიმართულებით) გამოყოფს **მთიულთ-კარს** და **ჴანდოს-ჴევს**, უფრო ზევით არაგვის გვერდით ხეობად ასახელებს გუდამაყრის ხევს, ხოლო შემდეგ იძლევა საკუთრივ **მთიულეთის** აღწერას (8, გვ. 355-356). ვახუშტი მთიულეთის შემადგენლობაში აქცევს არაგვის ხეობის ტერიტორიას გუდამაყრის ხევის შესართავიდან (დღევანდელი დაბა ფასანაურიდან) ჯვრის უღელტეხილამდე (ჩემ მიერ დაზუსტებულია, რომ მთიულეთი იწყება ფასანაურის ჩრდილოეთით, 1,5 კმ-ით დაშორებული სოფელ ქავთარაანიდან ანუ ქავთურთკარიდან). მთიულეთის ფარგლებში ვახუშტი აფიქსირებს **ამირთ-ჴევს, ჴარჴელთ-ჴევს, ნაღუარევს, ღუდის-ჴევს, ჴადას და ციკარას** (8, გვ. 255). 1774 წლის აღწერის მონაცემებით მითულეთში შედიოდა ოთხი ტერიტორიული თემი: **ხადა, გარეშემო, მრევლი** და **ცხაოტი** (4, გვ. 428). ისტორიულად არსებული ეს სტრუქტურა დადასტურდა ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების შედეგადაც (25, გვ. 11-13; 36, გვ. 6-7).

აღნიშნული მონაცემების მიხედვით ჩანს, რომ ჭართალი მთიულეთის შემადგენელი ნაწილი არ იყო და ის ცალკე ტერიტორიულ თემს წარმოადგენდა (არაგვის ხეობაში ლოკალიზებული ტერიტორიული ერთეულების შესახებ დაწვრილებით იხ. 19, 20, 21). ეს გვაფიქრებინებს, რომ „მოქცევაჲსა" და ლეონტი მროველის თხრობის მიხედვით ჭართალი დამოუკიდებელი ტერიტორიული თემი იყო, სადაც ქრისტიანული მოძღვრების ქადაგებას შეუდგნენ. ქადაგების ასპარეზად აქ მთიულეთი არ არის დასახელებული, მაგრამ იგულისხმება, რომ ეს ღონისძიება გატარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ჭართალის შემდეგ მთიულეთშიც და თანდათანობით აღმოსავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებშიც.

როგორც წყაროები მოგვითხრობენ, ჭართალელებთან ერთად ახალი სარწმუნოების მიღება უქადაგეს ფხოველთაც. მაშინდელი გაგებით, ფხოვი მოიცავდა მერმინდელ ფშავსა და ხევსურეთს. ამდენად, ფხოველთა შორის იგულისხმებიან ფშავლები და ხევსურები.

ქრისტიანობის გავრცელების შემდგომ ეტაპზე მქადაგებელთა მისიამ გადაინაცვლა ერწო-თიანეთში. თუ ჭართალისა და ფხოვის ფარგლებში ქადაგებისას ბაზად შერჩეულ იქნა წობენი, ერწო-თიანეთის ტერიტორიაზე ასეთი მნიშვნელობის მქონე პუნქტად წარმოგვიდგება **ჟალეთი**. ამ სახელწოდებით ეს ადგილი თავისი ეკლესიით დღესაც ცნობილია ერწოს ტერიტორიაზე. თვით ერწო-თიანეთის ტერიტორიის თანამედროვე მოხაზულობასა და ისტორიულ ლოკალიზაციას შორის სხვაობას ვერ დავინახავთ. ზემოხსენებულ წყაროებში აღნიშნული ერწო-თიანეთი ამ ტერიტორიის დღევანდელ საზღვრებში თავსდება.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მცხოვრებთა შორის, სადაც ქრისტიანული რელიგიის პროპაგანდა მიმდინარეობდა, იხსენიებიან აგრეთვე **წილკანელნი**. ეს ცნობა ყურადღებას იქცევს იმასთან დაკავშირებით, რომ მთიანეთში ტოპონიმი წილკანი არ გვხვდება. სამაგიეროდ, სოფელი წილკანი მდებარეობს ბარში – სამუხრანოში. წყაროში „მთიულთა“ შორის წილკნელთა დასახელების საფუძველზე გაჩნდა სურვილი წილკნის ძიებისა მთის ზოლში. გამოითქვა მოსაზრება, რომ მთიელთა რიგში ხსენებული წილკნელნი არ შეიძლება სამუხრანოში მდებარე წილკნის მცხოვრებნი ყოფილიყვნენ. ჯ. გვასალიამ აიკვიატა, რომ წილკანი ისტორიულად ფარავდა მთიულეთის სათავეებს, ჯვრის უღელტეხილის მიმდგომ ტერიტორიას, სახელდობრ, ვახუშტის მიერ ლოკალიზებულ ციკარას (13). მთიულეთში ეთნოგრაფიული მასალის ჩაწერის

დროს დავრწმუნდით, რომ მსგავსი რამ ადგილობრივი მოსახ-
ლეობისათვის სავსებით უცნობია. ამდენად, ჯ. გვასალიას მი-
ერ შეთხზულ ამ ვერსიას სინამდვილესთან არავითარი კავში-
რი არ გააჩნია. ეს თვით ჯ. გვასალიამ მოიგონა და ის ადგი-
ლობრივ მოსახლეობასაც შთააგონა, რომ „ძველი ქაღალდე-
ბის" მიხედვით ხადას წინათ წილკანი ერქვაო. რეალობის ასე
გაყალბების ნაცვლად აღვნიშნავთ, რომ წილკანელნი მთიე-
ლები კი არ იყვნენ, არამედ ნინოს მოგზაურობის მარშრუტში
მოხვდა წილკანიც, რომელთა მკვიდრნი მთიელებთან ერთად
უნდა მონათლულიყვნენ. საფიქრებელია, რომ მთაში შეს-
ვლამდე გამაქრისტიანებელმა მისიამ იქადაგა წილკნელთა
შორის, ხოლო შემდეგ მთიელებს მიხედა. მისიონერთა მარშ-
რუტის აღწერამ და მთიელებთან ერთად წილკნელთა დასახე-
ლებამ წყაროს ჩვენებაში ერთგვარი გაუგებრობა გამოიწვია,
რის ნიადაგზეც წარმოიქმნა წილკნელთა მთიელობის ვერსია,
ხოლო ამან თავის მხრივ განაპირობა მთიულეთის მაღალმთი-
ან ზონაში – ხადაში წილკნის განთავსებაც.

* * *

ზემოთ განხილულ ცნობებთან ერთად აღმოსავლეთ სა-
ქართველოს მთიანეთის ისტორიისათვის მნიშვნელოვან ცნო-
ბას ვხვდებით ლეონტი მროველის მესამე თხზულებაშიც (3).
როგორც ისტორიკოსი მოგვითხრობს, არაბთა ბატონობის ხა-
ნაში ქართლში მეფობდა თუ ერისმთავრობდა არჩილი, როდე-
საც მან სარკინოზობის მიღებაზე უარი თქვა, არაბთა სარ-
დალმა ასიმმა* „უბრძანა შეპყრობაჲ მისი და შეყენებაჲ საპყრო-

---

* მ. ლორთქიფანიძის განმარტებით, „არაბი სარდლის სახელი ასიმი,
როგორც მას ქართველი მემატიანე უწოდებს, შეიძლება იყოს ხუ-
ზაიმა იბნ ხაზიმის დამახინჯება. იმავე ხუზაიმა იბნ ხაზიმს, არაბი
ისტორიკოსის იაკუბის ცნობით, ამავე ხანებში მრავალი ქართვე-
ლი დაუსჯია სიკვდილით" (23, გვ. 143).

ბილესა, რაჲთა ღონის-ძიებითა მოაქციოს იგი“ (3, გვ. 209). ეს ამბავი შეიტყო თუ არა ერთ-ერთმა ქართველმა მთავარმა, „მაშინ უკუე წარმოდგა წინაშე ასიმისა მთავარი ერთი გარდაბნელი, მოქცეული სარკინოზად, რომლისა მამის-ძმაჲ მოეკლა წანართა და მკვლელნი მისნი განერინნეს მშჯდობით პაპასა არჩილისსა, ადარნასე მეფისა“ (3, გვ. 210).

ისტორიკოსი შემდეგ იმასაც გვაუწყებს, რომ „ამისთჳს უკუე შური იგო გარდაბანელმან“ და ასიმი არჩილის წინააღმდეგ განაწყო, მაგრამ ამჟამად ჩვენს მიზანს არ შეადგენს აღნიშნული მოვლენის განხილვა. ლეონტი მროველის ცნობიდან ჩვენი ყურადღება მიიპყრო წანართა ხსენებამ. XI საუკუნის ისტორიკოსის მიერ წანართა მოხსენიება იმის მაჩვენებელია, რომ VIII საუკუნეში, არაბთა ბატონობის ხანაში, წინარები კახეთის ტერიტორიაზე ჩანან, ისინი ტერიტორიულ ღონისძიებებშიც მონაწილეობენ და მეფეც მათ მფარველობს. ეს ფაქტი თავისთავად ისეთ ვითარებაზე მიგვანიშნებს, როდესაც წანარები მოსახლეობდნენ არა მარტო მთიანეთში, არამედ ბარადაც. წანართა ასეთი ფართო განსახლების ფაქტს მნიშვნელობა ენიჭება ეთნიკური ისტორიისათვის, კერძოდ, მთის მოსახლეობის ბარში ჩამოსახლების პროცესის შესწავლისათვის, რასაც ყურადღება მიაქციეს ქართველმა ისტორიკოსებმა. ისინი ფიქრობენ, რომ წანართა პირვანდელ ადგილსამყოფელს წარმოადგენდა ხევი (დღევანდელი ყაზბეგის რაიონი), საიდანაც შემდეგში ხდება მათი ჩამოსახლება კახეთის ტერიტორიაზეც. ამასთან ერთად, დადგენილია, რომ წანარებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს არაბ დამპყრობლებს. ამ მოვლენის შესახებ არაერთმა ისტორიკოსმა გამოთქვა თავისი შეხედულება (12, 22, 23, 27, 29, 30, 35). ყველა მათგანი პირველ რიგში დაინტერესდა წანართა სამოსახლო ტერიტორიის დადგენით, რაც არც თუ ისეთი იოლი აღმოჩნდა. ხელმისაწვდომი წყაროებისა და ლიტერატურის შესწავლის საფუძველზე წანართა განსახლების შედარებით სრული სურათია დახატული

მ. ლორთქიფანიძისა და თ. პაპუაშვილის მონოგრაფიებში (23, 29, 30). მათ ნაშრომებში გარკვევით ითქვა, რომ წანართა პირ-ვანდელ სამოსახლოს წარმოადგენდა ხევი,; საიდანაც ისინი ინაცვლებდნენ კახეთისაკენ, აქტიურად მონაწილეობდნენ სამხედრო ოპერაციებში არაბ დამპყრობთა წინააღმდეგ და კახეთის გაერთიანება-შემომტკიცებისათვის იღვწოდნენ, რის შედეგადაც VIII საუკუნის დასასრულსა და IX საუკუნის და-საწყისში კახეთის გაერთიანება წანართა მოთავეობით და არაბთა უღლისაგან განთავისუფლებით დამთავრდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წანართა შესახებ კვლევა-ძიება ალბათ მომავალშიც გაგრძელდება, მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაში მიზნად არ დაგვი-სახავს არსებული ლიტერატურის მიმოხილვა და შეფასება. დავჯერდით მხოლოდ იმის თქმას, რომ წანართა განსახლების საკითხზე არსებული გამოკვლევების მიხედვით ეს ეთნიკური მასივი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (თერგის ხეო-ბაში) არის ლოკალიზებული და აქედან მათი განსახლება ხდე-ბა ბარშიც. ეს გარემოება კი მნიშვნელობას ანიჭებს ლეონტი მროველის ზემოხსენებულ ცნობას წანართა შესახებ.

დასკვნა

ლეონტი მროველის თხზულებები საყურადღებო წყარო-ებს წარმოადგენენ საქართველოს მთიანეთის ისტორიისათ-ვის. მისი პირველი ნაშრომი ნათლად წარმოაჩენს კავკასიონის გასასვლელ-გადასასვლელების მდებარეობას და მათ როლს ჩრდილო კავკასიის ქვეყნებთან ქართლის სამეფოს ურთიერ-თობის საქმეში. ლეონტი მროველის ცნობები გვიჩვენებენ ამ ურთიერთობის მრავალ მხარეს – კავკასიის ხალხებთან ქართ-ველების მეზობლურ დამოკიდებულებას, სამხედრო ოპერა-

ციებში ერთობლივ მონაწილეობას და ურთიერთშორის ბრძოლის ეპიზოდებს.

საქართველოს მთიანეთის ისტორიული წარსულის შესწავლისათვის მნიშვნელოვან ცნობებს ვხვდებით ლეონტი მროველის მეორე ნაშრომშიც. მართალია, ისტორიკოსი ამ მხრივ არსებითი ხასიათის სიახლეს არ იძლევა, მაგრამ მისი ნაშრომი უსათუოდ საყურადღებოა შემდეგ გარემოებათა გამო: 1. ლეონტი მროველი ადასტურებს „მოქცევაჲ ქართლისაჲს" მონაცემებს საქართველოს მთიანეთის ცალკეული კუთხეების, ეთნონიმიკისა და ქრისტიანული რელიგიის გავრცელების ხასიათის შესახებ. აღნიშნული ვითარების მნიშვნელობა კი იმაში მდგომარეობს, რომ XI საუკუნეში ისეთსავე ტოპონიმებთან და ეთნონიმებთან გვაქვს საქმე, როგორსაც ვხვდებით წინამორბედ წყაროში – „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ში. 2. ლეონტი მროველს ამასთან ერთად შემოაქვს გარკვეული სიახლეც. ქრისტიანული რელიგიის გავრცელების არეში ის აქცევს გუდამაყრის ხეობასაც, რაც „მოქცევაჲ"-ში ხსენებული არ არის. განსხვავება შეინიშნება იმ მხრივაც, რომ თუშეთისაკენ ლტოლვილთა შორის „მოქცევაჲ" ასახელებს „ყუარელთ", ხოლო ლეონტი მროველი – ფხოელთ. 3. „მოქცევაჲ"-სთან შედარებით ლეონტი მროველის თხზულებაში უფრო მკაფიოდაა ნაჩვენები სამეფო ხელისუფლების როლი და აქტიური ზემოქმედება იდეოლოგიურ ცვლილებათა სფეროში, რაც უნდა აიხსნებოდეს თვით ეპოქის სულისკვეთებით – უფრო მეტად განვითარებული ფეოდალური ქვეყნის მმართველი წრეების ყოვლისშემძლეობით.

საქართველოს მთიანეთის ისტორიული წარსულისათვის საყურადღებოა ლეონტი მროველის მესამე თხზულებაც, რამდენადაც იქ ხსენებული წანარნი ლოკალიზებულია ხევის ტერიტორიაზე, რასაც გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება მთიანეთის ეთნონიმიკის შესწავლისათვის.

საქართველოს მთიანეთის შესახებ ლეონტი მროველის ცნობების მნიშვნელობა კიდევ უფრო სრულად და მკაფიოდ გამოჩნდება მომავალში, როდესაც ამავე თვალსაზრისით იქნება განხილული ქართული საისტორიო მწერლობისა და უცხოური წყაროების მონაცემები.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

I. წყაროები:

1. ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა... „ქართლის ცხოვრება", I, თბ., 1955 წ.
2. ლეონტი მროველი, ნინოს მიერ ქართლის მოქცევა, „ქართლის ცხოვრება", I, თბ., 1955 წ.
3. ლეონტი მროველი, წამება არჩილისი, „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები", II, თბ., 1967 წ.
4. ე. თაყაიშვილი, მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა XVIII საუკუნეში, ტფ., 1907 წ.
5. თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, თბ., 1982 წ.
6. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1963 წ.

II. ლიტერატურა:

7. ზ. ანჩაბაძე, ჩრდილო კავკასიის მოსახლეობა ძველ ხანაში, „ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები", თბ., 1969 წ.
8. ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება", IV, თბ., 1973 წ.

9. ნ. ბერძენიშვილი, გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბ., 1966 წ.
10. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 1990 წ.
11. ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, I, თბ., 1948 წ.
12. ჯ. გვასალია, წანარების ეთნიკური კუთვნილების საკითხისათვის, „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე", ტ. 59, №3, 1970 წ.
13. ჯ. გვასალია, მთიულეთის ისტორიული გეოგრაფიიდან (ცხავატი, წილკანი, წანარნი), „კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული", III, თბ., 1971 წ.
14. ჯ. გვასალია, „მოქცევაჲ ქართლისაჲს" წობენის ლოკალიზაციისათვის, „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე", ტ. 66, №3, 1972 წ.
15. ვ. გოილაძე, წმინდა ნინოს ქართლში შემოსვლისა და ქართლის მოქცევის დათარიღებისათვის, ჟ. „მნათობი", 1986 წ., №2; მისივე, ქართული ეკლესიის სათავეებთან, თბ., 1991 წ.
16. რ. თოფჩიშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მიგრაცია XVII-XX სს., თბ., 1984 წ.
17. ვალ. ითონიშვილი, ჯვრის უღელტეხილის სახელწოდებანი, ჟ. „მაცნე" (ისტორიის სერია), 1974 წ., №1.
18. ვალ. ითონიშვილი, მეგობრობის გზა, თბ., 1983 წ.
19. ვახტ. ითონიშვილი, არაგვის ხეობა, თბ., 1986 წ.
20. ვახტ. ითონიშვილი, არაგვი და არაგველები, თბ., 1989 წ.
21. ვახტ. ითონიშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბ., 1992 წ.
22. С. Какабадзе, О племени цанар, „საისტორიო კრებული", III, თბ., 1928 წ.
23. მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბ., 1963 წ.

24. ნ. ლომოური, ნარკვევები ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიიდან, თბ., 1975 წ.
25. ს. მაკალათია, მთიულეთი, ტფ., 1930 წ.
26. გ. მელიქიშვილი, საქართველოს უძველესი და ძველი ისტორიის წყაროები, „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, I, თბ., 1970 წ.
27. Г. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1959 г.
28. დ. მუსხელიშვილი, ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, I, თბ., 1977 წ.
29. თ. პაპუაშვილი, ჰერეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1970 წ.
30. თ. პაპუაშვილი, რანთა და კახთა სამეფო, თბ., 1962 წ.
31. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, თბ., 1973 წ.
32. გ. ჩიტაია, თიანეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მოკლე ანგარიში, „ენიმკის მოამბე“, XI, ტფ., 1941 წ.
33. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1948 წ.
34. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი 12 ტომად, ტ. VIII, თბ., 1977 წ.
35. ს. ჯანაშია, შრომები, II, თბ., 1952 წ.
36. რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, მთიულეთის სოფელი ძველად, თბ., 1965 წ.

II. ჯვრის უღელტეხილის სახელწოდების წარმომავლობის შესახებ*

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყოველთაოდ ცნობილია საქართველოს სამხედრო გზად სახელდებული არაგვის გზის ისტორიული და თანამედროვე მნიშვნელობა. უძველესი დროიდან დღემდე ამ გზასთან არის დაკავშირებული არაერთი ღირსშესანიშნავი მოვლენა. პირველ რიგში ეს ეხება საქართველოს მრავალსაუკუნოვან ურთიერთობას ჩრდილო კავკასიის ქვეყნებთან, მოგვიანებით კი რუსეთთან, რამაც განსაკუთრებით ცხოველმყოფელი ხასიათი მიიღო XVIII საუკუნიდან. აღნიშნული მაგისტრალის მნიშვნელობასთან კავშირში განიხილება აგრეთვე მის გაყოლებაზე მდებარე მხარეების, თითოეული მიკრო თუ მაკრო რაიონის ისტორიული წარსული, ყოფა და კულტურა.

თავის მხრივ არაგვის გზის ისტორიული როლის ობიექტურად და მასშტაბურად წარმოჩენა წარმოუდგენელია ხსენებული მაგისტრალის იმ მონაკვეთების მნიშვნელობის შეფასების გარეშე, რომელთა ფუნქციონირებაზე მთლიანად იყო დამოკიდებული დასახელებული კომუნიკაციის რამდენადმე ეფექტიანი ექსპლუატაცია. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს დარიალის ხეობა და ჯვრის უღელტეხილი, რომელთა დაუფლებით ქართულმა სახელმწიფომ უძველესი დროიდანვე მტკიცე და ხელუყოფელი კონტროლი დაამყარა მთელ არაგვის გზაზე. სამეფო ხელისუფლებამ ამით უზრუნველყო თავისი ჩრდილოეთი საზღვრის საკმაოდ ვრცელი მონაკვეთის უსაფრთხოება და საიმედო პლაცდარმი შექმნა პოლიტიკური და სამეურნეო-კულტურული გავლენის გავრცელებისათვის ჩრდილოეთ კავკასიის მიმართულებით.

---

* პირველად დაიბეჭდა კრებულში – „ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი", IV, თბ., 2002.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ დარიალის კარისა და ჯვრის უღელტეხილის მნიშვნელობის ჯეროვანი სისრულით შეფასება, რაც გულისხმობს აღნიშნული „მთის ალაგების" შესახებ არსებული მონაცემების წარმოჩენას მონოგრაფიული კვლევის დონეზე, ჯერ კიდევ ქართული ისტორიოგრაფიის დდის წესრიგში მდგარ ამოცანას წარმოადგენს. ამ სერიოზული ხარვეზის შევსებაზე მეცადინეობა კი ნიადაგ ითვალისწინებს ხსენებული თემის ყველა ასპექტის საფუძვლიან შესწავლას, რომელთა შორის, უწინარეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს დარიალის კარისა და ჯვრის უღელტეხილის სახელწოდებათა წარმომავლობის საკითხი. ამასთან, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ სახელწოდება „დარიალის" ეტიმოლოგიური მნიშვნელობა საკმარისი დამაჯერებლობითაა ახსნილი, უთუოდ უპრიანი ჩანს ამჯერად შევეხოთ მხოლოდ ჯვრის უღელტეხილის სახელწოდების წარმომავლობის საკითხს, რომლის გაშუქებასაც ტრადიციულად არაერთი სიძნელე ახლავს.

აღნიშნულ სიძნელეთა ხასიათის გარკვევა მიზანშეწონილია დავიწყოთ იმ ფაქტის ხაზგასმით, რომ ჯვრის უღელტეხილის სახელწოდების წარმომავლობის ახსნით ჯერ კიდევ XIX საუკუნის რუსი და ევროპელი სწავლულები დაინტერესდნენ. მაგრამ ეს უკანასკნელნი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, უღელტეხილის სახელწოდების წარმომავლობას უკავშირებენ მაინცდამაინც XIX ს-ის მოვლენებს, პირველ რიგში კი საქართველოში რუსული მმართველობის დამყარების დროიდან ხსენებულ გადასასვლელზე ორგზის (1803 და 1809 წწ.) აღმართული ქვის ჯვრის განახლების ღონისძიებას, რაც 1824 წელს განხორციელდა. თქმულის საილუსტრაციოდ საკმარისია დავიმოწმოთ ე. ვეიდენბაუმის მოსაზრება იმის თაობაზე, თითქოს „Перевал чрез Главный хребет называется обыкновенно крестовым. Название это возникло вследствие того, что в 1824 году управлявший тогда горскими народами маиор Давид Кана-

нов поставил на старой дороге каменный крест для обозначения точки перевала"[1].

მოცემული მტკიცება, რასაკვირველია, თავიდან ბოლომდე მიუღებელია, ვინაიდან ამ შემთხვევაში გათვალისწინებული არ არის ის გარემოება, რომ ჩვენთვის საინტერესო უღელტეხილის სახელწოდებად „ჯუართა ყელი" ჯერ კიდევ XIV-XVIII საუკუნეებით დათარიღებულ ქართულ წერილობით წყაროებში ფიგურირებს[2], რასაც დამატებით მხარს უჭერს ეთნოგრაფიული მასალებიც. მაშასადამე, XIX საუკუნის მოვლენებთან კავშირში ჯვრის უღელტეხილის სახელწოდების წარმომავლობის ახსნის ნებისმიერი ცდა არსებული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემების სრული იგნორირების ტოლფასია. თუმცა, რამდენადაც ადვილია ამ რიგის ცდების უარყოფა (და ამაში ჩვენ ქვემოთ კიდევ არაერთგზის დავრწმუნდებით), იმდენად ძნელია ამომწურავი პასუხის გაცემა კითხვაზე – საერთოდ ჰქონდათ თუ არა ზემოთ განხილული მოსაზრების ავტორს და მის თანამედროვე სხვა სწავლულებს თუნდაც მინიმალური წარმოდგენა ზემოთ მითითებული მონაცემების შესახებ. და მაინც, როგორც იმავე ე. ვეიდენბაუმის ნააზრევზე დაკვირვება გვაფიქრებინებს, ასეთი შესაძლებლობის ვარაუდის სახით დაშვება უფრო ნაკლებად შეესაბამება სინამდვილეს.

ვითარების ასეთნაირად შეფასების საერთო ფონზე არანაკლებ თვალში საცემია XIX ს-ის ზოგიერთი სხვა ავტორისათვის დამახასიათებელი მეორე რიგის უკიდურესობა, რაც გამოხატულებას პოულობს საკვლევი საკითხის გაშუქებისას ამჯერად უკვე ჩვენთვის სრულიად უცნობი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემებით სარგებლობის პრაქტიკაში. ამგვარი მიდგომის საუკეთესო მაგალითად გვესახება ა. ანდრეევის თვალსაზრისი იმის თაობაზე, თითქოს „Перевал этот назван крестовым потому что в 200 саженях влево от дороги находится крест поставленный по преданию грузинским царем Дави-

ეროვნული ბიბლიოთეკა

дом Возобновителем... Крест этот в 1824 году был реставрирован генералом Эрмоловым и называется Эрмоловским"[3].

ძნელი სათქმელია კონკრეტულად რა მონაცემებს ეფუძნებოდა დამოწმებული თეზისის ავტორი, მაგრამ მის მიერ გამოყენებული გადმოცემებისადმი მეტ-ნაკლები ნდობით განწყობის შემთხვევაშიც, მაინც სრულიად დაუშვებელია 1824 წელს ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოს ობიექტად თითქოსდა დავით აღმაშენებლის მიერ აღმართული ქვის ჯვრის მიჩნევა და არა იმავე ადგილას 1803 და 1809 წლებში დადგმული ქვისავე ჯვრების გააზრება. თუმცა, მიუხედავად ასეთი ხარვეზისა და იმ საგულისხმო ფაქტის გათვალისწინებისა, თუ რაოდენ უპერსპექტივოა მარტოოდენ ა. ანდრეევისათვის ხელმისაწვდომი ეთნოგრაფიული მასალის მოძიება, ხსენებული სწავლულის ნააზრევიდან მაინც შედარებით უფრო მეტად გამოსჭვივის საკვლევი საკითხის ობიექტურად გაშუქების მოთხოვნილება. ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ავტორი ჯვრის უღელტეხილის სახელწოდების წარმომავლობას ქართველი მეფის ღონისძიებას უკავშირებს, განსხვავებით მის თანამედროვე სხვა მკვლევართაგან, რომელნიც იმავე საკითხის ახსნას ადგილობრივი სინამდვილისაგან მოწყვეტით ცდილობენ. მაგრამ, როგორც XIX საუკუნის ლიტერატურის გაცნობა გვარწმუნებს, ამნაირ ორიენტაციას მომხრეები არ გამოუჩნდნენ, რაც სავსებით ბუნებრივიცაა, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ არამც თუ XIX საუკუნის, არამედ ჩვენი ეპოქის ქართველ მკვლევართა ერთი ნაწილიც კი საკვლევი საკითხის შესახებ XIX ს-ში შემუშავებული ვერსიების მექანიკური გამზიარებლის როლით კმაყოფილდებოდა. ამას მოწმობს მაგალითად ი. არჯევანიძის ნაშრომში მოცემული შემდეგი განმარტება: „Перевал был назван "Крестовым" в 1824 году, когда водрузили крест на высшей точки перевального участка. Крест находится в стороне от нынешней дороги"[4]. ანალოგიურ პოზიციაზე დგანან აგრეთვე ვ. დოლიძე და

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ. შმერლინგი, რომელთა შეხედულებით: „Крестовый перевал получил название от каменного креста, водруженного по приказнию Ермолова в 1824 г.”[5].

რამდენადაც მოტანილი მტკიცებანი ჩვენს მიერ კრიტიკულად შეფასებული შეხედულებების სრული განმეორებაა, მათი საგანგებოდ გარჩევის საჭიროება ამჯერად აღარც ჩანს. სამაგიეროდ, აუცილებელია საგანგებოდ გაესვას ხაზი იმ დეტალს, რომ თუ XIX ს-ის ავტორები ნაკლებად ან საერთოდ არ იცნობდნენ ჯვრის უღელტეხილის შესახებ არსებულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მონაცემებს, ხსენებული ქართველი მკვლევარნი ფაქტიურად არ ცნობდნენ იმავე მონაცემებს. ასეთნაირი კვალიფიკაციის მიზანშეწონილობაში მკითხველს ეჭვი რომ არ შეეპაროს, ალბათ, სავსებით საკმარისი იქნება თუნდაც ისეთი შემთხვევის დამოწმება, როდესაც ერთ-ერთ ნაშრომში ჯვრის უღელტეხილის სახელწოდების წარმომავლობა 1824 წლის მოვლენასთან კავშირშიც აიხსნა და იმავდროულად იქვე ქართულ წერილობით წყაროებში სახელწოდება ჯვართა ყელის უძველესი დროიდან არსებობაზეც იქნა მითითებული[6]. კიდევ უფრო სერიოზული დაბნეულობის საფუძველს ქმნის დასახელებულ წიგნში შეტანილი ის განცხადებაც, თითქოს: „По последним данным название ”Джврис угелтехили” известно было в Грузии с древных времен (XI-XII век.)”[7]. ამნაირი მტკიცებიდან ხომ ძალაუნებურად იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ძველ ქართულ წერილობით წყაროებში („ძეგლის დადება”, „ძეგლი ერისთავთა” და სხვ.) დაცულმა და მეცნიერულ დონეზე არაერთგზის გაანალიზებულმა ცნობებმა ჯვრის უღელტეხილის შესახებ მხოლოდ ხსენებული თეზისის ავტორის მოღვაწეობის ხანაში შეიძინა პრაქტიკული ღირებულება მის მიერ ბოლო დროს გამოვლენილი მონაცემების მნიშვნელობით. ვფიქრობთ, კონკრეტულ შემთხვევაში იმ რიგის უზუსტობასთან გვაქვს საქმე, რომელიც კომენტარს საერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოდ არ საჭიროებს. დაახლოებით იგივე ითქმის ციტირებული ნაშრომის ისეთ ხარვეზზეც, როდესაც ჩვენთვის საინტერესო გადასასვლელის ძველ, ქართული საისტორიო თხზულებებით ცნობილ, სახელწოდებად მიჩნეული იქნა არა „ჯუართა ყელი", არამედ მოგვიანებით ხმარებაში დანერგილი „ჯვრის უღელტეხილი"[8]. ერთი სიტყვით, ქართველ მკვლევართა ნაშრომებშიც, ისევე როგორც XIX საუკუნის რუს და ევროპელ სწავლულთა ნაწერებში, ჯვრის უღელტეხილის წარმომავლობის განსაზღვრას ტრადიციულად თან ახლავს სერიოზული ხასიათის შეცდომები, რომელთა სრულად გამომზეურების შესაძლებლობას ამჯერად მოკლებული ვართ წინამდებარე სტატიის შეზღუდული მოცულობის გამო. სამაგიეროდ, დიდ ადგილს არ დაიჭერს იმის საგანგებოდ აღნიშვნა, რომ სანამ რომელიმე ქართველი ავტორი ზემოთ განხილულ უზუსტობათა კრიტიკული შეფასებისა და საკვლევ თემაზე თავისი ორიგინალური მოსაზრების ჩამოყალიბების საჭიროებას დაინახავდა, ჩვენთვის საინტერესო საკითხზე XIX საუკუნეში შემუშავებულმა, ხოლო XX საუკუნეში მექანიკურად გაზიარებულმა ყველა ვერსიამ საბოლოოდ დასაბუთებული თვალსაზრისის უფლებით საბჭოთა ენციკლოპედიაში ჰპოვა თავისი ასახვა. ამას მოწმობს ენციკლოპედიაში შემდეგი განმარტება: „Крестовый перевал – перевал на Военно-Грузинской дороге... Название получил в 1824 от каменного креста, поставленного для обозначения точки перевала"[9]. ეს აზრი სრული სახით იქნა განმეორებული დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის მესამე გამოცემის მე-13 ტომშიც[10].

ენციკლოპედიის დონეზე ჯვრის უღელტეხილის სახელწოდების წარმომავლობის საკითხის ცალმხრივად გაშუქებამ კი, როგორც ჩანს, უკვე გვარიანად დააფიქრა ზოგიერთი ქართველი მკვლევარი. იმის შესახებ, რომ „ჯუართა ყელი" იხსენიება ჯერ კიდევ XIV საუკუნის ქართულ წყაროებში („ძეგლის დადება", „ძეგლი ერისთავთა"), მითითებულია ნ. კვეზერელი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოპაძის გზამკვლევში[11], ხოლო აღნიშნული სახელწოდების ისტორიულად არსებობა დასაბუთებულია ვალერიან ითონიშვილის სპეციალურ გამოკვლევაში. როგორც ირკვევა, ჯვრის უღელტეხილის სახელწოდების წარმომავლობის ახსნა 1824 წლის მოვლენასთან კავშირში გაუმართლებელი იყო თუნდაც იმ მიზეზით, რომ საკვლევ რაიონში ქვის ჯვრები აღმართეს ჯერ კიდევ 1803 და 1809 წლებში, რის კვალობაზეც ჯვრის უღელტეხილის სახელწოდების წარმომავლობა, ლოგიკის თანახმად, უნდა დაკავშირებულიყო უპირველეს ყოვლისა სწორედ 1803 წლის ღონისძიებასთან. მაგრამ სამართლიანად ითქვა, რომ ხსენებული გადასასვლელის სახელწოდება არც 1824 წლის ღონისძიებას უკავშირდება და არც იმაზე ადრე ჯვრის ორჯერ აღმართვას. ზემოხსენებული ადგილის ტოპონიმიკაში სიტყვა ჯვარი რუსეთთან საქართველოს შეერთებამდე ბევრად ადრე ყოფილა ცნობილი, რაც დასტურდება წერილობითი წყაროების მონაცემებით და ეთნოგრაფიული მასალებით[12].

მართალია, დასახელებულ ნაშრომებში ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემების გაანალიზების საფუძველზე დამტკიცდა ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესახებ ადრე შემუშავებული ვერსიების სრული უნიადაგობა და დამაჯერებლად დასაბუთდა ჯვრის უღელტეხილის სახელწოდების წარმომავლობა მხოლოდ ადგილობრივი ქართული სინამდვილიდან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, აღნიშნულ საკითხებში სანახევროდ იქნა შეტანილი სასურველი სიცხადე, ვინაიდან მთლიანობაში აუხსნელი დარჩა ის, თუ დაახლოებით როდის და როგორი კანონზომიერებით უნდა მომხდარიყო საკვლევი გადასასვლელის სახელდება ჯვრის უღელტეხილად. ამ თვალსაზრისით კი უთუოდ ყურადღებას იქცევს ნ. კვეზერელი-კოპაძის ნაშრომი[13], რომელშიც არა იმდენად საკუთრივ ხევ-მთიულეთის გამმიჯნავი ჯვრის უღელტეხილის სახელწოდების, რამდენადაც ზოგადად სახელწოდება „ჯვრის უღელტეხილის" წარმომავლობა საქართველოს სამიმოსვლო გზებზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ შორის უღელტეხილებზე მდებარე სხვადასხვა დანიშნულების მქონე ობიექტების ფუნქციასთან პირდაპირ კავშირში იქნა განხილული.

ნ. კვეზერელი-კოპაძის განმარტებით, საქართველოს ცალკეულ რაიონებში გზა-გადასასვლელებზე იდგა სხვადასხვა სახის ნაგებობანი – ქვის სვეტები, ქვაყრილები, ქვის ჯვრები ან მშრალი წყობით აშენებული და ასევე ჯვრად სახელდებული სამლოცველოები, რომელთაც ჰქონდათ გარკვევით დიფერენცირებული ორგვარი დანიშნულება: პრაქტიკულ-უტილიტარული და რელიგიურ-საკულტო. მაგრამ მათი ეს ფუნქციონალური მხარეები ისე იყო ურთიერთშეზრდილ-გადახლართულ-გადაწნული, რომ დიდხანს, თითქმის ბოლო დრომდე, დამკვირვებელთა და მკვლევართა თვალში ამ ძეგლთა სასულიერო დანიშნულება ჰფარავდა, ჩქმალავდა, აუჩინარებდა არსებით მხარეს – მათს თავდაპირველ, ძირითად, განმსაზღვრელ, პრაქტიკულ დანიშნულებას, რომლის გამოც იქცეოდნენ ისინი კულტის ობიექტებად. ვითარების ასეთნაირად შეფასებასთან ერთად ავტორმა ხაზი გაუსვა იმ დეტალს, რომ მაღალ, ქვის აყუდებულ სვეტს, ქვის შექუჩულ გროვებს არ ეძახდნენ „ჯვრებს", მაშინ როდესაც ქვებისაგან მშრალი წყობით მოწყობილ ნაგებობებს, რომელთაც საკულტო-სამლოცველო დანიშნულება ჰქონდათ, ადგილობრივი მოსახლეობა „ჯვარს" უწოდებდა. ამის შესაბამისად კი იმ უღელტეხილებს, რომლებზედაც ისინი იყვნენ განლაგებულნი, დაერქვათ „ჯვრის უღელტეხილები". ნ. კვეზერელი-კოპაძის მითითებით, საქართველოში ორ ათეულზე მეტი „ჯვრის უღელტეხილია". და ბოლოს, იმავე მკვლევარის შენიშვნით, ბევრ „ჯვრის უღელტეხილს" დროთა განმავლობაში დაუკარგავს თავდაპირველი, ძირითადი სახელწოდება და ახლა საქართველოს გეოგრაფიულ რუკებზე აღნიშნულია სხვა სახელებით. თქმულის საილუსტრაციოდ, ავტორი იმოწმებს, ერთი მხრივ, ჯვრის უღელტეხილთა ძველ სახელწოდებებს (ჯვრის მინდო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი, ჯვარი-მხთო, რკინის ჯვარი, ჯვრის თავი, ჯვრის წვერი, ციხე-ჯვარი, ჯვარისი), მეორე მხრივ კი ჩამოთვლილი ადგილების თანამედროვე სახელწოდებებს (ტაგანური, ბადიში, ზეკარი, ვენტლაშეტო, გომის ციხე, სველი მთები, გომბორი)[14].

დამოწმებული მოსაზრება არაა თავისუფალი სერიოზული უზუსტობებისაგან. ჩვენ ძირითადად ვეთანხმებით ავტორს იმაში, რომ საკვლევი უღელტეხილის სახელწოდების წარმომავლობის ახსნას უნდა ვცდილობდეთ უწინარეს ყოვლისა სწორედ ჯვარის, ვითარცა ორმაგი ფუნქციის (საგზაო ნიშნისა და საკულტო-სამლოცველო ნაგებობების) მქონე ობიექტის მნიშვნელობასთან კავშირში, მაგრამ სრულიად გაუმართლებლად მიგვაჩნია ჯვრის უღელტეხილად ყველა იმ გზა-გადასასვლელის სახელდება, სადაც კი ჯვარი იყო ლოკალიზებული. ამნაირი ვარიანტის დაშვებისას მხედვლეობაში არ არის მიღებული ის გარემოება, რომ არაერთ გზა-გადასასვლელზე ჯვრების არსებობის მიუხედავად ყველა ამ ალაგისათვის ჯვრის უღელტეხილი არ შეურქმევიათ. წინთქმულის სასარგებლოდ მეტყველებენ თუნდაც ნ. კვეზერელი-კოპაძის მიერ თავის ნაშრომში მოტანილი ის მონაცემებიც, რომელთა თანახმად საქართველოს სხვადასხვა რაიონში მდებარე გზა-გასასვლელებზე მართლაც იყო აღმართული საგზაო ნიშნები (მაგ., ქვის სვეტები, ლოდები), მაგრამ ამის შესაბამისად ყველა ამ გადასასვლელს, იშვიათი გამონაკლისის გარდა, კონკრეტულ სახელწოდებად „ქვის სვეტის უღელტეხილი" ან „ლოდის უღელტეხილი" არ დამკვიდრებია. რამდენადაც ამგვარი ვითარების ვარაუდის სახით წარმოსახვა თვით ნ. კვეზერელი-კოპაძესაც არ უცდია, მით უფრო მოულოდნელად და დაუჯერებლად გამოიყურება ხსენებული ავტორის მოსაზრება ათეულობით „ჯვრის უღელტეხილის" არსებობის თაობაზე.

არანაკლებ თვალშისაცემია იმავე ავტორის მხრიდან იმ ფაქტის გაუთვალისწინებლობაც, რომ მის მიერ დამოწმებული ე. წ. ჯვრის უღელტეხილთა თითქოსდა ძველი, თუმცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროთა განმავლობაში სახეშეცვლილი, სახელწოდებანი (მაგ. ჯვრის მინდორი, ჯვარი-მხთო, რკინის ჯვარი და სხვ.) უნდა დახასიათებულიყვნენ მარტოოდენ ამა თუ იმ გზა-გადასასვლელის გარკვეული ადგილის და არა მთელი გზა-გადასასვლელის აღმნიშვნელ ტოპონიმებად. მაგრამ ამ უკანასკნელთა მნიშვნელობის ასეთნაირი გაფართოების შემთხვევაშიც, რაც თავისთავად დაუშვებელია, ძალაუნებურად მოგვიხდება, ამჯერად უკვე იმის აღიარება, რომ დასახელებული ტოპონიმების სახით საქმე გვაქვს არა ე. წ. ჯვრის უღელტეხილების ძველ და შემდგომში დაკარგულ სახელწოდებებთან, არამედ სავსებით ორიგინალური ეტიმოლოგიური მნიშვნელობის მქონე სახელწოდებებთან. მართლაც, თუკი ნ. კვეზერელი-კოპაძისათვის საინტერესო ე. წ. ჯვრის უღელტეხილთა ძველ სახელწოდებებად გამოვაცხადებთ ჯვრის მინდორს, ჯვარი-მხთოს, რკინის ჯვარს, ჯვრის თავს, ჯვრის წვერს, ციხე-ჯვარს და ჯვარისას, მაშინ ხომ, ელემენტარული ლოგიკის თანახმად, ამ სახელწოდებებით ცნობილი ყველა გზა-გადასასვლელი დაიმსახურებს არა ზოგადად ჯვრის უღელტეხილად, არამედ შესაბამისად ჯვრის მინდვრის, ჯვარი-მხთოს, რკინის ჯვარის, ჯვრის თავის, ჯვრის წვერის, ციხე-ჯვარის და ჯვარისის სახელწოდებების მატარებელ უღელტეხილებად გააზრებას. აქედან გამომდინარე, მკვლევარს მოეთხოვებოდა განემარტა, რომ თავისი თავდაპირველი სახელწოდება დაკარგეს სწორედ ჯვრის მინდვრის, ჯვარი-მხთოს, რკინის ჯვარის და სხვა უღელტეხილებმა და არა ე. წ. „ჯვრის უღელტეხილებმა". თუმცა ჩვენ არც ამნაირი განმარტების მომხრენი ვიქნებოდით, ვინაიდან საერთოდ გამოვრიცხავთ არა ერთი ან ორი, არამედ ათეულობით უღელტეხილის ძველი სახელწოდების უკვალოდ დაკარგვის შესაძლებლობას, რაც ნ. კვეზერელ-კოპაძეს რამდენადმე გამარტივებულ მოვლენად ესახება. ასეა თუ ისე, ერთი რამ კი სავსებით ნათელია – როგორი კუთხითაც არ უნდა შევაფასოთ ნ. კვეზერელი-კოპაძის ნააზრევი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენთვის საინტერესო საკითხზე, ავტორისეული თეზისი ათეულობით ჯვრის უღელტეხილის არსებობის შესახებ არავითარი ფაქტობრივი მასალით არ საბუთდება. ამდენად, ის სავსებით მიუღებელია, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ დეტალებზე, თუ რაოდენ არსებით სხვაობას აქვს ადგილი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ტრადიციით ცნობილ სახელწოდება „ჯუართა ყელსა" და იმავე ალაგის გვიანდელ, მოდიფიცირებულ სახელწოდება „ჯვრის უღელტეხილს" შორის, რაც ასევე არ იქნა მხედველობაში მიღებული ხსენებული მკვლევრის მიერ.

მაშასადამე, ნ. კვეზერელი-კოპაძის ნაშრომშიც ვერ მოხერხდა ჯვრის უღელტეხილის სახელწოდების წარმომავლობის საკითხის დაზუსტება. მართალია, ავტორმა ზოგად ხაზებში მაინც მიგვანიშნა იმაზე, თუ კონკრეტულად რა ობიექტისაგან შეეძლო მიეღო სახელწოდება „ჯუართა ყელი" ჩვენთვის საინტერესო გზა-გადასასვლელს, მაგრამ მაინც ერთობ ზედაპირული დამოკიდებულება გამოიჩინა იმ უთუოდ მაპროფილებელი საკითხისადმი, თუ მაინც რა მიზეზით შეეძლო მიეღო აღნიშნული ობიექტის („ჯვრის") სახელწოდება მარტოოდენ ერთ კონკრეტულ ულელტეხილს და არა ყველა იმ გზა-გადასასვლელს, სადაც ანალოგიური ფუნქციის მქონე ნიშნულები იყო აღმართული. არადა მხოლოდ ასეთი ორმხრივი მიდგომა წარმოადგენს ჩვენთვის საინტერესო საკითხის რამდენადმე სრულფასოვნად გაშუქების უცილობელ პირობას, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ნ. კვეზერელი-კოპაძის და ვალ. ითონიშვილის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებმა უთუოდ კარგი სამსახური გაუწია შესასწავლი საკითხის უმთავრესი ასპექტების დაზუსტების საქმეს. რაც მთავარია, ხსენებულ ავტორთა ნაშრომებში დამაჯერებლად იქნა გაბათილებული არაქართული მონაცემების შუქზე ჯვრის უღელტეხილის სახელწოდების წარმომავლობის ახსნის ცდები, და, ამდენად, აღნიშნული საკითხის კვლევას უთუოდ სწორი გეზი მიეცა.

ყოველივე ამის შემდეგ იმის მოლოდინში უნდა ვჰყოფილიყავით, რომ ჯვრის უღელტეხილის სახელწოდებით თუ ლოკალიზაციით დაინტერესებული ნებისმიერი მკვლევარი პირველ რიგში ქართული წყაროების მონაცემებსა და მათზე დამყარებული კვლევა-ძიების შედეგებს გაითვალისწინებდა, მაგრამ, სამწუხაროდ, სრულიად მოულოდნელი ვითარების წინაშე აღმოვჩნდით. მხედველობაში მაქვს „მოგზაურთა კლუბის" გადაცემა ცენტრალური ტელევიზიის 1985 წლის მაისის პროგრამით, რომელიც სპეციალურად მიეძღვნა საქართველოს სამხედრო გზის ისტორიულ წარსულს თუ თანამედროვეობას და სადაც ტელემაყურებელთა ფართო აუდიტორიის სამსჯავროზე საგანგებოდ იქნა გამოტანილი ჯვრის უღელტეხილის სახელწოდების წარმომავლობის თაობაზე შემუშავებული სრულიად ახალი „ვერსია". ამ უკანასკნელის ავტორად ამჯერად მოგვევლინა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ჰენრი ისმაილის ძე კუსოვი, რომელმაც განაცხადა: „В семидесятых годах двадцатого века был открыт интереснейший памятник материальной культуры. Около селения Заманкул еще никто не обрашал внимания на стоящий в ложбине каменный, довольно мощный крест. Когда его нашли, определили, описали, мы сразу почувствовали, что конечно же он связан с каким то интереснейшим событием. В начале была точка зрения а нет ли здесь какого нибудь захоронения. Сделали раскопки – нет захоренения. Более того. Мы обратили внимание на такую деталь; вокруг когда-то стояли мусульманские селения, и здесь же христианский символ. Как и почему мусульмане могли так обращатся, относится к кресту, не повредить, не убрать его? – Значит он играл какую-та роль в быту. Так какую-же роль? – Мы начали думать. Появилась интересная гипотеза – а не связан ли он с убийством в золотой орде ханом Улубеком Великого Тверского князя Михаила Тберского. Но вот мы болше относимся с интересем к другой версии, которая появилась совсем недавно. Просто Заман-

ეროვნული ბიბლიოთეკა

кульский крест это географический ориентир средневековья, когда почти все предкавказье было покрыто крестами-ориентирами, которые указывали на главные перевальные дороги. Однажды мы посмотрели в ясную погоду на Заманкульский крест и вдруг увидели, что он точно указывает перекрестиями на Дариальский проход, на Крестовый перевал. И мы подумали: а вот не назван ли Крестовый перевал по имени Заманкульского креста, который указывал всем караванам торговый путь – подоидете к кресту и держите путь прямо на Дариальский проход" (ტელეგადაცემის ეს ვერსია ჩავიწერე მაგნიტოფონზე – ვ. ი.).

დამოწმებული მოსაზრება იმდენად მოულოდნელია ჩვენთვის, რამდენადაც წინააღმდეგობებით აღსავსე და მეტისმეტად სუსტად არგუმენტირებული. ეს უწინარეს ყოვლისა ვლინდება იმ ფაქტის გაუთვალისწინებლობაში, რომ თითქმის ქ. გროზნოს ჰორიზონტალზე ლოკალიზებული სოფ. ზამანყული ძალიან დიდი მანძილითაა დაცილებული საქართველოს ჩრდილოეთ საზღვრებს, რასაც უსათუოდ უნდა დაეფიქრებინა ამ ვერსიის შემთხზველი მკვლევარი. ამასთან ერთად, ჰ. კუსოვს მხედველობიდან გამოჰპარვია იმ საკითხის გარკვევის აუცილებლობაც, თუ რა პერიოდიდან ფიგურირებს წერილობით წყაროებში სახელწოდება ჯვართა ყელი და როდისაა გამოკვეთილი და აღმართული ზამანყულის ჯვარი. სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, ავტორი ვალდებული იყო ზედმიწევნით ზუსტად დაედგინა მისთვის საინტერესო უღელტეხილის შესახებ არსებული ცნობებისა და ხსენებული გადასასვლელის სახელწოდების წარმომქმნელ ობიექტად ნაგულისხმევი ზამანყულის ჯვრის დადგმის დროის ქრონოლოგიური ურთიერთმიმართება. ამის გარეშე სრულიად წარმოუდგენელია აღნიშნული „ვერსიის" ლოგიკურად გამართვა მეცნიერული ნააზრევის დონეზე. მაგრამ ჰ. კუსოვმა ამის საჭიროება, როგორც ჩანს, ვერ დაინახა იმ მარტივი მიზეზით, რომ იგი საერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოდ არ იცნობს და არც ცნობს ქართულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მონაცემებს.

ავტორის კომპეტენტურობის სასარგებლოდ არ მეტყველებს აგრეთვე ის ფაქტი, რომ მან დაბეჯითებით გამოაცხადა ზამანყულის ჯვარი მაინცდამაინც გეოგრაფიულ ორიენტირად, ხოლო მთელი ჩრდილოეთ კავკასია ასეთი დანიშნულების მქონე ჯვრებით დაფარულ რეგიონად წარმოგვისახა. ძნელი სათქმელია რა მონაცემები დაედო საფუძვლად აღნიშნულ თვალსაზრისს, მაგრამ ამ უკანასკნელის შეფასებისას ხომ თვალშისაცემია იმავე ჯვრების, ვითარცა ორმაგი ფუნქციით გამორჩეული ობიექტების მრავლად არსებობა არა მარტო ჩრდილოეთ კავკასიის, არამედ საქართველოს ტერიტორიაზეც[15]. აქედან გამომდინარე, ჯვრის უღელტეხილის სახელწოდების ახსნას ჰ. კუსოვი ისევ და ისევ საქართველოს ფარგლებში დაფიქსირებულ მასალაზე დაფუძნებით უნდა ცდილიყო, მაგრამ რამდენადაც ასეთ ცდას მკვლევარის მხრიდან საერთოდ არ ჰქონია ადგილი, ვფიქრობთ სრული საფუძველი გვაქვს ვამტკიცოთ, რომ მან რატომღაც გვერდი აუარა ამჯერად უკვე ქართველ მკვლევართა ნაშრომების დამოწმებას. ყოველივე წინთქმული კი გვაძლევს უფლებას უყოყმანოდ განვაცხადოთ, რომ ჯვრის უღელტეხილის სახელწოდების ახსნა ზამანყულის ჯვართან კავშირში მხოლოდ და მხოლოდ ჰ. კუსოვის ფანტაზიის ნაყოფია.

მართალია, ჰ. კუსოვის მოსაზრება თავიდან ბოლომდე მიუღებელია, მაგრამ ხსენებულ „ვერსიას" ის პრაქტიკული ღირებულება მაინც გააჩნია, რომ მისმა გამოჩენამ კიდევ ერთხელ თვალნათლივ დაგვარწმუნა შესასწავლ საკითხზე შეძლებისამებრ დაზუსტებული და ოპტიმალური მეცნიერული თვალსაზრისის შემუშავების საჭიროებაში. აღნიშნული ვითარებისა და საერთოდ საკვლევ თემატიკასთან დაკავშირებით დღემდე წარმოებული კვლევა-ძიების მთელი გამოცდილების გათვალისწინება კი ჩვენ გვავალებს იმ უთუოდ მაპროფილე-

ბელი საკითხის გარკვევაზე საფუძვლიან მეცადინეობას, თუ მაინც რისგან და როგორ შეიძლება დამკვიდრებოდა სახელწოდება „ჯუართა ყელი" მარტოოდენ არაგვის გზაზე მდებარე უმნიშვნელოვანეს უღელტეხილს.

აღძრულ კითხვებზე პასუხის გაცემა უნდა დავიწყოთ იმის განმეორებით, რომ სახელწოდება „ჯუართა ყელი" მართლაც პირდაპირ კავშირს ავლენს საკვლევ რაიონში ძველთაგანვე მცირე ზომის ქვის ჯვრებთან და ასევე ჯვრებად სახელდებულ შედარებით მოზრდილ საკულტო ნაგებობებთან. ამასთან, როგორც სპეციალური ლიტერატურის ანალიზი ცხადყოფს, ხსენებული ობიექტების თავდაპირველი და უმთავრესი ფუნქციით განსაზღვრაში აზრთა სხვადასხვაობას აქვს ადგილი. ერთ-ერთ ნაშრომში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჯერ კიდევ ქართლის მოქცევის პირველ ხანებში აღმართული ქვაჯვარები თავდაპირველად მხოლოდ სალოცავ ძეგლებს წარმოადგენდნენ, რომელთა ადგილი შემდგომში ჯვრის ტიპის ტაძარმა დაიჭირა ან დროთა განმავლობაში ქვაჯვარათა დანიშნულება შენელდა და დღეს ზოგან ისინი სამიჯნო ნიშნადაც მიაჩნიათ[16]. მოგვიანებით შემუშავებული სხვა შეხედულების მიხედვით კი ჩვენი ქვეყნის სამიმოსვლო გზებზე, უწინარეს ყოფლისა უღელტეხილებზე, დადგმული ჩვეულებრივი ქვის ჯვრები და ასევე ჯვრების სახელწოდებით ცნობილი საკულტო ნაგებობანი თავდაპირველად ძირითადად საგზაო ნიშნების ფუნქციას ასრულებდნენ, რის გამოც გადაიქცნენ კიდევაც ისინი კულტის ობიექტებად[17]. მართალია, პირველი მოსაზრება უფრო დამაჯერებლად გამოიყურება, მაგრამ მეორე თვალსაზრისიც ერთობ დამაფიქრებელია, რომლის შეფასება მოითხოვს ჯვრის უღელტეხილის გარემოსა და აქ გამავალი არაგვის გზის მონაკვეთზე საგანგებოდ დაკვირვებას. მართლაც, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის დეტალი, რომ დასახელებული გადასასვლელის მისადგომებთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაგვის გზა სამი მიმართულებით იტოტება, რაც სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ (ე. ი. ხევისკენ) მიმავალ მგზავრს საშუალებას აძლევდა დიდველზე გამავალ გზა-გადასასვლელის გარდა ესარგებლა ღუდის ხევისა და ხადის ხეობაზე გამავალი გვერდითი კომუნიკაციებითაც[18].

ეს ფაქტი თავის მხრივ გვაძლევს უფლებას, რომ საკვლევი რაიონი გავიაზროთ ერთგვარ გზა-ჯვარედინად, სადაც მგზავრები თავისი შეხედულებისამებრ ირჩევდნენ ყველაზე ხელსაყრელ მარშრუტს. ამაში კი მათთვის გარკვეული (თავდაპირველად ალბათ ქმედითი, ხოლო შემდგომში უფრო სიმბოლური) დახმარების გაწევა შეეძლოთ სწორედ საორიენტაციო მიზნით გზის განშტოების ადგილას დადგმულ ქვის ჯვრებს. როგორც ჩანს, ამგვარი დანიშნულების ქვის ჯვრების ფუნქციის დაკნინების შემდეგ ხსენებული საგზაო ნიშნები თანდათანობით გარდაიქმნენ კულტის ობიექტებად, რის შესახებაც თავის დროზე მითითებულ იქნა ნ. კვეზერელი-კოპაძის ნაშრომში. თუმცა, წინთქმულთან ერთად აუცილებელია საგანგებოდ განიმარტოს, რომ აღნიშნული ტრანსფორმაცია შეეძლო განეცადა ქვა-ჯვართა მხოლოდ ერთ ნაწილს, ვინაიდან მათი უმრავლესობა, ასევე ჯვრებად სახელდებული საკულტო ნაგებობების ჩათვლით, ძველთაგანვე ფუნქციონირებდა ჩვეულებრივ სალოცავ ძეგლებად, რაც ასევე იქნა შენიშნული ვ. თოფურიას გამოკვლევაში. მართალია, ვითარების ასეთნაირად შეფასებით, ძირითადად იკვეთება ჩვენი დამოკიდებულება ხსენებულ მკვლევართა მოსაზრებისადმი, მაგრამ თხრობის გაჭიანურების თავიდან აცილების მიზნით ამჯერად მიზანშეწონილია ღიად დავტოვოთ ჯვრებად სახელდებული ობიექტების ფუნქციის საკითხი, რადგანაც საკვლევ საკითხში ჯეროვანი სიცხადის შეტანისათვის მთავარი მაინც არა იმდენად ჯვრების დანიშნულების გარკვევაა, რამდენადაც იმის ახსნა, თუ რატომ იქნა ნაწარმოები აღნიშნული ობიექტებისაგან მარტოოდენ ერთი უღელტეხილის სახელწოდება. მოცემული

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუთხით კვლევის წარმართვა კი გულისხმობს ყურადღების აქცენტირებას ჯვრის უღელტეხილის რაიონის და მის მომიჯნავე (თუ მიმდებარე) ტერიტორიაზე ლოკალიზებული ძეგლების განსაკუთრებული სიმრავლის ფაქტზე.

უთუოდ დამაფიქრებელია ის გარემოება, რომ არაგვის გზის ძველი მარშრუტით მიმავალი და ჯვრის უღელტეხილის რაიონში (მაგ. დიდველზე) მოხვედრილი მგზავრი დასავლეთით ხედავს მაღლა მთის წვერზე მდგარ ლომისის ეკლესიას, ხოლო დიდველის თავზე აღმართულ მთაზე, სტრატეგიული თვალსაზრისით მეტად მომგებიან ალაგზე დგას და ქვემოთ გამავალ გზას დაჰყურებს ცეცხლის ჯვრის კომპლექსი. მათთან ერთად, ყურადღებას იქცევს აგრეთვე ღუდის ხევში მდებარე ყველაწმინდის ეკლესია, რომელსაც ემატება ასევე გადასასვლელის რაიონში და მასთან უშუალო სიახლოვეში განლაგებული მრავალრიცხოვანი ციხე-კოშკები და ჯვარ-ხატები. რად ღირს მარტო 60-კოშკიანი ხადის ხევის (ჟამთააღმწერელისეული „ციკარეს", ვახუშტისეული „ციკარას", ხოლო ეთნოგრაფიული ტრადიციით „გაღმა ხადად" სახელდებული ტერიტორიული ერთეულის) და დაახლოებით 25-კოშკიანი დიდველის (წერილობითი წყაროებით ცნობილი „ვაკე ჴადისა" ან „დაბა ჴადა", ხოლო მთიულთა მიერ „გამოღმა ხადად" სახელდებული მიკრორაიონი, რომელიც რუსული მმართველობის დამყარების პერიოდიდან ლიტერატურაში კაიშაურის ველის სახელწოდებით ფიგურირებს) დასახელება. სხვადასხვა დანიშნულების მქონე ძეგლებით ესოდენ მდიდარ „მთის ალაგზე" დაკვირვების შედეგად ჯვრის უღელტეხილის მთელი მიდამო, მიმდებარე ტერიტორიითურთ, მართლაც საკულტო და საფორტიფიკაციო ნაგებობების სიმრავლით გამორჩეული (და ამასთანავე ოთხკუთხა ფორმის) მიკრორაიონის შთაბეჭდილებას სტოვებს. ამასთან, ჩვენი აზრით, აღნიშნული რაიონი გაცილებით უფრო ძლიერ ზემოქმედებას იქონიებდა მნახველზე, აქ რომ შემორჩენილიყო მკვლევართა მიერ სწორედ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკვლევ ტერიტორიაზე ნაგულისხმევი მცირე ზომის ქვის ჯვრები, დროთა განმავლობაში გამქრალნი, ან მათ ადგილზე აშენებული ჯვრის ტიპის ეკლესიებით შეცვლილნი. ამგვარი ტრანსფორმაცია ჯვრის უღელტეხილის რაიონში შეიძლება განვჭვრიტოთ თუნდაც ცეცხლისჯვრის ეკლესიის კონკრეტულ მაგალითზე. თუმცა ამნაირი ვარაუდის სათანადო არგუმენტაციის გარეშე და იმის გაურკვევლადაც გეოგრაფიული სახელები უფრო დიდხანს ძლებენ, თუ ამ სახელებით აღნიშნული ადგილების დამახასიათებელი ნიშნები, ერთი რამ სავსებით ნათელია – საფორტიფიკაციო და საკულტო ნაგებობათა სიუხვის თვალსაზრისით, მთელი აღმოსავლეთ საქართველოს მასშტაბით, პირველობა უდავოდ ეკუთვნის სწორედ საკვლევ რაიონს. ეს გარემოება კი ძალაუნებურად განგვაწყობს დასკვნისაკენ, რომ აღნიშნული სპეციფიკით გამორჩეულ მიკრორეგიონზე გამავალ გადასასვლელს მართლაც ყველაზე მეტად შეჰფეროდა სახელწოდება „ჯუართა ყელი", რისი აღიარებაც თავის მხრივ მეტად ამარტივებს იმ საკითხებში ზუსტად ორიენტირებას, თუ დაახლოებით როგორი კანონზომიერებით შეიძლებოდა დამკვიდრებულიყო ხსენებული სახელწოდება ჩვენთვის საინტერესო უღელტეხილის აღმნიშვნელ ტოპონიმად.

წინთქმულის კვალობაზე, ასევე კანონზომიერად გვესახება სწორედ ჯვრის უღელტეხილის (და არა სხვა რომელიმე) რაიონში ძეგლების განსაკუთრებული სიმრავლე. ეს აიხსნება, ერთი მხრივ „მუნებური" მოსახლეობის მიერ საკუთარი კუთხის უსაფრთხოების მიზნით წარმოებული აღმშენებლობითი საქმიანობით, რაც თავისთავად ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების სახელმწიფოებრივი ამოცანის გადაწყვეტასაც აადვილებდა, მეორე მხრივ კი ცენტრალური ხელისუფლების სისტემატური ზრუნვით აქაურობის კეთილმოწყობაზე, რაზეც დამოკიდებული იყო მთელი არაგვის გზის ნორმალური ფუნქციონირება მუდმივმოქმედი მაგისტრალის დონეზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართალია, ოფიციალური ხელისუფლების მიერ ამ მიმართულებით შემუშავებულ ღონისძიებათა საილუსტრაციო მონაცემები ჩვენ თითქმის არ მოგვეპოვება, მაგრამ სამაგიეროდ დამოწმებულ ხარვეზს ნაწილობრივ მაინც ავსებს ქართულ წერილობით წყაროებში დაცულ იმ მონაცემებზე დაკვირვება, სადაც აღწერილია ჩვენი სახელმწიფოს მმართველთა მეცადინეობა მთელი არაგვის გზის, განსაკუთრებით კი მისი საზღვრისპირა მონაკვეთის გამაგრებაზე. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია ჯერ მირვან მეფის (ძვ. წ. III საუკუნის ბოლო და II ს-ის დასაწყისი), შემდგომ ვახტანგ გორგასლის, ბოლოს კი დავით აღმაშენებლის ღონისძიებები, მიმართული დარიალის კარის თავდაცვითი სისტემის განმტკიცებისაკენ. ძნელი წარმოსადგენია, რომ ხელისუფლებას უყურადღებოდ დაეტოვებინა ჯვრის უღელტეხილის რაიონი. რასაკვირველია, დარიალთან შედარებით საკვლევი რაიონის გამაგრების საჭიროება ნაკლებად იგრძნობოდა, მაგრამ სამაგიეროდ არაგვის გზის უმთავრესი გზა-გადასასვლელის კეთილმოწყობაზე გარჯაც დარიალის კარის სიმტკიცისუნარიანობის ინტერესებთან კავშირში გაიაზრებოდა. მოცემულ კვალიფიკაციასთან დაკავშირებით კი უთუოდ ინტერესს იწვევს ა. ანდრეევის მიერ მოტანილი, თუმცა ჩვენთვის სრულიად უცნობი, გადმოცემა დავით აღმაშენებლის მიერ საკვლევ რაიონში ქვის ჯვრის აღმართვის შესახებ. ჩვენი აზრით, რუსი სწავლულისათვის ხელმისაწვდომი მონაცემების ხარისხის მიუხედავად ისინი მაინც ანგარიშგასაწევია და მათზე დაკვირვებას თან ახლავს იმ ვარაუდის გამოთქმის ცდუნება, რომ სახელოვან ქართველ მეფეს მართლაც შეეძლო არაგვის გზის გავლის დროს რაიმე ღონისძიებაში (თუნდაც ჯვრის აღმართვაში) მონაწილეობის მიღება. არ არის გამორიცხული, რომ ამ რიგის მოვლენაში გამოხატულება ეპოვა მეფის სურვილს რამენაირად აღენიშნა თავისი ინიციატივით წარმართული უმნიშვნელოვანესი ჩრდილოკავკასიური კამპანიის (იგულისხმება ყივ-

ჩაყთა გადმოსახლების საქმის ორგანიზება) წარმატებით მიმდინარეობა ან უკვე დასრულება, რისთვისაც ყველაზე უფრო შესაფერისი დრო სწორედ არაგვის გზის უმთავრესი უღელტეხილის „გარდავლის" ჟამს უნდა გამოენახა. მოცემულ ვარაუდთან დაკავშირებით მეტად ნიშანდობლივია საქართველოში რუსული მმართველობის დამყარების დროიდან საკვლევ გზა-გადასასვლელზე ქვის ჯვრის ორჯერ (1803 და 1809 წწ-ში) აღმართვის ფაქტიც, ვინაიდან ეს უკანასკნელი შესაძლოა ზოგადად მიგვანიშნებდეს იმ ძველი ტრადიციის სიცოცხლისუნარიანობაზე, როდესაც ჩვენთვის საინტერესო უღელტეხილზე გზის მეპატრონეთა ინიციატივით პერიოდულად ხდებოდა განსაზღვრული ფუნქციის მატარებელ ქვა-ჯვართა შეკეთება-განახლება ან ახალ ჯვა-ჯვართა დადგმა. როგორც ჩანს, მარტოოდენ აღნიშნული ტრადიციის მოქმედებაც სავსებით საკმარისი იქნებოდა იმისათვის, რომ ხსენებული უღელტეხილის რაიონში განსაკუთრებულად მომრავლებულიყო დასახლებული ობიექტების რაოდენობა, ხოლო მოვლენათა ამგვარი მსვლელობის ძალით მთელი გზა-გადასასვლელი მართლაც ტიპიური „ჯვართა ყელის" შთაბეჭდილებას მოახდენდა აქაურობის მნახველ ნებისმიერ მგზავრზე.

ძნელი სათქმელია, ადგილობრივი (ე. ი. კუთხური) წარმომავლობისაა ხსენებული ტოპონიმი, თუ ის ოფიციალური ხელისუფლების მეცადინეობით არის ხმარებაში დანერგილი, მაგრამ ამის გაურკვევლადაც დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენთვის საინტერესო მთის ალაგისათვის დამახასიათებელი თავისებურების განმსაზღვრელ ნებისმიერ ფაქტორს, პირველ რიგში კი ჯვართა სიმრავლეს, ერთნაირი სიმარტივით შეეძლო დაემსახურებინა როგორც გზის მეპატრონეთა (ან აქ მოხვედრილ მგზავრთა), ისე მუნებურ მოხელეთა ყურადღება. ამის შესაბამისად კი უღელტეხილისათვის ყველაზე შესაფერისი სახელწოდების შერჩევა არც ავტორიტეტულ და არც რიგით დამკვირვებელს არ უნდა გასჭირვებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიტომ, ჩვენ ვერც ერთი მხარის ალღოს ვერ მივანიჭებთ გადამწყვეტ უპირატესობას.

არანაკლები სიძნელეები ახლავს თან აგრეთვე იმის დაზუსტებას, თუ დაახლოებით როდის უნდა დამკვიდრებულიყო „ჯუართა ყელი" ჩვენთვის საინტერესო უღელტეხილის აღმნიშვნელ სახელწოდებად. მოცემულ საკითხში მართებული ორიენტაციისათვის აუცილებლად გასათვალისწინებელია ერთ-ერთ სპეციალურ გამოკვლევაში გამოთქმული ის მოსაზრება, რომ „...ქვაჯვართა დასაბამი საქართველოში მოქცევის პირველ ხანებს უკავშირდება. ქრისტიანობის გავრცელებისთანავე ჯვარმა მოიკიდა ფეხი. შემდეგში მის ადგილს იჭერს ტაძარი, და რაც საგულისხმოა, სწორედ ჯვრის ტაძარი. ამდენად ჯვრის ტაძარი უშუალო გაგრძელებაა ჯვრისა თუ ქვაჯვარასი"[19].

ვინაიდან აღნიშნული პროცესი საგულვებელია ჯვრის უღელტეხილის მაკრორაიონშიც, ბუნებრივია არსებობს იმ ვარაუდის გამოთქმის ცდუნება, რომ „ჯუართა ყელი" ჯერ კიდევ მაშინ შეიძლებოდა დამკვიდრებულიყო საკვლევი უღელტეხილის სახელწოდებად, როდესაც აქ ქვა-ჯვართა დადგმა მოხდა. მაგრამ ამგვარ ვარაუდს ეწინააღმდეგება ის ფაქტი, რომ საერთოდ ქვა-ჯვრები სხვა გზა-გადასასვლელებზეც იქნა დადგმული, რასაც არ მოჰყოლია მათი სახელდება „ჯუართა ყელად". რამდენადაც საქართველოს სხვადასხვა კომუნიკაციებზე პირველ ქვა-ჯვართა დადგმა დაახლოებით ერთი და იმავე პერიოდის ღონისძიებად უნდა გავიაზროთ, ხოლო ჩვენთვის საინტერესო უღელტეხილის იმ სპეციფიკის გაფორმება, რისთვისაც მან სახელწოდება „ჯუართა ყელის" მიღება დაიმსახურა, მოვლენათა საკმაოდ ხანგრძლივად მსვლელობის შედეგი ჩანს, სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ხსენებული სახელწოდების გადაქცევა არაგვის აუზის მთავარი უღელტეხილის აღმნიშვნელ ტოპონიმად ამ რაიონში პირველ ქვა-ჯვართა დადგმაზე გაცილებით უფრო გვიან უნდა მომხდარიყო, მაგრამ ზუსტად როდის, ამის დადგენა ჯერ-ჯერო-

ბით ვერ ხერხდება. ყოველ შემთხვევაში XIV საუკუნემდე წერილობით წყაროებში ჩვენთვის საინტერესო უღელტეხილზე ცნობას საერთოდ არ ვხვდებით, ხოლო „ძეგლი ერისთავთაში" ის XIII საუკუნის მოვლენებთან კავშირში ფიგურირებს. როგორც აქედან ირკვევა, საკვლევი უღელტეხილის სახელწოდებად „ჯუარის ყელის" დამკვიდრების თარიღი არ ემთხვევა წყაროებში ხსენებული ტოპონიმის პირველად ხსენების (XIV ს.) პერიოდს. თუმცა ეს გარემოება არავითარ შემთხვევაში არ იძლევა აღნიშნული მოვლენების ქრონოლოგიური შეუსაბამობის მასშტაბების ხელოვნურად გაზვიადების უფლებას. ჩვენი აზრით, ჯვართა ყელის სახელწოდების ხმარებაში დანერგვა საკვლევი უღელტეხილის ტოპონიმად დიდი დაგვიანების გარეშე ჰპოვებდა ასახვას წერილობით წყაროებში. არაგვის გზის განსაკუთრებული პოპულარობა ამის ყველა პირობას ქმნიდა, რაც კარგად ჩანს იმავე დარიალის მაგალითზე. წინთქმულიდან გამომდინარე, ჩვენ უფრო იმ აზრისკენ ვიხრებით, რომ სახელწოდება „ჯუართა ყელი" დაახლოებით XII საუკუნეში უნდა გადაქცეულიყო ხსენებული გზა-გადასასვლელის აღმნიშვნელ ტოპონიმად.

მაშასადამე, ზემოთქმულის შეჯამების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სახელწოდება „ჯუართა ყელი" დაკავშირებული ჩანს ამ გზა-გადასასვლელის რაიონში ძველთაგანვე მდებარე ობიექტებთან, რომელნიც სხვადასხვა დანიშნულების შესრულების მიუხედავად ჯვრების ზოგადი სახელწოდებით იყვნენ ცნობილნი. მართალია, ეს უკანასკნელნი საქართველოს არაერთ სხვა გზა-გადასასვლელზეც იდგნენ, მაგრამ კონკრეტულ სახელწოდებად მათ „ჯუართა ყელი" არ დამკვიდრებიათ. ეს ტოპონიმი ლოკალიზებულია მხოლოდ ისტორიული არაგვის გზის უმაღლეს ზონაში, რომელიც თავისი ლოკალური თავისებურებებით (უწინარეს ყოვლისა კი საფორტიფიკაციო და საკულტო ნაგებობების, აგრეთვე საგზაო ნიშნების განსაკუთრებული სიმრავლით) ყველა დანარჩენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზა-გადასასვლელზე უფრო მეტად იმსახურებდა აღნიშნული სახელწოდების მიკუთვნებას, რაც დაახლოებით XII საუკუნეში უნდა მომხდარიყო. მართალია, ჟამთა სიავით მოისპო ბევრი ის ობიექტი, რომელნიც ხსენებული უღელტეხილის რაიონში, ჩვენს ეპოქამდე შემორჩენილ ძეგლებთან ერთად, განსაზღვრავდნენ კიდეც საკვლევი რაიონის განუმეორებელ სპეციფიკას, მაგრამ მიუხედავად ასეთი დანაკლისისა, აქაურობამ ნაწილობრივ მაინც შემოინახა თავისი უძველესი სახელწოდება. ადგილობრივ მოსახლეობაში დღემდე პოპულარულია ტოპონიმი „ჯორთვაკე" (//ჯვართვაკე"). რაც შეეხება წერილობითი წყაროებით ცნობილ ტრადიციულ სახელწოდებას – „ჯუართა ყელი", ის საქართველოში რუსული მმართველობის დამყარების დროიდან თანდათანობით შეიცვალა გამარტივებული ფორმის ტოპონიმით – „ჯვრის უღელტეხილი", რომელიც შემდეგში დატანილ იქნა ქვეყნის თანამედროვე გეოგრაფიულ ატლასზე.

მითითებული ლიტერატურა:

1. **Е. Г. Веиденбаум**, Путеводитель по Кавказу (Военно-Грузинская дорога), Тифлис, 188, с. 296.
2. ძეგლის დადება მეფეთ-მეფის გიორგის მიერ, „ქართული სამართლის ძეგლები", **ი. დოლიძის** რედ., ტ. I, თბილისი, 1963, გვ. 402; ძეგლი ერისთავთა, „ქართული სამართლის ძეგლები", **ი. დოლიძის** რედ., ტ. II, თბილისი, 1965, გვ. 105; ახალი ქართლის ცხოვრება, მეორე ტექსტი, „ქართლის ცხოვრება", **ს. ყაუხჩიშვილის** რედ., ტ. II, თბილისი, 1959, გვ. 443; **ვახუშტი ბაგრატიონი**, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება", **ს. ყაუხჩიშვილის** რედ., ტ. IV, თბილისი, 1973, გვ. 356.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. **А. Н. Андреев**, От Владикавказа до Тифлиса. Военно-Грузинская дорога, тифлис, с. 105-106.
4. **И. А. Арджеванидзе**, Военно-Грузинская дорога, Тбилиси, 1954, с. 194.
5. **В. Долидзе, Р. Шмерлинг**, Военно-Грузинская дорога, Тбилиси, 1956, с.35.
6. **ი. არჯევანიძე**, დასახ. ნაშრომი, გვ. 194.
7. იქვე.
8. იქვე.
9. БСЭ, т. 23, второе издание, М., 1953, с. 353.
10. БСЭ, т. 13, третье издание, М., 1973, с. 395.
11. **Н. Н. Квезерели-Копадзе**, Военно-Грузинская дорога, Тбилиси, 1967, с.98-100.
12. **ვალ. ითონიშვილი**, ჯვრის უღელტეხილის სახელწოდებანი, ჟ. „მაცნე", ისტორიის... სერია, 1974, №1; მისივე, დარიალის გზა საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში. ჯვრის უღელტეხილი. ჟ. „მნათობი", 1983, №9; მისივე, მეგობრობის გზა, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნა", თბილისი, 1983.
13. **ნ. კვეზერელი-კოპაძე**, გზათა მშენებლობა საქართველოში, თბილისი, 1974.
14. **ნ. კვეზერელი-კოპაძე**, დასახ. ნაშრომი, გვ. 135-168.
15. **ვ. თოფურია**, ქვაჯვარანი საქართველოში, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის", ნაკვეთი IV, თბილისი, 1942; **ნ. კვეზერელი-კოპაძე**, დასახ. ნაშრომი, გვ. 143-165.
16. **ვ. თოფურია**, დასახ. ნაშრომი, გვ. 144-163.
17. **ნ. კვეზერელი-კოპაძე**, დასახ. ნაშრომი, გვ. 144-163.
18. **ჯ. გვასალია**, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბილისი, 1983, გვ. 32-48.
19. **ვ. თოფურია**, დასახ. ნაშრომი, გვ. 63.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III. მოსახლეობის სოციალური შემადგენლობა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (მთიულეთი, გუდამაყარი, ხანდო, ჭართალი) გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადების“ მიხედვით*

მონღოლთა ხანგრძლივი ბატონობის შედეგად შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლის მიზნით გიორგი ბრწყინვალემ (1314-1346) საქართველოში არაერთი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება განახორციელა სახელმწიფო პოლიტიკის, ეკონომიკისა და სამხედრო საქმის სფეროში. ამასთან ერთად, აღსანიშნავია მისი რეფორმისტული და საკანონმდებლო მოღვაწეობაც, რითაც გიორგი V მიზნად ისახავდა როგორც საქართველოს ეკონომიკურ მომძლავრებას, ისე შერყეული სამეფო ხელისუფლებისა და კანონიერების განმტკიცებას მთელ სამეფოში, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთ საქართველოს მთაში, რადგან სამეფო ხელისუფლების შესუსტებისას „მთა ლამობდა ბარის მეურვეობისაგან განთავისუფლებას. მთიელთა თემები პირშეთქმით ხოცავდნენ მეფის ადგილობრივ მოხელეებს, ერისთავებს, გამგებლებს“[1].

გიორგი ბრწყინვალემ საჭიროდ სცნო პირადად გასცნობოდა მთაში არსებულ არასახარბიელო მდგომარეობას და შეეცადა სათანადო ღონისძიებები განეხორციელებინა მისი გამოსწორების მიზნით. ამალის თანხლებით მეფე ავიდა მთიულეთში, თავისთან მოიხმო ადგილობრივი მმართველობის წარმომადგენლები (ხევისბერნი, ჰეროვანნი), მათი მეშვეობით შეიტყო რაც მას აინტერესებდა, მთიულეთიდან გადავიდა ხევში, მივიდა დარიალამდე – საქართველოს ჩრდილოეთ საზღვრამდე, იქიდან მობრუნებული მეფე კვლავ მთიულეთში

---

* პირველად დაიბეჭდა ჟ. „მაცნეში“ (ისტორიის სერია...), 1980, №2.

[1] **ნ. ბერძენიშვილი,** საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბ., 1973, გვ. 131.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადმოვიდა, შეჩერდა ლომისის ეკლესიაში, ილოცა, აქედან გადავიდა ქსნის ხეობაში, მისი ჩამოვლით შევიდა მუხრანში, ხოლო იქიდან ჩამოვიდა თბილისში.

მთიანეთში შექმნილი მდგომარეობის ყოველმხრივი შესწავლის შედეგად მეფე დარწმუნდა, რომ უწესრიგობა სუფევდა არა მთელ მთიანეთში, არამედ მის ზოგიერთ კუთხეში (მთიულეთი, გუდამაყარი, ხანდო, ჭართალი). ამიტომ, დედაქალაქში დაბრუნებისას გიორგი ბრწყინვალემ თან წამოიყვანა ადგილობრივი მოხელეები – ერისთავნი, ხევისთავ-ხევისბერნი და ჰეროვანნი და დარბაზის კრებაზე მათი მონაწილეობით გამართა ბჭობა იქ არსებული ვითარების შესახებ. ბჭობის შემდეგ შექმნა სამართლის წიგნი, რომელსაც უწოდა „ძეგლის დადება". ეს ძეგლი შექმნილი უნდა იყოს 1335 წელს[2].

„ძეგლის დადების" შედგენის უმთავრესი მიზანი იყო საქართველოს ფეოდალური სახელმწიფოს გავლენის დამკვიდრება და განმტკიცება მთიულეთში"[3]. ასეთი ღონისძიების საჭიროების მიზეზად მეფეს მიაჩნდა შინააშლილობა მთიანეთში, რის შესახებაც თვით „ძეგლის დადების" შესავალში გარკვევით აღნიშნა: „დიდი უსამართლო და მძლავრებული ქმნილიყო ერთმანეთსა ზედა, და სისხლის მსუბუქობისათჳს ადვილ უჩნდა ერთმანეთის ღალატად დასხმა და დაქცევა ციხეთა, სიკუდილი, ცოლის წაგურა და უბრალოდ დაგდება და მრავალფერნი ულუსობა და ყოლ სამართალი აღარ იყო-ღა"[4].

მდგომარეობის ასეთმა გართულებამ აფიქრებინა სჯულმდებელ მეფეს საგანგებო ღონისძიებათა შემუშავება. „ძეგლის დადების" შესავალში იმის თქმაც, რომ მთიანეთში არაერთი სახის დანაშაული ხდებოდა „სისხლის მსუბუქობისათჳს", იმაზე მიგვანიშნებს, რომ „ძეგლის დადებამდე" არსე-

---

[2] **ი. დოლიძე**, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, თბ., 1957, გვ. 15.
[3] **ი. დოლიძე**, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, გვ. 19.
[4] იქვე, გვ. 103-104 („ძეგლის დადების" ტექსტი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული შედარებით ლმობიერი სჯულმდებლობა („სისხლის მსუბუქობა") ვერ უზრუნველყოფდა მშვიდობიან ცხოვრებას. როგორც ჩანს, მთის მოსახლეობაში ძირითადად სჯულმდებლობის ისეთივე ნორმები უნდა ყოფილიყო მოქმედებაში, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში. ნათქვამთან დაკავშირებით, რაც ფორმულირებულია სტატიაში (**ვახტანგ ითონიშვილი**, მოსახლეობის სოციალური შემადგენლობა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადების" მიხედვით, „მაცნე", 1980 წ., №2, გვ. 63), საჭიროა განიმარტოს: ვინაიდან „სისხლის მსუბუქობაში" იგულისხმება საერთო არეულობის ჟამს არაგვის მთიელთა მიერ სახელმწიფო და მასთან თანაარსებული ხალხური სამართლის ნორმების თითქმის სრული შელახვა და არა არაგვის ხეობაში მოქმედი სახელმწიფო კანონების სირბილე და ლმობიერება. „განაჩენ-დაუდებლობა", ელემენტარული ლოგიკის თანახმად, შეიძლება ნიშნავდეს მხოლოდ არაგვის მთიელთათვის სპეციალურად განკუთვნილი სამართლის წიგნის შეუდგენლობას, რასაც თვით სჯულმდებელი მეფე შემდეგნაირად ხსნიდა: „...ღმრთივ გჳრგჳნოსანთა და სანატრელთა ჩუენთა ჩამომავალთა მეფეთაგან ამად არ გასჩენოდა ძეგლითა გაჩენითა და დადებითა სისხლისა და სხუათა მრავალთა უწესოთა მომრავლებულთა საქმეთა"...[5]

არსებული მდგომარეობის გამო მეფემ საჭიროდ დაინახა „ძეგლის დადების" შექმნა და ვითარების შესაფერისი სამართლებრივი ნორმების დაწესება. სამართლის წიგნის შედგენისას მეფემ გაითვალისწინა ძეგლის მოქმედების ტერიტო-

---

[5] აქ მოცემული განმარტებისა და სამართლის წიგნის შინაარსის ახლებურად გააზრების შესახებ იხ. **ვახტ. ითონიშვილი**, ერთხელ კიდევ „ძეგლის დადების" შედგენის მიზეზისა და მიზნის, სამართლის წიგნის მნიშვნელობისა და მოქმედების ტერიტორიის შესახებ. კრ. „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის", ტ. 23, თბ., 1987, გვ. 45...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიაზე მცხოვრებთა სოციალური განვითარების დონე და ყოფის თავისებურება. ამდენად, „ძეგლის დადების“ შესავალში მოცემული განმარტებიდან ნათლად ჩანს მისი შედგენის მიზეზიც და მიზანიც.

„ძეგლის დადება“ რომ მხოლოდ მთის ზოგიერთი კუთხის მოსახლეობისთვის იყო შედგენილი, ეს კარგად ჩანს სჯულმდებლის მიერ სამართლის წიგნის შესავალში მოცემული განმარტებიდან: „ჯუართა ყელს აქეთ, ჴადა-ცხაოტს, ზანდუკის ჴევს, კიბეთ ქუეშეთ და მენესოს ზემოთ ეს განაჩენი დავდევით“[6]. ამ სასაზღვრო პუნქტებით შემოიფარგლება ძეგლის მოქმედების ტერიტორია – მთიულეთი, გუდამაყარი, ხანდო და ჭართალი.

„ძეგლის დადება“ უმნიშვნელოვანესი წყაროა მთიანეთის შესწავლისათვის. ეს ძეგლი საინტერესო ცნობებს შეიცავს ზემოხსენებული კუთხეების საზღვრებისა და დასახლებული პუნქტების, ეკონომიკური მდგომარეობის, სამართალწარმოების, საოჯახო ყოფის, საქორწინო ურთიერთობის, სამხედრო ვალდებულებისა და მოსახლეობის სოციალური შემადგენლობის შესახებ. მართალია, გიორგი ბრწყინვალის უშუალო მიზანს არ შეადგენდა მოსახლეობის წოდებრივი მდგომარეობის ჩვენება, მაგრამ სამართლის წიგნის ცალკეული მუხლები ამ საკითხებზედაც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის. როდესაც მეფე მთიანეთში გამწესებულ მოხელეებს ასახელებს, ვეცნობით თითოეული მათგანის გვარ-ჩამომავლობასაც. ზოგიერთ შემთხვევაში კი ძეგლში პირდაპირაა ხსენებული ესა და თუ ის სოციალური კატეგორია.

რამდენადაც „ძეგლის დადება“ საკანონმდებლო დოკუმენტია, მასში განსაზღვრულია სასჯელთა ნორმები ამა თუ იმ სახის დანაშაულისათვის. ეს ნორმები დადგენილია სოცია-

---

[6] **ი. დოლიძე**, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, გვ. 15, გვ. 104. („ძეგლის დადების“ ტექსტი).

ლურ-იერარქიული ნიშნის მიხედვით; სამართალში ამ ნორმების ამსახველი მუხლები დალაგებულია დაღმავალი ხაზით – უმაღლესი ფენებიდან უმდაბლესისაკენ. ამის შესაბამისად ნაჩვენებია პირველ რიგში მთიანეთში მყოფი უმაღლესი მოხელის – ერისთავის მოკვლისათვის დაწესებული სასჯელები. ამის შემდეგ თანმიმდევრობითაა განსაზღვრული სასჯელები და მათი აღსრულების პირობები ერისთავზე უფრო დაბალი მდგომარეობის პირთა შესახებ. ამასთან ერთად ვგებულობთ თითოეული მათგანის სოციალურ კუთვნილებასაც, ვინაიდან სასჯელის დაწესების საფუძვლად მეფეს მიაჩნდა არა მარტო პიროვნების თანამდებობა, არამედ მისი გვარიშვილობაც.

„ძეგლის დადებაში“ დაცული თანმიმდევრობის მიხედვით პირველ რიგში შესაძლებელია ვიმსჯელოთ უმაღლესი მოხელის – ერისთავის სოციალური კუთვნილების შესახებ. ამის შესაძლებლობას გვიქმნის სამართლის პირველივე მუხლი, რომელშიც ნათქვამია: „ერისთავის სიკუდილი ვით ეროდეს კადრებულა, აგრე ნუმცა ვისგან იკადრების. და თუ ვის ღმერთი შერისხდეს და შეცოდება აზონ დიდი დაემართოს და მოკლას ერისთავი, ვითა უმსგავსო არის და უსაზომო შეცოდება, აგრეთვე დამეტებული დიდი პატიჟი და გარდაჴდევინება დარბაზით ეკითხოს: გარდახუეწა, მამულის წაღება და სისხლი მის გუარსა ზედა დაიურვოს და გარდაიხუეწოს“.

დამოწმებული მუხლიდან ვგებულობთ, რომ ერისთავს, როგორც მოხელეს, ამ კუთხეში სახელმწიფო სამართალი იცნობდა „ძეგლის დადების“ შედგენამდეც. წარსულში ასეთი მაღალი უფლებების მქონე მოხელის არსებობაზე მიგვითითებს მეფის განაცხადი, რომ „ერისთავის სიკუდილი ვით ეროდეს კადრებულა, აგრე ნუმცა ვისგან იკადრების“-ო. მეფე მის ხელშეუხებლობას აკანონებს ახალ ღონისძიებათა მიღების მომენტშიაც. იგი უსაზღვრო შეცოდებად თვლის ერისთავის მოკვლას და მკვლელის მიმართ მძიმე სასჯელს აწესებს. განაჩენის გამომტან ორგანოს წარმოადგენდა დარბაზი (სამეფო

საბჭო), რომელმაც შეიძლება მკვლელს მიუსაჯოს „გარდახუ-ეწა“ (სამშობლოდან გაძევება), „მამულის წაღება“ (მამულის ჩამორთმევა) და სისხლის დაურვება „მის გუარსა ზედა“ (მკვლელობის საზღაურის გადახდა მოკლულის გვარის ღირსების მიხედვით).

თვით მეფისა და დარბაზის მიერ კუთხის უმაღლეს ხელისუფლად – ერისთავად დანიშნული მოხელის წოდებრივი კუთვნილების შესახებ „ძეგლის დადებაში“ პირდაპირი ჩვენება არ არის. სჯულმდებელს არც მისი სისხლის ფასი აღუნიშნავს. სამაგიეროდ მეფე მას პირველ კაცად ასახელებს და მის მოკვლას უმძიმეს დანაშაულად თვლის. ამიტომ უყოყმანოდ შეიძლება ითქვას, რომ ერისთავად დანიშნული პირი წარჩინებული გვარის წარმომადგენელი იყო. ამის შესაბამისად უნდა ეზღო მკვლელს მისი სისხლი, მაგრამ ერისთავის სისხლის ფასის შესახებაც „ძეგლის დადებაში“ პირდაპირი ცნობა არ გვხვდება. თუმცა ამისი დადგენა ხერხდება 30-ე მუხლის მიხედვით, სადაც განმარტებულია: „ვისიც თორმეტი ათასი თეთრია სისხლის ფასი, მას ერთი უარზანგობა[7] – სამასი თეთრი არის.

აზნაურთა, ჴევისბერთა – ასორმოცდაათი თეთრი არის ერთი უარზანგობა; ჰეროვანთა – ოცდაათი თეთრი“.

ვინაიდან აქ უმაღლესი რანგის მოხელედ და წარჩინებული გვარის წარმომადგენლად მიჩნეული იყო ერისთავი, სისხ-

---

[7] უარზანგობის შესახებ განმარტება მოცემულია ი. დოლიძის ზემოხსენებულ გამოკვლევაში, რაც „ძეგლის დადებას“ მიეძღვნა. „**არზანგი** ანუ **არძანგი** სპარსული სიტყვაა და ნიშნავს ფასს, პატივს, ღირსებას (გვ. 72). ...„ამ ტერმინიდან წარმოიშვა უარზანგობა, რომელიც მხოლოდ გიორგი ბრწყინვალის სამართლის წიგნში იხსენიება. უარზანგობა ქართულ სამართალში ნიშნავს განსაკუთრებულ გადასახადს – **უპატიობის საზღაურს**, ანუ **საუპატიოს**, რომელიც დამნაშავემ უნდა გადაიხადოს დაზარალებულის პატივისა და ღირსების შელახვისათვის... **უარზანგობა სისხლის 1/40 ნაწილს შეადგენს**“ (გვ. 76-77).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის ყველაზე უფრო დიდი საურავი – 12000 თეთრი სწორედ ერისთავის სისხლის ფასი ჩანს.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ითქვას, რომ ბექა მანდატურთუხუცესის სამართლის წიგნში, რომელიც შედგენილია XIII საუკუნის ბოლოს და XIV საუკუნის დამდეგს (1295-1304 წწ.)[8], 12000 თეთრად შეფასებულია დამცრობილი აზნაურის სისხლი, ე. ი. ისეთი აზნაურისა, რომელსაც „ანუ ჟამისაგან მამული დამცრობოდეს, უციხო, უმონასტრო იყოს" (სამართალი ბექასი, მუხლი 3)[9]. ეს მაშინ, როდესაც ბექას სამართლის მეორე მუხლის თანახმად, საპატიო, ტაძრეული, ციხოსან-მონასტროსანი და დიდი მამულის მქონებელი აზნაურის სისხლი ფასობდა 20000 თეთრად, ხოლო იმავე სამართლის პირველი მუხლის მიხედვით, დიდებულის სისხლი ღირდა 40000 თეთრი.

„ძეგლის დადების" მიხედვით, ერისთავის შემდეგ ყველაზე მეტი უფლებების მქონე პირი ჩანს გამგებელი. ამ კუთხის მართვა-გამგეობის საქმეში ის ერისთავს ემორჩილებოდა. ეს რაც შეეხება მის სამსახურებრივ მდგომარეობას, მაგრამ საინტერესოა ვიცოდეთ, თუ გამგებელი რომელი სოციალური წრის წარმომადგენელი იყო. ამაზე გარკვეულ პასუხს ამოვიკითხავთ „ძეგლის დადების" მე-2 და მე-4 მუხლებიდან. მე-2 მუხლში ნათქვამია:

„განმგებელი თუ ქუეყანამან მოკლას, ერთმან სოფელმან, გინა ერთმან პირმან ჴევმან, მსახური იყოს განმგებლად, ექუსი ათასი თეთრი დაიურვოს სისხლთა ფასად და თჳთო კა-

---

[8] **ს. კაკაბაძე**, სჯულმდებელთა ბექას და აღბუღას ვინაობა, ტფ., 1912; **ივ. ჯავახიშვილი**, ქართული სამართლის ისტორია, I, ტფ., 1928, გვ. 107-109; **ი. დოლიძე**, ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953, გვ. 39-40.

[9] ქართული სამართლის ძეგლები, I, თბ., 1963, გვ. 427 (ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო **ი. დოლიძემ**).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცი დაიპიროს სოფლისა და სოფლისა თავადი, და რაზდონიცა კაცი იყოს თავადი, თჳთო გაიპარსოს".

აქვე შეიძლება გავეცნოთ მე-4 მუხლს, სადაც წერია: „და თუ აზნაური იყოს განმგებლად და მოკლან, მის გუარსა ზედა დაიურვონ სისხლი".

მე-2 და მე-4 მუხლებიდან ჩანს, რომ გამგებლად შეიძლება ყოფილიყო როგორც მსახური, ისე აზნაური. მსახური წარჩინებულთა ფენას არ ეკუთვნოდა. თავისი სოციალური მდგომარეობით ის უნდა წარმოვიდგინოთ რიგით მეთემედ, რომელიც თავისი უნარის წყალობით გამგებლად იქნა დანიშნული. ამიტომ გამგებლად მყოფი მსახურის სისხლი შეფასებული იყო არა მისი გვარის ღირსების, არამედ მისი სამსახურებრივი მდგომარეობის მიხედვით. ამიტომ ასეთ შემთხვევაში სჯულმდებელმა არ ჩათვალა საჭიროდ აღენიშნა, რომ „მის გუარსა ზედა დაიურვონ სისხლი". სამაგიეროდ ასეთი ფორმულირებაა მოცემული მე-4 მუხლში, ვინაიდან საქმე ეხება გამგებლის თანამდებობაზე მყოფ აზნაურს. გამგებლის თანამდებობაზე მყოფი მსახურის ან აზნაურის სისხლი 6000 თეთრად იყო შეფასებული. ერთ შემთხვევაში მეფეს გათვალისწინებული ჰქონდა საპატიო თანამდებობა, რის გამო გამგებლად მყოფი მსახურის სისხლიც 6000 თეთრი ღირდა, ხოლო მეორე შემთხვევაში თანამდებობასთან ერთად წოდებრივი მდგომარეობაც. მაშასადამე, გამგებლის თანამდებობაზე შეიძლება დაენიშნათ როგორც მაღალი, ისე დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენელი. პიროვნების გვარჩამომავლობა ამ შემთხვევაში უცილობელი პირობა არ ჩანს, მაგრამ გამგებლად ყოფნა იმდენად საპატიო მდგომარეობას უქმნიდა მსახურს, რომ სისხლით ის აზნაურს უთანაბრდებოდა.

სოციალური მდგომარეობის მიხედვით, ერისთავისა და გამგებლის შემდეგ მოდიოდა ხევისბერი. მაგრამ ამ შემთხვევაშიც განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენდა არა იმდენად გვარიშვილობა, რამდენადაც სამსახურებრივი მდგომარეობა.

„ძეგლის დადების“ სათანადო მუხლების (6, 7, 8, 9, 10) მიხედვით ჩანს, რომ ხევისბერი არ იყო მაღალი წოდების წარმომადგენელი. თუ ძეგლში აღნიშნულია, რომ გამგებლად შეიძლებოდა დაენიშნათ მსახური ან აზნაური, ხევისბერის შესახებ ასეთი განმარტება მოცემული არ არის. ხევისბერად აზნაურის დანიშვნის თაობაზე „ძეგლის დადებაში“ არაფერია ნათქვამი, რაც იმის ნიშანი უნდა იყოს, რომ ასეთ შემთხვევას არც ჰქონია ადგილი. ამ მოვალეობის შემსრულებელი პირები წოდებრივად აზნაურებზე დაბლა იდგნენ, მაგრამ ხევისბერობა იმდენად საპატიო მოვალეობად ითვლებოდა, რომ ამ თანამდებობაზე მყოფი პირის სისხლი, როგორც ეს კარგად ჩანს 30-ე მუხლიდან, აზნაურის სისხლს უტოლდებოდა. ხევისბერის სისხლი გათანაბრებული იყო აგრეთვე გამგებლის სისხლთან, რაც ჩანს მე-8 მუხლიდან: „თუ ქუეყანამან (ე. ი. თემმა, სოფელმა -- ვ. ი.) მოკლას ჴევისბერი, განმგებლის სიკუდილის სწორი პატიჟი, ბეგარი და სისხლი დაეურვოს და დაედვას ბეგარი საუკუნოდ“.

„ძეგლის დადების“ სათანადო მუხლებში ნაჩვენებია ხევისბერის, ან მისი ახლობლების სისხლის ფასი სხვადასხვა შემთხვევასთან დაკავშირებით. მე-6 მუხლის თანახმად, თუ ხევისბერს მოკლავდა ხევისბერი, მკვლელს სამი წლით სამშობლოდან გააძევებდნენ, მთავარ სახლს ერისთავი და გამგებელი სამი წლით დაუგირავებდნენ („თავადი სახლი დაეწინდნენ“) და მამულსაც სამი წლით სახაზინოდ („სასეფეოდ“) გადასცემდნენ. სამი წლის შემდეგ მკვლელი შეწყალებას სთხოვდა ერისთავსა და გამგებელს, ისინი ვეზირებთან უშუამდგომლებდნენ, შემდეგ ვეზირები დარბაზს სთხოვდნენ, რათა ხევისბერის მკვლელ ხევისბერს „მამული ჴელთ უბოძონ და სისხლთა ფასად ექუსი ათასი თეთრი დაუურვოს“.

ის გარემოება, რომ ხევისბერის სისხლის საურავი განსაზღვრული იყო ხელისუფლებაში მისი ადგილის მიხედვით, ამაზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს მე-7 და მე-9 მუხლი. მე-

7 მუხლის თანახმად, ვინც ხევისბერის ოჯახის წევრს (მამას, ბიძას, ძმას, ბიძაშვილს, ძმისწულს) მოკლავდა, მას ასევე 6000 თეთრის გადახდა ევალებოდა. მასვე ორი წლით გაძევება და სახლისა და მამულის დაგირავება უწევდა.

განსხვავებული სურათი ჩანს მე-9 მუხლში ხევისბერისაგან გამოყოფილი ასეთივე ახლო ნათესავების მიმართ. თუ ხევისბერთან ერთად, ერთ ოჯახში აღარ ცხოვრობდა მისი რომელიმე ახლობელთაგანი („თუ ძმაც იყოს ანუ სხუა რა გინდა რა მეყჳსი იყოს"...), მის მკვლელს უწევდა სისხლის ფასად 3000 თეთრის გადახდა, ორი წლით სამშობლოდან გაძევება და მამულის სახაზინოდ გადაცემა (დაგირავება).

მე-7 და მე-9 მუხლების შედარება გვიჩვენებს, რომ ხევისბერის ოჯახის წევრის სისხლი ორჯერ მეტად ფასობდა, ვიდრე ოჯახიდან გამოყოფილი პირისა. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ ჰქონდა ხევისბერთან მათ სისხლით ნათესაობას, რადგან ხევისბერის მამის, ძმის, ბიძაშვილის ან ძმისწულის სისხლი 6000 თეთრად იყო შეფასებული, თუ ისინი ხევისბერთან ერთად ცხოვრობდნენ, ხოლო რომელიმე მათგანი თუ ცალკე გამოიყოფოდა, მისი სისხლის ფასიც განახევრდებოდა.

ხევისბერის ოჯახის წევრებისა და მისი განაყოფების სისხლის საურავის უთანასწორობის საფუძვლად გიორგი ბრწყინვალე „ძეგლის დადების" მე-10 მუხლში მიიჩნევს იმას, „რომ ჴევისბერს დარბაზით ლაშქართ თავადობა ჰბოძებია". ამის მიხედვით, კანონმდებელი უპირატესობას ანიჭებდა ამ საპატიო პირთან ერთად მცხოვრებთ, მისი ოჯახის წევრებს, ვიდრე განაყოფ, მისგან ცალკე მცხოვრებ ახლობლებს.

ზემოთ განხილული მუხლების მიხედვით გამოჩნდა, რომ ხევისბერობა საპატიო თანამდებობა იყო. წოდებრივი მდგომარეობით ხევისბერი დიდგვაროვანთა წრის წარმომადგენელი არ ჩანს, მაგრამ იმის შემდეგ, რაც დარბაზი რომელიმე რიგით მეთემეს ლაშქართ თავადობას (ლაშქრის მეთაურობას, თავკაცობას) უბოძებდა, მისი ოჯახი და ახლობლებიც თემში

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარკვეულ პრივილეგიას აღწევდნენ. ამაზე მეტყველებს როგორ ხევისბერის ოჯახის წევრების, ისე მისი განაყოფების სისხლის ფასი, რაც, როგორც ქვემოთ გამოჩნდება, ბევრად აღემატებოდა მოსახლეობის ძირითადი მასის წარმომადგენელთა სისხლის ფასს.

ხევისბერის გვარის ავტორიტეტი რაკი გაზრდილი იყო, მეფეს მიაჩნდა, რომ გადაყენებული ხევისბერის შემდეგ ხევისბერობა ებოძებინათ იმავე გვარის წევრისათვის. ეს ჩანს „ძეგლის დადების“ მე-5 მუხლიდან. აქ აღნიშნულის თანახმად, ხევისბერს რომ გამგებელი მოეკლა, მკვლელს სხვა სახის სასჯელთან ერთად ხევისბერობასაც ჩამოართმევდნენ. იქვე განმარტებულია, რომ გადაყენებული ხევისბერის ნაცვლად ხევისბერობა ჰბოძებოდა იმავე გვარის კაცს, თუკი ის გამგებლის მკვლელობაში არ იყო მონაწილე. „და თუ არავინ იყოს მისი სახლის კაცი, ვინც ერისთავმან და ახალმან განმგებელმან გამოარჩიონ ერთი კაცი, – მეფის ერთგული იყოს და ქუეყანასაც უჯობდეს, – იგი დააყენონ დარბაზით ჴევისბერად“ (მუხლი მე-5).

ვინაიდან სჯულმდებელს მიაჩნდა, რომ ახალი ხევისბერის შერჩევა პირველ რიგში გადაყენებული ხევისბერის გვარიდანვე მომხდარიყო, ხევისბერობა გარკვეულ სოციალურ პრივილეგიას წარმოადგენდა. იმ შემთხვევაში კი, თუ გამგებლის მკვლელი ხევისბერის გვარიდან ხევისბერობის ღირსად ცნობილი პირი არ აღმოჩნდებოდა, სოციალურ პრივილეგიას შეიძენდა ახალი ხევისბერის ოჯახი და გვარჩამომავლობა.

ხევისბერის შემდეგ განსაზღვრულია ჰეროვანის სისხლის საურავი. მე-11 მუხლის ძალით, ჰეროვანი რომ ჰეროვანს მოეკლა, მკვლელს მოკლულის ოჯახისათვის 1200 თეთრს ახდევინებდნენ, სამი წლით აძევებდნენ და მამულს სასეფეოდ (სახაზინოდ) გადასცემდნენ. სასჯელის მოხდის შემდეგ ჰეროვანს ერისთავი და გამგებელი მამულს უკან უბრუნებდნენ ან დარბაზის განაჩენით (თუ კი ამ ჰეროვანს დარბაზი ღირსად სცნობდა, რომ მისი საკითხი განეხილა), ან უშუალოდ თავიან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი გადაწყვეტილებით. მე-12 მუხლის მიხედვით, „თუ ჴევისბერმან მოკლას ჰეროვანი მამულის ნდომისათჳს, ერთს წელიწადს მამულისაგან განიძოს“, მაგრამ თუ ხევისბერს ჰეროვანი ფათერაკით (შემთხვევით) შემოაკვდებოდა, მკვლელი ისჯებოდა მე-11 მუხლის მიხედვით.

სამართლის წიგნის შესავალშიც ჰეროვანნი ხევისბერებთან ერთად იხსენიებიან, როგორც საპატიო პირები. მეფე წერს: „წარვედით ტახტით ჩუენით ქალაქით და შევედით სასახლესა ჩუენსა ჟინვანსა და მუნით მივედით ჴადა-ცხაოტს და მოვასხენით ყოველნი მუნებურნი ჴევისბერნი და ჰეროვანნი და გავიგონეთ მათნი საქმენი, დავსხედით მათსა სასაქმოსა“[10].

აქედან ჩანს, რომ ჴადა-ცხაოტში (მთიულეთში) და მის მეზობელ თემებში თავკაცობდნენ ხევისბერები და ჰეროვანნი, რომლებსაც მეფე ეთათბირებოდა შექმნილი მდგომარეობის შესწავლის მიზნით. ამის შემდეგაც, როდესაც მეფე სამართლის წიგნის შედგენას შეუდგა, მან სხვა მოხელეებთან ერთად მთის თემებიდან ჰეროვანნიც მოიწვია, რასაც გვამცნობს შესავლის შემდეგი ადგილი: „შემოვედით ქალაქსა და შემოვიტანეთ თემისა და თემის ერისთავნი და ჴევისთავნი[11] და ჴევისბერნი და ჰეროვანნი“[12].

ეჭვის შეტანა არ შეიძლება იმაში, რომ ჰეროვანნი მმართველ წრეს ეკუთვნოდნენ და საპატიო პირებად ითვლებოდნენ. ეს უკვე იმის ნიშანი იყო, რომ ისინი რიგითი მასიდან რა-

---

[10] **ი. დოლიძე**, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, გვ. 103 („ძეგლის დადების“ ტექსტი).

[11] ჴევისთავი „ძეგლის დადების“ არც ერთ მუხლში არ იხსენიება. სამართლის წიგნის შესავალში კი მეფე დარბაზში სათათბიროდ მოწვეულთა შორის გამგებელს არ ასახელებს. ხომ არ არის საფიქრებელი, რომ ჴევისთავი იგივე გამგებელი იყო. თუ ეს დასაშვებია, მაშინ გამოვა, რომ ერთი და იგივე მოხელეს სჯულმდებელი ორი სხვადასხვა სახელით იხსენიებს.

[12] **ი. დოლიძე,** გიორგი ბრწყინვალის სამართალი, გვ. 100 („ძეგლის დადების“ ტექსტი).

ღაცა პრივილეგიებით გამოირჩეოდნენ, მაგრამ მათი სოციალური მდგომარეობის გარკვევამდე უმჯობესად მიგვაჩნია გავეცნოთ სხვათა სისხლის საურავსაც. პირველ რიგში შეიძლება ჩავიხედოთ მე-13 მუხლში, რომელშიც განსაზღვრულია ციხისთავის სისხლის საურავი. აქ ნათქვამის მიხედვით ძეგლის მოქმედების ტერიტორიაზე სულ ორი ციხისთავი ყოფილა და ორივე მათგანი ჴადას მჯდარა. ეს ალბათ იმით აიხსნება, რომ ჴადას თემში ბევრი ციხეები და კოშკები იდგა და საიმედოდ იყო გამაგრებული. ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია ვახუშტი ბაგრატიონს, რომლის ცნობით „არაგუს გაღმა, არს დაბა ჴადა, მაღალს კლდესა ზედა, მოზღუდვილი კლდითავე. მის ჩდილოთ არს **ციკარა**, ადგილი კლდოვანი და ჲ კოშკოვანი“[13]. დაბა ხადა და ციკარა, სადაც ვახუშტის ჲ (60) კოშკი აღურიცხავს, ხადას თემს ეკუთვნოდა[14].

„ძეგლის დადების“ მე-3 მუხლის მიხედვით აქ მეფის ბრძანებით დანიშნული ციხისთავის სისხლი შეფასებულია 3500 თეთრად. ამასთან ერთად მკვლელს სამი წლით აძევებდ-

---

[13] **ვახუშტი**, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 355.

[14] საყურადღებოა, რომ ციხისთავის სისხლის საურავზე მსჯელობისას მეფე საგანგებოდ გამოყოფს ციხე-კოშკებით გამაგრებულ ხადის თემს, როგორც ციხისთავთა ადგილსამყოფელს. როგორც ჩანს, სხვა თემებში, სადაც მეფე მდგომარეობას აწესრიგებდა, ციხისთავები არ მჯდარან. ეს კიდევ ერთი საბუთია იმისა, რომ „ძეგლის დადება“ გათვალისწინებული იყო იმ კუთხეებისათვის, სადაც უწესრიგობას ჰქონდა ადგილი. მთიულეთ-გუდამაყრისა და ხანდო-ჭართლის გარდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვა კუთხეებშიც რომ არეულობა ყოფილიყო, მეფე არ შემოიფარგლებოდა მარტოოდენ ხადელი ციხისთავების სისხლის ფასის დადგენით. იგი შეეხებოდა სხვა კუთხეებსაც, პირველ რიგში კი დაასახელებდა დარიალის სიმაგრეს და განსაზღვრავდა მისი ციხისთავის სისხლის საურავს, ვინაიდან დარიალს ბევრად უფრო დიდი თავდაცვითი მნიშვნელობა ენიჭებოდა სამეფოს ჩრდილოეთ ზოლში, ვიდრე ხადას ან ნებისმიერ სხვა გამაგრებულ ადგილს.

ნენ და მამულსაც მხოლოდ ამ სასჯელების მოხდის შემდეგ დაუბრუნებდნენ.

ესოდენ მაღალი სისხლის საურავი განსაზღვრული იყო ციხისთავის სამსახურებრივი მდგომარეობით. მასზე გაცილებით ნაკლები ღირდა ყოფილი ციხისთავის, ან ციხისთავად მყოფი პირის ძმისა და შვილის სისხლი, რის შესახებაც მე-4 მუხლში ვკითხულობთ: „თუ უციხისთაო ჴადელი კაცი მოკლას ვინმე, თუ ციხისთავადაც დგომილიყოს, დაეგდოს და აღარ იყოს ციხისთავად, ჰეროვანის სისხლი დაეურვოს და მამულისაგან განეძოს ეზომსა ხანსა, ვითა ზემოთ ჰეროვანისათჳს გაგჳჩენია; იმავე წესით შემოუშვას [მუხ. 11].

და თუ ციხისთავის ძმა ანუ შვილი ვინმე მოკლას, ჰეროვანის სისხლით დაიურვოს“.

ციხისთავის სისხლის შეფასებაში თითქმის ისეთივე საფუძველია გამონახული, როგორც ხევისბერის სისხლის დაურვებაში. ორივე შემთხვევაში მთავარი მნიშვნელობა მინიჭებული აქვს თანამდებობას, მაგრამ შეინიშნება პრინციპული ხასიათის განსხვავებაც. თუ ხევისბერის სისხლთან გათანაბრებულია მისი ოჯახის წევრთა სისხლი, ციხისთავისა და თვით შვილის სისხლის ფასი სხვადასხვაა. პირადად ციხისთავის სისხლი მანამდეა დიდი ღირებულებისა, ვიდრე ის ციხისთავად ზის. იმ დროს, როცა მისი სისხლის ფასია 3500 თეთრი, მასთან მცხოვრები მისი შვილის სისხლის ფასია 1200 თეთრი, ე. ი. იმდენი, რამდენიც ჰეროვანისა. ეს გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ხევისბერობა უფრო საპატიო თანამდებობა იყო, ვიდრე ციხისთაობა. ხევისბერობა უკვე პრივილეგიის ისეთ სახეობას წარმოადგენდა, რომ თვით ხევისბერისა და მისი ოჯახის წევრის სისხლის ფასი აზნაურის სისხლის ფასთან იყო გათანაბრებული.

ზემოთ განხილულ ყველა მუხლში სჯულმდებელი ეხება სხვადასხვა რანგის მოხელეთა სისხლის საურავსა და სოციალურ მდგომარეობას. სისხლის ფასის მიხედვით იგი გამო-

ყოფს აგრეთვე მთიულეთის მცხოვრებთა ერთ ნაწილს – ლომისის გლეხებს, რომლებიც ლომისის ეკლესიის (მდებარეობს ქსან-არაგვის ხეობათა გამყოფ მთაზე) სახელზე შეუწირავთ მეფეებს ან სხვა პირებს. ამის შესახებ 41-ე მუხლში ნათქვამია: „ლომისისა ვინც გლეხი მოკლას, თუ მეფეთაგან შეწირულია, გინა სხუათა ვისგანმე, ათას ხუთასი თეთრი დაეურვოს".

სისხლის საურავის მიხედვით აშკარად ჩანს, რომ ლომისის გლეხები რიგით მეთემეებს შორის გამორჩეულნი არიან. უფრო მეტიც, ლომისის გლეხის სისხლი 300 თეთრით ჭარბობს ჰეროვანის სისხლს. ეს გარემოება ახსნას მოითხოვს, ვინაიდან ჰეროვანნი იმდენად საპატიო პირებად ითვლებოდნენ, რომ მეფემ ისინი დარბაზის კარზე სათათბიროდაც კი მიიწვია. ესოდენ საპატიო მოვალეობის შესრულებაში არსად არ იხსენიება ლომისის გლეხი, თუმცაღა მისი სისხლის საზღაური უფრო მეტია, ვიდრე ჰეროვანისა.

აღნიშნული ვითარება იმითი უნდა აიხსნებოდეს, რომ ლომისის გლეხებს სამეფო ხელისუფლება და ეკლესია სხვა სახის საპატიო მოვალეობას აკისრებდა. მართალია, ისინი ადგილობრივი ხელისუფლების რიგებში არ ჩანან, მაგრამ სამეფო ხელისუფლება არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდა ეკლესიისადმი სამსახურსაც. სამეფო ხელისუფლება იცავდა ეკლესია-მონასტრების პრივილეგიებს, რაც საფუძვლად დაედო ლომისის გლეხთათვის მაღალი სასისხლო საურავის დაწესებას. როგორც ჩანს, ლომისის ეკლესიის გლეხები დაახლოებით ისეთივე მოვალეობის შემსრულებელნი უნდა ყოფილიყვნენ, როგორც გერგეტელი (ხევის) საყდრიშვილები. ამგვარი შედარების საფუძველს ვხედავთ იმაში, რომ საყდრიშვილთა მოვალეობას შეადგენდა ეკლესიისადმი სამსახური, რითაც ისინი რიგით მეთემეებზე მაღლა იდგნენ. აღნიშნული ვითარება კარგად ჩანს მთიულეთ-გუდამაყრის მეზობელი კუთხის – ხევის ისტორიიდან. ხევში საყდრიშვილებად ითვლებოდნენ სოფ. გერგეტის მცხოვრებნი, რომლებსაც დაკისრებული

ჰქონდათ სამების ეკლესიისადმი[15] სამსახური[16]. ამის გამო გერ-
გეტელი კაცის სისხლი სამჯერ მეტად ფასობდა რიგითი მეთე-
მის სისხლთან შედარებით. ეს პრივილეგია გერგეტლებს მინი-
ჭებული ჰქონდათ სასისხლო სიგელით, რამაც ჩვენამდე ვერ მო-
აღწია. სამაგიეროდ ბაგრატ V-ემ (1360-1393) გერგეტლებს სი-
გელი განუახლა, ეს საბუთი დაზიანებულია, მაგრამ ვინაიდან
გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს საყდრიშვილთა სასისხლო
საურავის შესახებ, მას აქ სრული სახით დავიმოწმებ:

„ქ:ჩუენ:ღვთივ: გუირგინოსანმან:
მეფეთა:მეფემან:ბაგრატ:ესე:მტკიცე:
უქცეველი:ბ˜ბა:და:სიგელი:ამისად: ნიშნად:
გიბოძეთ:თქუენ:გერგეტელთა:საყდარი:შვილთა:
წმინდისა: სამებისა:მოსამსახურეთა:
საყდარი:შვილობა:ასრე:და:ამა: პირსა:ზედა:და:
რომე:თუ:ვისმე:თქუენი:განი:კაცი:შე
/მოა/კუდეს:სამ სისხლად:აზღუევინეთ:ამისთ
უის:რომე:ძუელი:სიგელიცა:გქონ
და:და:ჩუენთა:გუართა:დაემტკ: იცნეს
ვნახენით:სიგელი:და:გავსინჯეთ:
და:დიდი:სისხლი:ეწერა:თქუენი:
ჩუენცა:ახლად:დაგიმტკიცეთ:ასრე:
და ამა: პირსა ზედან:რომე: ვინცა: თქ
უენის: ადგილისა: გურგეტელი:კაცი
მოკლას:რა გუ...[17]

სიგელი გვიჩვენებს, რომ გერგეტელთა სისხლის ფასი
განსაზღვრული იყო საყდრიშვილობით, ეკლესიისადმი სამსა-

---

[15] გერგეტის სამება – ერთადერთი გუმბათიანი ეკლესია ხევში – აშენებულია XIV ს-ის 30-იან წწ. (**თ. სანიკიძე**, გერგეტი, თბ., 1975).

[16] **ქ. შარაშიძე**, საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVIII სს.), „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. 30, თბ., 1954, გვ. 245-257; 271-273; 285-288.

[17] **ს. მაკალათია**, ხევი, ტფ., 1934, გვ. 228.

ხურით. ანალოგიური მდგომარეობა შეინიშნება „ძეგლის დადების“ 41-ე მუხლის მიხედვითაც, რომლის თანახმად ლომისის გლეხის მაღალი სასისხლო საურავის დადგენის საფუძველი იყო ლომისის ეკლესიისადმი კუთვნილება. მაშასადამე, ლომისის გლეხი სოციალური მდგომარეობით იყო გლეხი, მაგრამ რაკი ის ეკლესიას ემსახურებოდა და სამეფო ხელისუფლებას ეს სჭირდებოდა, თემში ლომისის გლეხის პრივილეგიაც გაიზარდა.

ვითარების ასეთნაირად შეფასების საფუძველზე უნდა ვიფიქროთ, რომ არც ჰეროვანი იყო სოციალურად აღზევებული გვარის წევრი. თავისი სოციალური წარმოშობითა და მდგომარეობით ჰეროვანი ჩანს რიგითი მეთემე, რომელიც კარგად იცნობდა ადგილობრივ ადათ-წესებს და თავისი სიდარბაისლით გამოირჩეოდა. მეფე ამიტომ თათბირობდა მათთან და მათ სისხლის ფასიც ამიტომ დაუდგინა. ი. დოლიძე ამის შესახებ სამართლიანად წერს: „ჰეროვანნი ერის, ხალხის წარმომადგენლები, ხევის სოფლებისა და თემების თავკაცები, ხალხისაგან (სოფლიონთაგან) გამორჩეული პირები იყვნენ, რომლებიც თუმცა უბრალო, მდაბიო ხალხისაგან განსხვავდებოდნენ, მაგრამ პრივილეგიურ, წარჩინებულ ჯგუფს არ შეადგენდნენ“[18]. ჩვენი მხრიდან ამას დაუმატებთ შემდეგს: მართლაც ყოვლად შეუძლებელია ჰეროვანი სოციალურად გამორჩეული ყოფილიყო იქ, სადაც ეკლესიის სახელზე შეწირული გლეხის სისხლი მისას 300 თეთრით სჭარბობდა.

მთის მოსახლეობის ძირითად მასას შეადგენდნენ რიგითი მეთემეები, რომელთაც სჯულმდებელმა უწოდა **სოფლიონი**. მათი სისხლის ფასზე „ძეგლის დადებაში“ ცნობა არ არის დაცული. უნდა ვიფიქროთ, რომ სოფლიონის სისხლის ფასი ნაკლები იყო ლომისის გლეხის სისხლზე. შესაძლებელია სისხლის ფასით შეუმჩნეველი განსხვავება არსებობდა სოფლი-

---

[18] **ი. დოლიძე**, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, გვ. 85.

ონსა და ჰეროვანს შორის. ამას გვაფიქრებინებს მე-19 მუხლი, რომელიც აწესებს სასჯელს ლაშქრობაში დაკლებულთა მიმართ. ამ მუხლის ძალით, ასეთ პირს „ერთს წელიწადს არ შეენდოს და მამული დაეჭიროს სასეფეოდ, და თჳთო ჴარი წაეგუაროს სასეფეოდ, და მეორეს წელიწადს მამული ისევ ებოძოს ერისთავისა და განმგებლისაგან საურავითა“. იქვე, შენიშნულია: „ესე ჰეროვანისა და სოფლიონისა იყოს”. ასეთი ფორმულირება ჰეროვანისა და სოფლიონის სოციალური გათანაბრების მანიშნებელი ჩანს.

გიორგი ბრწყინვალის სამართალზე დაკვირვება გვაფიქრებინებს, რომ თვით სოფლიონიც ერთმანეთისაგან რამდენადმე განსხვავებულ მდგომარეობაში უნდა ყოფილიყვნენ ან პიროვნების დამსახურების წყალობით ან გვარის ავტორიტეტის მიხედვით. მაგალითად, მე-2 მუხლში ხსენებული „სოფლისა და სოფლის თავადნი“, სოფლის თავკაცს უნდა ნიშნავდეს. სოფლის თავკაცობის მიღწევის საფუძველი უნდა ყოფილიყო თავის გამოჩენა თემში, რაც შეუმჩნეველი არ რჩებოდა ადგილობრივ ხელისუფლებას. ამდენად, შესაძლებელია, რომ ის სისხლის ფასით უფრო მეტი ყოფილიყო იმ მეთემეზე, რომელიც თავკაცობით არ გამოირჩეოდა. ასეთი ვარაუდის შესაძლებლობას გვაძლევს ბექას სამართლის მე-11 მუხლი, სადაც წერია: „გლეხის სისხლი ოთხასი თეთრი იყოს. მაგრამ თუ კაცმან კაცს ასეთი ყმა მოუკლას, რომე პატრონნი იცნობდნენ სიკეთეზედა, მისიცა ათასი თეთრი იყოს“.

ვინაიდან ყმა გლეხის სისხლის ფასი მერყეობდა მისი დამსახურების შესაბამისად, საფიქრებელია, რომ მთიულეთ-გუდამაყარში რიგით მეთემეებს შორისაც ამ მხრივ გარკვეულ უთანაბრობას ჰქონდა ადგილი პიროვნების ღირსების მიხედვით.

გიორგი ბრწყინვალეს ყურადღება მიუქცევია გვარის ავტორიტეტისთვისაც. მაგალითად, 26-ე მუხლში ნათქვამია: „ციხის დაქცევისთჳს დაიურვონ ნახევარი სისხლი, რასაც გუარისა არის და რასაც გუარის ციხის პატრონი იყოს, მისსა გუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსა ზედა". საყურადღებოა აგრეთვე მე-17 მუხლი, რომელშიც განსაზღვრულია ძმის მკვლელის სასჯელი და იქვე განმარტებულია: „რასაც რამ გუარისა იყოს, იმ წესით სისხლი დაეურვოს".

დამოწმებულ მუხლებში მოცემული განმარტებები გვარის მიხედვით სისხლის საურავის შესახებ მარტოოდენ სოციალურად გამიჯნული გვარების ურთიერთობას არ ეხება. გვარის ღირსების მიხედვით სისხლის საურავის განსაზღვრისას სჯულმდებელს მხედველობაში უნდა ჰქონოდა ღირსებით მეტ-ნაკლებობა თვით ერთი და იგივე სოციალური კატეგორიის გვარებს შორის. რიგით მეთემეებს შორისაც ყველა გვარი თანაბარი ავტორიტეტით როდი სარგებლობდა. ჰეროვანის მაგალითზე გამოჩნდა, რომ ამ მდგომარეობაში იგულისხმებოდნენ სიდარბაისლით ცნობილი რიგითი მეთემეები. თემის წევრებს შორის განსხვავება შეინიშნებოდა გვარების დამსახურებით თემის წინაშე. თვით მთიანეთში ასეთი ვითარება გამოირკვა ეთნოგრაფიული შესწავლის შედეგადაც. რ. ხარაძეს აღნიშნული აქვს, რომ მთიულეთში ზოგიერთი რიგითი მეთემე ცდილობდა თემში სხვაზე მეტი უფლებების მოპოვებას[19]. ამდენად, სჯულმდებლის განმარტება, რომ „რასაც რამ გუარისა იყოს, იმ წესით სისხლი დაეურვოს", ეხება სოფლიონსაც, ვინაიდან ამ კატეგორიის მოსახლეობაშიც მეტ-ნაკლებობას ჰქონდა ადგილი.

„ძეგლის დადების" ცალკეული მუხლების განხილვის შედეგად გამოჩნდა, რომ XIV ს-ში მთიულეთ-გუდამაყრისა და ხანდო-ჭართლის მოსახლეობა სოციალურად ერთფეროვანი არ იყო. სამართლის წიგნში ხსენებულთა შორის იყვნენ როგორც სხვადასხვა სოციალური კატეგორიის წარმომადგენლები, ისე სოფლიონთა (რიგით მეთემეთა) წრიდან პირადი

---

[19] **რ.ხარაძე, ალ. რობაქიძე**, მთიულეთის სოფელი ძველად, თბ., 1965, გვ. 58-59.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამსახურებით დაწინაურებული პირები. მათ შორის მხოლოდ ერისთავი ჩანს წარჩინებული გვარის წარმომადგენელი, ვინაიდან მისი სისხლი 12000 თეთრად ფასობდა. მის შემდეგ მოდიოდა გამგებლად მყოფი აზნაური ან მსახური 6000 თეთრად შეფასებული სასისხლო საურავით, მაგრამ სჯულმდებელმა რაკი დაუშვა, რომ გამგებლად ყოფილიყო მსახურიც, ეს გვაფიქრებინებს ამ კუთხეში აზნაურთა სიმცირეს ან უყოლობას. რაც შეეხება დანარჩენ მოხელეებს (ხევისბერი, ციხისთავი, ჰეროვანი), ისინი სოციალურად აღზევებულ გვარებს არ ეკუთვნოდნენ, სოფლიონთა (რიგით მეთემეთა) წრიდან წინაურდებოდნენ და სისხლის საურავის გადიდებას პირადი დამსახურებით აღწევდნენ. სავარაუდოა, რომ ასეთ ვითარებაში ერისთავიც მეფის მიერ მოყვანილი დიდგვაროვანი ყოფილიყო და არა ადგილობრივი მკვიდრი.

მოსახლეობის სოციალური შემადგენლობის დადგენისათვის საყურადღებოა ის ფაქტი, რომ საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით საკვლევ რეგიონში აღზევებული გვარის სასისხლო საურავი მცირეა. ამაში გვარწმუნებს თვით „ძეგლის დადებისა" და ბექას სამართლის შედარება. სისხლის საურავის მიხედვით „ძეგლის დადებაში" უმაღლესი რანგისა და წოდების წარმომადგენლად დასახელებული ერისთავი გათანაბრებულია ბექას სამართალში ხსენებულ დამცრობილ აზნაურთან, მაშინ, როდესაც ბექას სამართლის მიხედვით დიდებულის სისხლი 40000 თეთრად ფასობდა. სისხლის საურავის ასეთი სხვაობა საქართველოს სხვადასხვა კუთხის ორ წარჩინებულ პირს შორის, რასაც გვიჩვენებს თითქმის ერთი ეპოქის ორი სხვადასხვა სამართლის წიგნი, იმითი უნდა აიხსნებოდეს, რომ საქართველოს ყველა კუთხეში თანაბარ დონეზე არ განვითარებულა სოციალური დიფერენციაცია. ამ მხრივ აშკარა სხვაობას ჰქონდა ადგილი საქართველოს სხვადასხვა რეგიონებს შორის, რაც აღიარებულია ქართულ ისტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიოგრაფიაში[20]. მეცნიერებაში დამკვიდრებული ამ თვალსაზ-რისის ერთ-ერთი დამადასტურებელი წყაროა გიორგი V-ის სამართალი, რომლის განხილვის საფუძველზე შეიძლება და-ვასკვნათ, რომ XIV ს-ში მთის მოსახლეობის შიგნით სოცია-ლური დიფერენციაცია ისე გაღრმავებული არ ყოფილა, რო-გორც ეს იყო საქართველოს სხვა რეგიონებში.

---

[20] **გ. მელიქიშვილი**, ქართველ მთიელთა სოციალურ-ეკონომიკური წყობილების დახასიათებისათვის, „მაცნე" (ისტორიის... სერია), 1979, №1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV. მთიულეთის და გუდამაყარის მოსახლეობის სოციალური შემადგენლობა XVIII სში (მონაცემები ძეგლისა – „განჩინება ბარისა და მთიურთა ადგილთა")*

მთიულეთის და გუდამაყრის მოსახლეობის სოციალურ შემადგენლობაზე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნიან სხვადასხვა დროის წერილობითი წყაროები, სპეციალური ლიტერატურის მონაცემები და ეთნოგრაფიული მასალები. მათი ყოველმხრივი ანალიზი, მართალია, იმის შესაძლებლობას არ იძლევა, რომ მთიულეთ-გუდამაყრის მოსახლეობის სოციალურ სტრუქტურას გავეცნოთ დროის ყველა მონაკვეთის მიხედვით, მაგრამ ზოგიერთი ეპოქის საზოგადოებრივი ცხოვრების ამსახველი სურათის მეტ-ნაკლები სისრულით წარმოჩენა მაინც ხერხდება. ამ მხრივ წერილობითი წყაროებიდან საყურადღებოა XVIII ს-ის საკანონმდებლო ძეგლი „განჩინება ბარისა და მთიურთა ადგილთა", რომელიც შედგენილია 1776-1782 წწ-ში არაგვის საუფლისწულოს გამგებლების ლევან და ვახტანგ ბატონიშვილების მიერ[1].

---

* პირველად დაიბეჭდა კრებულში – „ქართველი ხალხის ტრადიციული სამეურნეო და სულიერი კულტურა", თბ., 1987.

[1] ლევან ბატონიშვილი 1776-1781 წწ. განაგებდა საუფლისწულოს. მან სწორედ ამ პერიოდში შეადგინა „განჩინება მთიურთა ადგილთა", რომელიც არაგვის საუფლისწულოს მთის მოსახლეობისათვის იყო განკუთვნილი და 1782 წლამდე მოქმედებდა მთის თემებში. ლევანის გარდაცვალების შემდეგ 1802 წლამდე არაგვის საუფლისწულოს ვახტანგ (ალმასხან) ბატონიშვილი მართავდა. მან 1782 წელს განაახლა თავისი ძმის „ლეონისაგან მთებში დადებული განჩინება", ცალკეული დამატებები ჩაურთო ძეგლს და თავის მხრივ შეადგინა „განჩინება ბარისა". ამის შემდეგ აღნიშნული განჩინებები სამართლის ერთ წიგნად იქნა შეკრული, რომელსაც ეწოდა „განჩინება ბარისა და მთიურთა ადგილთა". ეს საკანონმდებლო ძეგლი არაგვის ხეობის მოსახლეობაში მოქმედებდა 1802 წლის 2 აგვისტომდე, როცა საუფლისწულო მთავრობის უწყებაში გადავიდა (იხ. **ი. ფუტკარაძე**, ქართველ მთიელთა სამართლის ისტორიისათვის, თბ., 1964).

ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს „განჩინების" პირველი ნაწილი („განჩინება მთიურთა"), რომელიც უშუალოდ შეეხება არაგვის საუფლისწულოს მთიანეთის მოსახლეობას[2] და რომლის ძირითად მიზანს შეადგენდა სწორედ „მთიურთა ადგილთა" მცხოვრებლებში შემორჩენილი თემური ყოფისა და ტრადიციების გადმონაშთების აღმოფხვრა[3].

როგორც „განჩინების" სათანადო მუხლების (მე-9, მე-10, მე-11) ანალიზი გვიჩვენებს, XVIII ს-ის II ნახევარში არაგვის ხეობა ცენტრალური ხელისუფლების მტკიცე კონტროლს ექვემდებარებოდა და საუფლისწულო ტერიტორიას წარმოადგენდა, სადაც საადგილმამულო ურთიერთობებს არაგვის უფლისწული აწესრიგებდა[4].

სამართლის ძეგლების მიხედვით მოსახლეობის სოციალური კატეგორიებიდან შეიძლება გამოვყოთ **ბატონიშვილის ყმა, საყდრის ყმა, სახასო კაცი და მსახური.** საყდრის ყმა და ბატონიშვილის ყმა იხსენიება კანონმდებლობის მე-10 მუხლში („ნურცავინ ჩვენი ყმა საყდრის მამულს იყიდის და ნურც საყდრის ყმა ჩვენის ყმის მამულს")[5], რაც იმას ნიშნავს, რომ არაგვის ხეობის მთის თემებში სახელმწიფო გლეხებთან ერთად ცხოვრობდნენ საეკლესიო გლეხებიც. რაც შეეხება განჩინებაში ხსენებულ სახასო კაცს, იგი ასევე სახელმწიფო გლეხად უნდა წარმოვიდგინოთ, რომელსაც უფლისწული პატრონობდა. ეს უკანასკნელი სამართლის ძეგლის მე-13

---

[2] ი. ფუტკარაძის აზრით, „მთიურთა ადგილთა განჩინება" შედგენილი იყო ხევის, თრუსოს, ზახის, ხადის, გარეშემოს, მრევლის, ცხაოტის, გუდამაყრის, ხანდოს და ჭართლის მოსახლეობისათვის" (**ი. ფუტკარაძე**, დასახ. ნაშრომი, გვ. 45).

[3] **ი. ფუტკარაძე**, დასახ. ნაშრომი, გვ. 36.

[4] „განჩინება ბარისა და მთიურთა ადგილთა 1782 წ.", ქართული სამართლის ძეგლები (ქვემოთ ყველგან ქსძ), ტ. II, **ი. დოლიძის** რედ., თბ., 1965, გვ. 452.

[5] იქვე, გვ. 452.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლში საგანგებოდ აფრთხილებდა აზნაურიშვილთ, რომ სახასო კაცის მამულის ყიდვის თაობაზე მას მოლაპარაკებოდნენ და დასტური მისგან მიეღოთ[6].

საერთოდ, XIV-XVIII სს-ის წერილობითი წყაროების (პირველ რიგში ჩვენ მხედველობაში გვაქვს „ძეგლის დადება") მიხედვით ირკვევა, რომ მსახური აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში სამეფო ხელისუფლების სამსახურში მყოფი კაცი იყო, რომელიც „ბეგარას" „მსახურობით" უხდიდა თავის პატრონს და ამით განსხვავდებოდა „მებეგრე გლეხებისაგან"[7]. ანალოგიურ ვითარებასთან გვაქვს საქმე „განჩინებაშიც", რომელშიც მსახური წარმოგვიდგება ბატონიშვილის მიწაზე მიმაგრებულ და მის სამსახურში ჩაბმულ პირად, რომელსაც ამის „სანუქფოთ" მამული ეძლეოდა. ამის შესახებ განჩინების მე-11 მუხლში გარკვევითაა ნათქვამი: „მსახური თავის მამულს ვერ გაჰყიდის, ამიტომ, რომ ის მამული, ჩვენის სამსახურის სანუქფოთა აქვს მიცემული"[8].

„განჩინების" მონაცემებზე დაკვირვება გვაფიქრებინებს, რომ სწორედ მსახურთა სოციალურ კატეგორიას ეკუთვნოდნენ სამართლის ძეგლში მოხსენიებული სოფლის მოხელე და იასაული, რომელთა შესახებ სათანადო ცნობებს ვხვდებით კანონმდებლობის მე-5, მე-6, მე-9 და მე-14 მუხლებში.

მე-5 მუხლში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ „... თუ ჩვენის ბრძანების წინააღმდეგი შეიქნას კაცი ვინმე, ის კაცი, რომელსაც სოფლისა იყოს, იმ თავისმა სოფლის კაცმა და იმისმა მოჯელემ უნდა დაიჭიროს და დაჭერილი ჩვენთან უნდა მოიყვანონ"[9]. მე-6 მუხლში კი ვკითხულობთ: „თუ რომელიმე კაცი, ჩვენის ბრძანების წინააღმდეგი, იმ თავისს სოფელში აღარ

---

[6] ქსძ, ტ. II, თბ., 1965, გვ. 452.

[7] **დ. გვრიტიშვილი**, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 187.

[8] ქსძ, ტ. II, თბ., 1965, გვ. 452.

[9] იქვე, გვ. 451.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყოს და სხვას სოფელში მივიდეს, ის თუ იმ სოფლის კაცთ და მოწელემ არ დაგვიჭირა, იმ კაცის მაგიერ იმათ გარდავაწდევინებთ"[10].

როგორც ამ მუხლების გაცნობა გვარწმუნებს, უფლისწულს ყოველ სოფელში გამწესებული ჰყავდა თავისი მოხელე, როგორც მისი დავალების აღმსრულებელი და პასუხისმგებელი პირი მომხდარი დანაშაულის გამო. მოხელე ასეთივე მოვალების შემსრულებელ პირად ფიგურირებს „განჩინების" მე-9 მუხლში, რომლის თანახმად „... თუ რომელსამე სოფელში კაცი ამოსწყდეს, ან შვილი, ან ძმა არ დარჩეს, იმისს მამულს ნურავინ დაიჭერს, თუ უნდა გაყრილი ძმაც რომ ჰყვანდეს.

მანამდისინ ჩვენ არ მოგვახსენოს, მანამდის ის მამული ისევ ბეითალმანად უნდა იდვას, მოწელე მოვიდეს, მოგვახსენოს, და როგორც ჩვენ უბძანოთ, იმ მამულის საქმე ისე უნდა აღსრულდეს"[11].

დამოწმებული მუხლიდან კარგად ჩანს, რომ მოხელის ფუნქციებში შედიოდა ცენტრალური ხელისუფლების საქმის კურსში ჩაყენება ადგილზე შექმნილი ვითარების შესახებ და უფლისწულთა ბრძანების შესაბამისად სოფელში ამა თუ იმ ღონისძიების გატარება. მაგრამ განჩინებაში წარმოდგენილი მოხელის სამსახურის რიგის და მისი სოციალური კუთვნილების უფრო რელიეფურად წარმოსაჩენად მიზანშეწონილად მიგვაჩნია მთიულთ მოხელეების მიერ ლეონ ბატონიშვილისადმი გაგზავნილი არზის (1778 წ.) გაცნობა, რომელშიც ვკითხულობთ:

„ღმერთმან ბედნიერის ჴელმწიფის ძის ლეონის ჭირი მოსცეს ერთობ მთიულთ მოხელეებს.

მერე ამას მოვახსენებთ ჩვენს მოწყალეს: ვალი გვაძევს ღმრთის ბრძანებით, რომ ყოველის საქმით თქვენს სამსახურს

---

[10] ქსძ, ტ. II, თბ., 1965, გვ. 451.
[11] იქვე, გვ. 452.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა გარდვიხდიდეთ. მაგრამ უბრალოთ წამსვლელ-მომსვ-ლელი ყველა ჩვენ გვაწუხებს თქვენი ოქმისა და ბრძანების მქონელიცა და სხვა თავის საქმეზე წამსვლელი კაციცა. ჩვენ კი წიგნი არ ვიცით, რომ წავიკითხოთ რაც სწერია, იმ რიგათ მოვექცნეთ. თუ არადა, ვინც ერთს უბრალოს წიგნს გამოა-ჩენს, ყველა თქვენი ოქმი და ბრძანება გვგონია. ქვეყანა მე-ტად შეწუხდა ამგვარის საქმეებით.

ამ მოწყალებას გევედრებით, რომ ამისთანას ძალისა და ზაბუთისაგან ცოტა შეღავათი დაგვემართოს, რომ არცარა-ვინ თქვენ გაწუხებდესთ და არც ხალხი შეწუხდებოდეს. ერთი ასეთი გზა და ბინა მოგვეცით, რომ ქვენი სამსახურიც აღს-რულდებოდეს და ჩვენც გაგვეძლებოდეს...".

დამოწმებულ დოკუმენტს ახლავს ბატონიშვილის რე-ზოლუცია:

„ბატონისშვილი ლეონ გიბრძანებ ამ არზის პატრონო! დღეის იქით როგორც ჩვენი ოქმი და ბრძანება მოგივიდესთ, ისე მოიქეცი. ნურცარას მოუმატებთ ჩვენს ბრძანებასა და ნურც დააკლებთ..."[12].

როგორც მოტანილი დოკუმენტიდან ჩანს, „მთიულთ მო-ხელეების" უმთავრეს ფუნქციას შეადგენდა ბატონიშვილის ოქმის და ბრძანების ადგილზე გატარება და ამდენად ცენტ-რალური ხელისუფლების გავლენის შემდგომი განმტკიცება მთის თემებში. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოე-ბას, რომ მათზე დაკისრებული საპასუხისმგებლო „სამსახუ-რის აღსრულებას" რამდენადმე ართულებდა მათი „უწიგნუ-რობა", სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ მთიულე-თის მოხელეებად დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენ-ლები ინიშნებოდნენ, კერძოდ, ადგილობრივი მოსახლეობიდან დაწინაურებული პირები. სწორედ ამ უკანასკნელთა რიგები-

---

[12] არზა მთიულთ მოხელეებისა ლეონ ბატონიშვილის ოქმით, 1778 წ. 14 ივნისი, ქსძ, ტ. VII, თბ., 1981, გვ. 411.

დან ღებულობდა შევსებას ჩვენთვის საინტერესო მთის კუთხეების (მთიულეთი, გუდამაყარი) სამოხელეო აპარატი, რაშიც თვალნათლივ ვრწმუნდებით XVIII ს-ის საისტორიო საბუთების მონაცემების[13] თანმიმდევრული გაცნობის პროცესში. ვითარების ასეთნაირად შეფასების საფუძველზე „განჩინებაში" მოხსენიებული სოფლის მოხელე რიგითი მოსახლეობიდან გამოსულ, შედარებით პრივილეგირებულ მეთემედ უნდა ვიგულოთ, რომელიც ცენტრალური ხელისუფლების სამსახურში „ერთგულად გარჯის სანუფქოთ" გარკვეულ სახელოზე (ნაცვლად ან მამასახლისად) იყო გამწესებული. ამდენად, მოხელე უნდა მივაკუთვნოთ მსახური გლეხის სოციალურ კატეგორიას, ისევე როგორც „განჩინებაში" მოხსენიებული იასაული, რომელსაც მე-14 მუხლის თანახმად სასამართლოში დაბარებული კაცის მოყვანა ევალებოდა[14].

საერთოდ, სამართლის ძეგლების მონაცემებზე დაკვირვება ცხადყოფს იმ ფაქტს, რომ არაგვის საუფლისწულოს მთის რეგიორში ფეოდალური ურთიერთობის განმტკიცებას

---

[13] იხ. 1732 წ. იანვრის 20-ის პირობის წიგნი მიცემული ერთობით მთის კაცთა მიერ ოთარ ამილახვარის შვილისადმი, „დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან", **ნ. ბერძენიშვილის** რედ., I, თბ., 1940, გვ. 233; 1733 г. мая 14 Б. М. Письма старшин горных провинций Гудамакари, Мтиулети, Кистетии, Тагаури и Хеви к царю Вахтангу VI, с изявлением своей верноподданности, "Документы по взаймоотношениям Грузии с Северным Кавказом в XVIII в.», ред. **В. Н. Гамрекели**, Тб., 1968, с. 122-123; განჩინება აფციაურებისა და მათი სახლიკაცების მამულის საქმეზე. 1758 წ. 27 აგვისტო, ქსძ, ტ. IV, თბ., 1965, გვ. 466-467; მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში, **ე. თაყაიშვილის** გამოცემა, ტფ., 1907, გვ. 428-472; **ივ. ჯავახიშვილი**, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წიგნი I, დემოგრაფიული ძეგლები, აღმოსავლეთ საქართველოს XVIII ს. ხალხის აღწერის დავთრები, თბ., 1967, გვ. 105-119; **თ. ენუქიძე**, მასალები XVIII ს-ის 80-იანი წლების ქართლის სამეფოს მდივნის სამოხელეო სარგოს შესახებ, ჟ. „მაცნე" (ისტორიის... სერია), 1981, №3, გვ. 138-147.

[14] განჩინება ბარისა და მთიურთა ადგილთა 1782 წ., ქსძ, II, გვ. 452.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მოსახლეობის სოციალური დიფერენციაციის გაღრმავებას ხელს უშლიდა მთაში შემორჩენილი თემური ინსტიტუტების საკმაოდ აქტიური ფუნქციონირება, რომელთა აღმოფხვრას ისახავდა მიზნად სწორედ „განჩინება". თქმულის საილუსტრაციოდ გამოდგება სამართლის ძეგლის პირველივე მუხლი, რომელიც კრძალავს სისხლის აღების ჩვეულებას და მტკიცედ მოითხოვს სახელმწიფო სამართლის წესით მკვლელის გასამართლებას. ამავე მუხლში საგანგებოდ არის აღნიშნული, რომ „უჩვენოდ იმასთან (ე. ი. მკვლელთან, ვ. ი.) საქმის გასარიგებლად ბჭეებიც ნუ დაუსხდებიან, თორემ ბჭეებსაც დიდად ავად მოვეპყრობითო"[15]. ამგვარი ფორმულირება იმაზე მიგვანიშნებს, რომ მთაში სისხლის სამართლის საქმეების გარიგებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ბჭეები, რომელნიც სოფლის მოსამართლეებს წარმოადგენდნენ და სასისხლო საქმეების გადაწყვეტისას ადათობრივი სამართლის ნორმებით ხელმძღვანელობდნენ[16]. ამდენად, ჩვენ აქ საქმე გვაქვს ბჭეობის ინსტიტუტთან მთაში, როგორც თემური წყობილების ერთ-ერთ გადმონაშთთან, რომლის წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლას აწარმოებდა ცენტრალური ხელისუფლება. ეს უკანასკნელი ყველა ღონეს ხმარობდა იმისათვის, რომ

---

[15] განჩინება ბარისა და მთიურთა ადგილთა 1782 წ., ქსძ, II, გვ. 450.

[16] **ნ. ხიზანაშვილი**, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940; **ბ. ნიჟარაძე**, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I, თბ., 1962; **ალ. ყაზბეგი**, თხზ., ტ. V, თბ., 1950; **რ. ხარაძე**, ხევსურული რჯული, „ანალები", I, თბ., 1947; **მისივე**, ხევსურული ანდრეზი – ხალხური სამართლის წყარო, „მიმომხილველი", II, თბ., 1951; **მისივე**, სახალხო მმართველობის სისტემა სვანეთში, „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის", VI, თბ., 1953; **მისივე**, თემური მმართველობის გადმონაშთები ხევში, „ისტორიის ინსტიტუტის შრომები", ტ. IV, ნაკვ. 2, თბ., 1959; **ვ. ბარდაველიძე**, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. I, ფშავი, თბ., 1974; **მ. კეკელია**, სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ, წიგნი II, თბ., 1981 და სხვ.

მთის თემებში შეძლებისდაგვარად დაემკვიდრებინა სახელმწიფო სამართლის ნორმები, რაც მთის რეგიონში სახელმწიფო ხელისუფლების შემდგომი განმტკიცების გარანტიას ქმნიდა. ამასთან ერთად, სახელმწიფოს ინტერესებთან შეუთავსებელი იყო არაგვის ხეობის მთის მოსახლეობისა და წილკნის ეპისკოპოსს შორის არსებული წინააღმდეგობა, რომლის მოწესრიგებას ეთმობა განჩინების სპეციალური (მე-7) მუხლი. მასში კანონმდებელი აღნიშნავს: „რომელიც რომ ამ ქვეყნისათვის ეპისკოპოსად დადგინებული წილკნელი ბრძანდებოდეს და იმ ეპისკოპოსმა სულიერი კანონი გიბძანოსთ და მართლის ქრისტეანობის წესი და რიგი გამცნოსთ და დაგარიგოსთ და თქვენ იმაზედ არ დაემორჩილნეთ და არ დაუჯეროთ და ეს ჩვენ შეგიტყევით, ამას დიდად მოგკითხავთ და ჩვენად შეცოდებად და მუხანათად გარდაგაჴდევინებთ"[17].

თავისთავად ცხადია, რომ იქ სადაც ჯერ კიდევ დღის წესრიგში დგას გვაროვნული ყოფის გადმონაშთების აღმოფხვრის და მოსახლეობის „კეთილად გარჯულვის" საკითხი, ფეოდალური ურთიერთობის განვითარების მაღალ დონეზე და, ამდენად, მოსახლეობის სოციალური დიფერენციაციის ინტენსიურ ხასიათზე მსჯელობაც ობიექტურ საფუძველსაა მოკლებული. ამის მტკიცების საჭიროება არც ჩანს, იმდენად, რამდენადაც „განჩინებაში" რელიეფურად არის ასახული „თემური წყობილების ძლიერ გადმონაშთებსა და ფეოდალიზმს

---

[17] „განჩინება", ქსძ, II, გვ. 451. ჩვენ ხელთ არსებული საისტორიო წყაროების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მთიელები არასდროს ბოლომდე არ მორჩილებდნენ „ქრისტიანობის წესს და რიგს", რის გამოც მათი „კეთილად გარჯულვის" პრობლემა დღენიადაგ ქართული სახელმწიფოს განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში იდგა. ამ მხრივ მეტად ნიშანდობლივია „1669 წლის წილკნელის ღმრთისმშობლის სამწყსოს სიგელი" (ქსძ, ტ. III, თბ., 1970, გვ. 558-560) და 1743 წ. „სამწყსოს განახლების სიგელი ერეკლე II-ისა წილკნელ ქრისტეფორესადმი" (ქსძ, II, თბ., 1965, გვ. 396-397).

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორის წარმოებული ბრძოლა, რომელიც როგორც ცნობილია, მთაში არ შეწყვეტილა საქართველოში ფეოდალიზმის არსებობის ხანგრძლივი ისტორიის მთელ მანძილზე. კანონმდებელი ცდილობდა აღმოეფხვრა გაბატონებული კლასისათვის არასასურველი გადმონაშთები გვაროვნული საზოგადოებისა და ხელი შეეწყო ფეოდალური წესწყობილების დამკვიდრებისა და განმტკიცებისათვის"[18]. აღნიშნული ვითარების გათვალისწინების საფუძველზე, ვფიქრობთ, ადვილი ახსნა მოეძებნება იმ ფაქტს, რომ „განჩინება" ისევე როგორც XVIII ს-ის სხვა საისტორიო დოკუმენტები, არაფერს გვეუბნება „მთიურთა ადგილთა" მოსახლეობის წარჩინებულთა ფენის არსებობის შესახებ, რაც კიდევ ერთი მოწმობაა იმისა, რომ არაგვის ხეობის მთიანეთის (ჭართალი, ხანდო, მთიულეთი, გუდამაყარი, ხევი) მოსახლეობა სოციალური დიფერენციაციის დონით მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა აღმოსავლეთ საქართველოს ბარის მოსახლეობას.

---

[18] **ი. ფუტკარაძე**, დასახ. ნაშრომი, გვ. 3.

V. მთიულეთ-გუდამაყრის მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა XVIII საუკუნეში (მოსახლეობის აღწერის მონაცემები)*

მთიულეთ-გუდამაყრის მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა, მიუხედავად მისი განსაკუთრებული მნიშვნელობისა ქართველ მთიელთა სოციალურ-ეკონომიკური წყობილებისა და საზოგადოებრივი ყოფის კვლევაში, დღემდე სათანადოდ შესწავლილი არ არის. ამ ხარვეზის შევსებას ითვალისწინებს XIV-XVIII სს. მონაცემების გამომზეურება მონოგრაფიული კვლევის დონეზე, რომლის ერთ ნაწილსაც ამ სტატიაში მიმოვიხილავთ. ამჯერად შევეხებით XVIII ს-ის ზოგიერთ წყაროს, რომელიც გვაცნობს მთიულეთის და გუდამაყრის მოსახლეობის სოციალურ შემადგენლობას საქართველო-რუსეთის გაცხოველებული ურთიერთობის ეპოქაში. ეს იყო 1783 წელს ტრაქტატის გაფორმების საუკუნე, როდესაც განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებდნენ ქართველი მთიელებით დასახლებული კუთხეები (ჭართალი, ხანდო, გუდამაყარი, მთიულეთი, ხევი) და მათზე გამავალი არაგვის გზა, რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ საქართველოს სამხედრო გზად სახელდებული მაგისტრალი.

არსებული წყაროების მიხედვით, მთიულეთი (ხადა-ცხაოტი) და გუდამაყარი, საქართველოს მთიანეთის სხვა კუთხეებთან ერთად, სოციალური განვითარების დონით ყოველთვის ჩამორჩებოდა საქართველოს ბარის რაიონებს. ამას ნათლად გვიჩვენებს გიორგი ბრწყინვალის (1314-1346) „ძეგლის დადება", მომდევნო დროის წყაროები და ეთნოგრაფიული მონაცემები. ამ მხრივ XVIII საუკუნე გამონაკლისს არ წარმოადგენს. დროის ამ მონაკვეთში, როდესაც მთიულეთი და გუდამაყარი ჯერ არაგვის საერისთავოს, ხოლო მისი გაუქმების

---

* პირველად დაიბეჭდა ჟ. „მაცნეში" (ისტორიის... სერია), 1983, №4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროიდან (1743 წ.) საუფლისწულოს შემადგენლობაში შედიოდა, აღნიშნული კუთხეების მოსახლეობა გაცილებით უფრო სუსტად იყო დიფერენცირებული, ვიდრე არაგვის ხეობის ბარის ზოლის მოსახლეობა, რომლის განსახლების ტერიტორია ანანურის ქვემოთ ლოკალიზდებოდა[1]. თქმულის საილუსტრაციოდ გამოდგება XVIII ს-ის უკლებლივ ყველა საისტორიო საბუთი, რომელთაგან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს არაგვის ხეობის მთის ზოლის მოსახლეობის 1774 წლის აღწერა – ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყარო XVIII ს-ის მთიულეთის და გუდამაყრის მოსახლეობის სოციალური სტრუქტურის შესწავლისათვის.

არაგვის ხეობის მოსახლეობის 1774 წლის აღწერა ჩატარდა ერეკლე მეორის ბრძანებით და მის მთავარ მიზანს შეადგენდა იმის დადგენა, „თუ რამდენი მეომრის გამოყვანა შეიძლებოდა ომიანობის დროს კომლიდან და რამდენ მეკომურს ედვა სახელმწიფო გადასახადი“[2].

აღწერიდან ირკვევა, რომ XVIII ს-ის II ნახევარში არაგვის საუფლისწულო ადმინისტრაციულად დაყოფილი იყო სამოურავოებად, რომელთა მართვა-გამგეობას ანხორციელებდნენ მეფის მიერ ადგილზე დანიშნული არაგვის მოურავები: ზანდუკელი გოგია ოტიასშვილი, კობიაშვილი საამი, კობიაშვილი გრიგოლი, ნადიბაიძე შიო, ღუდუშაური მარტია, ღუდუშაური თომა ფირანისშვილი, შაბურიშვილი იოთამ ბოქაულთ-უხუ-

---

[1] წერილობითი წყაროების და ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით არაგვის ხეობის მთისა და ბარის ზოლის გამმიჯნავ პუნქტად ანანური წარმოგვიდგება: იხ.: „წილკნელის სამწყსოს სიგელი (1669 წ.)“, ქართული სამართლის ძეგლები (ქვემოთ ყველგან ქსძ), **ი. დოლიძის** რედ. ტ. III, თბ., 1970, გვ. 559; **დ. გვრიტიშვილი**, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 89.

[2] **ე. თაყაიშვილი**, წინასიტყვაობა წიგნისა – მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში... ტფ., 1907, გვ. IX.

ცესი, შაბურიშვილი ფირანი, ჭილასშვილი ბაბანა, ჩოფიკაშვილი ყაზიბეგი, ჩქარეული აღდგომლიშვილი იასე. მათ გარდა, 1774 წლის აღწერაში მოიხსენიებიან აგრეთვე არაგვის ხეობის მებატონეები: არაგვის ერისთავი[3], ყარანგოზიშვილი ადამი და ჩრდილელი ოთარასშვილი, რომელნიც აღწერის მონაცემების მიხედვით სხვადასხვა რაოდენობის სახელოს (ყმა-მამულის) მფლობელებად წარმოგვიდგებიან ხევში და მთიულეთში (ხადა, ცხავატი, მრევლი გარეშემო).

როგორც აღწერიდან ჩანს, მთიულეთის და გუდამაყრის მოურავებად მეფეს დანიშნული ჰყავდა შესაბამისად საამ და გრიგოლ კობიაშვილები, რომელნიც წვრილ მფლობელ აზნაურთა კატეგორიას ეკუთვნოდნენ და ცხადია, მეფის ყმებად ითვლებოდნენ. მართალია, ისინი აღნიშნულ კუთხეებში მოურავებად იყვნენ გამწესებულნი, მაგრამ დაბალ საერისთავოში ცხოვრობდნენ, ისევე, როგორც არაგვის საერისთავოს სხვა ცნობილი აზნაურული სახლები (მაგ. ყარანგოზიშვილები, შაბურიშვილები და სხვ.), რის გამოც მთიულეთ-გუდამაყრის მოსახლეობის სოციალური შემადგენლობის გარკვევისას მხედველობაში არ მიიღებიან.

---

[3] ცხადია, უფრო მართებული იქნებოდა, რომ აღმწერებს „არაგვის ერისთავის" მაგივრად ეხმარათ გამოთქმა „არაგვის უფლისწული", ვინაიდან 1774-1775 წწ-ში არაგვის საუფლისწულოს გიორგი ბატონიშვილი განაგებდა. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა აღინიშნოს, რომ არაგვის საერისთავოს გაუქმებისა (1743) და საუფლისწულოდ გადაქცევის შემდეგაც, როგორც ჩანს, ძველი ტრადიციის ძალით, ყოფილი არაგვის საერისთავოს მმართველები (მაგ. ჯიმშერ ჩოლოყაშვილი, ვახტანგ ბატონიშვილი) საბუთებში კვლავ არაგვის ერისთავის ტიტულით ფიგურირებდნენ, ხოლო სახელწოდება – „არაგვის საერისთავო" არ შეცვლილა სახელწოდებით – „არაგვის საუფლისწულო" (იხ. **დ. გვრიტიშვილი**, დასახელებული ნაშრომი, ი. **ფუტკარაძე**, ქართველ მთიელთა სამართლის ისტორიისათვის, თბ., 1964; **ზ. ხიდურელი**, არაგვის საერისთავო XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, კრ., „საქართველოს მთიანეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი ფეოდალიზმის ხანაში", თბ., 1983).

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღწერის მონაცემების თანმიმდევრულად გაცნობას იმ აზრამდე მივყავართ, რომ XVIII ს-ის II ნახევარში მთიულეთის და გუდამაყრის მოსახლეობა სოციალურად საკმაოდ ერთფეროვანი იყო და ძირითადად შედგებოდა **მემკვიდრე** გლეხებისაგან. მათ გარდა აღწერაში ვეცნობით გლეხთა ისეთ კატეგორიებსაც, როგორიცაა **მსახური, ბოგანო** და **ხიზანი**[4]. მათი რაოდენობის დადგენა ადვილად ხერხდება, ვინაიდან ყოველი სოფლის სრულწლოვან მამაკაცთა ჩამოთვლისას ბოლოში დაჯამებულია სოფელში მოსახლე გლეხთა რიცხვი და მინიშნებულია, თუ რამდენი იყო მათ შორის მემკვიდრე (მემკვიდრის ობოლი), ბოგანო, ხიზანი თუ მსახური. ამასთან ერთად, აღწერაში აღნიშნულია ცალკეულ პირთა მდგომარეობა მათი საქმიანობის რიგის მიხედვით. ამის შესაბამისად მთიულეთში და გუდამაყარში დგინდება 5 ნაცვლის, 9 მღვდლის, 2 მეჯინიბის და 3 ფარეშის არსებობა[5].

1774 წლის აღწერიდან ირკვევა, რომ მთიულეთში ნაცვლის მოვალეობას ასრულებდნენ ადგილობრივი მოსახლეობიდან დაწინაურებული პირები: ნაზღაიძე ჯანუყას შვილი ბერი (მცხოვრები სოფ. ზემო მლეთაში) ბურდული ხუცასშვილი ივანე (სოფ. არახვეთი), ნადიბაიძე ნადიბაიძის შვილი ბერი (სოფ. ნადიბაიძიანთ-კარი) და ამირიძე ნასყიდას შვილი ხოსრო (სოფ. ამირთ-კარი). რაც შეეხება გუდამაყრის თემს, აქ ნაცვლის სახელოს ფლობდა სოფ. დუმაცხოში მცხოვრები აფციაური გიორგის შვილი გივი.

ისტორიული წყაროებისა და ეთნოგრაფიული მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მთიანეთში ნაცვლის თანამდე-

---

[4] აღნიშნული ტერმინები მთიულურსა და გუდამაყრულ ლექსიკაში არ გვხვდება: 1974 წლის აღწერაში, როგორც სახელმწიფო დოკუმენტში, მათი ხმარება შეესატყვისება ოფიციალურ ფეოდალურ ნომენკლატურას.

[5] მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში, ... გვ. 428-473.

ბობაზე გლეხი ინიშნებოდა, მაგრამ არა ყველა გლეხი, არამედ ის, ვინც განსაკუთრებით გამოიჩენდა თავს სამეფო კარის „ერთგულად სამსახურსა შინა". შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ 1774 წლის აღწერის მიხედვით ნაცვალის თანამდებობაზე დანიშნული პირები სწორედ იმ გვარების წარმომადგენლებია, რომელნიც იმთავითვე აქტიურად ჩაებნენ ცენტრალური ხელისუფლების (უფრო ადრე კი არაგვის ერისთავთა) სამსახურში და ამის „სანუფქოთ" მათ მეფისაგან სხვადასხვა წყალობა მიიღეს. ამ მხრივ მეტად ნიშანდობლივია ერეკლე II-ის მიერ მთიულ შიო ნაზღაიძისადმი მიცემული ჯამაგირის წყალობის წიგნი (1752 წ.), რომელშიც ვკითხულობთ: „ჩვენ პატრონმა ერეკლემ ეს წყალობის ჯამაგირის წიგნი გიბოძეთ შენ ჩვენს თავდადებით დიდად ერთგულსა და ნამსახურსა მთიულს ნაზღაიძეს შიოს. ასე რომ ერთგულად დიახ ბევრჯელ კარგათ გაისარჯე, გვემსახურე და გვაამე. ამდენს სამსახურითა და ერთგულობის სანუფქოთ სხვას წყალობას გარდა მუდამ წელიწადს ორი თუმანი ჯამაგირი გაგვიჩენია. ყოველ წელიწადს ჩვენს კარზე მოხვიდოდე და ჩვენის მოხელეების ხელით ორი თუმანი თეთრი სარქვლიდან მოგეცემოდეს. ეს ჩვენი წყალობაა..."[6].

მოტანილი საბუთიდან არ ჩანს, თუ კონკრეტულად რას გულისხმობდა ერეკლე ამ „სხვას წყალობაში", მაგრამ, ჩვენი აზრით, მეფეს აქ უწინარეს ყოვლისა მხედველობაში უნდა ჰქონოდა თავისი ერთგული ყმისთვის ნაცვლობის, ან სხვა რამ სახელოს ბოძება. როგორც ჩანს, მეფისაგან მიღებულ ასეთსავე წყალობას უნდა უმადლოდენ თავის სამსახურებრივ დაწინაურებას 1774 წლის აღწერაში მოხსენიებული სხვა გვარების (ბურდულები, ნადიბაიძეები, ამირიძეები, აფციაურები)

---

[6] ჯამაგირის დანიშვნის წიგნი მიცემული ერეკლე მეფის მიერ მთიულ შიო ნაზღაიძისათვის, აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი Ad-2225[2] (1752 VII უმ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმომადგენლებიც, რომელნიც მითულეთის და გუდამაყრის სამოხელეო შემადგენლობაში აღირიცხებიან. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა აღინიშნოს, რომ XVIII ს-ში საკვლევ რეგიონში შეინიშნებოდა ცალკეული საგვარეულოების გავლენის და ავტორიტეტის ზრდის ტენდენცია, რომლის გამომხატველად უნდა ჩაითვალოს ის საგულისხმო ფაქტი, რომ მთიულეთ-გუდამაყარში გამწესებულ ადგილობრივ მოხელეთა შორის ძირითადად ერთი და იგივე გვარების წარმომადგენლები ფიგურირებენ. როგორც 1774 წლის აღწერიდან ირკვევა, მთიულეთში ნაცვლის სახელოს ნაზლაიძის, ამირიძის, ნადიბაიძისა და ბურდულის გვარებიდან გამოსული პირები ფლობდნენ, მაშინ როდესაც გუდამაყარში იმავე თანამდებობაზე აფციაურები ისხდნენ. ანალოგიური ვითარება დგინდება XVIII ს-ის უფრო ადრინდელი საბუთების მიხედვითაც[7], რომელთა გაცნობა ძალაუნებურად გვაფიქრებინებს, რომ მთიულეთის და გუდამაყრის თემებში სწორედ აღნიშნული გვარები თაოსნობდნენ. საკითხის ამგვარად დაყენება მოითხოვს იმ ობიექტური ვითარების გათვალისწინებას, რომ საკვლევ რეგიონში ამა თუ იმ საგვარეულოს გავლენის გაზრდის და თემის თავკაცობის მიღწევის უცილობელ პირობას წარმოადგენდა ერთი მხრივ თემის წინაშე პირადი დამსახურება, მეორე მხრივ კი ბატონის (ვგულისხმობთ მეფეს) სამსახურში დაწინაურება და სახელოს მფლობელობა. ამ ორი განმსაზღვრელი ფაქტორის მოქმედების ძალით მთიულეთ-გუდამაყარში ყველა საგვარეულო თანაბარი გავლენით და ავტორიტეტით არ სარგებლობდა, რაც კარგად ჩანს ზემოთ დასახელებული გვარების, პირველ რიგში კი ბურდულების მაგალითზე.

---

[7] 1732 წლის პირობის წიგნი მიცემული ერთობით მთის კაცთა მიერ ოთარ ამილახვარის-შვილისადმი, „დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან", **ნ. ბერძენიშვილის** რედ., I, თბ., 1940, გვ. 233; განჩინება აფციაურებისა და მათი სახლისკაცების მამულის საქმეზე, 1758 წ. 27 აგვისტო, ქსძ., ტ. IV, თბ., 1965, გვ. 466-467.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც მთიულეთში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალის ანალიზი ცხადყოფს, ბურდულთა გვარის დაწინაურება თემში დაკავშირებული იყო ლომისის ეკლესიის დეკანოზობის უფლების მიღებასთან, რაც დაახლოებით XVIII ს-ის შუა პერიოდში უნდა მომხდარიყო[8]. გადმოცემის თანახმად, ბურდულებს ოსების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში გამოუჩენიათ თავი, რის შემდეგაც სათემო ყრილობაზე დასმულა საკითხი იმის შესახებ, თუ რითი დაესაჩუქრებინათ თემის წინაშე თავდადებით ნამსახურევი გმირები. სათემო ყრილობის გადაწყვეტილებით, რომელიც საკუთრივ ბურდულთა ნებასურვილს გამოხატავდა, მათთვის ლომისის წმ. გიორგის ეკლესიის მუდმივი დეკანოზობის უფლება მიუციათ[9], რის შესახებაც ერთ ხალხურ ლექსში ნათქვამია:

„დაასაჩუქრეს, გადასცეს წინამძღოლობა თემისაო,
დიდი ლომისის ტაძარი, გასაღებლები კარისაო;
რომელიც მოეწონება, ცოლად წაყვანა ქალისაო,
გამრავლდეს საქართველოში, მთლად ბურდულების
გვარისაო"[10].

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ თემში დაწინაურებული პირები ადრე თუ გვიან სამეფო ხელისუფლების ყურადღების ცენრში ექცეოდნენ, სავსებით კანონზომიე-

---

[8] მთიულეთში ჩაწერილი გადმოცემის მიხედვით ირკვევა, რომ ბურდულების გმირობას წინ უძღოდა მონაწილეობა აზატ-ხანის წინააღმდეგ ომში (1751). სწორედ აზატ-ხანის ომიდან მობრუნებულ 9 ძმა ბურდულს უსახელებია თავი ოსებთან ომში, რომლებიც სარგებლობდნენ საქართველოს მძიმე პოლიტიკური მდგომარეობით და ადგილობრივ მოსახლეობას ავიწროვებდნენ (**ვახ. ითონიშვილი**, მთიულეთის და გუდამაყრის ეთნოგრაფიული მასალები, 1982 წ., რვეული 2).

[9] მანამდე დეკანოზობა მორიგეობით ყოფილა სხვადასხვა გვარებს შორის. ბურდულებამდე დეკანოზებად ლომისაში ბუთხუზები ყოფილან (**ვახტ. ითონიშვილი**, მთიულეთის და გუდამაყრის ეთნოგრაფიული მასალები, 1981 წ., რვეული 1, გვ. 22.

[10] **ლ. კაიშაური,** მთიულური ტექსტები, თბ., 1978, გვ. 119.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ XVIII ს-ის საბუთებში ბურდულთა გვარის ცალკეული წარმომადგენლები უკვე ადგილზე გამწესებულ მთიულ მოხელეთა შორის ფიგურირებდნენ. ასე, მაგალითად, 1774 წლის არაგვის ხეობის მთის ზოლის მოსახლეობის აღწერაში ნაცვალის თანამდებობაზე მყოფ პირად მოხსენიებულია სოფ. არახვეთში მცხოვრები ბურდული ხუცას შვილი ივანე[11], რომლის შესახებ სათანადო ცნობებს ვხვდებით ამავე პერიოდის მთელ რიგ სხვა დოკუმენტებშიც[12]. არანაკლებ საყურადღებოა 1781 წლის არაგვის ხეობის აღწერაც, რომელშიც ბურდულები სახელოს მფლობელად წარმოგვიდგებიან ჭართალში (პავლეური, ციხისძირი)[13]. ამასთან, როგორც XVIII ს-ის წერილობითი წყაროების მონაცემებზე დაკვირვება გვაფიქრებინებს, სახელმწიფო სამსახურში იმთავითვე უფრო აქტიურად ჩაებნენ სოფ. არახვეთში მცხოვრები ბურდულები, რომელნიც სოფ. მლეთაში მოსახლე ბურდულებისაგან განსხვავებით, XVIII ს-დან მოყოლებული, სისტემატურად ფლობდნენ ამა თუ იმ სახელოს (ნაცვლისას, შესაძლოა მამასახლისისას და ა. შ.) და, ამდენად, მთიულეთის სა-

---

[11] მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში,... გვ. 440.

[12] საინტერესოა აღინიშნოს, რომ ივანე ბურდული ძირითადად იმ არზებსა და განჩინებებში მოიხსენიება, რომლებიც უშუალოდ შეეხება მასა და ადამ ყარანგოზიშვილს შორის წარმოებულ საადგილმამულო დავას (იხ. განჩინება ადამ ყარანგოზიშვილისა და ივანე ბურდულის სასისხლო საქმეზე, 1770 წ. 17 ნოემბერი, ქსძ, IV, გვ. 602; არზა ადამ ყარანგოზიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით 1775 წ. მაისი, ქსძ, ტ. VII, თბ., 1981, გვ. 287-288; განჩინება ადამ ყარანგოზიშვილისა და ივანე ბურდულის მამულის საქმეზე 1780 წ. 21 ივლისი, ქსძ, V, თბ., 1974, გვ. 120-121). ივანე ბურდულის შესახებ ცნობას ვხვდებით აგრეთვე 1779 წ. სალეკო თეთრის ნუსხაში ზაალ ეშიკაღასბაშისა, „მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის", წ. III, თბ., 1955, გვ. 65-66.

[13] **ივ. ჯავახიშვილი**, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, I (1781 წ. არაგვის საერისთაოს ბარის სოფლების აღწერის დავთარი), თბ., 1967, გვ. 120-121.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხელეო აპარატში ერთ-ერთ მნიშვნელოვან რგოლს შეადგენდნენ. აღნიშნული ტენდენციის გამომხატველი ჩანს ადგილზე გამოკითხვით დაფიქსირებული ის ფაქტიც, რომ არახვეთში მოსახლე ბურდულთა გვარის ერთ-ერთი მამიშვილობა **მოჭელიანის** (ამ **მაჭელიანის**) სახელწოდებას ატარებს.

ბურდულების მიერ ქართლის სოფლებში (პავლეური, ციხისძირი) სახელოს ფლობა თავისთავად იმაზე მიგვანიშნებს, რომ ისინი თავისი სამსახურებრივი მდგომარეობით რიგით მოხელეებზე (ნაცვალი, მამასახლისი) მაღლა იდგნენ და შესაძლებელია მოურავის თანამდებობაზეც კი იყვნენ გამწესებულნი. ასეთი ვარაუდის უფლებას გვაძლევს ის გარემოებაც, რომ არაგვისა და ქსნის ხეობათა მთიან ზოლში, ბარისაგან განსხვავებით ამა თუ იმ ხევისა და სოფლების მოურავებად ხშირად არააზნაურული გვარის წარმომადგენლები ინიშნებოდნენ[14]. თქმულის საილუსტრაციოდ გამოდგება ნადიბაიძეთა გვარიდან გამოსული პირების დაწინაურება მოურავის სახელოზე, რაც დაახლოებით XVIII ს-ის პირველ ნახევარში უნდა მომხდარიყო. როგორც ჩანს, სწორედ ამ პერიოდში ღებულობენ მეფის წინაშე ერთგულად ნამსახურევი ნადიბაიძეები მთელ რიგ წყალობებს ერეკლე მეორისაგან, რომელიც აღნიშნული გვარის ცალკეულ წარმომადგენლებს ათარხნებს და ამა თუ იმ თანამდებობაზე ნიშნავს. საყურადღებოა, რომ 1774 წლის არაგვის ხეობის მთის ზოლის მოსახლეობის აღწერაში ხევის მოურავთა შორის იხსენიება შიო ნადიბაიძე[15], ხოლო

---

[14] **გ. აკოფაშვილი**, სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVIII სს. ქართლში, თბ., 1965, გვ. 158.

[15] მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში, გვ. 407-413.

საინტერესოა, რომ 1774 წლის აღწერაში იხსენიება ვინმე ნადიბაიძე ბეჟანის შვილი შიო, რომელიც სოფ. ნადიბაიძიანთ-კარში ცხოვრობდა (გვ. 449). როგორც ჩანს, ხევის ერთ-ერთ მოურავად მოხსენიებული შიო ნადიბაიძე და სოფ. ნადიბაიძიანთ-კარის მკვიდრი შიო ბეჟანის შვილი ნადიბაიძე ერთსა და იმავე პიროვნებას წარმოადგენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთიულეთის ნაცვლად დასახელებულია სოფ. ნადიბაიძიანთ-კარში მცხოვრები ნადიბაიძე ნადიბაიძის შვილი ბერი[16]. როგორც ჩანს, შედარებით გვიან (დაახლ. XVIII ს-ის 80-იან წლებში) იქნა დანიშნული მრევლის ნაცვლის თანამდებობაზე ნადიბაიძეთა გვარის კიდევ ერთი წარმომადგენელი – ადია ნადიბაიძე, რომელიც 1804 წლის აჯანყების მონაწილეთა შორის ფიგურირებს[17]. ამასთან ერთად, ეთნოგრაფიული მონაცემებით ცნობილია „ყაზიბეგის ბატონის"[18] სამსახურში მყოფი ივანე ნადიბაიძე, რომელსაც სოფ. სტეფანწმინდის მახლობლად თავისი მამულიც ჰქონია.

ვფიქრობთ, ეჭვის შეტანა არ შეიძლება იმაში, რომ ნადიბაიძეებმა მთიულეთში სხვებზე მეტად გამოიჩინეს თავი სახელმწიფო სამსახურში, თუმცა ამ ნიადაგზე მათი სოციალური სტატუსის შეცვლა მაინც არ მომხდარა. ჩვენ ვერ გავიზიარებთ ზოგიერთი მკვლევარის იმ მოსაზრებას, რომ ნადიბაიძეებმა აზნაურობას მიაღწიეს[19]. მით უმეტეს, რომ XVIII-XIX სს-ის დოკუმენტებში ისინი აზნაურებად არ იხსენიებიან. რამდენადაც ჩვენ არ გაგვაჩნია არც ერთი დამადასტურებელი საბუთი იმ თეზისის სასარგებლოდ, რომ ნადიბაიძეები აზნაურებს წარმოადგენდნენ, სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ მათი გაფორმება აღნიშნულ წოდებაში საერთოდ ამ მომხდარა. რაც შეეხება აზნაურული სახელოს მფლობელობის ფაქტს, ეს უკანასკნელი აზნაურული წოდების უტყუარ საბუთად ვერ გამოდგება, ვინაიდან მთელ რიგ შემთხვევაში (ამაზე ქვემოთაც გვექნება საუბარი), არაგვის და ქსნის ხე-

---

[16] მასალანი..., გვ. 449.

[17] **ვ. ტოგონიძე**, ქართლის მთიანეთის გლეხთა აჯანყება (1804), თბ., 1951, გვ. 163.

[18] „ყაზიბეგის ბატონად" უნდა ვიგულისხმოთ ყაზიბეგ ჩოფიკაშვილი, რომელიც ერეკლე მეორის დროს ქვემო ხევის მოურავად იჯდა.

[19] **დ. გვრიტიშვილი,** დასახ. ნაშრომი, გვ. 241; **რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე**, მთიულეთის სოფელი ძველად, თბ., 1965, გვ. 18-19.

ობის მთის რაიონებში მოურავებად გლეხებიც ინიშნებოდნენ. ცხადია, ასევე არ შეიძლება ამა თუ იმ მეთემისათვის რაიმე წყალობის მიცემა (მაგ. გათარხნება, ჯამაგირის დანიშვნა და სხვ.) მისი გააზნაურების ტოლფასად ჩაითვალოს. ამდენად, ნადიბაიძეები თავისი სოციალური მდგომარეობით მსახურ გლეხებად უნდა ვიგულისხმოთ, რომელთა სამსახურებრივი დაწინაურების და „გათარხნების ერთ-ერთი მოტივი თვით გლეხის პირადი დამსახურება უნდა ყოფილიყო თავის ბატონის წინაშე"[20].

ვითარების ასეთნაირად შეფასების საფუძველზე მსახურ გლეხთა სოციალურ კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ მთიულეთის სამოხელეო აპარატში დაწინაურებული სხვა გვარების (ამირიძეების, ნაზღაიძეების) წარმომადგენლებიც, რომელთაც სახელმწიფო სამსახურში ერთგული გარჯა ჯეროვნად დაუფასდათ. ამაზე ნათლად მეტყველებს 1752 წლის ჯამაგირის დანიშვნის წიგნი, მიცემული ერეკლე მეფის მიერ მთიულ შიო ნაზღაიძისათვის, რომელსაც ჩვენ ზემოთ უკვე გავეცანით. საყურადღებოა აგრეთვე 1774 წლის არაგვის საერისთავოს მთის ზოლის მოსახლეობის აღწერაში დაცული ცნობები „მთიულთ მოხელეების" (ნაცვლების) – ნაზღაიძე ჯანუყას შვილი ბერის (სოფ. ზემო მლეთი)[21] და ამირიძე ნასყიდას შვილი ხოსროს (სოფ. ამირთ-კარი)[22] შესახებ. ამასთან, როგორც ადგილზე ჩაწერილი ეთნოგრაფიული მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, ნაზღაიძეების გვარიდან გამოსული პირები ციხისთავის სახელოსაც ფლობდნენ. ხადის უხუცეს მკვიდრთა ხსოვნას დღემდე შემორჩა გადმოცემები ნინია და ლევან ნაზღაიძეების შესახებ, რომელთაც „ჲ კოშკოვანი"[23]

---

[20] **დ. გვრიტიშვილი,** დასახ. ნაშრომი, გვ. 198.
[21] მასალანი..., გვ. 428.
[22] იქვე, გვ. 459.
[23] **ვახუშტი,** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება", ტ. IV, თბ., 1973, გვ. 355.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ე. ი. 60 კოშკოვანი) ხადის თემის ციხეების გამგებლობა ებარათ[24]. მთხრობელთა თქმით, ნინია ნაზღაიძე ზემო მლეთის ციხე-გალავნის უფროსი იყო და ამ თანამდებობაზე იგი ერისთავს დაუნიშნავს. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მთხრობლებს აქ არაგვის საუფლისწულოს დროებითი მმართველი ჯიმშერ ჩოლოყაშვილი (1747-1756) ჰყავდათ მხედველობაში, სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ნინიას დაწინაურება აღნიშნულ სახელოზე დაახლოებით XVIII ს-ის შუა პერიოდში უნდა მომხდარიყო.

სოფ. ზემო მლეთაში ციხისთავად მჯდარა აგრეთვე ლევან ნაზღაიძე, რომელსაც მთხრობლები ასევე მთელი ხადის ციხეების უფროსად თვლიან. ერთ-ერთი მთხრობლის განმარტებით, ლევან ნაზღაიძე 1804 წლის მთიანეთის აჯანყების აქტიური მონაწილე იყო (მიხაკა იაკობის ძე ნაზღაიძე, დაბად. 1898 წ. სოფ. ზემო მლეთა 31.V.83 წ.). ამასთან დაკავშირებთი საინტერესოა აღინიშნოს, რომ XIX ს-ის დასაწყისში შედგენილ მთელ რიგ საბუთებში[25], რომელიც ქართლის მთიანეთში მომხდარ 1804 წლის აჯანყებას შეეხება, ფიგურირებს ლევან ნაზღაიძე, როგორც დაწყებული აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ლევან ნაზღაიძე დეკანოზ შიო ბურდულთან და მამასახლის სამუკა ამირიძესთან ერთად აჯანყების ერთ-ერთ მოთავედ, მთიულეთში გამწესებულ მოხელედ წარმოგვიდგება. ყურადღებას იპყრობს ის დეტალიც, რომ აჯანყების რვა მეთაურიდან დოკუმენტებში ექვსი მასასახლისად იხსენიება და ერთი დეკანოზად არის ხმობილი"[26], მაშინ როდესაც საკუთრივ ლევან ნაზღაიძის სახელოს შესახებ საბუთებში პირდაპირი ჩვენება არ არის. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ლევანი სხვა რამ სახელოს ფლობდა. არ არის გამორიცხული,

---

[24] **ვახტ. ითონიშვილი**, მთიულეთის და გუდამაყრის ეთნოგრაფიული მასალები, 1982 წ., რვ. I, გვ. 12, 35.

[25] АКАК, т. II, Тифлис, 1868, с. 307; АКАК, т. II, с. 335.

[26] **ვ. ტოგონიძე**, დასახ. ნაშრომი, გვ. 86.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ იგი სწორედ ციხისთავად ყოფილიყო გამწესებული ხადაში. თუ ამას დავუშვებთ, მაშინ გამოდის, რომ აღნიშნულ საბუთებში ხსენებული ლევან ნაზღაიძე და ეთნოგრაფიული მონაცემებით ცნობილი ლევან ნაზღაიძე ერთსა და იმავე პიროვნებას წარმოადგენს[27].

საერთად, ხადელი ციხისთავების შესახებ სათანადო ცნობებს ვხვდებით ჯერ კიდევ „ძეგლის დადებაში", რომლის ანალიზის საფუძველზე გაირკვა, რომ XIV ს-ში ციხისთავებად დაბალი სოციალური წრის წარმომადგენლები ინიშნებოდნენ. როგორც ჩანს, ამ მხრივ ვითარება არ შეცვლილა მომდევნო საუკუნეებშიც, როდესაც ციხისთავის ინსტიტუტი მთიულეთში დაახლოებით ისეთივე ფორმით და შინაარსით შემოინახა, როგორითაც ის „ძეგლის დადებაში" იყო წარმოდგენილი. მართალია XVIII ს-ის საბუთების მიხედვით არაგვის ხეობის მთიანეთის მოსახლეობის შიგნით დასტურდება ციხისთავის სოციალური კატეგორია, მაგრამ ამ სახელოზე გამწესებულ პირთა ვინაობის დადგენა აღნიშნულ საბუთებში დაცული მონაცემების მიხედვით პრაქტიკულად ვერ ხერხდება. მაგ., ერთობით მთის კაცთა მიერ ოთარ ამილახვრიშვილისადმი მიცემულ პირობის წიგნში (1732 წ.) მოხსენიებულია ვინმე ციხიბერას ზეითი ციხისთავი ბერი[28]. 1733 წლის ერთ საბუთში („Письма старшин горных провинций Гудамакари, Мтиулети, Кистетии, Тагаури и Хеви к царю Вахтангу VI, с изъявлением

---

[27] საინტერესოა აღინიშნოს, რომ ლევან და ნინია, აგრეთვე შიო და ბერი ნაზღაიძეების სახელები აღნიშნული გვარის შიგნით წარმოქმნილ მამიშვილობასაც ეწოდა (ლევანიანი, ნინიანი, შივიანი, ბერიანი). ერთ-ერთმა მთხრობელმა ნაზღაიძეთა გვარის წინაპრად დაგვისახელა ვინმე ჯანუყო, რომლის შესახებ ცნობას ვხვდებით 1774 წლის აღწერაში – აქ იგი ნაზღაიძე ბერის (ნაცვალის თანამდებობის შემსრულებელი პირის) მამად იხსენიება.

[28] 1732 წ. იანვრის 20-ის პირობის წიგნი, მიცემული ერთობით მთის კაცთა მიერ ოთარ ამილახვრისშვილისადმი, „დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან", I, გვ. 233.

своей верноподанности) ვხვდებით ცნობას ციხისთავ გიორგის შესახებ[29], ხოლო 1779 წლის სალეკო თეთრის ნუსხაში ფიგურირებს ციხისთავი, როგორც აღრიშნული გადასახადის გადამხდელი[30]. სამივე შემთხვევაში, ციხისთავის ვინაობის შესახებ საბუთებში პირდაპირი ჩვენება არ გხვდება, თუმცა ეს გარემოება არ გვართმევს უფლებას, რომ აღნიშნული სახელოს მფლობელებად ადგილობრივი მოსახლეობიდან გამორჩეული პირები ვიგულოთ. აქედან გამომდინარე, ჩვენ არ გამოვრიცხავთ იმის შესაძლებლობას, რომ XVIII ს-ის საბუთებში ხსენებული ციხისთავებიდან ერთ-ერთი მაინც სწორედ ნაზღაიძის გვარისა ყოფილიყო.

ყურადღებას იპყრობს ის დეტალიც, რომ „ძეგლის დადების" მიხედვით ხადაში დასტურდება ორი ციხისთავის არსებობა. თუ ჩვენ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ საკუთრივ ხადის თემი ტერიტორიულად იყოფოდა **გაღმა ხადად** (ან საკუთრივ ხადის ხევად, ვახუშტისეულ **ციკარად**) და **გამოღმა ხადად** (ვახუშტისეული დაბა **ჴადა**, დღევანდელი **დიდველი**)[31], ვარაუდის სახით შეიძლება დავუმატოთ, რომ ერთ-ერთი ციხისთავი განაგებდა სწორედ გაღმა ხადის ციხეებს, მაშინ როდესაც მეორე ციხისთავს გამოღმა ხადის ციხეები ებარა. როგორც ჩანს, დროთა განმავლობაში ხადაში მხოლოდ ერთი ციხისთავი შემორჩა, თუმცა აღნიშნული თემის ტერიტორიული დაყოფის ძველი ტრადიცია შემდგომშიც არ დარღვეულა. ამასთან, ხადელი ციხისთავის ადგილსამყო-

---

[29] Документы по взаимоотношениям Грузии с Северным Кавказом в XVIII в., Тб., 1968, с. 123.

[30] 1779 სალეკო თეთრის ნუსხა ზაალ ეშიკაღასბაშისა, „მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის", წ. III, **ნ. ბერძენიშვილის** რედ., თბ., 1955, გვ. 66.

[31] ხადის თემის ტერიტორიულ დაყოფას ვეხებით დასაბეჭდად მომზადებულ ნაშრომში, რომელშიაც განხილულია არაგვის ხეობის ლოკალიზაციის საკითხები (იხ. **ვახტ. ითონიშვილი**, არაგვის ხეობა, თბ., 1986).

ფელად XVIII ს-ში უნდა ვიგულოთ სოფ. ზემო მლეთა[32], რომ-ლის ტერიტორიაზე მდებარეობს მოზრდილი ციხე-გალავნის კომპლექსი. მთხრობელის განმარტებით, **ნაზღაანთ ციხე** (ასე უწოდებენ მთიულები ამ ციხეს) სოფელს და მთიულეთს საერთოდ, ოსებისაგან იცავდა. ძნელი სათქმელია, რამდენად ახლოს დგას სინამდვილესთან ციხე-გალავნის დანიშნულების ასეთნაირად განსაზღვრა, მაგრამ ეჭვის შეტანა არ შეიძლება იმაში, რომ ნაზღაიძეთა ციხე თავის დროზე მნიშვნელოვან საფორტიფიკაციო ნაგებობას წარმოადგენდა, რომელსაც გაჩნდა ოთხკოშკიანი გალავანი და თავისი მცველებიც ჰყავდა. სოფლის საცხოვრებელი ნაგებობანი გალავნის შიგნით იყო მოქცეული, ხოლო საკულტო ნაგებობანი (ეკლესიები) გალავნის გარეთ[33]. როგორც ჩანს, სწორედ ეს ციხე ჰქონდა მხედველობაში მთხრობლებს, როდესაც აღნიშნავდნენ, რომ „მლეთაში ამოსულ ერისთავს ნაზღაიძეები მასპინძლობდნენ თავის ციხე-სახლში“ (მიხაკა იაკობის ძე ნაზღაიძე, დაბად. 1897 წ., „სოფ. ზემო მლეთა, 17.V.1982 წ.). სწორედ, „სახლსა ნაზღაიძისასა“[34] იქნა მოკლული 1756 წელს არაგვის საუფლისწულოს დროებითი მმართველი ჯიმშერ ჩოლოყაშვილი, რომელიც ძველი ტრადიციის გავლენით წყაროებში ჯერ კიდევ არაგვის ერისთავის ტიტულით იხსენიება.

განხილული მონაცემებიდან ნათლად ჩანს, რომ მთიულეთის სამოხელეო აპარატი ძირითადად შევსებას ღებულობდა ბურდულების, ნადიბაიძეების, ნაზღაიძეების და ამირიძეების გვარებიდან. რაც შეეხება გუდამაყრის თემს, აქ

---

[32] საყურადღებოა, რომ 1774 წლის აღწერაში ზემო მლეთა ხადის თემში შემავალ სოფლადაა დასახელებული, ისევე როგორც სოფ. ქვემო მლეთა (მასალანი..., გვ. 428, გვ. 430).

[33] ზემო მლეთის ამ კომპლექსის შესახებ იხ. **რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე**, დასახ. ნაშრომი, გვ. 36; **პ. ზაქარაია**, არაგვისა და თერგის ხეობა, თბ., 1972, გვ. 38.

[34] **პაპუნა ორბელიანი**, ამბავნი ქართლისანი, თბ., 1981, გვ. 240.

ცენტრალური ხელისუფლების სამსახურში განსაკუთრებით აქტიურად ჩაებნენ სოფ. დუმაცხოში მცხოვრები აფციაურები, რომელნიც მეტწილად ნაცვლის თანამდებობაზე ინიშნებოდნენ. ასე, მაგალითად, 1758 წლის „განჩინებაში" აფციაურებისა და მათი სახლისკაცების მამულის საქმეზე ფიგურირებს ნაცვალი პაპი აფციაური[35], 1774 წლის აღწერაში იხსენიება სოფ. დუმაცხოს მკვიდრი აფციაური გიორგის შვილი გივი ნაცვალი[36], ხოლო 1776 წლის კიდევ ერთ საბუთში ვხვდებით ცნობას პაპი ნაცვალის შესახებ[37], რომელიც მიჩნეულია გიორგი აფციაურის შვილად[38].

როგორც ადგილზე გამოკითხვით ირკვევა, აფციაურების დაწინაურება „ბატონის" სამსახურში დაახლოებით XVII ს-ში მომხდარა, როდესაც ერთ-ერთ აფციაურს ბახტრიონის აჯანყებაში უსახელებია თავი და არაგვის ერისთავისაგან (სხვა ვერსიით მეფისაგან) ჯილდოდ მიუღია ნაცვალის სახელო. ერისთავისაგან (თუ მეფისაგან) ნაწყალობევი ამ პირის ვინაობის დადგენა ეთნოგრაფიული მონაცემებით ვერ ხერხდება, თუმცა ეს გარემოება არ გვიშლის ხელს იმაში, რომ სწორედ მის მემკვიდრედ (უფრო შვილიშვილად) ვიგულოთ XVIII ს-ის საბუთებში ხსენებული გიორგი აფციაური (გივი აფციაურის მამა), რომლის მოდგმა **გიორგიანის** სახელწოდებით არის ცნობილი.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ იგივე გიორგიანთ მამიშვილობა **ბატონიანის** სახელწოდებასაც ატარებს, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ მთხრობლები დუმაცხოელ აფციაურებს

---

[35] განჩინება აფციაურებისა და მათი სახლიკაცების მამულის საქმეზე 1758 წ. 27 აგვისტო, ქსძ, ტ. IX, თბ., 1965, გვ. 466-467.

[36] მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა, გვ. 462.

[37] **თ. ენუქიძე**, მასალები XVIII ს-ის 80-იანი წლების ქართლის სამეფოს მდივნის სამოხელეო სარგოს შესახებ, ჟ. „მაცნე" (ისტორიის... სერია, №3, თბ., 1981, გვ. 138-147.

[38] იქვე, გვ. 144.

ტრადიციულად „ბატონებს“ უწოდებენ. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მთხრობელთა ცნობა „გიორგიანთ ბატონის“ ჯალაბა აფციაურის შესახებ, რომელსაც ერეკლე II-ის დროს ღუდუშაურთან ერთად თარხნობა მიუღია. მისი გათარხნების ძირითად მოტივს წარმოადგენდა ის, რომ ჯალაბა აფციაური ერეკლე მეორეს დახმარებია ბურსაჭირზე[39] რუსთა ჯარის ნაწილების გადმოყვანაში. მთხრობელთა თქმით, გიორგიანთ ბატონს თავისი ციხეც ჰქონია დუმაცხოში (გიორგიანთ ციხე)[40], რომელშიც იგი ამწყვდევდა ისეთ პირებს, ვინც ჯარში წასვლაზე ან სახელმწიფო გადასახადზე იტყოდა უარს (ნიკოლოზ გიორგის ძე აფციაური, დაბად. 1909, სოფ. ჰოშპიტალი, 5.VI.1982 წ.). რამდენადაც ჯალაბა აფციაურის თანამდებობაში უფრო ხაზგასმულია საპოლიციო ხასიათის ფუნქციები, სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ იგი ნაცლად იყო გამწესებული გუდამაყრის თემში.

ვფიქრობ კონსტატირებას არ საჭიროებს ის ფაქტი, თუ რაოდენ რთულ და საპასუხისმგებლო საქმეს წარმოადგენდა მთიულეთის და გუდამაყრის სამოხელეო აპარატის თანმიმდევრული „დაკომპლექტება“ მხოლოდ ადგილობრივი წარმოშობის პირებით, რომელთა კანდიდატურის შერჩევისას,

---

[39] ბურსაჭირის გადასასვლელი XVIII-XIX სს-ში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საქართველოს და რუსეთის ურთიერთობაში (Ф. Ланд, Гудамакарское ущелье, «Кавказский календарь на 1863 г.» Тифлис, 1862, с. 332, В. Долидзе, Р. Шмерлинг, Военно-грузинская дорога, Тб., 1956, с. 29; И. Арджеванидзе, Военно-грузинская дорога, Тб., 1954, с. 25).

[40] როგორც ჩანს, ეს ციხე-სახლი ნაცვალმა პაპი აფციაურმა ააგო (ან უკვე აშენებული გააფართოვა). ამას გვაფიქრებინებს ერთი ხალხური ლექსი, რომელშიც ნათქვამია:

„დუმაცხოს პაპო ნაცვალო, ნეტავი დედაშენსაო,
დუმაცხოს ჩასდგი ქვითკირი, შორით შეზარავ მტერსაო“.

(**ვახტ. ითონიშვილი**, მთიულეთ-გუდამაყრის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები, 1982, რვ. V, გვ. 18).

ცხადია, მინიმუმამდე მაინც უნდა ყოფილიყო დაყვანილი შემ-
თხვევითობის ელემენტი. ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს
ისეთი ვითარება, როდესაც ამა თუ იმ სახელოზე შეიძლებოდა
დაენიშნათ რომელიმე უღირსი პიროვნება. მაგრამ, როგორც
ჩანს, ასეთ შემთხვევებს საკვლევ რეგიონში არც ჰქონია
ადგილი, ვინაიდან რაიმე წყალობის გაცემისას სამეფო კარი
იმ ძირითადი პრინციპით ხელმძღვანელობდა, რომ ადგილზე
გამოერჩიათ „ერთი კაცი – მეფის ერთული იყოს და ქვეყა-
ნასაც უჯობდეს“[41]. სწორედ ამ ნიშნის მიხედვით ხდებოდა
მთიულეთში და გუდამაყარში ცალკეულ საგვარეულოთა და-
წინაურება ცენტრალური ხელისუფლების სამსახურში, რაშიც
თვალნათლივ დავრწმუნდით ბურდულების, ნადიბაიძეების,
ნაზლაიძეების, ამირიძეების და აფციაურების მაგალითზე.
ცხადია, აღნიშნული გვარები მთიულეთში და გუდამაყარში
სხვებზე მეტი გავლენით სარგებლობდნენ და თემში თავკა-
ცობდნენ კიდეც, მაგრამ მათი წრიდან გამოსული არც ერთი
პირი მაღალ სოციალურ წოდებაში არ გაფორმებულა, რაც
ადგილობრივი მოსახლეობის სუსტი სოციალური დიფერენ-
ციაციის ერთ-ერთი მაჩვენებელია. ამასთან დაკავშირებით
საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მთიულეთ-გუ-
დამაყრის მოსახლეობის სოციალური დიფერენციაციის გაღ-
რმავების გზაზე მნიშვნელოვან დაბრკოლებას ქმნიდა სოფ-
ლის თემი, რომელიც საკვლევ რეგიონში XVIII ს-ში ჯერ კიდევ
ინარჩუნებდა თავის პოზიციებს და არ წყვეტდა ბრძოლას
შიდასათემო დემოკრატიის ნორმების დამრღვევთა წინააღ-
მდეგ. თემი ყველა ღონეს ხმარობდა იმისათვის, რომ არ დაეშ-
ვა ერთთა სოციალური აღზევება მეორეთა დამორჩილება-
დაყმევების ხარჯზე და დროულად მოეკვეთა ის ურჩი მეთე-
მეები, რომელნიც ბატონის (უპირატესად მეფის) სამსახურში
დაწინაურების, ან სხვა რაიმე უპირატესობის მოპოვების შემ-

[41] ძეგლის დადება, ქსძ, ტ. I, თბ., 1963, გვ. 405.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეგ ნაკლებად უწევდნენ ანგარიშს ხალხის ინტერესებს და აშკარა ძალმომრეობასაც არ ერიდებოდნენ. ძალმომრეობაში ჩვენ უწინარეს ყოვლისა ისეთ ვითარებას ვგულისხმობთ, როდესაც ესა თუ ის მეთემე უნებართვოდ, ხშირად ძალის გამოყენებით, დაიჩემებდა სათემო (სასოფლო) მიწებს და ამ გზით ცდილობდა თავისი ეკონომიკური მდგომარეობის რადიკალურ გაუმჯობესებას. ასეთ თავგასულ და ძალმომრეკაცზე მთიულები იტყოდნენ ხოლმე: **„გაბუდაყდა** და არც ვის არაფრად არ აგდებსო“. რამდენადაც „გაბუდაყებულ კაცს სოფელი ჩალად უღირდა და იგი სხვისი ქონების მითვისებას, სხვის ჩაგვრას იყო ჩვეული, თემიც ვერა თოლით უყურებდა მისთანა ადამიანს“ (წიკლაური გიგოლა ივანეს ძე, დაბად. 1892 წ., სოფ. გამსიდან, ამჟამად ცხოვრობს დ. ფასანაურში, 26.VII.1981 წ.). ცხადია, თავგასული მეთემე საბოლოო ანგარიშით მაინც ვერ იხეირებდა, ვინაიდან იგი თავისი უღირსი საქციელით ადრე თუ გვიან ხალხის სამართლიან რისხვას დაიმსახურებდა და საკადრისად დაისჯებოდა. გაბუდაყებული, ურჩი მეთემის „დასჯის ყველაზე მაღალ ფორმას თემისაგან მოკვეთა წარმოადგენდა. მაგრამ თემს ჰქონდა დასჯის სხვა სახეც – სამრისხველო სამანის ჩადგმა, რასაც ის მიმართავდა იმ შემთხვევაში, როდესაც ჩადენილი დანაშაული შედარებით უფრო მცირე იყო და თემისაგან მოკვეთას არ საჭიროებდა“[42]. აღნიშნული ჩვეულების შესახებ ადგილზე და-

---

[42] **რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე**, დასახ. ნაშრომი, გვ. 65.

შენიშვნა: მთიულეთსა და გუდამაყარში „გაბუდაყება“ ადამიანის თავხედობისა და ძალმომრეობის შესატყვის ტერმინად გამოიყენებოდა. „გაბუდაყებული“ ერქვა ისეთ პიროვნებას, ვინც სახალხო ქონების მითვისებისთვის კი არ იბრძოდა, არამედ სოფელში უწესრიგოდ იქცეოდა და ცხოვრების ნორმებს არღვევდა. ტერმინი „გაბუდაყება“ მოერგო სასოფლო ქონების ძალმომრეობით მიმთვისებელ ადამიანსაც და, ამდენად, ამ ცნებამ სოციალური შინაარსიც შეიძინა. მაგრამ გაუმართლებელია იმის მტკიცება, რომ საერთო-სათემო სახლში შესახლებულ პირს, რომელიც 2 დღიურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასტურებული არაერთი ფაქტის დამოწმება შეგვეძლო, მაგრამ სტატიის განსაზღვრული მოცულობის გამო ურჩი მეთემის დასჯის ამ სახეობებს ამჟამად არ განვიხილავთ. დავჯერდებით მხოლოდ იმის აღნიშვნას, რომ „ჩვეულებრივად ასეთ ურჩობას მაინც შედარებით უფრო შეძლებულები იჩენდნენ, ვინაიდან ისინი თემისაგან უფრო მეტ დამოუკიდებლობას გრძნობდნენ“[43]. მართალია, ბრძოლა თემსა და პიროვნებას შორის არაგვის ხეობის მთიანეთში XVIII ს-ში ისეთ მწვავე ხასიათს უკვე აღარ ატარებდა, როგორც წინა საუკუნეებში, როდესაც თემის პირის გამტეხთა დასჯის ფორმებიც რამდენადმე უფრო მკაცი იყო[44], მაგრამ ჩვენთვის საინტერესო პე-

---

ყანას ხნავდა და სოფელს წელიწადში 4 თუნგ არაყს უხდიდა, ამ სახლში დიდხანს არ გააჩერებდნენ თემისადმი მისი დაპირისპირების შიშით (**რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე**, დასახ. ნაშრომი, გვ. 54, 59). საკითხავია, რითი უნდა დაპირისპირებოდა თემს ღატაკი ოჯახი, რომელსაც თემი სამადლოდ თავშესაფარს აძლევდა? – ცხადია, ხსენებულ ნაშრომში დამოწმებული ფაქტი თავისთავად გამორიცხავს ღარიბი ოჯახის თემისადმი დაპირისპირებისა და მით უფრო სოციალური პრეროგატივისაკენ სწრაფვის შესაძლებლობას.

[43] **რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე**, დასახ. ნაშრომი, გვ. 65.

[44] ხევის ისტორიული წარსულიდან (XVII ს.) ცნობილია გადმოცემა გააზნაურების გზაზე დამდგარი **შიოლა ღუდუშაურის** მოკვლის შესახებ (**ს. მაკალათია**, ხევი, ტფ., 1934, გვ. 43, გვ. 97, **ვალ. ითონიშვილი**, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1960, გვ. 91-92, **ნ. ბერძენიშვილი**, ხევის ისტორიული ფოლკლორიდან, „მრავალთავი“, I, თბ., 1964, გვ. 35-37). მას სასიკვდილო განაჩენი საგანგებოდ მოწვეულმა თემის ყრილობამ გამოუტანა. ეს გარემოება იმას გვაფიქრებინებს, რომ არაგვის ხეობის მთიანეთში XVIII ს-მდე თემის პირის გამტეხთა დასჯის ჩვენთვის ცნობილ ფორმებთან (მოკვეთა, დარისხება) ერთად ადგილი ჰქონდა დამნაშავის სიკვდილით დასჯის შემთხვევებსაც. არ არის გამორიცხული, რომ ურჩი მეთემის დასჯის ეს უსასტიკესი ფორმა მთიულეთსა და გუდამაყარშიც ყოფილიყო მიღებული, თუმცა ჩვენ არ მოგვეპოვება არც ერთი ფაქტი ასეთი ვარაუდის დასასაბუთებლად. ასეა თუ ისე, ის კი სავსებით ნათელია, რომ XVIII ს-ში თემი „გაბუდაყებულ“ მეთემეთა მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორების მეთოდს ვეღარ გამოიყენებდა, ვინაიდან თემის ერთობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიოდისთვისაც (ე. ი. XVIII ს-ში) თემი ყოველმხრივ „ცდილობდა, რომ ურჩი მეთემე საერთო მორჩილებაში მოეყვანა და მოეკვეთა ისეთი წევრი საზოგადოებისა, რომელიც თვითნებობდა“[45]. როგორც ჩანს, ამას ითვალისწინებდა ყველა ჭკუათმყოფელი მთიელი და ისეთნაირად წარმართავდა თავის საქმიანობას, რომ ხალხს არ დაპირისპირებოდა, რაც მას სრულ იზოლაციაში მოქცევის რეალურ საფრთხეს უქმნიდა. ამ მხრივ მეტად ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ საკვლევ რეგიონში ამა თუ იმ მეთემის მიერ რაიმე სახელოს მფლობელობა და ამ ნიადაგზე მისი გავლენის გაზრდა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, აღნიშნული პირის „გაბუდაყებას“ არც იწვევდა. ჩვენს ხელთ არსებული ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით ირკვევა, რომ სახელმწიფო სამსახურში დაწინაურებული მეთემეები უმეტეს შემთხვევებში სათანადო სიფრთხილეს და წინდახედულობას იჩენდნენ რიგით მეთემეებთან ურთიერთობაში და არ არღვევდნენ სათემო ცხოვროების ნორმებს, რაც კიდევ უფრო ზრდიდა მათ ავტორიტეტს მთიელი თემის მასშტაბით. არაიშვიათად, ნაცვლის ან მამასახლისის თანამდებობაზე დანიშნული მთიელი მოხელეები „თემის კითხულ კაცებად, თემის თავკაცებად“ ითვლებოდნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ კომპეტენციაში შიდასათემო საქმეების რეგულირება-დაკონტროლება და ადგილზე წარმოქმნილი საპრობლემო საკითხების გადაწყვეტაც შედიოდა. შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს თემისა და სახელმწიფო სამსახურში „აღზევებული“ მეთემის ინტერესების ერთგვარი კოორდინირების მომენტთან, რომელიც მინიმუმამდე ამცირებდა მათ შორის არსებული „ანტაგო-

---

რღვევის პირობებში ასეთი რადიკალური ზომის მიღებას იგი ვეღარ გაბედავდა. ამჯერად თემი დამნაშავეთა მოკვეთით ან დარისხებით იფარგლებოდა, რაც თავისთავად სასჯელის ნორმების შემსუბუქებაზე მიგვანიშნებს.

[45] **რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე**, დასახ. ნაშრომი, გვ. 65.

ნიზმის“ უფრო სერიოზული ხასიათის სოციალურ კონფლიქტში გადაზრდის შესაძლებლობას. სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, მთიულეთის და გადამაყრის მოსახლეობის პრივილეგირებული პერსონალი შეგნებულად არიდებდა თავს თემთან ურთიერთობის გამწვავებას და პრეროგატივისაკენ სწრაფვას შედარებით უფრო შენიღბული ფორმით ანხორციელებდა. თემი ამას ერთგვარად ურიგდებოდა კიდეც, ვინაიდან მას ობიექტურად უკვე აღარ შეეძლო ადგილობრივი მოსახლეობის შიგნით მიმდინარე სოციალური დიფერენციაციის პროცესის შეჩერება. სულ სხვა საქმეა, რამდენად შესწევდა მას კიდევ იმის ძალა, რომ ხელოვნურად მაინც შეეფერხებინა აღნიშნული პროცესის გაღრმავება, რომელიც საკვლევ რეგიონში თავისი ინტენსიური ხასიათით დროის არც ერთ მონაკვეთში არ გამოირჩეოდა. მართალია, ცენტრალური ხელისუფლება ყოველმხრივ ცდილობდა ამ პროცესის დაჩქარებას და ამ მიზნით წყალობებს (ჯამაგირს, სახელოს და სხვ.) არ იშურებდა ადგილობრივი წარმოშობის პირთა მიმართ, მაგრამ ამავე დროს იგი „იძულებული იყო მთაში პრივილეგიური ხალხის მფარველობაში ზომიერება დაეცვა და თემს არ დაპირისპირებოდა“[46].

ვითარების ასეთნაირად შეფასების საფუძველზე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ 1774 წლის არაგვის ხეობის მთის ზოლის მოსახლეობის აღწერაში მოხსენიებული მთიული და გუდამაყრელი მოხელეები (ძირითადად ნაცვლებია) რიგით მეთემეთა მასიდან გარკვეული პრივილეგიებით გამოირჩეოდნენ, მაგრამ ამავე დროს, უფლებრივად (იურიდიულად) ისინი ისე მკვეთრად არ გამიჯვნიან დანარჩენ მეთემეებს, რომ ეს საკმარისი გამომდგარიყო მათი სოციალური სტატუსის შეცვლისა და წარჩინებულთა წოდებაში გაფორ-

---

[46] **გ. მელიქიშვილი**, ქართველ მთიელთა სოციალურ-ეკონომიკური წყობილების დახასიათებისათვის, „მაცნე“ (ისტორიის... სერია), 1979, №1, გვ. 33.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მებისათვის. მართალია, ამ მხრივ რამდენადმე განსხვავებული ვითარება შეინიშნება მთიულეთ-გუდამაყრის მეზობლად მდებარე ხევში, სადაც 1774 წლის აღწერის მიხედვით არამც თუ ნაცვლის, არამედ მოურავის აზნაურული სახელოს მფლობელთა შორის ადგილობრივი გვარების არაერთი წარმომადგენელი ფიგურირებს, მაგრამ აქაც, ისევე როგორც საკვლევ რეგიონში, „სახელოს მფლობელობა აზნაურული მდგომარეობის უეჭველი საბუთი ჯერ კიდევ ვერ არის"[47]. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა აღინიშნოს, რომ ქსნის საერისთავოს მთის ხევების (ქარჩოხი, ცხრაზმა, ცხაოტი), მოურავებად გლეხები იყვნენ დანიშნული: ქარჩოხის მოურავად – თინიკას შვილი აბრამი, ცხრაზმის მიურავად – ბაშარული ბერის შვილი მახარობელი, ცხაოტის მოურავად კი ბუნტური ოთარის შვილი შიო[48]. მართალია, 1774 წლის აღწერაში ხევის მოურავებად დასახელებული ყაზიბეგ ჩოფიკაშვილი, მარტია ღუდუშაური და თომა ფირანისშვილი-ღუდუშაური რიგით მეთემეებად აღარ შეიძლება ვიგულოთ, მაგრამ რამდენადაც აღნიშნული პირები აღწერაში არც აზნაურთა კატეგორიაში მოიხსენიებიან, სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ მათი აზნაურთა წოდებაში გაფორმება XVIII ს-ის II ნახევარში ჯერ კიდევ დასაწყის სტადიაშია. აღნიშნული ვითარების გათვალისწინების საფუძველზე სავსებით კანონზომიერად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ 1774 წლის აღწერა საერთოდ არ შეიცავს ჩვენებას არაგვის ხეობის მთის ზოლის (თუ მხედველობაში არ მივიღებთ სასულიერო წოდების წარმომადგენლების არსებობას – სულ 9 მღვდელს) მოსახლეობის წოდებრივი შემადგენლობის შესახებ. ამ მხრივ გამონაკლისს

---

[47] **გ. აკოფაშვილი,** დასახ. ნაშრომი, გვ. 154.

[48] **ივ. ჯავახიშვილი,** საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, I (1774 წ. ქსნის ხეობის ხალხის აღწერა), გვ. 186-196; **დ. გვრიტიშვილი,** დასახ. ნაშრომი, გვ. 276; **გ. აკოფაშვილი,** დასახ. ნაშრომი, გვ. 158.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ წარმოადგენს 1781 წლის არაგვის ხეობის აღწერაც, რომ-ლის მონაცემების გაცნობა რამდენადმე ავსებს ჩვენს ცოდნას XVIII ს-ის მთიულეთ-გუდამაყრის მოსახლეობის სოციალური სტრუქტურის შესახებ.

1781 წლის არაგვის აღწერის ანალიზი კიდევ ერთხელ გვარწმუნებს იმაში, რომ არაგვის ხეობის მთიანეთში (ხევი, მთიულეთი, გუდამაყარი, ხანდო) მოსახლე გვარები სოციალური ნიშნის მიხედვით თითქმის არ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. ადგილობრივი მოსახლეობის ძირითად მასას შეადგენდნენ რიგითი მეთემეები (//გლეხები) რომელთაც სახასო ყმების კუთვნილი სტატუსის შესაბამისად განსაზღვრული ვალდებულებები ეკისრებოდათ სახელმწიფოს მიმართ. სწორედ მათი წრიდან შეიძლებოდა გამოსულიყო თითოოროლა მთიელი მოხელე, რომელთაგან 1781 წლის აღწერაში მოხსენიებულია მარტოოდენ ნაცვლის თანამდებობაზე მჯდარი ამირიძე ხოსრო (სოფ. ამირთკარიდან), ხოლო სასულიერო პირთაგან მთიულეთ-გუდამაყრის სოფლებში აღრიცხულია სულ 2 მღვდელი (მღვდელი მჭედლიშვილი სოფ. სვიანანთკარიდან და სოფ. ქვემო მლეთაში მცხოვრები მღვდელი ათანასე თადილაშვილი). საყურადღებოა, რომ მთიულეთ-გუდამაყრის სოფლების აღწერისას არსად არ გვხვდება მინიშნება საბატონო გადასახადების და საბატონო ყმების შესახებ, ისევე როგორც არ გვხვდება ცნობა ადგილობრივი აზნაურის ან თავადის არსებობის შესახებ[49].

საერთოდ, XVIII ს-ის სტატისტიკურ მასალებში, აგრეთვე XVIII ს-ის სხვა საისტორიო დოკუმენტებში[50], მოხსენიებული

---

[49] **ივ. ჯავახიშვილი**, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, I, გვ. 105-119.

[50] ნუსხა ქართლ-კახეთის თავადებისა და აზნაურებისა 1783 წ., ქსძ, ტ. II, თბ., 1965, გვ. 483-492, XVIII ს-ის სხვა საბუთების დასახელებას აზრი არ აქვს იმდენად, რამდენადაც მათში მოხსენიებული

ყველა აზნაურული გვარი (კობიაშვილები, ზანდუკელები, შაბურიშვილები, ჩრდილელები, ყარანგოზიშვილები) არაგვის ხეობის ბარის ზოლის მკვიდრს წარმოადგენს, მაშინ როდესაც „არაგვის ხეობის მთიან ნაწილში აზნაურების გაჩენა XVII-XVIII სს-ში მხოლოდ დასაწყის სტადიაშია“[51]. ეს გარემოება თავისთავად იმაზე მეტყველებს, რომ არაგვის ხეობის მთიანეთში ჩვენთვის საინტერესო პერიოდშიც არ შექმნილა სათანადო პირობები ბარული ფეოდალური ინსტიტუტების (თავადი, აზნაური) განვითარებისათვის და ამდენად ეჭვის შეტანა არ შეიძლება იმაში, რომ საკვლევ რეგიონში არისტოკრატიის ბატონობამ ვერც XVIII საუკუნეში მოიკიდა ფეხი. ამდენად, ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების (მხედველობაში გვაქვს XVIII ს. სტატისტიკური აღწერილობანი და ადგილზე ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალები) მიხედვით დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ XVIII ს-ის მთიულეთის და გუდამაყრის მოხელეობის სახით „ჩვენ საქმე გვაქვს ეკონომიკურად და სოციალურად, უფლებრივად სუსტად დიფერენცირებულ საზოგადოებასთან. თუმცა მასში არიან მდიდრები და ღარიბები, სუსტნი და ძლიერნი, მაგრამ განსხვავება მათ შორის, ჯერ ერთი, ღრმა არ არის და, ამას გარდა თემიც მუდმივ იბრძვის აქ გათანაბრებისათვის, ეწინააღმდეგება ერთთა აღზევებას, გამდიდრებას, ბატონკაცებად და მჩაგვრელებად, ხოლო მეორეთა დამორჩილებულ და ჩაგრულ პირებად გადაქცევას“[52].

ანალოგიური ვითარება შეინიშნება მთიულეთის და გუდამაყრის მეზობლად მდებარე მთის კუთხეებშიც, კერძოდ, ხანდოში, ხევში და ქსნის ხეობაში (ხეობის მაღლივ ნაწილში, მაგ., ცხრაძმის თემში).

ყველა აზნაურული გვარის შესახებ ამომწურავ პასუხს იძლევა აღნიშნული ნუსხა ქართლ-კახეთის თავადებისა და აზნაურებისა.

[51] **გ. აკოფაშვილი,** დასახ. ნაშრომი, გვ. 154.

[52] **გ. მელიქიშვილი,** დასახ. ნაშრომი, გვ. 26.

XVIII ს-ის სტატისტიკური აღწერის მონაცემების განხილვა და ადგილზე მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ხანდოს ხევში სოციალურად აღზევებულ გვარებს არ უცხოვრიათ. საყურადღებოა, რომ მთხრობლები აღნიშნავენ ვიღაც „ბატონების" დროდადრო მოსვლას, იხსენიებენ გადასახადების ამკრეფი მოხელეების ხანგამოშვებით ყოფნას, მაგრამ საკუთრივ ხანდოს მკვიდრთაგან არ ასახელებენ არც ერთ აზნაურს და მით უმეტეს თავადს[53]. ეთნოგრაფიულ მონაცემებთან წერილობითი წყაროების შეჯერება ცხადყოფს, რომ ხანდოს მოსახლეობა შედგებოდა რიგითი მეთემეებისაგან (//გლეხებისაგან), საიდანაც შეიძლებოდა გამოსულიყო ნაცვალი, მამასახლისი თუ სხვა რომელიმე მოხელე[54], მაგრამ ჩვენ არ მოგვეპოვება არც ერთი მეტყველი საბუთი იმის სასარგებლოდ, რომ ხანდოელ კაცს მიეღოს მაღალი სოციალური წოდება.

საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების თითქმის ერთ საფეხურზე იდგნენ მთიულეთი, გუდამაყარი და მათ ჩრდილოეთით მდებარე ხევი, სადაც ალ. ყაზბეგის განმარტებით „...არასოდეს არ ყოფილა ბატონყმობა, თავადაზნაურობა და კაცი დაფასებულა მხოლოდ პირადის ღირსებისათვის... ხევი იმართებოდა ერობით (საერო კრებით) და სადაც საქმე მთლად ხევის საქმეს შეეხებოდა, მის გადაწყვეტა მხოლოდ თემობას შეეძლო"[55]. მართალია, ამ მთის კუთხეში ადგილი ჰქონდა ცალკეულ საგვარეულოთა დაწინაურებას სახელმწიფო სამსახურში, რასაც თვალნათლივ მოწმობს ღუდუშაურებისა და ჩოფიკაშვილების მიერ აზნაურული სახე-

---

[53] **ვახტ. ითონიშვილი**, ხანდოს ხევი, ეთნოგრაფიული მასალები (1980 წ.), რვ. I, II, III.

[54] 1774 წლის აღწერაში ხანდოს ხევის მოსახლეობაში გვხვდება ნაცვლის მოვალეობის შემსრულებელი პირი ნათობიძე ივანეს შვილი შიო (გვ. 473).

[55] **ალ. ყაზბეგი,** თხზულებანი, ტ. V, თბ., 1950, გვ. 225.

ლოს მფლობელობის მცდელობა, მაგრამ მათი გაფორმება აზნაურულ წოდებაში 1774 წლის აღწერის შედგენის დროისათვის არ მომხდარა. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა აღინიშნოს, რომ 1783 წლის ნუსხაში ქართლ-კახეთის თავადებისა და აზნაურებისა, აღნიშნული გვარები ქართლის სახასო აზნაურთა შორის ასევე არ იხსენიებიან, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ XVIII ს-ის 80-იან წლებშიც მათი გააზნაურება ჯერ კიდევ დღის წესრიგში არ იდგა.

ქსნის ხეობის მთიანეთში, XVIII ს-ის სტატისტიკური აღწერის მონაცემების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სოციალური დიფერენციაციის პროცესი რამდენადმე უფრო გაღმავებული ჩანს, ვიდრე არაგვის ხეობის მთიანეთში. ამას გვაფიქრებინებს თუნდაც ის გარემოება, რომ ადგილობრივი მოსახლეობის შიგნით დასტურდება აზნაურთა სოციალური კატეგორია (მაგ. 1774 წლის ქსნის ხეობის მოსახლეობის აღწერაში ლარგვისის მოსახლეთა შორის აღირიცხება „მემკვიდრე აზნაურიშვილთა" – ჟურულთა 3 კომლი)[56]. თუმცა ამავე ქსნის ხეობის მთიანეთში მოურავის აზნაურულ სახელოზე გლეხების დანიშვნის ფაქტი თავისთავად აღნიშნულ რეგიონში აზნაურთა სიმცირეზე მიგვანიშნებს.

ამრიგად, განხილული მონაცემების შეჯერების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მთიულეთის და გუდამაყრის მოსახლეობა XVIII საუკუნეში ექვემდებარებოდა სახელმწიფო ხელისუფლებას, სახასო ყმობის სტატუსის შესაბამისად ასრულებდა დაწესებულ მოვალეობას, მაგრამ თვით ამ მოსახლეობის შიგნით სოციალური დიფერენციაციის პროცესი საქართველოს ბარის დონეს ბევრად ჩამორჩებოდა. მთიულეთი და გუდამაყარი ამ მხრივ დაახლოებით ისეთსავე მდგომარეობას ინარჩუნებდა, როგორც არაგვის ხეობის სხვა მთის

---

[56] **ივ. ჯავახიშვილი,** საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წ. I, გვ. 193.

კუთხეები (ხანდო, ჭართალი, ხევი), სადაც სოციალური დიფერენციაცია XVIII ს-ში ასევე სუსტად იყო განვითარებული. ვფიქრობთ, XVIII ს-ის მთიულეთის და გუდამაყრის მოსახლეობის სოციალურ სტრუქტურაზე დაკვირვება კიდევ ერთხელ ცხადყოფს ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული იმ დებულების მართებულობას, რომ საქართველოს „მთის მოსახლეობა (კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია ვიგულისხმოთ მთიულეთის და გუდამაყრის მოსახლეობა – ვ. ი.), მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ადრეული ხანიდან ბარში არსებული პოლიტიკური წარმონაქმნების გავლენის სფეროში მოექცა და პოლიტიკურად მუდამ მათთან მჭიდრო ერთობაში იმყოფებოდა, მაინც შინაგან ცხოვრებაში ინარჩუნებდა ავტონომიურობას და სოციალურ-ეკონომიკური წყობილების თვალსაზრისით მკვეთრ განსხვავებას ავლენდა ბარის საზოგადოებასთან შედარებით“[57].

[57] **გ. მელიქიშვილი,** დასახ. ნაშრომი, გვ. 19.

VI. უცხოტომელთა საკითხი ერეკლე მეორის ეპოქაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორიულად ცნობილია, თუ საქართველოს სახელმწიფოებრივ პოლიტიკაში რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობას. უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე ჩვენი ქვეყნის სამეფო ხელისუფლება განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ჩრდილო კავკასიის ქვეყნებთან კავშირის ნორმალიზაციას. ერთ-ერთ ასეთ ქვეყანას წარმოადგენდა ოსეთი, რომელსაც საქართველოდან მიჯნავდა დარიალის კარიბჭე და, ამდენად, არაგვის გზით ხორციელდებოდა ამ ორი მეზობელი ქვეყნის ურთიერთობა, რაც შექმნილი ვითარების შესაბამისად რეგულირდებოდა.

როგორც წინა საუკუნეებში XVIII საუკუნეშიც ეს ურთიერთობა ორმხრივი ხასიათისა იყო. სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, სამეფო ხელისუფლება პირველ ყოვლისა უპირატესობას ანიჭებდა მომგებიანი მშვიდობიანი ურთიერთობის პოლიტიკას. ამისი საჭიროება იგრძნობოდა უმთავრესად რუსეთთან კავშირის განსახორციელებლად, რისთვისაც განსაკუთრებით მნიშვნელოვან ფაქტორად წარმოგვიდგება მდგომარეობის ნორმალიზაცია დარიალიხ ხეობაში. ეს კი ბევრად იყო დამოკიდებული ოსებთან კავშირზე, ვინაიდან დარიალის კარიბჭის ქვემოთ, თაგაურის ტერიტორიას ოსები ფლობენ. მასზე საქართველოს კონტროლს კი არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა, ვინაიდან თერგის ხეობის ამ მონაკვეთის ოსთა მხრიდან ჩაკეტვის შემთხვევაში განუხორციელებელი იქნებოდა ჩვენი ქვეყნის კავშირი ჩრდილოეთთან. ამის შესაბამისად ასევე შეუძლებელი გახდებოდა საქართველოში რუსეთის სამხედრო ძალების შემოყვანა.

ამგვარი დაბრკოლება რომ არ შექმნილიყო, საქართველოს სამეფო ხელისუფლება გამოსავალს ხედავდა ოსებთან გარიგებაში, რაც ითვალისწინებდა მათი მეშვეობით გზის მოწესრიგებას, პირველ ყოვლისა ხიდების შეკეთება-გამაგრებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სამხედრო ნაწილებზე, ვაჭართა ქარავნებზე თუ საფოსტო ტრანსპორტზე გაყაჩაღებული ოსების თავდასხმათა ალაგმვას. ყოველივე ეს რომ განხორციელებულიყო, სამეფო ხელისუფლება გასამრჯელოს გაცემის პირობით კავშირს ამყარებდა ოსთა თავკაცებთან, ხოლო მათთან გარიგებას ავალებდა ნდობით აღჭურვილ ქართველ მოხელეებს. სამეფო ხელისუფლება ამ მხრივ უპირატესობას ანიჭებდა მოხევეთა შორის გავლენიან ადამიანებს, რომლებსაც ოსებთან მოლაპარაკება ევალებოდათ სამეფო ხელისუფლების მიერ შეთავაზებული პირობების შესაბამისად. ხევში ასეთი გავლენიანი ადამიანის რეპუტაციით სარგებლობდა გაბრიელ ყაზბეგი, ვინც მისი მამის – ყაზიბეგ ჩოფიკაშვილის გარდაცვალების შემდეგ სათავეში ჩაუდგა ქვემო ხევის სამოურაოს, ხოლო საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ კი რუსეთის სახელმწიფო სამსახურში გენერლობასაც კი მიაღწია.

1783 წლის ტრაქტატის გაფორმების შემდეგ გაბრიელ ყაზბეგი განსაკუთრებით აქტიურად ფიგურირებს ოსებთან ურთიერთობაში. ეს ნათლად ჩანს პირველ ყოვლისა ერეკლე მეორისა და გაბრიელ ყაზბეგის მიმოწერიდან, რომელთაგან ორი დოკუმენტი გამოაქვეყნა ვახტანგ გამრეკელმა. ერთ-ერთი მათგანია 1789 წლის 12 იანვრის საბუთი – შეტყობინება გაბრიელ ყაზბეგიშვილისა ერეკლე მეორეს ქარავნების გასატარებლად თაგაურელებთან მოლაპარაკების მსვლელობაზე ერეკლე მეორის ოქმით:

„ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ჴელმწიფის ჭირი ყაზიბეგის შვილს გაბრიელს მოსცეს. თქვენის ბრძანებით თაგაურებში გახლდით და თქვენი ბძანება მიუტანე და ქარავნის გაშვება უთხარ; და არზა გაახლესთ და რაც ამათი საჩივარი იყო არზით მოგახსენესთ; და ეს თავისი კაცი გაახლესთ და ამის პასუხს მოელიან. მანამდი ქარავნებს არ უშვებენ. იანვრის ზ, ქორონიკონს უოზ.

ქ. ჩვენი ბძანება არის ყაზიბეგისშვილო გაბრიელ. მერმე თაგაურებს ჩვენთვის არზა მოეწერათ, მოგვივიდა. ჯანალდის ტყვის თეთრი თექვსმეტი თუმანი, ყალუაშვილი გოგია მოგიტანს და მიეცით. მოხელის ცხენის აყვანისა რომ მოუწერიათ, ჩვენ ხომ არ ვიცით. მაგათი გზა ჩვენთან ყოველთვის ხსნილი არის, როდესაც მთა გაიხსნას ჯანალდის შვილი ჩუენთან მოვიდეს, ედაოს და ჩვენ სამართალს მივცემთ. ეგ ქარავნები აქედამაც წამსვლელნი და იქიდამაც მამსვლელნი, არ დასძრა, მანამდისინ შენ ხათრიჯამი არ შეიქნა და მძევლები არ გამოართვა. ამაზე დიდად ბეჯითად უნდა მოიქცე."

იანვრის იბ, ქორონიკონს უოზ (Межкавказские политические и торговые связи Восточной Грузии. конец 60-х начала 90-х годов XVIII в. „Документы и материалы, II выпуск, Тбилиси, 1991г. пзд. **В. Гамрекели**, с. 119-120).

დოკუმენტის შინაარსიდან აშკარად ჩანს, რომ თაგაურის ზონას ოსები აკონტროლებდნენ და ქარავნის გაშვებაარგაშვებაც მათ უფლებამოსილებაში შედიოდა. ეს გარემოება განაპირობებდა საქართველოს სამეფო ხელისუფლების შემწყნარებლობას ოსთა მიმართ, რაც სათანადო ანაზღაურებით კონპენსირდებოდა. ეს კი ხორციელდებოდა მხარეთა გარიგებით, რაშიაც მონაწილეობდნენ ნდობით არჭურვილი პირები, მათ შორის გაბრიელ ყაზბეგი, როგორც მეფის დავალებათა ერთგული აღმსრულებელი.

3. გამრეკელის მიერ მომზადებულ ზემოხსენებულ პუბლიკაციაში გამოქვეყნებულია კიდევ ერთი ფრიად საყურადღებო დოკუმენტი – წიგნი ერეკლე მეორისა გაბრიელ ყაზიბეგიშვილისადმი ჩრდილო კავკასიელთაგან ქირით ჯარის მომზადების და გამოსტუმრების შესახებ:

„ქ. ჩვენ მაგიერად ყაზიბეგიშვილს გაბრიელს მოკითხვა უამბეთ. მერე შენი დიაღ მადლიერნი ვართ, რომ ჩვენ სამსახურზე კარგად ირჯები. ახლა ეს შენი ძმა ბაადურ, რომელსაც საქმეზედ გამოვისტუმრეთ, ის საქმე შენ და ამან ერთად უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმოქმედოთ. რომელთათვისაც ახლა ჩვენ წიგნები მოგვეწეროს, ყველაყას ახლავ უნდა შეატყობინოთ და მოამზადოთ. ჩერქეზნიც უნდა მოამზადოთ, თაგაურებიც, ანგუშტელებიც, ქისტებიც, ღლიღვებიც და სხვანიც ჩაჩანს აქეთი კაცნი. ჩვენც მაგათთვის ცალ-ცალკე წიგნები მოგვიწერია მომზადებისა. და ჩვენი კაცი და წიგნი როდესაც მოუვიდესთ, მაშინ უნდა დაუაროთ და დასძრათ ის ჯარები და როგორც დაგვებარებინოს ისე საჩქაროთ გამოისტუმრეთ. მაშინ იმ დაბარების დროს თავიანთს მისაცემს ჯამაგირებსაც და ულუფასაც წერილით გამოუცხადებთ და გამოუგზავნით. და თქვენ კი დიდად ბეჯითად უნდა გაისარჯნეთ. თეფწერუყოსაც ახლავ უნდა შეატყობინოთ და მოამზადოთ, რომ როდესაც ეგ ჯარები დავიბაროთ, მაშინ ეგეც წამოვიდეს. და რაც მაგ ჯარების სამემანდროები იქნება, შენ და შენ ძმას გებოძებათ; ალბათ ამ საქმეზედ ორნივ დიდად გაისარჯენით".

მკათათვის კთ, ქორონიკონს უოთ (დოკუმენტები, გვ. 133-134).

ციტირებული დოკუმენტები კიდევ უფრო მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ საქმე ეხებოდა რუსთა სამხედრო შენაერთების არაგვის გზით შემოყვანას. ამ ესოდენ რთული გეგმის რეალიზაცია კი შესაძლებელი გახდებოდა მხოლოდ თაგაურელ ოსებთან გარიგების გზით, რათა გზის ამ მონაკვეთზე დაბრკოლება არ შექმნილიყო. უფრო მეტიც, ამ ურთულესი ოპერაციის განხორციელებისათვის ერეკლე მეორემ საჭიროდ მიიჩნია ოსებთან ერთად ჩერქეზებისა და ინგუშთა თემების აქტიური მხარდაჭერა გასამრჯელოს ანაზღაურების პირობით. დასახული გეგმის განხორციელება ერეკლემ კვლავ გაბრიელ ყაზბეგს და მის ძმას ბაადურს მიანდო და სამემანდროების ბოძებაც მათ აღუთქვა. ცხადია, ამ დოკუმენტის მიხედვითაც ერეკლე მეორეს გარიგებაზე დაფუძნებული სამშვიდობო ურთიერთობის მიზანმიმართულება ამოქმედებდა.

ოსებთან მშვიდობიანი გარიგება სახიერდებოდა საქართველოში ოსების მიგრაციასთან დაკავშირებითაც. შეთანხმება ფორმდებოდა წერილობით, რაც ოსეთიდან გადმოსახლების მსურველთ ავალდებულებდა განსაზღვრული პირობების აღსრულებას. შეთანხმებაში მთავარი მნიშვნელობა ენიჭებოდა ყველა იმ მოსალოდნელი რეციდივის აღკვეთას, რაც დაკავშირებული იყო ადამიანის მკვლელობასთან, დატყვევებასთან თუ ტყვეთა გაყიდვასთან. ეს იმიტომ, რომ ოსთა მხრიდან ქართველთა რბევა-აწიოკების მრავალი შემთხვევა იყო ცნობილი და ახალმოსახლეთა მხრიდან მსგავსი რამ აღარ უნდა განმეორებულიყო. ქართველი თავადებიც რომ დაზღვეულნი ყოფილიყვნენ მათ მამულში დასახლებულ ოსთაგან მოსალოდნელი ღალატისაგან, საგარანტიო საბუთი წერილობით უნდა გაფორმებულიყო. ნათქვამის დამადასტურებელია 1784 წლის 16 თებერვალს შედგენილი დოკუმენტი – Договорное письмо на самозакрепощение, данное переселенцем из Осетии Пилисщвили Кутой узбащу Палавандищвили Гиоргию, რომელიც გვაუწყებს:

„ქ. ნებითა მღვთისათა ესე წიგნი მოგეცით ჩვენ, ფილისშვილმა ქუთამ, შვილმან ჩემმა კაბილამ, შვილის შვილმა ჩემმა ყალდინამ, თობამ, მოსემ, ყაისინამ და ყანისიმან თქვენ ბატონს ფალავანდისშვილს უზბაშს გიორგის და ძმასა თქვენსა ბოქაულთუხუცესს ზურაბს, ძმისწულსა თქვენსა თეიმურაზს, შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა. ასე, რომ მოვედით ოსეთით და გეყმენით. ჩვენგან რაც შეიძლებოდეს თავდადებით ერთგულნი და მოსამსახურენი ვიყვნეთ და გაუწყვეტლად ჩვენგან მსახურნი გახლდესთ. ჩვენ ერთგულნი ვიყვნეთ და თქვენ მწყალობელნი. თუ ჩვენის სიტყვით და, ან ჩვენის მოდავისაგან თქვენს ქვეყანაში წახდეს რამე, ან ტყვე დაიკარგოს, ან ხარი, ან ძროხა. ან ცხენი ან ჩემმა მოადმა (სიც) ან მოყვარემ ან მტერმა შესცოდოს ვისმე, მე და ამ ჩემმა მოცემულმა თავდებებმა გაგცეთ პასუხი და პირი. არიან ამ

ზემოწერილის თავდებნი: თედეშვილი ბაღდო, ჯიდაშვილი, გაჩიშვილი ქითო, გაჩიშვილი ჯილი, ლარსანაშვილი როსტომა, აზანბეგაშვილი დავითა და ერთობით თედეანი. თუ ან ჩვენის ხელით, ან ჩვენის სიტყვით, ან ჩვენის შეტყობილობით თქვენს ქვეყანაში წაახდინოს ვინმე და შესცოდოს ვისმე, ან ჩემს თაობაზედ, ან ჩვენთან, რომ ასლანბეგისშვილმა ასლანბეგამ, რომ თეგიანთ ქალი მოიყვანა (სიც), იმის თაობაზე დააშაონ, ან ჩვენმა მოცემულმა თავდებმა გაგცენ პასუხი. ამას გარდა უთქვენოდ არც სამოყვროდ, არც სამტროდ ოსეთში არ წავიდეთ, თუ არ გვიბძანოთ. და თუ თქვენი ურჩობა რამ შეგვაჩნდეს რამე, თქვენს მოსისხლედ მოგვკითხეთ ცოლიანშვილიანად და არც შენს მეტს კაცს ვეყმნეთ საქართველოშია, აქ ვიყვნეთ შენს მამულში. თუ არეულობა მოხდეს, ოსეთში არ წავიდეთ არც დაჭირებაში, არც დალხინებაში. სადაც იყვნეთ არ მოგშორდეთ. არის ამისი მოწამე ქოზაშვილი ჯამათა, ჩიბირაშვილი ჩობა, ფეხშიშველაშვილი ოთარა, ჯაჭიშვილი თოთი, თათარი ტასტარა. ვიტყვი ბატონი ჩემ თავდებია და მე ამისი მოწამე ვარ. ეს პირობა მოგვიცემია თქვენა და თქვენის ბიძებისა და ბიძაშვილებისათვის და სრულიად თქვენის საყმოსათვისა, რომ არცარა ჩვენის ხელით, არც ჩვენის სიტყვით და შეტყობილობით არავის არ დაუშავდეს. მე, მღვდელს სამარღანიშვილს გრიგოლს ამ ფილიშვილების სიტყვით დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი აღიწერა ფებერვლის ივ, ქორონიკონს უობ (დოკუმენტები, გვ. 143-144).

ქართველი თავადის მხრიდან საგარანტიო საბუთის მოთხოვნა და მასში ფიქსირებული პირობების აღსრულების აუცილებლობა საქართველოში შექმნილი სიტუაციით იყო ნაკარნახევი. დამოწმებულ დოკუმენტში დათქმული პირობები შესრულდა თუ არა, ამის შესახებ სათანადო მონაცემები ჩემთვის უცნობია, მაგრამ პირობებიც რომ ირღვეოდა და იმავე ეპოქაში ოსთა თარეშიც რომ გრძელდებოდა, ამაზე მეტყველებენ ზემოხსენებულ პუბლიკაციაში განთავსებული სხვა

დოკუმენტებიც. ოსიანობის ასალაგმავად და ქვეყანაში მდგომარეობის ნორმალიზაციის მიზნით სამეფო ხელისუფლება რადიკალურ ზომებს ღებულობდა, რისი დამადასტურებელიცაა 1774 წლის 6 ივნისით დათარიღებული საბუთი Приказ Ираклия II арагвским осетинам в саязи с совершенными преступлениями явиться для примирения и выдачи заложников, რომლის ქართულ პირში ვკითხულობთ:

„ქ. ჩვენი ბრძანება არის, რომელნიც არაგუზედ დადებულნი ოსები ხართ, ყველამ გაიგონეთ: თქვენი სიავკაცე ქართლში დიაღ გამრავლდა, რომ ქვეყანა გიჩივისთ; ეხლა ამილახვარი გამოგვიგზავნია და თქვენი მოურავი და კიდევ სხვა თავადები და ვა...ლნი. რომელნიც ჩვენი ერთგულნი ხართ და წაბდენა არ გინდათ, გამოდით, ამათ მძევლებიც მიეცით, ფიციც მიეცით და ნურცა რას წააჴდენთ და თუ ვინ იცის წაგეჴდინოსთ რამე, ისიც მოუბრუნეთ და თქვენ ჩვენის წყრომით აღარ წაბდებით. და რომელნიც ჩვენი მუხანათი იქნებით და ამათთან არ ჩამოხვალთ და მძევალს არ მისცემთ და რაც წაგიჴდენიათ არ მოუბრუნებთ, იცოდეთ ყველამ, რომ თქვენი თადარიკი დაიჭირეთ, რაც შეგეძლოსთ; ჩვენ ეს არის რომ ჩვენს თადარიკსა ვიქთ. და ვინცა ვინ ჩვენი ორგულნი ხართ და ამ ბრძანებას არ დამორჩილდებით, ასეთს რისხვას მოგაყენებთ, რომ არას კაცს არ მოსვლოდეს და არც ჩვენს მამულში თქვენს გვარს-ღა გაუშვებთ. და რომელნიც ერთგულნი იქნებით, მძევალს მისცემთ და პირობას და რაც წაგიჴდენიათ და ისევ მოუბრუნებთ, ჩვენგან წყალობა დაგემართებათ. და თუ უჩივით ვისმე, სამართალსაც მოგცემთ, გამოგირთმევთ და მოგცემთ.

თიბათვის 3, ქორონიკონის უთბ.

ქ. რომელსაც არა წაგიბდენიათ-რა და არცა-რა დაგიშავებიათ, მოდით, მძევლები კი მიეცით. თქვენ არც არა გამოგერთმევათ და არც არა წაგიბდებათ“ (დოკუმენტები, გვ. 40).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამოწმებული დოკუმენტი იმის რეალური მტკიცებულების მაჩვენებელია, რომ სიავკაცით ცნობილი ოსები მთელ ქართლში დათარეშობდნენ და მშვიდობიან მკვიდრ მოსახლეობას ყაჩაღობით იკლებდნენ. ერთ-ერთ ასეთ რეგიონად დოკუმენტში სახელდებულია საარაგვოც, სადაც ოსთა მხრიდან სრული განუკითხაობა სუფევდა. ცხადია, შექმნილ ოდიოზურ ვითარებასთან შეურიგებელი სამეფო ხელისუფლებაც რადიკალურ ზომებს ღებულობდა. ერეკლე მეორის ბრძანება სწორედ მოთარეშე ოსების ალაგმვას ითვალისწინებდა და მკაცრად მოითხოვდა როგორც ადგილობრივი მოსახლეობისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებას, ისე მოსალოდნელი რბევა-აწიოკების აღკვეთას. მეფე ოსებს ავალდებულებდა ამილახვარისა და მოურავის წინაშე ფიცით და მძევლების მიცემით დაემტკიცებინა ხელისუფლებისადმი ერთგულება და მშვიდობიან ცხოვრებას ზიარებოდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში მეფე მათ სასტიკ რისხვას დაატეხდა თავს და თავის მამულში ცხოვრებასაც აუკრძალავდა.

როგორც ზემოხსენებული ბრძანების, ისე სხვა ანალოგიური ღონისძიებების მიუხედავად ოსები კვლავაც არ ღალატობდნენ თავიანთი ცხოვრების წესს და ქართველთა დაყაჩაღებით ითბობდნენ ხელს. ამ საქმიანობას უმთავრესად მუყაითობდნენ საქართველოში დამკვიდრებული ოსები, რომლებიც ქურდობდნენ, ადამიანებს ატყვევებდნენ და ჩერქეზეთში ყიდდნენ. შექმნილი ვითარების აღკვეთის მიზნით ერეკლე მეორე რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებსაც შემწეობას სთხოვდა, რისი დამადასტურებელიცაა ერეკლე მეორის წერილი პ. პოტიომკინისადმი (1783 წლის 21 ოქტომბერი), რომელიც გვაუწყებს:

„ქ. ქთუ8ნი მაღალმსვლელობა რათგან ყოველს ჩვენს მტერზედ შემწედ გვეგულება, ამისთვის მოგახსენებთ ამას, რომ რაოდენნიმე აქეთის მთის ოსნი ჩვენს ქვეყნებში ქურდობენ, კაცებს ატყვევებენ და ჩერქეზში ჰყიდიან. ამისთვის

ეს ქურთაულნი სტარშინები: ვასილი დავიდოვი, გაბრიელ ჩალიკოვი და სოლომონ კურიოვი (გურიევი) იმათი მცნობნი არიან. ამისთვის საიდუმლოდ ებრძანოს მოსდოგის კამენდატს, რომ როდესაც ამათ იმათი ჩერქეზში ყოფა აცნობონ, იმან რაოდენიმე კაცნი გაატანოს და დაიჭირონ; და იმათი დასჯა თქვენს ნებაზედ მოგვიგდია. და ჩვენ თქვენს მაღალმსვლელობას ზემო ჴსენებულთ სტარშინებთ შეგვედრებთ და ვითხოვთ თქვენის მაღალმსვლელობისაგან ამათს დაუგდებლობას, რომელთაგანცა ჩვენ დიდადა კმა ვართ. სხვებრ ვართ ნიადაგ თქუჱნს უმწუჱრვალეს მეგობრობასა შინა. თქუჱნის მაღალმსვლელობისა, მოწყალე ჴელმწიფევ, სამსახურის მოწადე, მეფე ქართლისა, კახეთისა და სხვათა ერეკლე" (დოკუმენტები, გვ. 103-104).

დამოწმებული დოკუმენტი იმის მაუწყებელია, რომ ოსთა თარეშის აღკვეთა საქართველოს სამეფოს შესაძლებლობას აღემატებოდა და მეფე რუსეთის ხელისუფლების მაღალჩინოსნების ჩარევასაც საჭიროებდა.

ოსთა შეიარაღებული რაზმით სოფელ ვანათში ქართველებზე თავდასხმის, მკვლელობის, დატყვევების და ტყვეთა სხვაგან გაყიდვის ფაქტები აღნუსხულია 1784 წლის აპრილში შედგენილ დოკუმენტშიც (დოკუმენტები, გვ. 164-165). ტყვეთა გაყიდვის ადგილად დასახელებულია ჩრდილო ოსეთი. აქვე ნაჩვენებია ტყვეთა ფულადი ღირებულება, ზოგიერთი ქართველის აქედან გაქცევისა და ყიზლარში თავშეფარების შემთხვევები.

ქართველთა მკვლელობაში და დაყაჩაღებაში მხილებული და დაჭერილი ოსები ზოგჯერ იძულებულნი ხდებოდნენ ჩადენილი დანაშაული ეღიარებინათ, ხოლო კომპენსაციის – სისხლის საზღაურის შეთავაზებით და დაყმევების პირობის დადებით პატიება ეთხოვათ. ეს ნათლად ჩანს 1783 წლის 10 ნოემბერს შედგენილი საბუთიდან – Письмо – обязательство на

самозакрепошение, данное Чоба и Ана Чибирасшвили юзбашу Гогия Палавандишвили в оплату за кровь:

„ქ. ნებითა ღვთისათა ესე ნასისხლობის წიგნი და სიგელი მოგეცით ჩვენ, ჩიბირასშვილმა ჩობამ და ძმამან ჩემმა აფამ, თქვენ, ფალავანდიშვილს უზბაშს გოგიას და ძმასა შენსა ბოქაულთუხუცესს ზურაბს. ასე რომ ჩვენ ქართველების სამტეროდ ყაზახად დავდიოდით. პირველად მავდის თავს შენს ცხინვალს გაგზავნილს კაცს პეტრეს დავხვდით და თოფიც დავაცდინეთ; მეორეთ შენს კაცს აბრამიშვილს ბიძინასა და ატოცელს პაატას დავხვდით მავდის წყალზე და დავიჭირეთ, ბიძინა აბრამიშვილი კი მოვკალ. მესამედ არკნითისა და ღვერთეთის ხევს შუა ვისხედით და დაგიხვდით; შენ კი სიკვდილს მოგვირჩი და ერთი ქვეითი კაცი გახლდა, ის მოვკალით და შენ თოფები დაგაცდინეთ. გამოხდა ამაში მცირე ჟამი და ხელში დაგვინარჩუნე. შენ სისხლი გვთხოვეთ, ჩვენ სხვას ღონეს ვერას გავხდით, კაცის სამკვდროდ და დასამარხავად ოთხი ხარი მივეცით. ჩვენ ამდენის შენის სისხლის გარდახდა არ შეგვეძლო და ჩვენი თავი გაყმევით. ორნი ძმანი ჩვენ გახლავართ: მე, ჩობა ჩემის ცოლით და ჩემი ძმა აფა და დედა ჩემი; ესენი შენ სისხლში გეყმენით. მოგცეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩვენი თავი. ვითარც შენი მემკვიდრე კაცი მომიცემია, რომელიც თქვენი ნება იყოს, გინდოდესთ მსახური, გინდოდესთ მოახლე, ორში რომელიც თქვენ ინებოთ, მოახლე თუ მსახური, ჩვენ უარი არ გითხრათ და კიდეც მოგცეთ და არც ჩვენ შენის ყმობიდგან წაგივიდეთ არას გაჭირვებით. ამის თავდებად მოგვიცემია: ფილიშვილი ლევანა, კაბისასშვილი ფავლენა, ფილიშვილი გაგუთა, თედეშვილი ბაღდა, თედეშვილი ქითო, ფილიშვილი გიო, ფილიშვილი ფიანა. ამის თავდებნი ჩვენ ეს ზემოწერილნი კაცნი თავდებნი ვართ. თუ ეს ჩიბირისშვილები აფა და ამის ძმა ქითო წაგივიდეს სადმე, ჩვენ მოგგვაროთ, სამაჩაბლოსა და რუსთავს იქით, თუ ან ოსებში და ან სხვას ადგილს თქვენს უდასტუროდ ხიზნათ

წავიდნენ, ჩვენ მოგაბაროთ. არის ამის მოწამე თებლოშვილი ლოლა, ალბორიშვილი დასე, ჭეხოშვილი ქითო, იკოშვილი დოლო, ცხოვრებაშვილი აბელა. მე მღვდელს სამარღანისშვილს გრიგოლს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი" (დოკუმენტები, გვ. 105-106).

ოსთა მხრიდან შეთავაზებულ პირობებს დაეთანხმნენ თუ არა ძმები ფალავანდიშვილები, ეს არც აღნიშნულ ვალდებულებათა საბუთიდან და არც სხვა დოკუმენტებიდან არ ჩანს, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ ჩადენილი დანაშაულის პატიების საშუალებად კომპენსაციაც გამოიყენებოდა, რაც საერთოდ შემდგომი მტრობის აღკვეთას ითვალისწინებდა. დოკუმენტიდან ისიც ნათლად ჩანს, რომ ოსთა მხრიდან გაღებული სასისხლო გადასახადი მცირედი იყო, რასაც თვითონაც აღიარებენ, მაგრამ იმის გამო, რომ ოსებს ფალავანდიშვილთაგან არავინ მოუკლავთ, გამორიცხული არ უნდა იყოს შესაძლებლობა, რომ თავადები ოსთა დაყმევებას დასჯერებიყვნენ.

ქართველებისადმი ოსების დაპირისპირება ვლინდებოდა სოციალურ ურთიერთობათა სფეროშიც. მათ როგორც კი ფეხი მოიკიდეს საქართველოს ტერიტორიაზე და ქართველ თავადთა ყმობაც ივალდებულეს, მომრავლებისა და მოძლიერების შედეგად თავადებისადმი დაუმორჩილებლობასაც არაიშვიათად ამჟღავნებდნენ. როგორც ოსიანობის მხილებისადმი ჩემი ნაშრომებიდან გამოჩნდა, ძალადობა თავს იჩენდა ყაჩაღურ თავდასმებში, პირველ ყოვლისა ქართველ თავადთა ძარცვაში და წინაარმდეგობის გაწევის შემთხვევაში დაუნდობელ მკვლელობაშიც. ამის პარალელურად ქართველი თავადებისადმი ოსთა დაპირისპირება გამოხატულებას პოულობდა „მშვიდობიანი" ხასიათის სოციალურ ბრძოლაში, ბატონყმობისათვის სავალდებულო ნორმების დარღვევაში. კონკრეტულად ამას ადგილი ჰქონდა სამაჩაბლოშიც, სადაც თავი იჩინა სავალდებულო გადასახადების გადაუხდელობის შემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხვევებმა. შექმნილი მდგომარეობა ფიქსირებულია ბარძიმ მაჩაბელის საჩივარში ერეკლე მეორისადმი და მეფის რეზოლუციაში, რითაც გამართლებულია ბარძიმ მაჩაბლის პრეტენზია და დაგმობილია ოსთა მხრიდან სავალდებულო გადასახადების გადაუხდელობა (დოკუმენტები, გვ. 46).

განხილული დოკუმენტები შუქს ფენენ ქართულ-ოსური ურთიერთობის ორგვარი ხასიათის არსებობას. ეს ურთიერთობა პირველ ყოვლისა სახიერდებოდა საქართველოს სამეფო ხელისუფლების ინტერესების შესაბამისად, როდესაც ოსურ მხარესთან მოლაპარაკება ითვალისწინებდა უსაფრთხოების გარანტიას დარიალის ხეობის მისადგომებთან – ოსთა ცხოვრების ზონაში – თაგაურში, რაზედაც ჯარს თუ ტრანსპორტს უნდა გამოევლო იმ პირობის აღსრულებით, რომ საქართველოს ხელისუფლებას ოსთა თავკაცები გასამრჯელოთი დაეკმაყოფილებინა.

ამგვარი ურთიერთობის პარალელურად ზემოთ განხილული დოკუმენტები ცხადყოფენ ქართველი ხალხისადმი ოსთა დაპირისპირების ფაქტებს და მის უმძიმეს შედეგებს.ეს დოკუმენტები შინაარსობრივად ავსებენ ჩემ მიერ შესწავლილი იმ საისტორიო წყაროებისა და ლიტერატურის მონაცემებს, რომელთა ანალიზმა გამოავლინა ოსიანობის, როგორც ლეკიანობის ადეკვატური არსი და ის უბედურებანი, რაც ამ ოდიოზურმა მოვლენამ ქართველ ხალხს მოუტანა.

* * *

ოსთა საკითხთან ერთად საქართველოს სამეფო ხელისუფლების ამოცანას შეადგენდა ლეკთა თარეშის აღკვეთა, რაც ხორციელდებოდა როგორც ძალის გამოყენებით, ისე სავალდებულო პირობების არსრულების საჭიროებით. იმის შესახებ, თუ როგორ და რა გზით უნდა მოწესრიგებულიყო ქართველთა და დაღესტნელთა ურთიერთობა და საამისოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სამეფო ხელისუფლება რა პირობების აღსრულებას ითვალისწინებდა, ამაზე გარკვეულ პასუხს გვაძლევს 1786 წლის 17 მაისს შედგენილი ერთ-ერთი დოკუმენტი – „განჩინების დადება ქართველთა, თუშთა და ანწუხელთათვის" (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, თბ., 1977, გამოსცა **ი. დოლიძემ**).

ეს დოკუმენტი რომ ქართველთა და დაღესტნელთა ურთიერთობის ნორმალიზაციის მიზნით შეიქმნა, ამის შესახებ დასაწყისშივე აღინიშნა: „ეს განჩინება დაიდვა ქართველთა, თუშთა და ანწუხელთში" (გვ. 731).

საქართველოს სამეფო ხელისუფლება მოსახლეობას ავალდებულებდა, რომ შემორიგებული დაღესტნელი მთიელები არ გაეღიზიანებინათ: „დღეის იქით თუშებმა ასე წმინდათ უნდა დაიცვან თავი, რომ ჩვენს შემორიგებულს ლეკს ანწუხელსა, კაპუჭელსა თუ სხვას ნურას აწყენენ და ნურცარას მოჰპარვენ" (გვ. 731).

რატომ დადგა ეს საკითხი? – იმიტომ, რომ ლეკიანობა იყო უაღრესად საშიში მოვლენა და საქართველოს ხელისუფლება მისი აღკვეთის მიზნით სამშვიდობო გზებს ეძებდა. ცნობილია, რომ თავის მხრივ ქართველი მთიელებიც საკმაოდ აქტიურად ებრძოდნენ მტერს არა მარტო მათი მოგერიების, არამედ სამაგიეროს გადახდის მიზნითაც, რისი შედეგიც იყო როგორც მათი ჟლეტა, ისე ძარცვა – ე.ი. მეკობრეობა. ერეკლე მეორე მიზანშეწონილად მიიჩნევდა საქართველოს მხრიდან მშვიდობიან დამოკიდებულებას მოსალოდნელი აგრესიის აღკვეთის მიზნით.

ამ თვალსაზრისის პარალელურად სამეფო ხელისუფლებისათვის ისიც კარგად იყო ცნობილი, რომ დაღესტნელი მთიელები არ ისვენებდნენ და მათ ასალაგმავად საჭირო ხდებოდა სათანადო ზომების მიღება, ე.ი. ლაშქრობა, ოღონდ სათანადო ორგანიზაციით. თუ როგორ უნდა მომხდარიყო სამტროდ წასვლა, ამის შესახებ სამეფო ხელისუფლება ასეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეკომენდაციას იძლეოდა: „თუ თუშთ ბელექნისაკენ ჯარით სამტროთ წასვლა მოინდომონ, თუშთ მოურავს შეატყობინონ, წიგნი გამოართვან ყვარელთა და გავაზელთზედ. თუ ნებავსთ, ისინიც გაჰყვებიან, თუ არა თვითონ წავიდნენ, მაგრამ მოურავის შეუტყობლად ყვარელსა და გავაზზე ნუ წავლენ. და გალმაზე ქიზიყიდამ და საიდამაც უნდოდესთ იქიდამ წავიდნენ“ (გვ. 731-732).

შესაძლებელი ლაშქრობის ორიენტაციის მაჩვენებელია „განჩინების“ მესამე მუხლიც: „თუ თუშთ ბელექნისაკენ წასვლა მოინდომონ საყაზახოთ, მარტო თვითონ ნუ წავლენ, ერთი ორი კაცი ყვარლიდამ და ან გავაზიდამ წაიყვანონ და ისე წავიდნენ. თუ იქიდამ ვერ იშოვნონ თან გამყოლი კაცნი, ქიზიყს ჩავიდნენ, ვეჯინს, გურჯაანს და იქიდამ იშოვნონ კაცნი, იქიდამ წავიდნენ და თავის მტერს იქიდამ უმტერონ. ზაფხულშიაც ასე ქნან და ზამთარშიაც“ (გვ. 732).

შექმნილი მდგომარეობა ერეკლე მეორეს აიძულებდა ლაშქრობის ორგანიზაციის გეგმაც დაესახა, მაგრამ ურთიერთობის გამწვავების თავიდან აცილების მიზნით ანწუხელებთან კომპრომისსაც საჭიროდ მიიჩნევდა, რისი დამადასტურებელიცაა „განჩინების“ მეოთხე პუნქტი: „კართუბანსა და კართუბანს ჩასწვრივ ალაზნამდინ თუშნი ნულარ ჩავლენ, ანწუხელთ დაანებონ, ნურც სანადიროდ, ნურც სამტროდ და ნურც გზის შესაკრავად ნულარ გაივლიან“ (გვ. 732).

აღნიშნული რეკომენდაციის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში სამეფო ხელისუფლება მკაცრი სამართლებრივი ნორმების დაწესებაზედაც ფიქრობდა, რაც ფორმულირებულია „განჩინების“ მეხუთე მუხლში: „სისხლი პირველათ თორმეტი თუმანი იყო, მეორეთ ოცდაოთხ თუმნად გავხადეთ, და კიდევ არ იქნა, მაინც კიდევ ხოცავდნენ. და ახლა ოცდაათ თუმნათ გაგვიხდია, რომელიც მოჰკლავს თუში, თუ ანწუხელი, თუ ქართველი, ეს სისხლი ასე უნდა მისცენ“ (გვ. 732).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწესებული სასისხლო საურავი თანაბრად ეხებოდა როგორც ქართველის, ისე დაღესტნელის დანაშაულებრივ ქმედებას, მაგრამ იმის მიუხედავად, რომ თავდაპირველად დადგენილი სისხლის ნორმა გაორკეცდა, მტრულად დაპირისპირებულ მხარეებს შორის მკვლელობა კვლავაც გრძელდებოდა. ამან განაპირობა სისხლის საურავის სამმაგად დამძიმება. ამასთან ერთად, ხელისუფლების მიერ სანქცირებული იყო სისხლის ზღვევინების პასუხისმგებლობა, რაც ეხებოდა დამნაშავის ნათესავებს ან მათ თანასოფლელებს. სამართლებრივი სასჯელის არსრულების ვალდებულება ეკისრებოდა როგორც მკვლელობის ჩამდენ ანწუხელებს, ისე თუშებს. თანაც, გათვალისწინებული იყო რა მდგომარეობის ნორმალიზაცია მომავალში, „განჩინება" ორივე მხარეს ავალდებულებდა განსაზღვრული პირობების აღსრულებას. ხელისუფლება თუშებს აკისრებდა ფიცით დადებულ ერთგულებას, რისი დამრღვევიც სასჯელს ვერ აცდებოდა. ამ პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორდება მუქარა, რომ მკვლელს, ხოლო მისი შეუპყრობლობის გამო მის ნათესავებს ან თანასოფლელ კაცთ აზღვევინებდნენ დაკანონებული სისხლის საურავს.

სამეფო ხელისუფლების გადაწყვეტილებაში თუშებთან ერთად განსაზღვრულია პირობა ანწუხელთათვისაც, რაც ითვალისწინებდა მათი დანაშაულებრივი ქმედების აღკვეთას. ეს პირობა კვალიფიცირებულია „განჩინების" მეთერთმეთე მუხლში: „ანწუხელთ კიდევ ეს პირობა უნდა მოგვცენ, რომ: ან თვითონ და ან სხვამ თავიანთმა კაცმა სხუა დაღისტნის კაცი არ მოიყვანონ თავიანთ ბინაზედ და არც სხვის ოსტატობით, და არც თავიანთი გაქცეული კაცი მიუშვან, რომ ანწუხელთ ცოდნით იმათ კახეთში არა დააშაონ რა" (გვ. 732-733).

ამ პირობის მიხედვით ხელისუფლება ანწუხელთ ავალდებულებდა დაეკონტროლინებინათ უცხო კაცის ანტიქართული ქმედება ზემოხსენებული საშუალების გამოყენებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმისათვის კი, რომ მსგავსი შემთხვევები აღკვეთილიყო, მეფე რჩევას აძლევდა, თუ ანწუხელნი როგორც უნდა მოქცეულიყვნენ: „ანუ თუშეთზე და ან კახეთზე თუ რომ ანწუხელთ შეიტყონ იმ უცხოს კაცისა კახეთზედ მომავლობა სამტეროთ, ის გავაზელთ და ყვარელთ უნდა შეატყობინონ, რომ ისინი სხუათ შეატყობინებენ“ (გვ. 733).

სახელმწიფო ხელისუფლება ანწუხელთ მოკავშირეობას აკისრებს დაღესტნის ჯარის მოსალოდნელი თავდასხმის შეტყობინებისა და ტყვეების დახსნის საქმეშიც, რის შესახებაც აღნიშნულია „განჩინების“ მეცამეტე მუხლში: „ეს ხომ ყოველთვის აძევსთ ანწუხელებს: ჩვენი ტყვე რომ მოჰყვანდესთ სხვას ლეკებს, თუ დიდი ჯარი არ არის და მოერეოდნენ, უნდა წაართვან და მოგვცენ. და რაც ჭეშმარიტი ამბავი იცოდნენ დაღისტნის ჯარისა, უნდა შეატყობინონ ყვარელთა და გავაზელთა და ჩვენცა გვაცოდინონ, ამის მოვალენი არიან“ (გვ. 733).

ანწუხელთ პასუხი მოეთხოვებოდა ისეთ შემთხვევაშიც, როდესაც მთელი თოხუმობა დანაშაულის განზრახვით განზე გადგებოდა. ამასთან დაკავშირებით „განჩინებაში“ ფორმულირებულია: „ამას გარდა თუ ანწუხელი თოხუმობით უკუდგეს ვინმე, და იმან ან თუში და ან კახი კაცი მოკლან და ან მოიპარონ რამე, ანწუხელთ თემობით უნდა მოგვცენ პასუხი. როგორც თუშთ მოუციათ პირობა, აგრეთვე ანწუხელთ საქართველოს სამეფო ხელისუფლება მიზნად ისახავდა ქურდობის აღკვეთასაც. მომხდარი შემთხვევისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებოდა არა მარტო თვით ქურდს, არამედ მის მფარველ ნათესავებსა და სოფლის კაცთ, რისი დამადასტურებელიცაა „განჩინების“ მეთხუთმეტე მუხლში ფორმულირებული განმარტება: „ქურდობისაც ასე უნდა იქნას: რომლისაც მხრიდამ ქურდობა მოხდეს, თუ ის ქურდი ვერ ჩავიგდევით ხელში, იმისმა ნათესავმა და იმის სოფლის კაცმა უნდა მისცენ

პატრონს ერთიორად მოპარული და სამთხრობლოც, თუ გასა-ვლია“ (გვ. 733).

საზღაურის გადახდა ევალებოდა როგორც ანწუხის, ისე თუშეთის მკვიდრთ ზემოხსენებულ მუხლში აღნიშნული პირობების დაცვით: „ან ის ქურდი ანწუხის ჯამაათმა და თუშთ უნდა მოგვცენ და ან იმ ქურდის ნათესავმა და სოფლის კაცმა უნდა მისცენ ნაქურდალი ერთიორად და სამთხრობლოცა, რაც გასლოდეს ორისა მხრივე ასე უნდა იქნას“ (გვ. 733).

დამოწმებული მუხლები თვალნათლივ გვიჩვენებენ, რომ ქურდობა მძიმე დანაშაულად ითვლებოდა და მისი აღკვეთის მიზნით სასჯელი ერთნაირად ეხებოდა როგორც ქართულ, ისე დაღესტნურ მხარეს. ეროვნული კუთვნილება რაიმე სახის შეღავათს გამორიცხავდა.

განხილული „განჩინება“ თავისი შინაარსით ლოკალური ხასიათისაა, რამდენადაც იგი ეხება დაღესტნელთა ერთ-ერთი ტომის – ანწუხელთა ურთიერთობას საქართველოს მოსახლეობასთან. არსებითად მასში გამოვლენილია ლეკიანობის რეციდივები და ამდენად, იგი ქართულ-დაღესტნური ურთიერთობის ერთ-ერთი კონკრეტული მაგალითია.

ამგვარად, ფაქტობრივი მონაცემების განხილვის საფუძველზე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ბოგინობდა ლეკიანობა და ოსიანობა, რისი შედეგებიც ზემოთ მოცემული მიმოხილვის საფუძველზედაც ნათლად გამოჩნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VII. ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სოციალურ ურთიერთობათა ეთნოგრაფიული შესწავლის განყოფილების საექსპედიციო მუშაობის შედეგები (1981-1986 წწ.)*

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში 1981 წლის მაისიდან საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილების ბაზაზე ჩამოყალიბდა სამი დამოუკიდებელი განყოფილება: 1. მატერიალური კულტურისა და სამეურნეო ყოფის, 2. სოციალურ ურთიერთობათა, 3. სულიერი კულტურის. თითოეული მათგანი ატარებს სამუშაო პრობლემის სახელწოდებას. ყოფითი კულტურის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს მოიცავს სოციალური ურთიერთობანი, რომლის შემადგენელი საკითხებია: ნათესაობის სისტემა და ნათესაურ ურთიერთობათა ფორმები, საქორწინო წეს-ჩვეულებანი, აღზრდის სისტემა, ოჯახის სტრუქტურა და საოჯახო ყოფა, საკუთრების ფორმები, თემისა და საზოგადოების სტრუქტურა, ხალხური მმართველობის სისტემა, ჩვეულებითი სამართალი, ურთიერთდახმარების ფორმები, სტუმარმასპინძლობის ტრადიციები, ეთნიკური პროცესები და მიგრაცია.

აღნიშნული საკითხები შეისწავლებოდა ახალი განყოფილებების დაარსებამდეც. შექმნილი სტრუქტურის შესაბამისად სოციალურ ურთიერთობათა ეთნოგრაფიული შესწავლის განყოფილებამ განაგრძო მათზე მუშაობა, თუმცა ამჯერად შედარებით უფრო მეტი ყურადღება დაუთმო ემპირიულ ეთნოგრაფიულ მასალებთან ერთად წერილობითი წყაროების მონაცემების ფართოდ გამოყენებას და მათი ურთიერთშეჯე-

---

* პირველად დაიბეჭდა კრებულში – „ქართველი ხალხის თანამედროვე ყოფა და ტრადიციები“, თბ., 1988.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რების კვალობაზე კვლევა-ძიების შემდგომ გაღრმავებაზე მეცადინეობას ეთნოგრაფიული დისციპლინისათვის სავალდებულო ისტორიზმის არც თუ სახარბიელო დონის აუცილებელი ამაღლებისა და მისი წყაროთმცოდნეობითი ბაზის მნიშვნელოვნად გამდიდრების პერსპექტივით, რაც კანონზომიერად უკავშირდება ეთნოგრაფიული კვლევის სფეროში შემავალი ნებისმიერი საკითხის მრავალასპექტიანი, კომპლექსური შესწავლის მეტად აქტუალურ ამოცანას. დაახლოებით იგივე ითქმის ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების ინტენსიფიკაციის მაიმპულსირებელი საფუძვლის – საველე ეთნოგრაფიული პრაქტიკის შესახებ, რომლის ეფექტიანი წარმოებისათვის ნამდვილად აღარ ჩანს საკმარისი მარტოოდენ ეთნოგრაფიული მონაცემების შეკრების საყოველთაოდ აღიარებული მეთოდების (უშუალო დაკვირვება, გამოკითხვა, ექსპერიმენტი) თუნდაც ზედმიწევნით კარგად ათვისება და საინსტიტუტო გეგმით გათვალისწინებულ სეზონურ საველე მუშაობაში (ან სამარშრუტო საველე კვლევაში) მათი გამოყენება. სხვადასხვა საკითხის გარშემო შეძლებისამებრ დამაკმაყოფილებელი და ხარისხიანი მასალის მოპოვების აუცილებელ პირობად, ინფორმატორთა გამოკითხვის მექანიზმის განუხრელ სრულყოფასა და უშუალო დაკვირვების მეთოდის დახვეწაზე გარჯასთან ერთად, წინაურდება შესასწავლი რეგიონის შესახებ არსებული წერილობითი წყაროების ცნობებისა და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ლიტერატურის მონაცემების წინდაწინ ამომწურავად გაცნობა-გაანალიზების ფაქტორი. ამაზე დიდად არის დამოკიდებული ამა თუ იმ პრობლემაში სასურველი სიზუსტით ორიენტაცია და ჩატარებული კვლევის მეცნიერული პროფილის უფრო მკაფიოდ გამოკვეთა ქრონოლოგიური ჩარჩოებისაგან მოუწყვეტლად გააზრებულ მოვლენათა საერთო ფონზე. სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, ნებისმიერ მხარეში ეთნოგრაფიული მუშაობის წარმატებით მსვლელობისა და მხოლოდ ხარისხიანი ეთნოგრაფიული მასალის ფიქსაციის

ეფექტიანობის კოეფიციენტი მერყეობას შეიძლება განიცდიდეს იმის მიხედვით, თუ რამდენად მომზადებულს უწევს ეთნოგრაფს ველზე სამუშაოდ გამგზავრება. კონკრეტულ შემთხვევაში, ცხადია, იგულისხმება სავალდებულო ზრუნვა იმისათვის, რომ საექსპედიციო სამუშაოების გაშლამდე მიახლოებითი წარმოდგენა მაინც შევიმუშაოთ საკვლევად არჩეული რაიონის საზღვრების, მისი ისტორიული წარსულის, ადგილობრივ მკვიდრთა ვინაობის, ტრადიციების და ამ ტერიტორიის ფარგლებში საძიებელი ობიექტების თუნდაც სავარაუდო ადგილმდებარეობის თუ მნიშვნელობის შესახებ, რაშიაც უწინარეს ყოვლისა ხსენებული რაიონის შესახებ არსებული წერილობითი წყაროებისა და სპეციალური ლიტერატურის საფუძვლიანი შესწავლა გვიწევს ქმედით დახმარებას. მხოლოდ ამნაირი ცოდნით აღჭურვილ ეთნოგრაფს აქვს უფლება ველზე გაემგზავროს მუშაობის ნაყოფიერად ჩატარებისა და საეჭვო ღირებულების ეთნოგრაფიული მასალის შეკრებისაგან თავის დაზღვევის იმედით. წინააღმდეგ შემთხვევაში არაა გამორიცხული იმის შესაძლებლობა, რომ საველე სამუშაოების წარმოებამ უშედეგო გარჯის ხასიათი მიიღოს. არადა ამ რიგის ხარვეზების საილუსტრაციო მაგალითების დამოწმება, სამწუხაროდ, მრავლად შეიძლება, მით უფრო, როდესაც საქმე გვაქვს ეთნოგრაფის სტატუსში ნაუცბადევად გაფორმებულ, თუმცა ისტორიული მეცნიერების ელემენტარულ საფუძვლებში არასაკმარისად გათვითცნობიერებულ, სპეციალურ განათლებას მოკლებულ სწავლულთა მემკვიდრეობის შეფასებასთან.

სწორედ ეთნოგრაფიული მეცნიერების წინაშე წამოყენებულ აღნიშნულ მოთხოვნათა გათვალისწინებით დაიგეგმა 1981 წლის მაისში აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის შემსწავლელი ეთნოგრაფიული ექსპედიცია, რომლის შემადგენლობაში იმყოფებოდნენ: ვალერიან ითონიშვილი (ექსპედიციის ხელმძღვანელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი, სოციალურ ურთიერთობათა ეთნოგრაფიული შესწავლის განყოფილების გამგე); როლანდ თოფჩიშვილი (ექსპედიციის ხელმძღვანელის მოადგილე, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ამჟამად უფროსი მეცნიერი თანამშრომელი); ვახტანგ ითონიშვილი (ამჟამად ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი); უმცროსი მეცნიერი თანამშრომლები: იოსებ გოგინაშვილი და ბადრი გძელიძე. 1982 წლის ზაფხულში ექსპედიციაში ჩაირიცხნენ: მარინე კანდელაკი (ამჟამად ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი); გულნარა ცეცხლაძე (უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი); ბათუმიდან ნუგზარ მგელაძე (ამჟამად ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი); მოსკოვიდან ლუბა სოლოვიოვა (ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი). 1983 წელს საექსპედიციო მუშაობაში ჩაება მაია მოწერელია (ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, მეცნიერი თანამშრომელი). მთიულეთში, გუდამაყარში, ხანდოსა და ჭართალში ექსპედიციამ აღნიშნული შემადგენლობით მუშაობა დაამთავრა 1983 წლის ზაფხულში. იმავე მხარეში 1984 წელს მივლინებით იმყოფებოდნენ მ. კანდელაკი და მ. მოწერელია, მაგრამ პარალელურად საექსპედიციო მუშაობაც გაგრძელდა. 1984 წელს მცირერიცხოვანი ექსპედიცია დაკომპლექტდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საქართველოს მთიანეთის კომპლექსური შესწავლის კომისიის გეგმით, რომლის განხორციელების მიზნით მუშაობაში ჩაებნენ სოციალურ ურთიერთობათა ეთნოგრაფიული შესწავლის განყოფილების თანამშრომლები ვალ. ითონიშვილი, ვახტ. ითონიშვილი, ბ. გძელიძე, ი. გოგინაშვილი და რ. თოფჩიშვილი. რ. თოფჩიშვილი მასალებს აგროვებდა ქსნის ხეობაში, ხოლო დანარჩენები კვლავ არაგვის ხეობას სწავლობდნენ. ექსპედიციამ მუშაობა დაამთავრა 1986 წელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დუშეთის რაიონის მთიანეთიდან კვლევის ობიექტად შერჩეულ იქნა ტერიტორია ანანურიდან ჯვრის უღელტეხილამდე, რომლის ფარგლებში ექცევა ოთხი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე: ჭართალი, ხანდო, გუდამაყარი, მთიულეთი (ძველი ხადა და ცხავატი), რომელთა შორის მთიულეთი არაგვის ხეობას ფარავს მისი სათავიდან (ჯვრის უღელტეხილის მისადგომებიდან) დაბა ფასანაურამდე, ხოლო ჭართალი ხამუშას ჭალიდან გრძელდება სოფელ ციხისძირამდე (ანანურის მისადგომებამდე). რაც შეეხება ხანდოსა და გუდამაყარს, ისინი გვერდითი ხეობებია მთიულეთის ანუ თეთრი არაგვის ხეობასთან მიმართებაში.

ექსპედიციის წევრები სწავლობდნენ როგორც განყოფილების მიერ დაგეგმილ, ისე საკუთარი ინიციატივით შერჩეულ საკითხებს. ერთ-ერთ ასეთ გეგმიურ თემას წარმოადგენდა მთიელთა მიგრაცია ბარის რაიონებში. მისი შესწავლის მიზნით რ. თოფჩიშვილი აგროვებდა მასალებს, რაც გამოყენებულია განყოფილებაში განხილულ მოხსენებებში, ხოლო კვლევის ძირითადი შედეგები ასახულია გამოქვეყნებულ სტატიაში (10). რ. თოფჩიშვილი საველე მუშაობას ეწეოდა საქართველოს სხვა რაიონებშიც. 1983-1984 წლებში მან მასალები შეაგროვა ახალგორისა და კასპის რაიონებში – ქსნის ხეობის მთასა და ბარში. მოპოვებულ მასალებზე დაფუძნებული ნაშრომი – „ქსნის ხეობის მოსახლეობის ზოგიერთი ეთნოისტორიული საკითხი XVIII-XX სს." – დასაბეჭდად გადაეცა ჟ. „მაცნეს" რედაქციას. 1984-1986 წლებში რ. თოფჩიშვილი მონაწილეობდა თეთრიწყაროს, მცხეთის, გარდაბნის, დუშეთისა და საგარეჯოს რაიონების ეთნოგრაფიულ ექსპედიციებში. მათ შორის თითონვე ხელმძღვანელობდა დუშეთის, გარდაბნისა და საგარეჯოს ექსპედიციებს. მის მიერ განყოფილებაში წარმოდგენილი საველე მუშაობის ანგარიშის თანახმად, 1981-1986 წწ. შეკრებილი მასალები აისახა ნაშრომში – „შიდა ქართლის მთიანეთის მოსახლეობის ბარში მიგრაციის ისტორიულ-ეთ-

ნოგრაფიული საკითხები". აღნიშნული საკითხების შესწავლის მიზნით იგი 1986 წელს მასალებს აგროვებდა ლეჩხუმში და ხელმძღვანელობდა ექსპედიციას, რომლის მუშაობაში მასთან ერთად მონაწილეობდა ინსტიტუტის ხუთი თანამშრომელი: მ. კანდელაკი, გ. ჩიქოვანი, ლ. ლევიძე, ნ. მგელაძე, ლ. ჭანჭალეიშვილი. ექსპედიცია მუშაობას აგრძელებს.

ჯერ კიდევ განყოფილების დაარსებამდე ბევრად ადრე, 1979 წლიდან არაგვის ხეობის ლოკალიზაციისა და ეთნონიმიკის საკითხებს, მოსახლეობის სოციალურ სტრუქტურასა და მიწათმოქმედების ფორმებს სწავლობდა ვახტ. ითონიშვილი, რომლის მიერ სტუდენტობისა და ასპირანტურის პერიოდში მოპოვებული მასალები, წერილობით წყაროებთან ერთად, საფუძვლად დაედო ჯერ სადიპლომო ნაშრომს – „ხანდოს ხევი" (1980 წ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრა) (17, 18), ხოლო შემდეგ საკანდიდატო დისერტაციას – „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა XIV-XVIII საუკუნეებში (მთიულეთი და გუდამაყარი)" (46). ამავე საკითხს მიეძღვნა რამდენიმე ნაშრომი (19, 20, 24, 25).1984-1985 წწ. გეგმით შესწავლილ იქნა მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ფორმები არაგვის ხეობაში, რომლის მცირედი ნაწილი გამოქვეყნდა (21). ადგილზე მოძიებული მასალების, წერილობითი წყაროებისა და არსებული სპეციალური ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ახლებური ინტერპრეტაცია მიეცა არაგვის ხეობის ლოკალიზაციას, ეთნიკური და სოციალური ისტორიის საკვანძო საკითხებს. სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულ შეცდომათა და გაუგებრობათა ნაცვლად გამოირკვა, რომ არაგვის ხეობის მთიანეთი მოიცავდა ტერიტორიას ჯვრის უღელტეხილიდან ანანურამდე. მის ფარგლებში შედიოდა: მთიულეთი (ხადისა და ცხავატის თემი), გუდამაყარი, ხანდო, და ჭართალი). ამასთან ერთად, განსაზღ-

ვრულია ცნებების **მთიულისა** და **მთიულეთის** ისტორიული და ეთნოგრაფიული მნიშვნელობა (22, 23).

განყოფილების დაარსებისა და არაგვის ხეობის ექსპედიციის დაკომპლექტებისთანავე დაიგეგმა ურთიერთდახმარების ფორმების შესწავლა. ბ. გძელიძე მასალას აგროვებდა და მის საფუძველზე სწავლობდა როგორც შრომითი, ისე მატერიალური დახმარების ფორმებს. ამათგან პირველი ფუნქციონირებდა მიწათმოქმედებაში, მესაქონლეობაში, მშენებლობასა და ხელსაქმეში, ხოლო მეორე – ქორწილსა და მგლოვიარობაში. მეურნეობისა და შრომა-საქმიანობის სხვადასხვა სფეროში დადგენილ იქნა „მუშათ შეყრის", „ულამის", „დანაცვლებით შველის", „მონდავის" სახელწოდებებით ცნობილი დახმარების სახეობანი. მატერიალური დახმარების ფორმებიდან აღსანიშნავია „შაბაში" და „შესაწევარი". ფიქსირებული მასალებიდან კარგად ჩანს, რომ ურთიერთდახმარების ტრადიციული ფორმების წარმოშობა და ფუნქციონირება შეესაბამებოდა მთიელთა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხასიათს, მათი სამეურნეო ცხოვრების პირობებს, საზოგადოებრივი და საოჯახო ყოფის სპეციფიკას. ისიც ნათლად გამოჩნდა, რომ ურთიერთდახმარების ფორმები ტრანსფორმაციას განიცდიდა ყოფა-ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებთან დაკავშირებით, დახმარების ზოგიერთი სახეობა დავიწყებას ეძლეოდა, მაგრამ ზოგი მათგანი (დახმარება მშენებლობაში, ქორწილში, გლოვაში) დღესაც მოქმედი ჩვეულებების სახით განაგრძობენ არსებობას. ყოველივე ეს მონოგრაფიულადაა შესწავლილი ბ. გძელიძის სადისერტაციო ნაშრომში – „ურთიერთდახმარების ფორმები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში", რომლის წიგნად გამოცემა გათვალისწინებულია 1989 წლისათვის. ხანგრძლივი საველე და კვლევითი მუშაობის შედეგები ყოველწლიურად განიხილებოდა განყოფილების სხდომებზე და ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო კონფერენციებზე. ზოგიერთი საკითხი გაშუქებულია გამოქვეყნე-

ბულ სტატიებში (6, 7, 8, 9) ან დასაბეჭდად გადაცემულ წერილებში.

არაგვის ხეობის მოსახლეობაში ნათესაობის სისტემას და ნათესაურ ურთიერთობათა ფორმებს სწავლობდა ი. გოგინაშვილი. შეკრებილი მასალა გვაცნობს სისხლითი, მოყვრობითი და ხელოვნური ნათესაობის სახეებს. ფიქსირებული ტერმინების, აღწერილობისა და ეთნოგრაფიული მასალების ანალიზის საფუძველზე, რაც შემაგრებულია ლინგვისტური და წერილობითი წყაროების მონაცემებით, დადგენილია ზოგადქართული ნათესაობის სისტემების ლოკალური თავისებურებანი. ცალკეული საკითხების კვლევის შედეგები, რაც განხილულია განყოფილების სხდომებზე და ახალგაზრდა მეცნიერთა სესიებზე, ასახულია ი. გოგინაშვილის სადისერტაციო ნაშრომში – „ნათესაობის სისტემა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობაში". ამ თემიდან ზოგიერთი საკითხი განხილულია გამოქვეყნებულ სტატიებში (3, 4, 5), ხოლო ზოგიც დასაბეჭდად წარდგენილ წერილებში.

ი. გოგინაშვილთან ერთად ნათესაობის აღმნიშვნელ ტერმინებსა და შესაბამის ეთნოგრაფიულ მასალებს იწერდა ნ. მგელაძე, რომელმაც ეს მონაცემები შესადარებელი წყაროს სახით გამოიყენა თავის სადისერტაციო ნაშრომში (48).

უმთავრესად ასევე სხვა რეგიონისათვის საჭირო შესადარებელი მასალების მოძიებას ისახავდა მიზნად გ. ცეცხლაძე, რომლის საველე მუშაობა 1982 წელს განისაზღვრა ქალის საოჯახო და საზოგადოებრივი მდგომარეობის ეთნოგრაფიული აღწერილობით.

საქართველოს მთიანეთში მიმდინარე ეთნიკური პროცესებისა და ქართველ მთიელთა ახალი საოჯახო ყოფის, კერძოდ კი ბავშვის აღზრდის ხალხური წესების შესწავლის მიზნით მასალებს იწერდა ლ. სოლოვიოვა, რომელმაც უფრო ადრე საქართველოს ეთნოგრაფიაში წარმოებული მუშაობის შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეგები გამოავლინა თავის სადისერტაციო ნაშრომში (51) და რამდენიმე ცალკეულ გამოკვლევაში (52, 53).

სტუმარმასპინძლობის ტრადიციებზე მასალებს კრებდა მ. მოწერელია, რომელიც საკვლევ რეგიონში ამავე მიზნით მივლინებული იყო 1984 წელსაც. წინა წლებში (1981-1982) ხევსურებთან, ფშავლებთან და თუშებთან შეკრებილ მასალებთან ერთად არაგვის ხეობაში მოპოვებული მასალები მან გამოიყენა თავის სადისერტაციო ნაშრომში – „სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში" (49). მისი შემოკლებული ვარიანტი ცალკე წიგნად გამოქვეყნდა (37), ხოლო არაგვის ხეობის მასალები აისახა სტატიაში (36). უფრო ადრე მ. მოწერელიამ აღნიშნულ თემაზე შეკრებილი მასალები საფუძვლად დაუდო ახალგაზრდა მეცნიერთა კონფერენციებზე წაკითხულ მოხსენებებს, რომელთა ნაწილი გამომზეურდა თეზისების ან სტატიების სახით (34, 35, 38).

ხალხური რწმენა-წარმოდგენების სოციალური ბუნების შესწავლისათვის მ. კანდელაკი 1982-1984 წლების მასალებს აგროვებდა არაგვის ხეობაში. ამის პარალელურად 1984 წელს იგი მონაწილეობდა სვანეთის ეთნოგრაფიულ ექსპედიციაში (ხელმძღვანელი მ. ჩართოლანი), 1985 წელს იმყოფებოდა გარეკახეთში (ექსპედიციის ხელმძღვანელი თ. ოჩიაური), იმავე წელს საველე მუშაობას ეწეოდა დუშეთის, გარდაბნისა და საგარეჯოს რეგიონებში, ხოლო 1986 წელს ლეჩხუმის ეთნოგრაფიულ ექსპედიციაში. ფაქტობრივი მონაცემების შევსება-დაზუსტების მიზნით მ. კანდელაკი მასალას იწერდა ბარად ჩამოსახლებულ მთიელებშიც. ჯერ კიდევ 1981 წლის თებერვალსა და მარტში ზემო და ქვემო ალვანში თუშებთან შეკრებილი მასალა მან საფუძვლად დაუდო 1982 წლის გეგმით შესრულებულ ნაშრომს – „ხელოვნური ნათესაობის სტრუქტურა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ამანათობა თუშეთში)". თუშეთში შეკრებილი მასალა გვაცნობს ხარ-ქვაბით შეყ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის ჩვეულებასაც. არაგვის ხეობის ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით მ. კანდელაკმა 1983-1984 წლების გეგმით განყოფილებაში წარმოადგინა მოხსენება – „ხალხური რწმენა-წარმოდგენების ბუნება მთიულეთსა და გუდამაყარში". იგივე საკითხი მან 1985-1986 წწ. დაამუშავა ხევსურეთისა და ფშავის მასალების გამოყენებით. განყოფილების გარდა კვლევის შედეგები გამოვლენილ იქნა ეთნოგრაფთა რესპუბლიკურ და საკავშირო სესიებზე წაკითხულ მოხსენებებში. მრავალწლიანი მუშაობით ადრე მოპოვებულ მასალებთან ერთად საანგარიშო პერიოდში ფიქსირებული მონაცემები აისახა მონოგრაფიასა (47) და სტატიებში (26, 27, 28).

* * *

განყოფილების თანამშრომელთა მიერ არაგვის ხეობაში შესწავლილი საკითხების შემდგომი კვლევა-ძიების მიზნით 1985 წელს მუშაობას შეუდგა ქსნის მცირერიცხოვანი ეთნოგრაფიული ექსპედიცია, რომლის შემადგენლობაში იმყოფებოდნენ: ვალერიან ითონიშვილი (ხელმძღვანელი), ვახტანგ ითონიშვილი, იოსებ გოგინაშვილი და ბადრი გძელიძე. 1986 წელს ექსპედიციამ მუშაობა გააგრძელა ვახტანგ ითონიშვილის ხელმძღვანელობით. იმავე წლის ივნისის დასაწყისში ექსპედიციამ მუშაობა დაამთავრა.

ქსნის ხეობაში იგივე საკითხები შეისწავლებოდა, რაზედაც ხანგრძლივი მუშაობა მიმდინარეობდა არაგვის ხეობაში. ვალერიან ითონიშვილი იკვლევდა საქორწინო წეს-ჩვეულებებსა და საოჯახო ყოფას. ვახტანგ ითონიშვილი მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ფორმებთან ერთად სწავლობდა ეთნონიმიკისა და ლოკალიზაციის საკითხებს (არაგვის ხეობის შემდეგ ამ მიმართულებით კვლევა-ძიების გაფართოება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლის სრულყოფის ამოცანებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკავშირდება), იოსებ გოგინაშვილი მასალებს იწერდა ნათესაობის სისტემისა და ნათესაურ ურთიერთობათა ფორმებზე, ხოლო ბადრი გძელიძე ურთიერთდახმარების ფორმებს იკვლევდა. ყველა საკითხის შესწავლისათვის მასალების ჩაწერა ხდებოდა როგორც ძირძველ ქართულ, ისე აქ სხვადასხვა დროს დამკვიდრებულ ოსურ მოსახლეობაში.

საექსპედიციო მუშაობის დაწყებამდე გათვალისწინებული იყო ის სირთულეები, რაც ქსნის ხეობის შესწავლისათვის არის დამახასიათებელი. მხედველობაში მაქვს როგორც მისი გეოგრაფიული მდებარეობა და სამეურნეო პირობები, ისე მისი საინტერესო ისტორიული წარსული და თანამედროვეობა. განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა ხეობის მოსახლეობის ეთნიკურ ისტორიას და მოსახლეობის სოციალურ შემადგენლობას, როგორც ყოფითი კულტურის თავისებურების განმსაზღვრელ ფაქტორებს.

1985 წელს ექსპედიციამ საბაზო ადგილად ამოირჩია სოფელი ლარგვისი, ხოლო 1986 წელს დაბა ახალგორი. ამის შესაბამისად პირველ წელს მუშაობა მიმდინარეობდა ქსნის ხეობის სათავეებში ლარგვისისა და ცხავატის ჩათვლით, ხოლო მეორე წელს ლარგვისსა და ახალგორს შორის მდებარე ხევებსა და სოფლებში. განსაკუთრებით საინტერესო და მრავლისმეტყველი მასალებია მოპოვებული ცხრაზმისა და ქარჩოხის ხეობებში. გულსატკენია, რომ უკვე შეუძლებელია მასალების ჩაწერა ჟამურში მისი გაუკაცრიელების გამო. ასევე ძალზე შესუსტდა ეთნოგრაფიული მონაცემების მოპოვების შესაძლებლობა ჭურთის ხეობაში მისი მოსახლეობის უკიდურესად შემცირების გამო.

ქსნის ხეობაში შეკრებილი მასალების საფუძველზე განყოფილების გეგმით მომზადდა სამი გამოკვლევა: 1) მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ფორმები (ვახტ. ითონიშვილი), 2) ნათესაობის სისტემა (იოსებ გოგინაშვილი), 3) ურთიერთდახმარების ფორმები (ბადრი გძელიძე). გეგმის

გარეშე მუშავდება ზემოხსენებული საკითხები (საქორწინო ტრადიციები, საოჯახო ყოფა, ეთნონომიკა და ლოკალიზაცია). კვლევის შედეგების გამომზეურება ნავარაუდევია მონოგრაფიებისა და სამეცნიერო კრებულების სახით.

* * *

განყოფილებაში დაგეგმილი საკითხების შესწავლის მიზნით საექსპედიციო საქმიანობათა ორგანიზაციის პარალელურად ყოველწლიურად ხორციელდებოდა ინდივიდუალური მივლინებები, რომელთა ერთი ნაწილის შესახებ ზემოთ უკვე ითქვა. კარგად ორგანიზებული და ტექნიკურად აღჭურვილი ექსპედიციისაგან განსხვავებით, რაც ეთნოგრაფს ნორმალური სამუშაო პირობებით უზრუნველყოფს, დიდი სირთულეები ახლავს ინდივიდუალურ მივლინებას, მაგრამ მას გარკვეული უპირატესობაც გააჩნია. ინდივიდუალურად მომუშავე ეთნოგრაფი ნაკლებად განიცდის ინფორმატორთა სიმცირეს, რაც ნიშანდობლივია ჯგუფის მუშაობისათვის. აღნიშნული ვითარება განსაკუთრებით შეინიშნება მრავალრიცხოვანი ჯგუფის მიერ მცირეკომლიანი დასახლების შესწავლის შემთხვევაში. ახლანდელ პირობებში, როდესაც ყოფა-ცხოვრების დაჩქარებულმა განახლებამ არსებითად შეუცვალა სახე სოფელს, მოიშალა ადგილობრივი მეურნეობა, მოისპო ტრადიციული საცხოვრებლები და მატერიალური კულტურის სხვა კომპონენტები, გარდაიქმნა საოჯახო და საზოგადოებრივი ყოფა, შეიცვალა სულიერი კულტურა, დავიწყებას მიეცა მრავალი ჩვეულება ან მისი გადმონაშთი, ხოლო ტრადიციული ყოფის, გარდასული ცხოვრების მცოდნე პირთა რაოდენობა მეტისმეტად შემცირდა, ისტორიულ-ეთნოგრაფიული თვალსაზრისით ღირებული მასალის ფიქსაციის შესაძლებლობაც საგრძნობლად შეიზღუდა. ასეთ პირობებში მრავალრიცხოვან ექსპედიციასთან შედარებით უფრო ხელსაყრელია მცირე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიცხოვანი სამუშაო ჯგუფის დაკომპლექტება ან ინდივიდუალური მივლინება.

სოციალურ ურთიერთობათა ეთნოგრაფიული შესწავლის განყოფილება ასეთი გზით წარმართავს საველე მუშაობას, ოღონდ დიდ დაბრკოლებათა გადალახვის გზით, ვინაიდან როგორც ჯგუფი, ისე ინდივიდუალურად მომუშავე ეთნოგრაფი მოკლებულია შემგროვებლობითი საქმიანობისათვის საჭირო მინიმალურ პირობებს. არსებულ სიძნელეთა მიუხედავად განყოფილებამ მისი დაარსებიდან დღემდე არაერთი მივლინება განახორციელა. პირველ რიგში გათვალისწინებული იყო ეთნოგრაფიული თვალსაზრისით სუსტად შესწავლილ რეგიონებში მუშაობა. ერთ-ერთ ასეთ რეგიონად მიჩნეული იქნა დასავლეთ საქართველოს ბარი, სადაც ეთნოგრაფიული მასალის შეკრება დაეგეგმა რამდენიმე თანამშრომელს. საველე მუშაობის ერთიანობის საფუძველს ქმნიდა როგორც ერთი პრობლემიდან – სოციალურ ურთიერთობათა სფეროდან გამოყოფილი საკითხები: საქორწინო წეს-ჩვეულებები, საოჯახო ყოფა და აღზრდის სისტემა, ისე სამუშაოდ შერჩეული კუთხეების (იმერეთი, გურია, სამეგრელო) მჭიდრო კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის ფაქტორი.

1981-1984 წლებში იმერეთში, სამეგრელოსა და გურიაში საქორწინო წეს-ჩვეულებების შესწავლისათვის მასალებს იწერდა თინა იველაშვილი (ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ამჟამად უფროსი მეცნიერი თანამშრომელი). 1981-1982 წლების გეგმით მან განყოფილებაში წაიკითხა მოხსენება – „ძველი და თანამედროვე საქორწინო წეს-ჩვეულებანი იმერეთში". 1983 და 1984 წლებში იგივე თემა წარმოადგინა მასალებისა და ანგარიშის სახით, ხოლო 1985 წელს დაასრულა ხუთწლიანი სამუშაო. „ძველი და თანამედროვე საქორწინო წეს-ჩვეულებანი დასავლეთ საქართველოში". საანგარიშო პერიოდში თ. იველაშვილი მონაწილეობდა აგრეთვე ინსტიტუტის ეთნოგრაფიულ ექსპედიციებში (ლეჩხუმისა – 1984 წ., გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეკახეთისა – 1985 წ., შიდა ქართლისა – 1985-1986 წწ., ქვემო სვანეთისა – 1985 წ.). შეკრებილი მასალების საფუძველზე მის მიერ მომზადებული 5 სტატიიდან 3 გამოქვეყნდა (11,12,13), ხოლო 2 გადაცემულია დასაბეჭდად.

გურიაში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე უმცროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა გ. ცეცხლაძემ 1981-1982 წლების გეგმით შეისწავლა ქალის საოჯახო და საზოგადოებრივი მდგომარეობა, ხოლო 1983-1985 წლებში – საოჯახო ყოფა გურიაში ძველად და ახლა. ამავე თემაზე მან საველე მუშაობა განაგრძო იმერეთში – სამტრედიის რაიონში. საკუთარი ჩანაწერები შეავსო ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის საარქივო მონაცემებით. წლიური გეგმით დაწერილი მოხსენებების გამთლიანება გათვალისწინებულია სადისერტაციო ნაშრომში, რომლის შემადგენელი საკითხებიდან ზოგი გამოქვეყნდა (40, 41, 42) ხოლო ნაწილი გადაცემულია დასაბეჭდად.

1984 და 1985 წლებში სამეგრელოს მოსახლეობაში ეთნოგრაფიულ მასალებს იწერდა უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი ნათელა კაპანაძე, ხოლო 1986 წელს მონაწილეობდა დუშეთის რაიონის ეთნოგრაფიულ ექსპედიციაში. მოპოვებული მასალები, აგრეთვე 1978-1980 წლებში იმერეთსა და სამეგრელოში წარმოებული საველე მუშაობის შედეგები საფუძვლად დაედო მის სადისერტაციო ნაშრომს, რომელშიც შესწავლილია აღზრდის ხალხური სისტემა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობაში ძველად და ახლა. ამ ნაშრომში შემავალი საკითხების დიდი ნაწილი გამოქვეყნდა ერთი ცალკე ნარკვევისა და რამდენიმე სტატიის სახით (29, 30, 31, 32, 33)..

დასავლეთ საქართველოს პარალელურად რამდენიმე მივლინება განხორციელდა აღმოსავლეთ საქართველოშიც. უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი ნათია ჯალაბაძე განყოფილებაში მუშაობის პერიოდში (1981-1984) ფშავ-ხევსურეთში მასალებს აგროვებდა „ადგილის დედის" რელიგიურსა და

სოციალურ ასპექტებში შესწავლის მიზნით. შეკრებილ მასალებზე დაყრდნობით განყოფილებაში წარმოდგენილსა და ახალგაზრდა მეცნიერთა სესიებზე წაკითხულ მოხსენებებთან ერთად, რომლებიც სადისერტაციო თემის ნაწილებს შეადგენდნენ, ზოგიერთ საკითხს ის გამოქვეყნებულ სტატიებშიც შეეხო (44,45).

აღმოსავლეთ საქართველოს ხალხის მოსახლეობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლისათვის განყოფილებამ საჭიროდ ჩათვალა მასალების მოპოვება უდების ყოფისა და კულტურის საკითხებზე. მათი საქორწინო წეს-ჩვეულებების შესწავლისათვის მასალებს აგროვებდა დაუსწრებელი ასპირანტი თ. მისკალიშვილი, რომლის მიზანსაც შეადგენს ამ თემაზე სადისერტაციო ნაშრომის მომზადება.

განყოფილებაში, მისი დაარსებიდან სამი წლის განმავლობაში, ნაყოფიერ საველე და კვლევით მუშაობას ეწეოდა უდროოდ გარდაცვლილი სწავლული, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი გივი ჯავახიშვილი (1931-1983), რომელმაც ადრე დაწყებული მუშაობა აქ გააგრძელა ახალი ყოფის საკითხებზე. განყოფილებაში მან ხელი მოკიდა ეთნიკური პროცესების შესწავლას, რისთვისაც ეთნოგრაფიული მასალების შეგროვება დაიწყო კახეთში. მუშაობის შედეგები წარმოადგინა მასალებისა და სამეცნიერო ანგარიშის სახით. ამის პარალელურად მან სპეციალურ ნაშრომში მიმოიხილა ქართველი ეთნოგრაფების ნაშრომები ახალი ყოფისა და კულტურის შესახებ (43). ამ წერილის უფრო ვრცელი ხელნაწერი ვარიანტი, ისევე როგორც მრავალი ეთნოგრაფის ისტორიოგრაფიული მიმოხილვა, საფუძვლად დაედო ალ. რობაქიძის ბიბლიოგრაფიულ-ანოტირებული ხასიათის ნარკვევს (50).

1983 წელს კახეთში ეთნოგრაფიულ მასალებს აგროვებდა განყოფილების ყოფილი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ბიძინა ნანობაშვილი. მასალები და სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერო ანგარიში თემაზე – „საქორწილო წეს-ჩვეულებები შიდა კახეთის მოსახლეობაში ძველად და ახლა" მან წარმოადგინა განყოფილებაში. წინა 1981-1982 წლებში კი ბ. ნანობაშვილმა შეისწავლა ქ. თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალმშენებელი ქარხნის მუშათა საოჯახო და საზოგადოებრივი ყოფა.

1981-1982 წლების გეგმით თბილისის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის საკითხებზე მასალებს აგროვებდნენ და სწავლობდნენ განყოფილების სხვა თანამშრომლებიც (ვალ. ითონიშვილი, გ. გოცირიძე, ნ. აბესაძე). ვალ. ითონიშვილმა გააფართოვა ადრე დაწყებული მუშაობა (14) საქორწინო ტრადიციებისა და საოჯახო ყოფის საკითხებზე, რაც 1982 წელს განყოფილებას წარუდგინა მოხსენების სახით.

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა, ამჟამად უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა გიორგი გოცირიძემ მატერიალური კულტურისა და სამეურნეო ყოფის ეთნოგრაფიული შესწავლის განყოფილებაში გადასვლამდე ქ. თბილისის მოსახლეობაში ჩაწერილ მასალებზე დაყრდნობით 1982 წლის გეგმით შეისწავლა მაჰმადიანური ხალხური დღესასწაულებიდან ძირითადად მოჰარამი (შახსეი-ვახსეი), ხოლო ნაწილობრივად ნოურუზი (ახალი წელი) და ყურბან-ბაირამი (მსხვერპლშეწირვა). იმავე მასალის საფუძველზე მან მოამზადა სამეცნიერო პოპულარული ნარკვევი – „მუსლიმანური ხალხური დღესასწაული – მოჰარამი თბილისში", რომლის გამოცემა დაგეგმილია სერიით – „ტრადიცია და თანამედროვეობა".

ქალაქების ეთნოგრაფიული შესწავლის მიმართულებით ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ნანული აბესაძე. განყოფილების დაარსებამდე ბევრად ადრე დაწყებული მუშაობა მან გააგრძელა 1981-1986 წლებშიც. 1981-1982 წლებში ქალაქის ძველ უბნებში ჩაწერილი მასალების გამოყენებით ნ. აბესაძემ დაწერა ნაშრომი – „ქ. თბილისის ხელოსანთა ყო-

ფა და კულტურა". საკუთარ მასალასთან ერთად თბილისის ეთნოგრაფიის საკითხებზე მომუშავეთა (ვალ. ითონიშვილი, ნ. მაისურაძე, ნ. მინდაძე, თ. ოჩიაური, გ. გეგეჭკორი, მ. შილაკაძე, გ. გოცირიძე, თ. ცაგარეიშვილი...) ნაშრომების გათვალისწინებით მან მოამზადა ეთნოგრაფიული ნარკვევი თბილისის ისტორიის სამტომეულის მეორე ტომისათვის. თბილისის ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით მანვე 1983 წელს განყოფილებას წარმოუდგინა ნაშრომი – „ხელოსნური წარმოების ბურჟუაზიული ევოლუცია ქ. თბილისში". 1981-1983 წლებში შეკრებილი მასალები და მათი ანალიზის შედეგები ფართოდ აისახა სპეციალურ მონოგრაფიაში (1). 1984-1986 წლებში ნ. აბესაძემ ეთნოგრაფიულ ჩანაწერებთან ერთად საარქივო მასალებისა და სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემების საფუძველზე მოამზადა ამ კრებულში მოთავსებული ნაშრომი (2).

როგორც წარმოდგენილი მიმოხილვიდან ჩანს, განყოფილების სამუშაო გეგმა ემყარებოდა ძველი და ახალი ყოფითი კულტურის დინამიური შესწავლის მეთოდიკას. საველე მუშაობის პროცესში ყურადღება ექცეოდა არა მარტო დაგეგმილი თემების ისტორიულ ჭრილში შესწავლას, არამედ განყოფილების გეგმისაგან დამოუკიდებლად დასმულ სადღეისო პრობლემებსაც. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა განყოფილების მჭიდრო კონტაქტები საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული მთიანეთის კომპლექსური შესწავლის კომისიასთან და ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის" რედაქციასთან. იმასთან ერთად, რომ ამ კომისიის გეგმით ექსპედიციამ იმუშავა არაგვის ხეობაში, მთიანეთში მოპოვებული მასალების საფუძველზე არაერთი საკითხი გაშუქდა ჟ. „საქართველოს კომუნისტის" ფურცლებზე. ამ ჟურნალის რედაქციამ შექმნა სპეციალური რუბრიკა – „მთები და ადამიანები", რომლის კურირება დაევალა ვალერიან ითონიშვილს. აღნიშნული რუბრიკით მთიანეთის მდგომა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეობას და სამომავლო ამოცანებზე დაბეჭდილ არაერთ სტა-ტიასთან ერთად დაიბეჭდა ვალ. ითონიშვილის ორი წერილი (15,16), რომლებშიც გაშუქებულია ხევისა და ქსნის ხეობის სადღეისო პრობლემები. ამავე ტიპის სტატიები გათვალისწინებულია სხვა კუთხეების შესახებაც.

განყოფილების მიერ გაწეული საველე მუშაობა და მისი შედეგები მომავალ პერსპექტივებს სახავს ქართველი ხალხის ტრადიციული და თანამედროვე ყოფითი კულტურის შემდგომი გაღრმავებული შესწავლისათვის. პირველ რიგში ეს ჭირდება ინსტიტუტის ისეთი დიდი კოლექტიური სამუშაოს შესრულებას, როგორიცაა „საქართველოს ეთნოგრაფიის ნარკვევები". ხუთ ტომად გამიზნული ნაშრომის მეოთხე ტომი მთლიანად სოციალურ ურთიერთობათა პრობლემას ეთმობა, რომლის მომზადება ჩვენს განყოფილებას ეკისრება.

მითითებული ლიტერატურა:

1. **ნ. აბესაძე**, ხელოსნური წარმოება და ხელოსანთა ყოფა საქართველოს ქალაქებში (XIX საუკუნის II ნახევარი – XX საუკუნის დასაწყისი, თბ., 1986.
2. **ნ. აბესაძე**, თანამედროვე ეთნიკური პროცესები თბილისში, (იხ. კრ. „ქართველი ხალხის თანამედროვე ყოფა და ტრადიციები, თბ., 1988).
3. **ი. გოგინაშვილი**, აგნატიკური ნათესაობის ზოგიერთი თავისებურება მთიულეთ-გუდამაყარში, კრ. „ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები", II, თბ., 1985.
4. **ი. გოგინაშვილი**, ნათესაობის სისტემის სოციალური განპირობებულობის პრობლემა, ჟ. „მაცნე", ისტორიის... სერია, 1986, №2.
5. **ი. გოგინაშვილი**, კლასიფიკატორული ტერმინების რაო-

ბის საკითხისათვის, კრ. „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის", XXIII, თბ., 1987.
6. **ბ. გძელიძე**, ოჩხარი მთიულეთ-გუდამაყარში, კრ. „ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები, II, თბ., 1985.
7. **ბ. გძელიძე**, შრომის ორგანიზაციის ფორმები მთიულეთსა და გუდამაყარში (მწყემსობის ორგანიზაცია მსხვილფეხა მესაქონლეობაში), ჟ. „მაცნე", ისტორიის... სერია, 1985, №2.
8. **ბ. გძელიძე**, ურთიერთდახმარება მშენებლობაში (მთიულეთისა და გუდამაყრის ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით), ჟ. „მაცნე", ისტორიის.... სერია, 1987, №2.
9. **ბ. გძელიძე**, შრომითი ურთიერთდახმარების ტრადიცია მკაში, კრ. „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის", XXIII, თბ., 1987.
10. **რ. თოფჩიშვილი**, მთიულეთისა და გუდამაყრის მოსახლეობის ზოგიერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული საკითხი, ჟ. „მაცნე", ისტორიის... სერია, 1985, №2.
11. **თ. იველაშვილი**, ქალის დანიშვნის ზოგიერთი თავისებურება ქართული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ჟ. „მაცნე", ისტორიის... სერია, 1981, №1.
12. **თ. იველაშვილი**, ხალხური სანახაობითი წარმოდგენების ელემენტები საქორწილო რიტუალში, კრ. „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის", XXIII, თბ., 1987.
13. **თ. იველაშვილი**, თანამედროვე საქორწილო სუფრა (იხ. ამ კრებულში).
14. **ვალ. ითონიშვილი**, ქორწინების ზოგიერთი წეს-ჩვეულება ძველ თბილისში, თბ., 1959.
15. **ვალ. ითონიშვილი**, ხევის სადღეისო პრობლემები, ჟ. „საქართველოს კომუნისტი",1985, №5.
16. **ვალ. ითონიშვილი**, ქსნის ხეობის ავ-კარგი, ჟ. „საქართველოს კომუნისტი",1987, №6.
17. **ვახტ. ითონიშვილი**, ხანდოს ხევი და მთიულეთი – ლოკა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიზაციის საკითხი (სადიპლომო ნაშრომის ნაწილი), „საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-60 და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დაარსების მე-40-ე წლისთავისადმი მიძღვნილი თბილისის ახალგაზრდა მეცნიერთა საიუბილეო კონფერენციის თეზისები", 20-25 აპრილი, თბ., 1981.

18. **ვახტ. ითონიშვილი**, ხანდოს ხევი (ლოკალიზაცია, ეთნონიმიკა, განსახლება), კრ. „ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები", თბ., 1985.
19. **ვახტ. ითონიშვილი**, მოსახლეობის სოციალური შემადგენლობა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (მთიულეთი, გუდამაყარი, ხანდო, ჭართალი) გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის აგების" მიხედვით, ჟ. „მაცნე", ისტორიის... სერია, 1980, №2.
20. **ვახტ. ითონიშვილი**, მთიულეთისა და გუდამაყრის მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა XVIII საუკუნეში (მოსახლეობის აღწერის მონაცემები), ჟ. „მაცნე", ისტორიის... სერია, 1983, №4.
21. **ვახტ. ითონიშვილი**, მიწათსარგებლობის ფორმები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ხანდოს ხევის მონაცემების მიხედვით), კრ. „საქართველოს მთიანეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი ფეოდალიზმის ხანაში", თბ., 1983.
22. **ვახტ. ითონიშვილი**, რეცენზია გ. ხორნაულის წიგნზე – „მთები და სახელები (მთიულეთ-გუდუმაყრის ტოპონიმიკური მასალები და ძიებანი)", თბ., 1983, ჟ. „მაცნე", ისტორიის... სერია, 1984, №3.
23. **ვახტ. ითონიშვილი**, არაგვის ხეობა (მთის კუთხეების ლოკალიზაციისა და ეთნონიმიკის საკითხები), გამომცემლობა „მეცნიერება", თბ., 1986.
24. **ვახტ. ითონიშვილი**, ერთხელ კიდევ „ძეგლის დადების" შედგენის მიზეზისა და მიზნის, სამართლის წიგნის მნიშ-

ვნელობისა და მოქმედების ტერიტორიის შესახებ, კრ. „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის", XXIII, თბ., 1987.

25. **ვახტ. ითონიშვილი**, მთიულეთისა და გუდამაყრის მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა XVIII საუკუნეში (მონაცემები ძეგლისა . „განჩინება ბარისა და მთიურთა ადგილთა"), კრ. „ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები", III, თბ., 1987.
26. **მ. კანდელაკი**, ქართველ მთიელთა სოციალურ-რელიგიური სტრუქტურის საკითხები (ჯვარი და ხატი), ჟ. „მაცნე", ისტორიის... სერია, 1981, №3.
27. **მ. კანდელაკი**, ამანათობა და ხარ-ქვაბით შეყრის წესი, ჟ. „მაცნე", ისტორიის... სერია, 1984, №3.
28. **მ. კანდელაკი**, ლაშარის ჯვარი ფშაველთა ყოფაში, კრ. „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის", XXIII, თბ., 1987.
29. **ნ. კაპანაძე**, აღზრდის ხალხური წეს-ჩვეულებანი ზემო იმერეთის მასალების მიხედვით (ჩვილი ბავშვის მოვლა), კრ. „საქართველოს ისტორიის საკითხები", თბ., 1982.
30. **ნ. კაპანაძე**, აღზრდის ქართული ხალხური წეს-ჩვეულებანი, თბ., 1986.
31. **ნ. კაპანაძე**, აღზრდის ხალხური სისტემა საქართველოში (ისტორიოგრაფიული ნარკვევი), ჟ. „მაცნე", ისტორიის... სერია, 1986, №4.
32. **ნ. კაპანაძე**, მშობიარობასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები, კრ. „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის", XXIII, თბ., 1987.
33. **ნ. კაპანაძე**, ბავშვის აღზრდის ქართული ხალხური წეს-ჩვეულებები და თანამედროვეობა (იხ. ამ კრებულში).
34. **მ. მოწერელია**, სტუმრის ოჯახში მიღების ტრადიცია, ჟ. „მაცნე", ისტორიის... სერია, 1982, №2.
35. **მ. მოწერელია**, სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციები სა-

ქართველოში ისტორიული წყაროების მიხედვით, კრ. „ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები", II, თბ., 1985.
36. **მ. მოწერელია**, სტუმარ-მასპინძლობის ძველი და ახალი ტრადიციები მთიულეთ-გუდამაყარში, კრ. „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის", XXIII, თბ., 1987.
37. **მ. მოწერელია**, სტუმარ-მასპინძლობის ძველი და ახალი ტრადიციები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1987.
38. **მ. მოწერელია**, სტუმარ-მასპინძლობის თანამედროვე ქართული ტრადიციები (იხ. ამ კრებულში).
39. **ალ. რობაქიძე**, ქართული საბჭოთა ეთნოგრაფია, კრ. „ისტორიული მეცნიერების განვითარება საბჭოთა საქართველოში", თბ., 1986.
40. **გ. ცეცხლაძე**, ქალის საოჯახო მდგომარეობა გურიაში, კრ. „ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები", II, თბ., 1985.
41. **გ. ცეცხლაძე**, ოჯახის გაყრისა და საოჯახო ქონების განაწილების წესები გურიაში, კრ. „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის", XXIII, თბ., 1987.
42. **გ. ცეცხლაძე**, გურიის მოსახლეობის თანამედროვე საოჯახო ყოფა (იხ. ამ კრებულში).
43. **გ. ჯავახიშვილი**, ახალი ყოფისა და კულტურის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის საქართველოში, ჟ. „მაცნე", ისტორიის... სერია, 1985, №1.
44. **ნ. ჯალაბაძე**, „ადგილის დედასთან" დაკავშირებული ზოგიერთი რიტუალის შესახებ, კრ. „ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები", II, თბ., 1985.
45. **ნ. ჯალაბაძე**, ღვთაება „ადგილის დედის" ბუნებისათვის, კრ. „რელიგიისა და ათეიზმის ისტორიიდან საქართველოში", თბ., 1986.
46. **В. В. Итонишвили**, Социальная структура населения горной части Восточной Грузии в XIV-XVIII веках (Мтиулети и Гудамакари). Автореферат канд. дисс. Тб., 1984.

47. **М. Б. Канделаки**, Из общественного быта горцев (институт аманатства), Тб., 1987.

Н. В. Мгеладзе, Система кровного родства в Аджарии, автореферат канд. дисс., Тб., 1986.

49. **М. Г. Моцерелиа**, Традиции гостеприимства у горцев Восточной Грузии, автореферат канд. дисс., Тб., 1983.

50. **Л. И. Робакидзе**, Пути развития грузинской советской этнографии, Тб., 1983.

51. **Л. И. Соловева**, Обычаи и обряды грузин, связанные с рождением и воспитанием детей (вторая половина XIX – начало XX вв.). Автореферат канд. дисс., М., 1982.

52. **Л. И. Соловева**, Обычаи и обряды первых лет жизни ребенка у грузин Хевсурети в конце XIX – начале XX в. ж. "Советская Этнография", 1984, №4.

53. **Л. И. Соловева**, Обычаи и обряды детского цикла у Грузин (вторая половина XIX – начало XX в.) в кн. "Кавказский этнографический сборник", VII, М., 1984.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VIII. ახალციხური დღიურიდან

1975 წელს ქ. ახალციხეში საუნივერსიტეტო სამხედრო ვალდებულებას ვასრულებდით. მიუხედავად ჩვენი დიდი სურვილისა, რომ სამცხის ისტორიული ძეგლები დაგვეთვალიერებინა, სამხედრო რეჟიმის პირობებში ამის შესაძლებლობა არ შეგვექმნა. ამიტომ, მოგვიანებით, როდესაც ასპირანტურა დამთავრებული მქონდა, 1978 წელს ამხანაგებმა იქ ექსკურსიის მოწყობა გადავწყვიტეთ. მატარებლით გავემგზავრეთ 19 ივლისს. ექსკურსიაში ჩემთან ერთად მონაწილეობდნენ ბადრი გძელიძე, სოსო გოგინაშვილი, ალეკო ბეროშვილი და სხვები. მგზავრობა ჩვეულებისამებრ სჯა-ბაასში და ხუმრობაში გავატარეთ. 20 ივლისს ქ. ახალციხეში ჩავედით და დავბინავდით სკოლის შენობაში, რომლის დიდი ფართობი და პირობები ჩვენთვის დამაკმაყოფილებელი იყო.

ახალციხე პატარა, მოსაწყენი და უღიმღამო ქალაქია. ძეგლები აქ საკმაოდ ბევრია, ხოლო მოსახლეობა შერეულია. აქაური სომხები საკმაოდ უსიმპატიო შთაბეჭდილებას ტოვებენ.

საერთოდ სამცხე-ჯავახეთი ისტორიული ძეგლების თავისებური „ყულაბაა". საოცარია ამ მომხიბვლელი ძეგლების სიმრავლე. გრანდიოზულ ძეგლებთან ერთად აქ გავრცელებულია მცირე გაბარიტების ნაგებობანიც. თვალის ერთი გადავლებით ჩვენ ამაში დავრწმუნდით, მაგრამ მხოლოდ მათი დათვალიერებით შემოვიზღუდეთ. ჩვენ უმთავრესად შემოვიფარგლეთ ეთნოგრაფიული მასალების ფიქსაციით, მაგრამ ამ მხრივაც სასარგებლო მდგომარეობაში ვერ აღმოვჩნდით ფაქტობრივი მონაცემების სიმცირის გამო. თუმცა ჩაწერილ ფრაგმენტებსაც გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება. ეს ეხება სტუმარმასპინძლობის ტრადიციებსაც, რის შესახებაც მასალების ფიქსაცია მე მხვდა წილად, საკუთრივ ახალციხეში, მლაშეხევში (ძველი სახელწოდებაა ღრელი) და უდეში.

ახალციხეში ყველა მთხრობელმა იცის და ეს ალექსი სტეფანეს ძე გურგენიძემაც (დაბად. 1904 წ.) დაადასტურა, რომ ახალციხის ძველი ნაწილს ეწოდება **რაბათი** (ძველი ქალაქი), ხოლო ქალაქის ახალ ნაწილს – **პლანი**. რაბათში მდგარა წმინდა ჯვრისა და წმინდა ივანეს ეკლესიები, რომლებიც 1930 წელს ბოლშევიკებს დაუნგრევიათ და ამ ქვით აღმასკომის შენობა აუგიათ. ასევე დაუნგრევიათ ციხე – ყულის სახელწოდებით. იმის გამო, რომ რაბათში სომხები გვიან ჩამოსახლდნენ, აქ სომხური ეკლესიები არ არის. სამაგიეროდ, სომხური ეკლესიები აღმართულია ქალაქის ქვედა, ახალ ნაწილში. აქვე არსებობს წმინდა მარინეს ეკლესია და კათოლიკური ეკლესია.

რაბათში მცხოვრები გვარებია: გურგენიძე, მანველიშვილი, ბალიაშვილი, ტატანიშვილი, გოგოლაძე, კაპანაძე, მხითარიშვილი...

რაბათში ზოგიერთი ცნობა ჩავიწერე სტუმარმასპინძლობის შესახებ. ამ მასალის მიხედვით, თუ სოფელში მოსულ კაცს მასპინძელი არ ეყოლებოდა, ასეთ შემთხვევაში მისი მასპინძელი იყო სოფლის ნებისმიერი მკვიდრი. საერთო სასოფლო სასტუმრო აქ არ არსებობდა. სტუმარს მასპინძლობას უწევდა ოჯახში იმ დროს მყოფი ნებისმიერი წევრი. ოჯახი ჩვეულებისამებრ ცხოვრობდა დარბაზული ტიპის სახლში, ხოლო სუტმარს ღებულობდნენ სასტუმრო ოთახში. სტუმრად მოსულ კაცს პატრონობდნენ ოჯახის მამაკაცები, ხოლო ქალს – ქალები.

სტუმარმასპინძლობის შესახებ ზოგიერთი ცნობა ჩავიწერე სოფელ უდეში. ელიზბარ ველიჯანაშვილის (დაბად. 1883 წ.) ცნობით, უდეს მოსახლეობა ძირითადად ქართულია. ამ 1200 კომლიანი სოფლის გვარებია: აბრამიშვილი, მერაბიშვილი, ბალახიშვილი, გიგოშვილი, ხაბეიშვილი...

მთხრობლის ინფორმაცია შეეხება სტუმარმასპინძლობის ზოგიერთ წესსაც. მისი განმარტებით, ხელგაშლილობა

სტუმრის მიღების დროს სოფლის მოსახლეობის საერთო თვი-
სებაა. ჩვეულებისამებრ, სტუმრად მისულ პირს ხვდებოდა ოჯახის რომელიმე სრულწლოვანი მამაკაცი. თუ სახლში ოჯახის უფროსი არ იმყოფებოდა, სტუმრის მიღება ევალებოდა ან სხვა რომელიმე მამაკაცს, ან დიასახლისს. სტუმარს ღებულობდნენ სასტუმროდ განკუთვნილ ოთახში. ცხენის პატრონობაც, ბოსელში მისი გაჩერებაც და ჭმევაც ოჯახის უფროსს ან სხვა რომელიმე მამაკაცს ევალებოდა. სტუმრისათვის კითხვა – რატომ მოვიდა და რა ხნით, მიუღებელი იყო. სტუმარი ზოგჯერ ხანგრძლივად ჩერდებოდა და მასპინძელი ვალდებული იყო თავისი მოვალეობა შეესრულებინა.

სასტუმრო ოთახში სუფრას ერთად მიუსხდებოდნენ სტუმარი და ოჯახის სრულწლოვანი წევრები, მათ შორის ქალებიც. სტუმარი ოჯახის უფროსთან საუბრობდა. განსაკუთრებით მიღებული ყოფილა ხინკლით გამასპინძლება. დასაჩუქრება სტუმრის ან სტუმრის მიერ მასპინძლისა, მიუღებელი ყოფილა.

მასპინძლობასთან ერთად სტუმარს მთელი სოფელი ყურადღებით ეპყრობოდა და იცავდა. მისი ცემა დიდი სირცხვილი იყო და სოფელი დამნაშავეს ასეთ საქციელს არ აპატიებდა. სტუმრის გაცილება ხდებოდა სოფლის საზღვრამდე ან მეზობელ სოფლამდე.

ახალციხესა და უდესთან შედარებით მეტი ცნობები ჩავიწერეთ სოფელ **ღრელში**, რომელსაც ახლა **მლაშეხევი** ეწოდება. ქეთევან მურვანაძის (დაბად. 1908 წ. ჯავახეთის სოფელ როკეთიდან გადმოსახლებული 18 წლის ასაკში), ღრელში მისი მოსწრებით სულ ქართველები (უმთავრესად იმერლები) სახლობდნენ. მანამდე აქ უცხოვრიათ თათრებს, რომლებიც შემდეგ სოფელ ხეთაში გადასახლებულან. ქართველთა გვარებიდან აქ მოსახლეობდნენ: ალავიძეები, ნებაძეები, სულაძეები, მურვანიძეები.

მთხრობლისგან ინფორმაცია მივიღე სტუმარმასპინძ-ლობის ზოგიერთი წესის შესახებაც. მისი განმარტებით, სტუმრისთვის სოფლის ყველა მკვიდრის კარი ღია იყო ისეთ შემთხვევაში, როდესაც სტუმრად მოსულ კაცს ამ სოფელში მასპინძელი არ ეყოლებოდა. ასეთ კაცს გამოელაპარაკებოდა სოფლის თავკაცი, ხოლო მისი იქ არყოფნის შემთხვევაში სხვა რომელიმე თანასოფლელი. ამ სოფელში საერთო სასტუმრო სახლი არ არსებობდა. ამიტომ, სტუმარს მასპინძლობას შეს-თავაზებდა ნებისმიერი სოფლელი.

თუ სტუმარს მასპინძელი ყავდა, ის პირდაპირ მიდიოდა მის ოჯახში, რომელსაც შეხვდებოდა ოჯახის უფროსი მამაკა-ცი, ხოლო ოჯახში მისი არყოფნის შემთხვევაში – დიასახლი-სი. [illegible] უკანასკნელის მოვალეობას შეადგენდა სტუმრისთვის საჭმელ-სასმელის მომზადება, ხოლო სუფრასთან დაჯდომის უფლებით მამაკაცი სარგებლობდა.

როგორც წესი, სტუმრის მოსასვენებლად და დასაძინებ-ლად განკუთვნილი იყო სასტუმრო ოთახი. აქ იდგა ხის ტახტი, მაგიდა და სკამები. სტუმართან ერთად მაგიდას მიუსხდე-ბოდნენ ოჯახის წევრი მამაკაცები. ქალების და ბავშვების იქ ჯდომა მიუღებელი იყო. სტუმარს დღეში სამჯერ აჭმევდნენ: დილით (სადილი), შუადღისას (სამხარი) და საღამოს (ვახშა-მი). სასმელად განკუთვნილი იყო ღვინო, რასაც საღვინე ჭი-ქებით სვამდნენ. პირველყოვლისა ადღეგრძელებდნენ უფ-როს კაცს, შემდეგ კი სათითაოდ ყველას. სასტუმრო საჭმელს დუმილით შეიტანდა ოჯახის დიასახლისი, რომელსაც სტუმა-რი მადლობას უხდიდა. სტუმარი საუბრობდა ოჯახის უფროს-თან და იქ შემოსწრებული ასაკით შესაფერის ნათესავთან. უცნობი სტუმრის მიღება უვადო იყო, მასპინძელი არ ეკითხე-ბოდა არც სტუმრად მოსვლის მიზეზს და არც სტუმრად ყოფ-ნის ვადას. სტუმრის ცხენს პატრონობდა ოჯახის რომელიმე მამაკაცი. იგი ცხენს დააბამდა ბოსელში და საკვებად აძლევ-და თივას ან ქერს.

სტუმრისადმი პატივისცემა მასპინძლის მოვალეობა იყო, მაგრამ მისი ხელშეუხებლობის ისეთი წესის არსებობის შესახებ, როგორიც არსებობდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, აქაური მოსახლეობისათვის ერთგვარ გაუგებრობად მომეჩვენა.

ისეთ შემთხვევაში, როდესაც ოჯახს ცოლ-ქმარი ესტუმრებოდა, მათ ჩვეულებისამებრ სუფრით უმასპინძლდებოდნენ, ერთ მაგიდასთან დასვამდნენ და სასტუმრო ოთახშიც ერთად დააძინებდნენ. თუ სტუმრად მოხვდებოდნენ არა ცოლ-ქმარი, არამედ სხვა ქალი და კაცი, მათ ცალ-ცალკე ოთახში აძინებდნენ. მათ სუფრასთანაც ცალ-ცალკე დასვამდნენ – კაცს კაცებთან, ხოლო ქალს – ქალებთან. თუ სტუმრად მოსულნი ნათესავები ან და-ძმანი იყვნენ, მათ ერთად დასვამდნენ მასპინძლის სუფრასთან.

სტუმრობის დამთავრების შემდეგ მიღებული იყო გაცილება. ეზომდე მას მასპინძელი გააცილებდა, „გზა მშვიდობისას" უსურვებდა, სტუმარი თავის მხრივ მადლობას უხდიდა და ამითი თავდებოდა სტუმარმასპინძლობა.

განხილული მცირედი ფაქტობრივი მონაცემები იმის დამადასტურებელია, რომ სამცხის მოსახლეობაში სტუმარმასპინძლობის ქართული ტრადიციები ფუნქციონირებდა. ისიც ნათლად გამოჩნდა, რომ სოფლების მიხედვით უმნიშვნელო ნიუანსების მიუხედავად ეს ტრადიციები ყოფაში მოქმედი საერთო ნიშნებით ხასიათდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარჩევი

რედაქტორისაგან..... 3

I. ლეონტი მროველის ცნობები საქართველოს მთიანეთისა
და მისი გადასასვლელების შესახებ..... 4

II. ჯვრის უღელტეხილის სახელწოდების
წარმომავლობის შესახებ.....40

III. მოსახლეობის სოციალური შემადგენლობა აღმოსავლეთ
საქართველოს მთიანეთში (მთიულეთი, გუდამაყარი,
ხანდო, ჭართალი) გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის
დადების“ მიხედვით.....64

IV. მთიულეთის და გუდამაყარის მოსახლეობის სოციალური
შემადგენლობა XVIII სში (მონაცემები ძეგლისა –
„განჩინება ბარისა და მთიურთა ადგილთა”)..... 85

V. მთიულეთ-გუდამაყრის მოსახლეობის სოციალური
სტრუქტურა XVIII საუკუნეში
(მოსახლეობის აღწერის მონაცემები)..... 94

VI. უცხოტომელთა საკითხი ერეკლე მეორის ეპოქაში..... 122

VII. ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის,
არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის
სოციალურ ურთიერთობათა ეთნოგრაფიული
შესწავლის განყოფილების საექსპედიციო მუშაობის
შედეგები (1981-1986 წწ.)..... 139

VIII. ახალციხური დღიურიდან.....162

ნინო მინდაძის „რეპლიკის“ გამო

ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო კრებულში დაიბეჭდა ნ. მინდაძის „რეპლიკა სამეცნიერო ეთიკის შესახებ“. მისი ინფორმაციით, ჩემი რედაქტორობით გამოცემული რიგით მეცხრე კრებული – „ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი“ ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილების გარეშე გამოქვეყნდა. ნ. მინდაძეს უნდა ვაცნობო, რომ კრებულის გამოცემის ინიციატორი მე აღარ ვიყავი, ვინაიდან ინსტიტუტში ჩემი თანამშრომლობა შეწყდა. კრებულის მორიგი მეცხრე ტომის გამოცემის იდეა შემომთავაზა ა. სონღულაშვილმა, რომელმაც ეს იდეა გააცნო ინსტიტუტის დირექტორს ვაჟა კიკნაძეს. მისგან მიღებული თანხმობის შემდეგ კრებული გამოსაცემად მომზადდა, რომლის განსახილველად წარდგენა სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ჩემთვის არავის მოუთხოვია.

ნ. მინდაძე აღშფოთებას ვერ ფარავს ვახტანგ ითონიშვილისა და ჩემ მიერ ფიქსირებული ზოგიერთი გამონათქვამის გამო. ნაშრომში – „სახლიშვილობა და სხვისშვილობა“ მე აბსურდული უწოდე სამეცნიერო დირებულების მიღმა კვალიფიცირებულ შეხედულებას ხევსურეთში ძველაღმოსავლური ტიპის სატაძრო თემისა და მიწათმფლობელობის შესახებ. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ნუთუ არ უნდა იცოდეს, რომ ყორით ნაგებ ხევსურულ ნიშსა და ძველაღმოსავლურ ტაძარს შორის კოლოსალური სხვაობა არსებობდა. შესაბამისად წარმოუდგენელია იდენტურობის ნიშნის დასმა ძველაღმოსავლურ უზარმაზარ სატაძრო მამულებსა და ხევსურეთში არსებული ორიოდე დღიურის სახნავ საჯვარო მიწებს შორის.

ნ. მინდაძე ვახტანგ ითონიშვილს უწუნებს გამონათქვამს, რომ გ. ჩიტაიამ და რ. თოფჩიშვილმა „შეთხზეს ხევსურული გადმოცემის დღემდე უცნობი ახალი ვერსია“. ამათან დაკავშირებით უმჯობესად მიმაჩნია დავიმოწმოთ თვით ვახტანგ ითონიშვილის განმარტება:

„გადმოცემის ვარიანტებს შორის განსხვავების მიუხედავად ერთი რამ ცხადია – არა **კავკაზური,** არამედ **კივკაზური** იყო სოფ. გუდანში მცხოვრები ერთ-ერთი გვარი, რომელმაც თავისი არსებობა გუდანშივე დაასრულა. მას მხოლოდ ფონეტიკურად მიემსგავსება გ. ჩიტაიას და რ. თოფჩიშვილის მიერ გამოგონებული ტერმინი „კაკაზური", რაც ხევსურებისათვის აბსოლუტურად უცნობია. მაგრამ იმისათვის, რომ „კავკასიანთან" კავშირი ეჩვენებინათ, მათ „კივკაზურს" ჩაუნაცვლეს „კავკაზური" და „კავკასიანს" მიაბეს, რითაც შეთხზეს ხევსურული გადმოცემის დღემდე უცნობი ახალი ვერსია. მაგრამ ერთი წუთით დავუშვათ, რომ ძველი გვარი იყო „კავკაზური". როგორ უნდა წამოედგინათ ადგილზევე ამოწყვეტილი თუ ჯვარისაგან აყრილი გვარი „კავკასიანის" ტოლფას ტომობრივ ერთეულად, რომელიც განსახლებული იყო დიდოეთიდან სვანეთამდე" (**ვახტანგ ითონიშვილი,** კავკასიის ხალხთა ეთნონიმიკიდან, კრ. „ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი", IX, თბ., 2007, გვ. 10. ეს სტატია შეტანილია აგრეთვე ვახტანგის წიგნში – „ეთნიკური ისტორიის ნარკვევები", თბ., 2008).

ციტირებული სტრიქონები გვაუწყებენ ხევსურული გადმოცემის გაყალბების მცდელობას, ე. ი. ისტორიული მოვლენების ფალსიფიკაციას, რასთან მიმართებაშიც „შეთხზვა" საკმაოდ რბილი გამონათქვამია და შეურაცხყოფის გამომხატველი სრულებითაც არ არის. უარყოფითი დამოკიდებულების გამომხატველი სხვა გამონათქვამებიც რეალობის შესატყვისადაა გამოყენებული, რის გამო შეურაცხყოფის ტოლფას ტერმინებად მათი დამოწმება ჩხირკედელაობად შეიძლება მივიჩნიოთ. ისიც ნათლად ჩანს, თუ რაოდენ დიდია ანაქრონიზმი, რამაც თავი იჩინა ხევსურული სახელშეცვლილი გადმოცემის მეფე საურმაგის ეპოქასთან დაკავშირების მცდელობაში, თუნდაც იმის გაუთვალისწინებლად, რომ ესოდენ ძველ ეპოქაში ხევსურეთი ცალკე კუთხედ არ არსებობდა. ის ხომ დაახლოებით XV საუკუნიდან გამოეყო ფხოვს, რომელიც მანამდე ფშავსა და ხევსურეთს აერთიანებდა.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ობიექტურ კრიტიკას და შესაბამის კვალიფიკაციას ნ. მინდაძემ შეურაცხმყო-

ფელი უწოდა. მისი მტკიცებით, ეს მით უფრო მიუღებელია ეთნოლოგიური სკოლის ფუძემდებლების მისამართით.

ჯერ ერთი უნდა ითქვას, რომ მიუღებელი თვალსაზრისის ჯეროვანი კრიტიკა შესაბამისი გამონათქვამებით სრულებითაც არ ნიშნავს პიროვნების შეურაცხყოფას. ნ. მინდაძეს შევახსენებ, რომ თვით მის მიერ ფუძემდებლად სახელდებულმა მეცნიერებმა მკვახედ შეაფასეს სერგი მაკალათიას და ნიკო მარის ღვაწლი. გ. ჩიტაიამ ს. მაკალათიას შესანიშნავ წიგნს (ხევსურეთი) „უხეირო" უწოდა, ხოლო ვ. ბარდაველიძემ ხელადებით უარჰყო მსოფლიოში ცნობილი მეცნიერის ნიკო მარის სამეცნიერო მემკვიდრეობა. სანიმუშოდ იმისა, თუ ვ. ბარდაველიძემ როგორ გაიმეტა თავისი მასწავლებელი და რანაირი კვალიფიკაციით შემუსრა მისი დამსახურება, შეიძლება დავიმოწმოთ მისი სტატია – ხევსურული თემი, დასაბეჭდად წარდგენილი გ. ჩიტაიას მიერ („საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე", ტ. XIII, №8, 1952), რომელშიც წერს:

„ერთ-ერთ ჩემს ადრინდელ ნაშრომში „Опыт социологического изучения хевсурских верований", რომელიც 1932 წელს დაიბეჭდა ნ. მარის რედაქციით, ხოლო დაიწერა ამაზე ადრე, როდესაც მე ასპირანტურაში ვსწავლობდი, – ხევსურეთის სოციალური წყობილება განხილული იყო ნ. მარის ე. წ. ენის შესახებ ახალი მოძღვრების – კერძოდ მისი სოციოლოგიური კონცეფციის პოზიციებიდან. ამ ნაშრომში, ვეყრდნობოდი რა ნ. მარის ამ კონცეფციას და შეხედულებას აზროვნების განვითარების მაგიურ-ტოტემისტური საფეხურის შესახებ, ხევსურეთის საზოგადოებრივი განვითარების მცდარ სოციოლოგიურ სქემას ვიძლეოდი და ერთი რიგი ხევსურული გადმონაშთების მიხედვით წინაგვაროვნული საზოგადოების არსებობას ვვარაუდობდი.

1932 წლიდან დღემდე არ მქონია არც ერთი შემთხვევა, რომ მარისტული პოზიციებიდან თუნდაც ცალკეულ საკითხებში, ან დამებეჭდოს რაიმე ნაშრომი, ან პრესაში, სესიებზე თუ კრებებზე გამოვსულიყავი.

უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე დაგროვილი ეთნოგრაფიული მასალის ანალიზის საფუძველზე თავი დავადწიე ნ. მარის ანტიმარქსისტულ, ანტიმეცნიერულ შეხე-

დულებებს, რაც მთავარია, დავძლიე კონკრეტული ფაქტე-
ბის წინასწარაღებული ცრუმეცნიერული სქემების მიხედ-
ვით გაშუქება და ვცდილობდი ჩემი მუშაობა მარქსიზმ-
ლენინიზმის საფუძველზე წარმემართა.

იმის ნათელსაყოფად, თუ რა ხასიათის მუშაობას ვე-
წეოდი, გარდა ბეჭდური პროდუქციისა, მოვიყვან შემდეგ
ფაქტებს.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხევსურეთისა
და სვანეთის ეთნოგრაფიული გამოფენების იმ ნაწილში,
რომლის შემზადებაც მე დამეკისრა, ნ. მარის დებულების
მიხედვით არც ერთი საკითხი არ არის დამუშავებული.
ხევსურეთისა და სვანეთის გამოფენები 1931-1934 წწ. მოეწ-
ყო, ამას გარდა 1929-1934 წწ., როდესაც ლენინგრადსა და
მოსკოვში ეთნოგრაფია კრიზისს განიცდიდა ნ. მარისა და
მისი მიმდევრების ნიჰილისტური დამოკიდებულების გამო
ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის მიმართ, საქართველოს
ეთნოგრაფები, მათ რიცხვში მეც, რუსეთიდან დაბრუნე-
ბის შემდეგ, ადრევე არჩეული გზით განვაგრძობდით მუშა-
ობას და არ ვიზიარებდით ნ. მარისა და მისი მოძღვრების
მიმდევართა მცდარ შეხედულებებს, ეთნოგრაფიის ლიკვი-
დაციას რომ ქადაგებდნენ. იმ ხანებში ჩატარდა საქართვე-
ლოში დიდი ეთნოგრაფიული ექსპედიციები: ხევსურეთისა
(1929 წ.), სვანეთისა (1931 წ.), თუშეთისა (1932 წ.) და აჭა-
რისა (1934 წ.), მოეწყო ეთნოგრაფიული გამოფენები და
რიგი სამეცნიერო-კვლევითი შრომები დაიბეჭდა.

როგორც ცნობილია, ჩვენს ქვეყანაში, კერძოდ საქარ-
თველოშიც, ისტორიულ მეცნიერებათა განვითარებაში გა-
დამწყვეტი როლი შეასრულა პარტიის შესანიშნავმა სა-
ხელმძღვანელო დოკუმენტებმა (1934-1936 წწ.) — სტალი-
ნის, კიროვისა და ჟდანოვის შენიშვნებმა საბჭოთა კავში-
რის ხალხთა ისტორიის სახელმძღვანელოების კონსპექტე-
ბის შესახებ. 1936 წელს ნაცვლად მარქსისტული კავკასი-
ისმცოდნეობის ინსტიტუტისა, ამხანაგ ლ. ბერიას ინიცია-
ტივით დაარსდა „ენიმკი", რომელსაც დაეკისრა ამ ამოცა-
ნების გარკვევა, რომლებიც დიდმა სტალინმა ისტორიულ
მეცნიერებებს დაუსახა. ამ ახლად დაარსებული ინსტიტუ-
ტის წევრი მეც ვიყავი თავიდანვე და ინსტიტუტის საერთო

მიმართულებას შეძლებისდაგვარად ჩემი ძალღონით ვემსახურებოდი და ვემსახურები.

ამხანაგი სტალინის განიალურმა შრომამ „მარქიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“ მოგვცა სამეცნიერო აზრის ახალი აღმავლობა, მოწინავე საბჭოთა მეცნიერების ახალი წარმატებანი მეცნიერების ყველა დარგში.

ასეთი აღმავლობის ნიშნით ჩატარდა მოსკოვში 1951 წელს ეთნოგრაფთა საკავშირო თათბირი, რომელიც ახალ საფეხურს ქმნის საბჭოური ეთნოგრაფიის განვითარებაში.

საბჭოთა მეცნიერები მოწოდებული არიან უმოკლეს ვადაში სავსებით დაძლიონ შეცდომები და არევ-დარევა, რომლებიც ნ. მარმა და მისმა მოწაფეებმა მეცნიერებაში დანერგეს. ამ ამოცანის ნაყოფიერად შესრულება შეიძლება მხოლოდ იმის საფუძველზე, თუ რამდენად მარქსისტულ-ლენინურად დავამუშავებთ ხალხთა, ენათა და კულტურის ისტორიის, სსრ კავშირში სოციალისტური ერების წარმოქნისა და მათი კონსოლიდაციის პრობლემებს და გამარჯვებული სოციალიზმის პირობებში, კომუნიზმის მშენებლობის პროცესში კულტურისა და ენების განვითარების პრობლემებს.

ღრმად შეგნებული მაქვს, რომ მე, როგორც ეთნოგრაფს, მევალება ამ გზით ვემსახურო შეძლებისდაგვარად საბჭოთა მეცნიერებას მისი განვითარების ამ ახალ სტალინურ ეტაპზე“.

როგორც ვხედავთ, ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ფუძემდებლებად სახელდებულმა მეცნიერებმა ბევრად უფრო მკვახე გამონათქვამებით გამოხატეს თავიანთი დამოკიდებულება ცნობილი მეცნიერების მისამართით, ვიდრე ეს გამოჩნდა ნ. მინდაძის რეპლიკაში ფიქსირებული გამონათქვამებიდან.

რაკი ფუძემდებლობაზე ჩამოვარდა სიტყვა, უნდა ვიცოდეთ, რომ ქართული ეთნოგრაფიის განვითარებას დიდი გზა აქვს გავლილი. საუკუნეების მანძილზე სხვადასხვა სახის საისტორიო წყაროებში, აგიოგრაფიულ და საერო მწერლობაში, უცხოელ დამკვირვებელთა ნაწერებში თუ მოგზაურთა შრომებში აისახებოდა ქართველი ხალხის ყოფისა და ტრადიციების მაჩვენებლები, ხოლო მეცნიერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფუძემდებლის როლში მოგვევლინა XVIII საუკუნის სახელოვანი სწავლული ვახუშტი ბაგრატიონი.

დასასრულ აღვნიშნავ, რომ ვახტანგის თუ ჩემი შრომებისათვის გრიფის მიღებაში ნ. მინდაძის მხარდაჭერას არ ვსაჭიროებ. მათი მომზადება და გამოცემა ჩემს გემოვნებაზეა დამოკიდებული და არა ნ. მინდაძის რეკომენდაციებზე.

ვალერიან ითონიშვილი

K 3

ISBN 978-9941-0-0893-1